

მამული ენა სარწმუნოება

7

ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა

გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო

ედიშერ ჭელიძემ

მეორე, შესწორებული გამოცემა



საეკლესიო გამომცემლობა
„აბალი ივერონი“
თბილისი
2014

ედვინება სოფლის მასწავლებელს

სათანადო მასალების მოძიება მიმდინარეობდა
უწმინდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II
ლოცვა-კურთხევით

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ - ვ ო ნ ს უ ლ ტ ა ნ ტ ი :

ღვთისმეტყველების დოქტორი, პროფესორი
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი :

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ანა ჭუმბურიძე

აღნიშნული გამოცემის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე
სახით კვლავ გამოცემა წიგნის ავტორის ნებართვის გარეშე აკრძა-
ლულია

© ედიშერ ჭელიძე

Ancient Georgian Church Literature, I, ed. by Edisher Chelidze, Tb. 2014

ს ა რ ჩ ე ვ ი

მარტვილობა წმინდა მონამე ევსტათი მცხეთელისა	5
სქოლიოები	44
იოანე საბანისძე: მარტვილობა წმინდა მონამე აბოთბილელისა	117
სქოლიოები	188
ბასილი მარგმელი: ცხოვრება წმინ- და სერაპიონ მარგმელისა	195
სქოლიოები	292



მარტვილობა წმინდა მოწამე
ე ვ ს ტ ა თ ი მ ც ხ ე თ ე ლ ი ს ა

მარტვლობამ და მოთმინებამ წმიდისა ევსტათი მცხეთელისამ

I. წელსა მეთესა ხუასროს მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისამ, ძღ მოგვსამ. და წარმართ იყო იგი, და სახელი ერქუა მას გვრობანდაკ, და დღითა ყრმა იყო იგი ვითარ ოცდაათ წლის.

და მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა ველსა მევამლეობისასა. და ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა და მსახურებასა ქრისტესსა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისამ და ჰრწმენა ქრისტე. და ვითარ ისწავა მევამლეობამ, ითხოვა მან ცოლი ქრისტეანც და თვთ ქრისტეანე იქმნა და ნათელი მოიღო. ხოლო ნათლისცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი. და ცხოვნდებოდა წმიდამ ევსტათი ქრისტეანობასა შინა და სათნოებასა ქრისტესსა.

II. მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მევამლენი, ტოზიკობდეს, და მიავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს: „მოვედ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა“. ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა და ჰრქუა მათ: „თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს, და თქუენ, მეტოზიკენიცა, ბნელ ხართ. ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მომიღებთ და ქრისტეს ტოზიკსა ვტოზიკობ, რამეთუ ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდულ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარ“.

და ვითარ ტოზიკი იგი გარდაივადეს, შეკრბეს იგინივე მეჯადაგენი და მევამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისსა, მცხეთელ ციხისთავისასა, და თქუეს: „აქა კაცი ერთი არს ჩუენისა რჩულისაგანი და ჩუენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი

მარტვილობა და მოთმინება წმინდა ევსტათი მცხეთელისა

1. ხუასროს მეფის მეათე წელს და ქართლში არვანდ გუშნასპის მარზაპანობისას¹ მოვიდა სპარსეთიდან, სოფელ არშაკეთიდან, ერთი კაცი, მოგვის ძე. წარმართი იყო იგი და მას სახელად ერქვა გვირობანდაკი. ასაკით² ჭაბუკი³ იყო იგი, დაახლოებით 30 წლის.

მოვიდა იგი ქალაქ მცხეთაში და განისწავლებოდა მეწადეობის ხელობაში. ხედავდა იგი ქრისტიანების სჯულს, ქრისტეს მსახურებას და წმინდა ჯვრის ძალის გამოჩინებას. შეიყვარა მან ქრისტიანების სჯული და იწამა ქრისტე, ხოლო როდესაც ისწავლა მეწადეობა, ითხოვა მან ქრისტიანი ცოლი, თავადაც ქრისტიანი გახდა და ნათელილო, ხოლო ნათლისცემისას უწოდეს მას სახელი ევსტათი. და ცხოვრობდა წმინდა ევსტათი ქრისტიანობით და ქრისტეს სათნოებით.

2. იმ დროს შეიკრიბნენ სპარსელები, რომლებიც მცხეთაში იყვნენ, მეჯღანეები⁴ და მეწადეები, და, ტოზიკობდნენ რა, შეუთვალეს ნეტარ ევსტათის და უთხრეს: „მოდით და შემოგვიერთდით ჩვენს განცხრომაში“. მაგრამ ნეტარმა ევსტათიმ გაიცინა და უთხრა მათ: „თქვენი ტოზიკიც⁵ ბნელია და თქვენ, მეტოზიკეებიც,⁶ ბნელნი ხართ. ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღია და ქრისტეს ტოზიკს ვტოზიკობ,⁷ რადგან ქრისტეს ბეჭდით ვარ აღბეჭდილი და მაგ სიბნელეს განვეშორე“.

როდესაც ტოზიკი გადაიხადეს, შეიკრიბნენ იგივე მეჯღანეები და მესამელები, მოითათბირეს მცხეთელი ერისთავის უსტამის წინაშე და თქვეს: „აქ არის ერთი კაცი ჩვენი სჯულისა, ჩვენთან ტოზიკზე არ მოდის, ცეცხლს არ გა-

არა გამოსცის და ჩუენსა რჩულსაცა ჰგომბს და ჩუენ გუაგინებს და იტყვს, ვითარმედ მე ქრისტეანე ვარო. ხოლო აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ამას ქალაქსა შინა ველმწიფე ხარ“.

და უსტამ, ცხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათისთვს და მიავლინა ერთი მვედართავანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა, და მრისხანედ ჰრქუა: „გიწესს შენ ცხისთავი“.

ხოლო წმიდამ ევსტათი მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდებად. და მერმე განიზრახა და თქუა: „ესე მოყუასნი ჩემნი არიან, ამათგან—ლა შევიშინო, მერმე დიდთა მთავართა წინაშე ვითარ წარვდგე?! არამედ მივიდე მისა და ცხადად აღვიარო ქრისტე, რამეთუ მასმიეს წმიდისა ევანგელესაგან, ვითარ-იგი თქუა: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათამსა, და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვეო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა“. და დაიწერა ჯუარი შუბლსა და გულსა და თქუა: „უფალი ჩემ თანა“.

და მოვიდა იგი ნეტარი ევსტათი და წარმოდგა წინაშე უსტამ ცხისთავისა მცხეთელისა. და მწოდებელმან მან ჰრქუა უსტამს: „ესე არს ჩუენისა რჩულისა მომაგინებელი“. და მიხედა ცხისთავმან მან ნეტარსა ევსტათის და ჰრქუა: „შენ გეტყვ, კაცო, მითხარ მე, რომლისა სოფლისამ ხარ, ანუ რომლისა ქალაქისამ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს“?

ხოლო წმიდამან ესტათი ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისამ ვიყავ, ვევისა არშაკეთისამ, ქალაქისა განძაკისამ ვიყავ. მამამ ჩემი მოგვ იყო და მეცა მოგუებასა მასწავებდა, და მე მოგუებად არა თავს-ვიდევე, რამეთუ განძაკს ქალაქსა ქრისტეანენი უფრომს არიან და ებისკოპოსი და მღდელნი, და მათგან—ლა ყოველსა ზედამივიწიე, რამეთუ უფრომს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეანობამ, ვიდრე ... უღმრთოებამ. და აწ მე ქრისტე მრწამს და ქრისტეს მსახურებასა შინა ვარ“.

მოსცემს და ჩვენს სჯულსაც გმობს, თანაც გვაგინებს ჩვენ და ამბობს, რომ მე ქრისტიანი ვარო. ახლა კი შენ უხმე და გამოჰკითხე, რადგან ამ ქალაქში ხელისუფალი ხარ“.

უსტამმა, მცხეთის ციხისთავმა, მოისმინა მათი [ნათქვამი] ევსტათის შესახებ და გააგზავნა ერთ-ერთი მხედარი ნეტარი ევსტათის მოსახმობად, რომელმაც მრისხანედ უთხრა მას: „გიხმობს შენ ციხისთავი“.

ხოლო წმინდა ევსტათი ოდნავ შეფერხდა და უნდოდა გარიდება, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა და თქვა: „ესენი ჩემი ახლობლები არიან. თუ ამათგანაც შევშინდები, შემდეგ დიდ მთავართა წინაშე როგორ წარვდგე?! პირიქით, მივალ მასთან და ცხადად ვაღიარებ ქრისტეს, რადგან მსმენია წმინდა სახარებისგან, უთქვამს რა ასე: „ვინც მაღიარებს მე ადამიანების წინაშე, მეც ვაღიარებ მას ჩემი ზეციერი მამის წინაშე, და ვინც უარმყოფს მე ადამიანების წინაშე, მეც უარყოფ მას ჩემი მამის წინაშე, რომელიც არის ცათა შიგნით“.⁸ გადაიწერა მან ჯვარი შუბლზე და გულზე და თქვა: „უფალი ჩემთანაა“.⁹

და მოვიდა ნეტარი ევსტათი და წარმოდგა იგი მცხეთელი ციხისთავის უსტამის წინაშე. წარგზავნილმა უთხრა უსტამს: „ესაა ჩვენი სჯულის მაგინებელი“. მიხედა ციხისთავმა ნეტარ ევსტათის და უთხრა: „შენ გეუბნები, ადამიანო, მითხარი მე, რომელი ქვეყნისა ხარ ან რომელი ქალაქისა ანდა რომელი სჯული გაქვს“?

წმინდა ევსტათიმ უთხრა მას: „მე სპარსეთის ქვეყნისა ვიყავი, არშაკეთის ხევიდან. ქალაქ განძაკისა ვიყავი. ჩემი მამა მოგვი იყო და მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ მე მოგვობა არ ვინდომე, რადგან ქალაქ განძაკში ქრისტიანები უფრო მეტნი არიან და [ჰყავთ მათ] ეპისკოპოსი და მღვდლები. სწორედ მათგან ყველაფერს ჩავწვიდი,¹⁰ რადგან ყველა სჯულზე აღმატებულია ქრისტიანობა ... ვიდრე უღვთოება (?).¹¹ და ახლა მე ქრისტე მწამს და ქრისტეს მსახურებაში ვარ“.

ხოლო უსტამ ციხისთავმან პრქუა მას: „არავინ გიტეოს ქრისტეს მსახურყოფად და თუ მშუდობით არა განუტეო სიცოფლმე გეგ, ტანჯვამ დიდი მოიწიოს შენ ზედა“. ხოლო წმიდამან ევსტათი პრქუა: „არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყუარულისათვის, არამედ სიკუდილცა თავი ჩემი არა მეწყალის“.

ვითარ იხილა უსტამ გულსმოდგინედ დამტკიცებამ ნეტარისა ევსტათისი, განიზრახა და თქუა: „ამის კაცისა პატიჟი მე არარამ ველ—მეწიფების, არცა აღბმამ ძელსა, არცა პყრობილებამ, არამედ წარუძღუნო ეგე ტფილისს ქალაქსა არვანდ გუშნასპს, ქართლისა მარზაპანსა, და რამ-იგი შეჰგვანდეს, მან უყოს, რამეთუ ყოვლისა კაცისა ქართლისა მას ველ-ეწიფების სიკუდილი და ცხორება“.

და უბრძანა უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ორთა მკედართა წარყვანებამ ნეტარისა ევსტათისი ტფილისს. და შეკრბეს იგივე მეჯადაგენი და მევაძლენი და მოვიდეს უსტამისა და პრქუეს: „არიან აქა სხუანიცა ჩუენისა რჩულისანი და იგინიცა ქრისტეანე არიან, და მათიცა ბრძანე მოწოდებამ და ტფილისს მათიცა წარყვანებამ“.

ხოლო უსტამ პრქუა მათ: „ვინ არიან იგინი“? და მათ უთხრეს სახელები მათი და პრქუეს: „ერთსა გუშნაკ პრქვან და ერთსა ბახლიად, ერთსა ბურზო, ერთსა პანაგუშნასპ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე“.

და უბრძანა უსტამ მოწოდებამ მათი, ხოლო განკითხვამ მათი არარამ ყო, გარნა ამათ რვათაძვე შეკრვამ ბრძანა და წარცემამ ტფილისს არვანდ გუშნასპს, მარზაპანსა ქართლისასა, და ესრეთ მიპრქუა: „ესე კაცი ჩუენისა რჩულისანი იყვნეს და ქრისტეანეთა რჩული უპყრიეს, ხოლო მე შევიპყრენ და შენ, უფალსა, მიგიძღუნენ, რამეთუ შენ ველ—გეწიფების მაგათი განკითხვამ“.

III. და წარუდგინეს ესე რვანივე წინაშე მარზაპანსა, ხოლო მან პრქუა მათ: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს“?

ხოლო უსტამ ციხისთავმა უთხრა მას: „არავინ დაგანებებს ქრისტეს მსახურად ყოფნას და თუ მშვიდობიანად არ დატოვებ მაგ სიცოფეს, დიდი ტანჯვა მოიწევა შენზე“. ხოლო წმინდა ევსტათიმ უთხრა: „არათუ მარტო ტანჯვისთვის ვარ გამზადებული ქრისტეს სიყვარულის გამო, არამედ სიკვდილისთვისაც ჩემი თავი არ მებრალება“.

როდესაც ნახა უსტამმა გადაწყვეტილად შეუძრავობა ნეტარი ევსტათისა, აწონ-დაწონა და თქვა: „ამ ადამიანის არანაირი დასჯის უფლებამოსილი მე არ ვარ, არც ძელზე გასმის, არც შეპყრობისა, არამედ წაუყვან მას ქალაქ თბილისში არვანდ გუშნასპს, ქართლის მარზაპანს, და რაც შესაფერისი იქნება, იგი უზამს, რადგან ქართლის ყველა ადამიანის სიკვდილი და სიცოცხლე მის უფლებამოსილებაშია“.

და უბრძანა უსტამმა, მცხეთის ციხისთავმა, ორ მხედარს ნეტარი ევსტათის თბილისში წაყვანა. მაშინ შეიკრიბნენ იგივე მეჯღანეები და მეწადეები, მივიდნენ უსტამთან და უთხრეს: „არიან აქ სხვებიც ჩვენი სჯულისა და ისინიც ქრისტიანები არიან. ბრძანე იმათი ხმობაც და მათი წაყვანაც თბილისში“.

უსტამმა უთხრა მათ: „ვინ არიან ისინი?“ მათ აუწყეს იმათი სახელები და უთხრეს: „ერთს გუშნაკი ჰქვია, მეორეს ბახდიადი, მესამეს ბურზო, მეოთხეს პანაგუშნასპი, მეხუთეს პეროზაკი, მეექვსეს ზარმილი, მეშვიდეს სტეფანე“.¹²

ბრძანა უსტამმა მათი ხმობა, მაგრამ არანაირი მათი განსჯა არ მოუხდენია, მხოლოდ ამ რვავეს შეკვრა და თბილისში არვანდ გუშნასპთან, ქართლის მარზაპანთან, გაგზავნა ბრძანა, თან ასე შეუთვალა მას: „ეს ადამიანები ჩვენი სჯულისა იყვნენ და ქრისტიანთა სჯული აქეთ, მე კი შევიპყარი ისინი და შენ, ბატონს, გამოგიგზავნე, რადგან შენს უფლებამოსილებაშია მათი განსჯა“.

3. და წარუდგინეს ეს რვავე მარზაპანს, მან კი უთხრა მათ: „ვინ ხართ, ან რომელი სჯული გაქეთ?“ ყოველმა მათ-

და მათ უთხრეს კაცად-კაცადმან სოფელი თუსი და დაბაჲ თითოეულისაჲ და ჰრქუეს ყოველთა: „მამულსა-ღა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდეთ, ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმენით და აწ ქრისტეანე ვართ, რამეთუ ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სულნელ არნ და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სსუჲაჲ რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა“.

ხოლო სიტყუსმიმღებელ იყო მათ შორის მსაჯულისა მიმართ ნეტარი ევსტათი. და ვითარ ესმნეს ესევეთარნი სიტყუანი მათგან, გული განუწყრა და უბრძანა მსახურთა თუსთა პირსა ცემაჲ ნეტართაჲ მათ და გარე განყვანებაჲ მათ ყოველთაჲ და უბრძანა: „დაჰყვნეთ მაგათ თავი და წუერი და განუკურიტენით მაგათ ცხვრნი და ჯაჭვ დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერვთა, და შესხენით ეგენი საპყრობილესა და, თუ ვინმე აღიაროს მაგათგანმან მამული რჩული, განუტევეთ და ჩემდა მოაწიეთ, და მე განვაძდიდრო იგი ბოძითა დიდითა; ხოლო რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილესა შინა მოკუედინ“.

და ვითარ ესმა მარზაპნისა სიტყუაჲ იგი: „რომელმან აღიაროს, იგი ვაცხოვნო, და რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა მოკუედინო“, მას ჟამსა ეშმაკი მოუვდა გულსა ბახდიადისსა და პანაგუშნასპისსა და უვარ-ყვეს ქრისტე და უღმრთოებაჲ აღიარეს. ხოლო მათ ნაწილი ჯუარისმცუმელთა თანა მიიღეს. ხოლო ნეტარი ევსტათი და გუშნაკ და ბურზო და პეროზაკ და ზარმილ და სტეფანე გულსმოდგინედ და მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. და ვითარ უთხრეს მარზაპანსა მას, ვითარმედ ორთა მათგანთა აღიარეს მამული რჩული, განიხარა მარზაპანმან და ბრძანა შეყვანებაჲ მათი და ინაჯით დაისხნა იგინი და უქადებდა მათ საფასესა დიდსა და კეთილად პყრობასა. ხოლო ნეტარისა ევსტათისი და სსუჲათა მოყუასთა მისთაჲ ბრძანა თავისა და წუერისა დაყუენაჲ და ჯაჭვსა ქედსა დადებაჲ და ბორკილითა საპყრობილესა შესხმაჲ მათი. ხოლო

განმა სათითაოდ აუწყა თავისი ქვეყანა და დაბა, და ყველამ უთხრა: „მამისეულ სჯულზე როდესაც ვიყავით, სპარსელების სჯული ვიცოდით, მაგრამ როდესაც ქართლში შემოვედით და ქრისტიანების სჯული ვნახეთ, ქრისტიანები გაეხდით და ახლა ქრისტიანები ვართ, რადგან ქრისტიანთა სჯული წმინდაა და სურნელოვანი. მეტად კარგია იგი და მშვენიერი, ხოლო სხვა სჯული ვერ გაუთანაბრდება ქრისტიანთა სჯულს“.

ხოლო ამათ შორის მსაჯულისადმი პასუხის გამცემი ნეტარი ევსტათი იყო. როდესაც [მსაჯულს] ამგვარი სიტყვები მოესმა მათგან, გული განურისხდა და უბრძანა თავის მსახურებს, რომ სახეში ეცემათ ამ ნეტარებისთვის და გარეთ გაეყვანათ ყველანი, თანაც ბრძანა: „მოპარსეთ მაგათ თმა და წვერი, გაუხვრიტეთ მაგათ ცხვირები, ჯაჭვი დაადეთ მაგათ კისერზე, ბორკილები შეასხით ფეხებზე და შესვით ეგენი საპყრობილეში, ხოლო თუ ვინმე მათგანი აღიარებს მამისეულ სჯულს, გაუშვით და ჩემთან მოიყვანეთ, მე კი გავამდიდრებ მას დიდი საბოძვარით¹³, მაგრამ ვინც მამისეულ სჯულს არ აღიარებს, იგი საპყრობილეში მოკვდეს“.

როდესაც გაიგონეს მარზაპნის სიტყვა, რომ „ვინც აღიარებს. იმას ვაცოცხლებო, და ვინც არ აღიარებს მამისეულ სჯულს, საპყრობილეში მოკვდესო“, მაშინ ეშმაკი შეუვიდა¹⁴ ბახდიადისა და პანაგუმნასპის გულს, უარყვეს ქრისტე და უღვთოება აღიარეს, რის გამოც მათ ჯვარმცემლებთან მიიღეს ნაწილი, ხოლო ნეტარი ევსტათი, გუმნაკი, ბურხო, პეროზაკი, ზარმილი და სტეფანე გადაწყვეტილად და მტკიცედ იდგნენ ქრისტეს სარწმუნოებაზე. როდესაც უთხრეს მარზაპანს, რომ ორმა მათგანმა აღიარა მამისეული სჯული, გაიხარა მარზაპანმა, ბრძანა მათი შემოყვანა, გვერდით დაისვა ისინი და ჰპირდებოდა მათ დიდ სიმდიდრეს და კარგად მოპყრობას, ხოლო ნეტარი ევსტათისა და მისი სხვა მეგობრებისთვის ბრძანა თავისა და წვერის მოპარსვა, კისერზე ჯაჭვის დადება და ბორკილებით ჩასმა მათი საპყრობილეში.

მსახურთა მათ აღასრულეს ბრძანებად მარზაპნისად მის; და დაყვნეს იგინი თმითა და წუერთა, და ჯაჭუთა და ბორკილითა საპყრობილედ შეაყენეს. ხოლო ბახდიადს და პანაგუმნასპს ნუგეშინის-სცა და განუტევენა იგინი, ხოლო საფასესა და კეთილსა, რომელსა უქადებდა მათ, არცა ფსირიდი ერთი მისცა მათ.

ხოლო წმიდამ ევსტათი და სხუანი იგი მოყუასნი მისნი პყრობილ ყვნეს ვითარ ექუს თთუე ოდენ. და შემდგომად ექუსისა თთუსა მწოდებელი სპარსთა მეფისად მოიწია არვანდ გუმნასპისა. და ვითარ წარემართებოდა მარზაპანი იგი მეფისა მის, შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზაპნისა მის ჯმნად მოვიდეს.

რაჟამს ამვედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა პრქუეს: „ვევედრებით შენსა მაგას უფლებასა, სათხოველსა ერთსა გთხოვთ“. ხოლო მან პრქუა მათ: „თქუთ, რადცა გნებაგს. რადცა იყო, რომელი თქუენ არა მიგმადლე“? ხოლო მათ ყოველთა პრქუეს: „გვევედრებით შენ, ჯერ-გიჩნდინ შენ, უფალო, განტევებად კაცთად მათ, რომელნი იგი მცხეთელნი ქრისტეანობისათუს საპყრობილედ მიცემულ არიან“. პრქუა მათ მარზაპანმან მან: „იგი კაცნი მოსაკლავად შეპგვანდეს, ხოლო თქუენითა ოხითა განუტევენე ეგენი“. ხოლო მათ მადლი მისცეს მას. და უბრძანა განტევებად მათი. და გამოიყვანეს იგინი მიერ საპყრობილით და მოვიდეს იგინი ვანად თუსა ქრისტეანებით. და სათნოდ ღმრთისა ცხონდებოდეს ნეტარნი იგი. და რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისადათა შეისუენა ჟამად-ჟამად და რომელნიმე ცოცხალ არიან.

ხოლო რომელთა-იგი უვარ-ყვეს ქრისტე, ბახდიად ეშმაკეულიქმნა და ძნელად მოკუდა, ხოლო უბადრუკმან პანაგუმნასპ გლახაკობითა აგნა დღენი, რომელსა პური საჭმლად არა აქუნდა და ვორცთა საფარველი სამოსლად არა ეპოვებოდა, და ვიდრე იგი ცოცხალ იყო, ურვით და ჭირით იყვნეს დღენი მისნი.

მსახურებმა აღასრულეს მარზაპნის ბრძანება, მოპარსეს მათ თმა და წვერი და ჯაჭვითა და ბორკილით საპყრობილეში ჩააგდეს, ხოლო ბახდიადსა და პანაგუშნასპს [მარზაპანმა] ნუგეში სცა და გაუშვა, ის სიმდიდრე და სიკეთე კი, რასაც ჰპირდებოდა მათ, არაფერი მისცა, ერთი კალათიც¹⁵ კი.

წმინდა ევსტათი და მისი სხვა მეგობრები შეპყრობილნი იყვნენ თითქმის ექვსი თვედა. და ექვსი თვის შემდეგ სპარსელთა მეფის წარგზავნილი¹⁶ მოვიდა არვანდ გუშნასპთან. როდესაც მეფისკენ მიემართებოდა მარზაპანი, შეიკრიბნენ ქართლის მთავრები და მარზაპნის გასაცვილებლად მოვიდნენ.

როდესაც უნდა ამხედრებულიყო მარზაპანი, ადგნენ ქართლის მთავრები, სამოელ ქართლის კათალიკოსი, გრიგოლ ქართლის მამასახლისი, არშუშა ქართლის პიტიახში და სხვა სეფეწულები¹⁷, და უთხრეს მარზაპანს: „ვევედრებით მაგ შენს უფლებამოსილებას, ერთ სათხოვარს გთხოვთ“. მან კი უთხრა მათ: „თქვით, რაც გნებავთ. რა უნდა იყოს, რასაც თქვენ არ მოგმადლებთ?“ ყველამ უთხრა: „გვედრებით შენ, რომ ინებო შენ, ბატონო, იმ მცხეთელი ადამიანების გაშვება, რომლებიც ქრისტიანობისთვის საპყრობილეს არიან გადაცემულები“. უთხრა მათ მარზაპანმა: „ის ადამიანები მოსაკლავეები ჩანდნენ, მაგრამ თქვენი შუამდგომლობით გაშვებ მათ“. გადაუხადეს მადლობა და მანაც ბრძანა იმათი გაშვება. გამოიყვანეს ისინი საპყრობილიდან და მოვიდნენ თავიანთ სახლებში ქრისტიანობით. და ღვთისსათნოდ ცხოვრობდნენ ეს ნეტარები. ზოგმა მათგანმა დროთა განმავლობაში შეისვენა¹⁸ ღვთის ნებით, ზოგი კი ცოცხალია.

ხოლო იმათგან, რომლებმაც უარყვეს ქრისტე, ბახდიადი ეშმაკეული გახდა და მძიმედ მოკვდა, ხოლო უბადრუკმა პანაგუშნასპმა გლახაკობით გარდავლო დღენი, რომელსაც პური არ ჰქონდა საჭმელად და სხეულის საფარველი არ მოეპოვებოდა სამოსლად. სანამ ცოცხალი იყო, მწუხარებით და გაჭირვებით იყო მისი დღეები.

IV. და შემდგომად სამისა წლისა შემოვიდა ვეჟან ბუზმირ ქართლსა მარზაპანად. და წარვიდეს სპარსნი მცხეთით, შემასმენელნი ნეტარისა ევსტათისნი, ტფილისს და წარდგეს წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპანისა და ჰრქუეს: „კაცნი არიან მცხეთას ჩუენისა რჩულისანი და განდგომილ არიან იგინი ჩუენგან და ქრისტეანობენ. აწ განკითხვამ მათი თქუენ ველ-გეწიფების“. და უბრძანა ვეჟან ბუზმირ ორთა მვედართა წარსლვამ და მოწოდებამ წმიდისა ევსტათისი და სტეფანსი. და ვითარცა მივიდეს მვედარნი იგი, ჰრქუეს ევსტათის და სტეფანეს: „გიწესს თქუენ მარზაპანი“. და ჰრქუეს: „მოვალთ თქუენ თანა, არას ვიურვით, არცა გუეშინის“.

და ვითარ წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევსტათი სიდედრსა თუსსა და ცოლსა და შვილთა თუსთა და მონა—მვევალთა თუსთა: „ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ, და ქრისტე მე არა უფარ-ვეყო, და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპყრობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქავე ნებითა ღმრთისადათ“.

და ვითარცა ესე ჰრქუა, იჯმნა ყოველთაგან. და მათ ყოველთა დაიწერეს ჯუარი და წარემართნეს ტფილისს იგი და სტეფანე მვედართა მათ თანა, ხოლო სახლეულნი, ნათესავნი და თუსნი მოსტიროდეს უკუანა. და ვითარ წიაღვდეს ველად და მიიწინეს წინაშე ჯუარსა მცხეთისასა, აღიპყრნა ველნი წმიდამან ევსტათი და თქუა: „უფალო ღმერთო, იესუ ქრისტე, უკუეთუ ღირს-მყო მე სიკუდილსა სახელისა შენისათუს ქრისტეანებით, ვორცთა ჩემთამ ნუ ჯერ-გიჩნს განგდებამ გარტ და შეჭმამ ძაღლთამ და მფრინველთა ცისათამ, არამედ ვორცთა ჩემთამ ბრძანე აქავე მოქცევად და დამარხვამ მცხეთას, სადაცა ნათელმიღებიეს“.

ვითარცა ესე სიტყუამ თქუა ნეტარმან ევსტათი, ჯუარსა თაყუანის-სცა და იჯმნა კრებულისა მისგან, და წარემართნეს ტფილისს. და ვითარცა მივიდეს მვედარნი იგი, წარუდგინეს

4. სამი წლის შემდეგ შემოვიდა ვეჟან ბუზმირი ქართლის მარზაპნად. და წავიდნენ სპარსელები, ნეტარი ევსტათის დამბეზღებლები, მცხეთიდან თბილისში, წარდგნენ ისინი მარზაპან ვეჟან ბუზმირის წინაშე და უთხრეს: „არიან ჩვენი სჯულის ადამიანები მცხეთაში, რომლებიც განდგომილები არიან ჩვენგან და ქრისტიანობენ.“¹⁹ ახლა მათი განსჯა თქვენს უფლებამოსილებაშია“. უბრძანა ვეჟან ბუზმირმა ორ მხედარს წასვლა და მოხმობა წმინდა ევსტათისა და სტეფანესი. როდესაც მივიდნენ მხედრები, უთხრეს ევსტათის და სტეფანეს: „გიხმობს თქვენ მარზაპანი“. მათ უთხრეს: „მოვდივართ თქვენთან ერთად, არას ვწუხვართ, არც გვეშინია“.

და როცა უნდა წასულიყვნენ ევსტათი და სტეფანე თბილისში, უთხრა ევსტათიმ თავის სიდედრს, ცოლს, თავის შვილებს და თავის მონა-მხეველებს: „გშორდებით თქვენ, რადგან მე აქ აღარ შემოვბრუნდები. ქრისტეს მე არ უარყყოფ და ისინი მე აღარ გამიშვებენ ცოცხალს. ხოლო ჩემი სიკვდილი თბილისში მოხდება საპყრობილეში და თავი მომეკვეთება მე, ჩემი სხეული კი აქვე მოვა ღვთის ნებით“.

უთხრა რა ეს, ყველას განეშორა, მათ კი, ყველამ, გადაიწერეს ჯვარი. და გაემართნენ თბილისისკენ ის და სტეფანე მხედრებთან ერთად, ხოლო ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლობლები მისტიროდნენ უკან. როდესაც მდინარის გაღმა ველზე გადავიდნენ და მიაღწიეს მცხეთის წმინდა ჯვარს, აღაპყრო თავისი ხელები წმინდა ევსტათიმ და თქვა: „უფალო ღმერთო იესო ქრისტე, თუკი შენი სახელისათვის სიკვდილის ღირსად გამხდი ქრისტიანობით, ნუ ინებებ ჩემი სხეულის გარეთ გაგდებას და ძაღლებისა და ცის ფრინველებისგან შეჭმას, არამედ ბრძანე ჩემი სხეულის აქვე მობრუნება და მცხეთაში დამარხვა, სადაც ვარ ნათელღებული“.

როდესაც ეს სიტყვები თქვა ნეტარმა ევსტათიმ, თაყვანი სცა ჯვარს, განეშორა იქაურ კრებულს და გაემართნენ თბილისისკენ. როდესაც მივიდნენ ის მხედრები, წარადგინეს

ევსტათი და სტეფანე წინაშე ვეჟან ბუზმირ მარზაპნისა და თქუეს: „ესე არიან ახალქრისტიანენი იგი მცხეთელნი“. ხოლო ვეჟან ბუზმირ ჰრქუა ევსტათის და სტეფანეს: „ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს“? და აღდგეს ასურნი მთავარნი კაცნი სტეფანსსთვს და ჰრქუეს: „ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მღაბური არს, მამამ და დედამ და ძმანი და დანი მაგისნი ქრისტიანე არიან და ეგეცა ქრისტიანე არს“. ხოლო სტეფანე მათითა მით სიტყვთა განუტევეს, ხოლო წმიდასა ევსტათის ჰრქუა: „შენ ვინამ ხარ, ანუ რომლითა რჩულითა სცხონდები?“

წმიდამან ევსტათი თქუა: „უკუეთუ მკითხავ, ისმინე გულსმოდგინედ და გითხრა შენ ყოველი. მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისამ, ვევისა არშაკეთისამ, ქალაქისა განძაკისამ. და მამამ ჩემი მოგვ იყო და ძმანი ჩემნი მოგუნი იყვნეს, და მეცა მამამ მოგუებასა მასწავებდა. ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა და ვთქუ გონებასა: ესე რჩული არა მიყუარს, აწ ჰურიათაჲცა ვისმინო და ქრისტიანეთაჲცა, და რომელი უკეთეს იყოს, იგი რჩული შევიყუარო. და დღისი მამამ ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ღამელა ქრისტიანეთა დაჰრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა და ვხედევდი მსახურებასა მას ქრისტიანეთასა, რომელსა ჰყოფდეს ღმრთისათვს. და ჰურიათა თანაცა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახურებასა ვხედევდი, ხოლო ქრისტიანეთა ლოცვასა ვმამ მათი, ვითარცა ვმამ ანგელოზისამ, მესმინ და ფრიად სულნელ არს და ჰამო ჟამობამ მათი. ხოლო ბაგინად ღამე შევიდი ჰურიათასა, ვერამ ვცნი, რასა იტყუედ. და მერმე კუალად შევედ და მომეახლა მე სამოელ არქედიაკონი და რჩულის მეცნიერი და მრქუა მე: „რამსა შემოხუედი შენ ეკლესიად ესრე გულსმოდგინედ?“ ხოლო მე ვარქუ მას: „უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე, არამედ არა მიყუარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს, ვინმცა მაცნო რჩული ჰურიათაჲცა და ქრისტიანეთაჲცა, და რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე“.

ევსტათი და სტეფანე მარზპან ვეჟან ბუზშირის წინაშე და თქვეს: „ესენი არიან ის მცხეთელი ახალქრისტიანები“. ვეჟან ბუზშირმა უთხრა ევსტათის და სტეფანეს: „ვინ ხართ ან რა სჯული გაქვთ?“ მაშინ წამოდგნენ სირიელი მთავარკაცები²⁰ სტეფანეს გამო და უთხრეს: „ეს კაცი ჩვენ ვიცით, ჩვენი თანამემამულეა. მაგისი მამა, დედა, ძმები და დები ქრისტიანები არიან და ეგეც ქრისტიანია“. და მათი სიტყვებით სტეფანე გაუშვეს, ხოლო წმინდა ევსტათის [მარზპანმა] უთხრა: „შენ საიდან ხარ, ან კიდევ რომელი სჯულით ცხოვრობ?“

წმინდა ევსტათიმ თქვა: „თუ მეკითხები, ისმინე გულმოდგინედ და გეტყვი შენ ყველაფერს. მე ვიყავი სპარსეთის ქვეყნიდან, არშაკეთის ხევიდან, ქალაქ განძაკიდან. ჩემი მამა მოგვი იყო და ჩემი ძმებიც მოგვები იყვნენ. მამა მეც მოგვობას მასწავლიდა, მაგრამ მე მამისეული სჯული არ მიყვარდა და ვთქვი გონებაში: „ეს სჯული არ მიყვარს, ახლა ებრაელებისასაც მოვისმენ და ქრისტიანებისასაც და რომელიც უკეთესი იქნება, იმ სჯულს შევიყვარებ“. დღისით მამაჩემი მოგვობას მასწავლიდა, ღამით კი, როდესაც ქრისტიანები დარეკავდნენ, მოვდიოდი ეკლესიაში და ვისმენდი მათ ჟამობას²¹ და ვუყურებდი ქრისტიანთა მსახურებას, რასაც ადასრულებდნენ ღვთისთვის. ებრაელებთანაც შევდიოდი ბაგინში²² და მათ მსახურებასაც ვუცქერდი, მაგრამ ქრისტიანების ღოცვისას მათი ხმა მესმოდა როგორც ანგელოზის ხმა (მეტად სურნელოვანია და საამო მათი ჟამობა), ბაგინში კი ღამე შევდიოდი ებრაელებთან და ვერ ვიგებდი, რას ამბობდნენ; შემდეგ კი, როდესაც კვლავ შევედი [ეკლესიაში], მომეგება მე სამოელ მთავარდიაკონი, სჯულის მცოდნე, და მითხრა მე: „რად შემოხვედი შენ ეკლესიაში ასე გულმოდგინედ?“ მე კი ვუთხარი მას: „ბატონო, შენც მიცნობ, ვინ ვარ მე, მაგრამ მე არ მიყვარს ჩემი ეს მამისეული სჯული, მინდა ვინმემ გამაცნოს სჯული ებრაელებისა და ქრისტიანებისა, და რომელი სჯულიც უფრო წმინდა იქნება, ის რომ შევიყვარო“.

„მაშინ სამოელ არქედიაკონმან მრქუა მე: „უკუეთუ გინებს ჭეშმარიტად ცნობამ, ორივე რჩული მე გითხრა შენ კეთილად. ხოლო გამორჩევამ არა შენი არს, არამედ ვითარცა უფალმან გიბრძანოს. ხოლო მე ფრიად ვევედრე და ვარქუ მას: „რომლითა ღმრთისა სათხო ვიყო, იგი მინებს რჩული პერობად და იგიცა მიბრძანე“. ხოლო სამოელ არქედიაკონმან იწყო თხრობად და მრქუა მე: „გულსმოდგინედ ისმინე, ძმაო! წინამთ სპარსთა რჩული იყო, ვითარცა შენ თვთ იცი, ხოლო ღმერთსა სძაგდა რჩული იგი სპარსთამ და არა სთნდა. და მერმე ჰურიანი გამოირჩინა ღმერთმან და სათხო იყვნა და მისცა მათ რჩული და მცნებამ დამარხვად. მაშინ-ლა ქრისტეანენისათხო იყვნა ღმერთმან უფრომს ჰურიათასა“. და მერმე ვევედრე სამოელს არქედიაკონსადა ვარქუ: „უფალო, ნუ გეწყინებინ და კეთილად მაცნობე. და მერმე ვჰკითხე: უფალო, ჰურიანი ვიეთნი იყვნეს, ვინამ მოვიდეს და შეიყუარნა იგინი ღმერთმან? მაშინ მრქუა მე სამოელ არქედიაკონმან: თხრობამ ეგე ჰურიათამ დიდ არს, ძმაო, ხოლო თუ განჰმარტნე სასმენელნი შენნი და გულსმოდგინედ ისმენდე, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა და გაცნობო შენ.

V. „კაცი იყო ერთი უბიწომ და ღმრთისმოყუარე სოფელსა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა და სახელი ერქუა მას აბრაჰამ. და ერუენა მას ღმერთი ჩუენებასა ღამისასა და ჰრქუა აბრაჰამს: გამოვედ შენ მაგიერ ქუეყანით და წარგიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო შენ და აღგაორძინო შენ დიდად ფრიად და გყო შენ მამად ნათესავთა მრავალთა და ერთა ურიცხუთა. ხოლო აბრაჰამს ჰრწმენა სიტყუამ იგი ღმრთისამ და თქუა აბრაჰამ: იყავნ, უფალო, ჩემ ზედა სიტყუამ ეგე შენი! და გამოვიდა აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ქალდეველთამსა და მოვიდა ქუეყანად შუევამდინარედ, ქალაქად ქანანდ, მახლობელად ევფრატსა. მოვიდა იგი წინამძღურებითა ანგელოზისამათა და დაეშენა იგი ქანანს შინა. და მერმე ცვალა იგი მუნიით და მოიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად და დაეშენა იგი ქებრონს შინა.

„მაშინ სამოელ მთავარდიაკონმა მითხრა მე „თუ გინდა ჭეშმარიტად შეცნობა მათი, ორსავე სჯულს მე გაუწყებ შენ სათანადოდ, ხოლო გამორჩევა არათუ შენია, არამედ როგორც უფალი გიბრძანებს“, მე კი მეტად ვევედრე და ვუთხარი მას: „რითაც ღვთისთვის სათნო გავხდები, ის სჯული მინდა მქონდეს და შენც ის მამცნე“. დაიწყო სამოელ მთავარდიაკონმა თხრობა და მითხრა მე: „გულმოდგინედ ისმინე ძმაო! ადრე სპარსელების სჯული იყო, როგორც შენ თვით იცი, მაგრამ ღმერთს სძაგდა სპარსელთა სჯული და არ ესათნოებოდა. შემდეგ ებრაელები გამოირჩია ღმერთმა, ისათნოვა ისინი და მისცა მათ სჯული და მცნება დასაცავად. შემდეგლა ქრისტიანები ისათნოვა ღმერთმა ებრაელებზე მეტად“. კვლავ ვევედრე სამოელ მთავარდიაკონს და ვუთხარი: „უფალო, ნუ დაგეზარება და კარგად მაცნობე“, შემდეგ კი ვკითხე: „ბატონო, ებრაელები რომლები იყვნენ, საიდან მოვიდნენ და [რად] შეიყვარა ისინი ღმერთმა?“ მაშინ მითხრა სამოელ მთავარდიაკონმა: „ებრაელების ამბავი გრძელია, ძმაო, მაგრამ თუ შენს სმენას გახსნი და გულმოდგინედ მოისმენ, მეც დაუზარებლად გეტყვი და გაცნობებ შენ ყველაფერს“.

5. ერთი უბიწო და ღვთისმოყვარე კაცი იყო სპარსელების ქვეყანაში და ბაბილონელთა ქალაქში, რომელსაც ერქვა სახელად აბრაჰამი. და ეჩვენა მას ღმერთი ღამის ჩვენებაში და უთხრა აბრაჰამს: „გამოდი შენ მაგ ქვეყნიდან, წაგიყვან შენ სხვა ქვეყანაში, გაგამრავლებ შენ, მეტად დიდად აგაღორძინებ შენ, და გაგხდი შენ მრავალი ტომისა და ურიცხვი ხალხის მამად“. აბრაჰამმა ირწმუნა ღვთის სიტყვა. და თქვა აბრაჰამმა: „იყოს, უფალო, ჩემზე ეგ შენი სიტყვა!“ და გამოვიდა აბრაჰამი ქალდეელთა ქვეყნიდან და მოვიდა შუამდინარეთის ქვეყანაში, ქალაქ ქანაანში, ეფრატის ახლოს. ანგელოზის წინამძღვრომით მოვიდა იგი და დასახლდა ქანაანში, შემდეგ კი [ანგელოზმა] გადაანაცვლა იქიდან და მოიყვანა იგი ქანაანის (?) ქვეყანაში²³. და დასახლდა იგი ქებრონში²⁴.

და ესუა აბრაჰამს ისაკი და ისაკს იაკობი. და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი. და უბრძანა ღმერთმან აბრაჰამს და ჰრქუა: წინადასცუთე ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა, და იყავნ იგი თქუენდა რჩულად საუკუნოდ.

„და აბრაჰამ ყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან. და აღორძნდეს და განმრავლდეს ნათესავნი აბრაჰამისნი დიდად ფრიად. ესე არიან ჰურიანი. და უყუარდეს ღმერთსა ჰურიანი დიდად ფრიად, ვითარცა უყუარნ მამასა საყუარელი შვილი. და უწოდა ჰურიათა სახელი ისრაჴლ. ხ“ ისრაჴლი გამოითარგმანების: ერი ღმრთისაჲ. და განდიდნა და განვრცნა ერი იგი ღმრთისაჲ ისრაჴლი. და გარდამოვდა ღმერთი ზეცით ქუეყანად და მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინაჲსასა, და დაწერნა ღმერთმან კელითა თჳსითა ფიცართა ქვისათა რჩული და მცნებამ ესრეთ:

„პირველი მცნებამ ესრეთ: შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოველითა გულითა თქუენითა და ყოველითა სულითა თქუენითა და ყოველითა გონებითა თქუენითა. და მერმე ესე: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ისიძავ, ნუ გული-გითქუამს ცოლსა მოყუისისა შენისასა, ნუ ცილსა ჰფუცავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუასა იტყვ, თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თჳსი, შაბათნი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაული და შესაწირავნი და უქმნელებანი აღასრულნეთ. ესე რჩული და მცნებამ დაწერა ღმერთმან, და მოსცა მოსეს, მონასა თჳსსა. და მოსე მოიხუნა ფიცარნი იგი და აღმოუკითხნა ყოველსა ისრაჴლსა. და განიხარა ყოველმან ისრაჴლმან და თქუა: ყოველი, რამცა გვბრძანა უფალმან, ვცოთ და აღვასრულოთ, გარნა უფალი იყავნ ჩუენ თანა. და ამაღლდა უფალი ზეცად. და ვითარცა ესე რჩული ისმინეს ჰურიათა, შესწირვიდეს შესაწირავთა და საკუბეველსა და მსხუერპლსა და შაბათთა იმარხვიდეს და ღმერთი იყო მათ თანა. და მას ჟამსა უცხოთესლნი შეკრბეს და ზედამოუვდეს ისრაჴლსა. ხოლო ღმერთმან კელითა ერთისა კაცისაჲთა წარდევნნა იგინი. რომელიმე მოკლეს და რომელიმე

ჰყავდა აბრაჰამს ისაკი, ისაკს იაკობი, იაკობს კი ჰყავდა თორმეტი ძე. და უბრძანა ღმერთმა აბრაჰამს და უთხრა: „წინადასცვითე ისაკს, იაკობს და იაკობის ყველა ძეს და ეს იყოს თქვენთვის საუკუნო სჯულად“.

„აბრაჰამმაც გააკეთა ისე, როგორც უბრძანა მას ღმერთმა. გაიზარდნენ და გამრავლდნენ აბრაჰამის ნაშვილები მეტად დიდად. ესენი არიან ებრაელები. უყვარდა ღმერთს ებრაელები მეტად დიდად, როგორც უყვარს მამას საყვარელი შვილი, და უწოდა მან ებრაელებს სახელი „ისრაელ“ (ხოლო „ისრაელი“ განიმარტება როგორც „ღვთის ხალხი“). განდიდდა და განივრცო ღვთის ხალხი ისრაელი; და გადმოვიდა ღმერთი ზეციდან მიწაზე და მოვიდა სინას მთის თხემზე. დაწერა ღმერთმა თავისი ხელით ქვის ფიცრებზე სჯული და მცნება ასე:

პირველი მცნება ასე: „შეიყვარეთ უფალი ღმერთი თქვენი მთელი თქვენი გულით, მთელი თქვენი სულით და მთელი თქვენი გონებით“. და შემდეგ ეს: „ნუ კლაჲ ადამიანს, ნუ იპარავ, ნუ ისიძვებ, ნუ გწადია შენი მეგობრის ცოლი, ცრუდ ნუ იფიცებ, ნუ სწამებ ცილს, ორ სიტყვას ნუ იტყვი, პატივი მიაგე შენს მამას და შენს დედას, შეიყვარე შენი მოყვასი როგორც საკუთარი თავი, ჩემი შაბათები დაიცავით, დღესასწაულები, შესაწირავები, უქმობები აღასრულეთ“. ეს სჯული და მცნება დაწერა ღმერთმა და მისცა მოსეს, თავის მონას. მოსემ მიიღო ეს ფიცები და ამოუკითხა მთელ ისრაელს. და გაიხარა მთელმა ისრაელმა და თქვა: „ყველაფერი, რაც გვებრძანა უფალმა, გავაკეთოთ და აღვასრულოთ, მხოლოდ უფალი იყოს ჩვენთან“. და ამადღდა უფალი ზეცად. როდესაც ეს სჯული შეისმინეს ებრაელებმა, სწირავდნენ ისინი შესაწირავებს, საკმეველსა და მსხვერპლს, შაბათებს იცავდნენ და ღმერთი იყო მათთან. ამ დროს უცხოტომელები შეიკრიბნენ და თავს დაესხნენ ისრაელს, მაგრამ ღმერთმა ერთი ადამიანის ხელით განდევნა ისინი; ზოგი მოკლეს, ზოგი ტყვედ

ტყუედ უკმოიყვანეს და რომელიმე მეოტად წარიქციეს; და ესრეთ მტერთაგან უშიშ-იქმნნეს, რამეთუ ღმერთი იყო მათ თანა.

„და მერმე რავდენთამე ჟამთა მეფე ითხოეს ყოველმან ისრაელმან ღმრთისაგან, რადთა ჰბრძოდის იგი მტერთა მათთა. და უბრძანა მათ ღმერთმან მეფე, და განაგო ღმერთმან წესი შარავანდედობისაჲ. და შემდგომად რავდენთამე დღეთა მოიკლა მეფე იგი ღუაწლსა შინა, რამეთუ აღელო თავი თვისი და ესვიდა იგი ძალსა თვისსა და არა ღმერთსა მისსა.

„შემდგომად დავით მეფობდა. ხოლო დავით იყოვე საყუარელი ღმრთისაჲ და ღმერთი დავითს უყუარდა და დავით აღასრულნა საკუერთხნი და შესაწირავნი და მსხუერპლნი; და დღესასწაულნი და შაბათნი კეთილად აღასრულნა. შემდგომად მისა ძე მისი სოლომონ მეფობდა და განდგა იგი ღმრთისაგან, და განდგა ერი იგი და განდრკა ღმრთისაგან; და ჰმსახურებდეს კერპთა ყრუთა, ველითქმნულთა, და ქვათა უსულოთა, ხეთა და მალალთა სერტყთა და მწუერვალთა ხეთასა, და ღმერთი უვარყევს. და წინაწარმეტყუელნი ღაღადებდეს და ეტყოდეს: არა ჯერ-არს ღმრთისა ცხოველისა დატევებაჲ და ქვათა, გინა სხუათა რათმე მსახურებაჲ. აწ ესერა მოავლინოს ღმერთმან თქუენ ზედა სიკუდილი და სიყმილი და მახული და ტყუეობაჲ და ეგრეთ აღგვოცნეს თქუენ. და მათ არა უნდა სმენად ვმაჲ იგი წინაწარმეტყუელთაჲ მათ, რამეთუ განბორგებულ იყო ერი იგი ისრაელისაჲ. და ბრძანეს მოწყუედაჲ მათ წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნიმე მახულითა, რომელნიმე ცეცხლითა, რომელნიმე ხერხითა განხერხნეს, რომელნიმე მვეცთა მისცნეს და რომელიმე მღვმესა შთააგდეს, რომელნიმე ქვითა განტუნნეს.

VI. „ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცთმოყუარე, არა უნდა წარწყმედაჲ ისრაელისაჲ და უნდა მოქცევაჲ მათი. მოავლინა ღმერთმან ძე თვისი ქრისტე სოფლად. და შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ვორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისგან, და საშომასაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთეობაჲ ვორციითა დაიფარა. უკუეთუმცა ღმრთეობაჲ ვორციითა არა

წამოიყვანეს, ზოგი კი აიძულეს გაქცეულიყო; და ასე გახდნენ მტრებისგან უშიშარნი, რადგან ღმერთი იყო მათთან.

დროთა განმავლობაში მეფე ითხოვა მთელმა ისრაელმა ღვთისგან, რომ შებრძოლებოდა იგი მათ მტრებს. და დაუყენა მათ ღმერთმა მეფე და განაგო ღმერთმა შარავანდელობის წესი. დროთა განმავლობაში მოკლეს მეფე ომში²⁵, რადგან აელირა მას თავი და დანდობილი იყო თავის თავზე და არა თავის ღმერთზე.

„შემდეგ დავითი მეფობდა; ხოლო დავითიც ღვთისთვის საყვარელი იყო და დავითსაც ღმერთი უყვარდა. აღასრულა დავითმა საკურთხები, შესაწირავები, მსხვერპლშეწირვები; და დღესასწაულები და შაბათები კარგად აღასრულა. მის შემდეგ მეფობდა მისი ძე სოლომონი, რომელიც განდგა ღვთისგან. განდგა და ღვთისგან გნდრიკა ხალხი. მსახურებდნენ ისინი ყრუ, ხელით გაკეთებულ კერპებს, უსულო ქვებს, ხეებს, მაღალ სერტყებს²⁶ და ხეების კენწეროებს. ღმერთი უარყვეს მათ. წინასწარმეტყველები დადადებდნენ, და ამბობდნენ: „არ შეიძლება ცხოველი ღვთის დატოვება და ქვების ანდა სხვა რამეთა მსახურება. აჰა უკვე მოავლენს ღმერთი თქვენზე სიკვდილს, შიმშილს, მახვილს, ტყვეობას და ასე მოგსპობთ თქვენ“. იმათ არ უნდოდათ წინასწარმეტყველთა ხმის სმენა, რადგან ისრაელის ხალხი გაშლევებული იყო. ბრძანეს მათ წინასწარმეტყველთა დახოცვა, ზოგისა მახვილით, ზოგისა ცეცხლით; ზოგი ხერხით გახერხეს, ზოგი მხეცვებს მისცეს, ზოგი მღვიმეში ჩააგდეს, ზოგი ქვით ჩაქოლეს.

6. მაგრამ ღმერთი ტკბილია და კაცთმოყვარე, არ უნდოდა ისრაელის დაღუპვა და უნდოდა მისი მოქცევა. მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქრისტე ქვეყნად, რომელიც შევიდა წმინდა ქალწულის მუცელში, ხორცი შეისხა და განკაცდა წმინდა მარიამისგან, წმინდა საშოდან გამოვიდა და ღმერთება ხორციით დაიფარა. ღმერთება რომ ხორციით არ დაეფარა,

დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზღ ქმნული ღმრთისაჲ არს და თუალნი ვერვინ შეუდგნის და სიმრგულღ მზისაჲ ვერვინ განიცადის. ღმრთეებასამცა კაცი ვერ მიეახლა. ამისთვის ვორცნი შეისხნა, რაჲთამცა ისრაჲლი მო-ვითარ-აქცია ღმრთისა ცხოველისა. და განკაცებასა მისსა ნათელ-ილო იორ-დანესა მდინარესა ველითა იოვანეღსითა. და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჰა ცანი განეხუნეს და სული წმიდაჲ, ვითარცა ტრედი გარდამოვდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა, და ვჰამ იყო ზეცით გარდამო და თქუა: ესე არს ძღ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ და სცხონდეთ.

„და ვითარ შევიდა იერუსალღმდ, იწყო სასწაულთა საქმედ და ნიშები და კურნებანი. ოცდაათურამეტისა წლისა სნეული იდვა ცხედარსა ზედა, იხილა და სიტყვთ უბრძანა: აღდეგ და აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე! და მუნქუესვე აღდგა და ვიდოდა ცოცხალი და ადიდებდა ღმერთსა.

„მერმე შობითგან ბრმაჲ პოვა და თივაჲ შექმნა ნერწყვთა და თუალთა მისთა დაჰგოზა და უბრძანა მას მობანაჲ წყლითა, და აღეხუნეს თუალნი ბრმასა მას. და მკუდარნი აღადგინნა და მკელობელნი ავლინნა და კეთროანნი განწმიდნა, და მრავალნი კურნებანი ყვნა ქრისტემან მათ შორის, რაჲთამცა პრწმენა ჰურიათა და მოიქცეს ღმრთისა ცხოველისა და უნდა, რაჲთამცა არა განითხინეს ღმრთისაგან. „ხოლო ჰურიანი იგი უფროჲს ხოლო აღბორგდეს და შური დიდი აღიღეს ქრისტღსთვის და უნდა მოკლვამ მისი. ხოლო ქრისტემან მიჰრიდა მათ გარე სოფლებსა და დაბნებებსა; იქცეოდა მუნ, და რომელთა პრწმენა ქრისტღსი, უკუანა შეუდგეს მას.

და განვიდოდა დაბასა ერთსა, და გამოაქუნდა მკუდარი იამავრი, ძღ ქურივისაჲ. და ვითარცა იხილა იგი, უბრძანა და დადგეს ცხედარი იგი. და უპყრა ველი ყრმასა მას და მისცა დედასა თუსსა ცოცხალი.

„მერმე განვიდოდა დაბასა ერთსა. შეუდგა მას ერი მრავალი და სიმრავლითა მით ერისაჲთა წინაუკუნ ვერ შეუძლეს მიღებად

ადამიანი ვერც მიეახლებოდა ღმერთს, რადგან მზე ღვთის ქმნილებაა და ვერავინ უსწორებს თვალს და სფეროს მზისას ვერავინ უყურებს. ღმრთეებას ადამიანი ვერ მიეახლებოდა. ამიტომ, ხორცი შეისხა მან, რომ ისრაელი როგორმე მოექცია ცხოველი ღვთისკენ. თავისი განკაცებისას ნათელილო მან მდინარე იორდანეში იოანეს ხელით და როდესაც ამოვიდა წყლიდან აჰა ცანი გაიხსნა და სულიწმინდა, როგორც სპეტაკი მტრედი, გადმოვიდა და დაივანა მასზე. ხმა იყო ზეციდან, რომელმაც თქვა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე ვისათნოვე. მაგისი ისმინეთ და ცხონდებით“²⁷.

„და როდესაც შევიდა იერუსალიმში, დაიწყო მან სასწაულთა მოხდენა, ნიშები და კურნებანი [აღასრულა]. ოცდათვრამეტი წლის სნეული იდო ლოგინზე, მან კი ნახა და სიტყვით უბრძანა: „ადექი, აიღე შენი ლოგინი და იარე!“ მყისიერად აღგა ისიც, დადიოდა ჯანმრთელი და აღიდებდა ღმერთს.

შემდეგ დაბადებიდან ბრმა ნახა, თიხა შექმნა ნერწყვით, მის თვალებს დააგლისა²⁸ და უბრძანა მას წყლით მობანა. აეხილა თვალები²⁹ ბრმას. მკვდრები აღადგინა მან, კოჭლებს სიარული დააწყებინა, კეთროვნები განწმინდა. მრავალი კურნება მოახდინა ქრისტემ მათ შორის, რომ ერწმუნათ ებრაელებს და მოქცეულიყვნენ ცხოველი ღვთისკენ. უნდოდა მას, რომ არ გაგდებულიყვნენ ღვთისგან. „მაგრამ ებრაელები კიდევ უფრო გაშლევდნენ, დიდი ღვარძლით განიმსჭვალნენ ქრისტესადმი და უნდოდათ მისი მოკვლა. მაგრამ ქრისტე განერიდა მათ გარე სოფლებსა და დაბებში, და იქ მიმოდოდა. ისინი, რომლებმაც ირწმუნეს ქრისტე, უკან გაჰყვნენ მას.

და მიდიოდა იგი ერთ დაბაში, სადაც გამოჰქონდათ დედისერთა³⁰ მკვდარი, ქვრივის ძე. როდესაც დაინახა მან იგი, ბრძანა და დადგეს საცხედრე, მან კი მოჰკიდა ყრმას ხელი და მისცა იგი თავის დედას ჯანმრთელი.

„შემდეგ მიდიოდა ერთ დაბაში. გაჰყვა მას მრავალი ხალხი და რადგან ხალხის სიმრავლის გამო ვერ მოახერხეს

განრღუეულისა, და სართული სახლისაჲ აღსდარცუეს და მიერ ცხედრითა შთაუტევეს. და აღადგინა იგი და თჳსითა ფერჯითა წარვიდა სახიდ თჳსა. და ერი მრავალი შეუდგა მას და აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო ერისა მისგანნი ათორმეტნი გამოირჩინა კაცნი და უწოდა მათ მოწაფე, და რასაცა უბრძანებდა მათ, მასცა იქმოდეს.

„და შევიდა დაბასა ერთსა. იყო მუნ ქორწილი. და შევიდა იესუ საქორწინესა მას, და ღჳნოჲ არა იყო მუნ, რამეთუ მოლელულ იყო, და ტაკუკნი ცალიერნი დგეს მუნ. მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ წყალი მოღებად, და ტაკუკნი აღავსნეს წყლითა, და აკურთხა წყალი იგი ქრისტემან. და იქმნა ღჳნო უჭამოვნეს პირველისა მის ღჳნისა, და მრავალთა უკვრდა, და ჰრწმენა მისი და შეუდგეს მას.

„და მერმე დედაკაცი ათორმეტ წელ წიდოვნებასა შინა იყო და მოვიდა იდუმალ ზურგიით-კერძო იესუმსა და უპყრა ფესუსა სამოსლისა მისისასა, და განწმდნა იგი.

„და მერმე მოვიდოდა ქრისტე აღდილსა ერთსა, და იყო მუნ ველი შუენიერი, და მოხედა ერსა მას, რომელი იგი უკუანა შეუდგა მას, და ჰრქუა მოწაფეთა მათ: ერი ესე, ესოდენი დღე არს, ვინაჲთგან უზმა არიან, და მეწყალის; წარვედით ქალაქად და იყიდეთ პური და ეცით ერსა მას. ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფეთა: თქუენგანსა არავის გაქუს პური აქა? და ჰრქუა ერთმან მოწაფეთაგანმან: მე მაქუს ხუთი პური და ორი თევზი. ჰრქუა ქრისტემან: მომართუთ იგი აქა. და ვითარცა მოართუნეს ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი, უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხმაჲ ქუეყანასა ზედა და აღიპყრნა ზეცად ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი, აკურთხნა და განტეხნა და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას. და ერმან მან ჭამა და განძღა, და ათორმეტი გოდორი სავსე აღიღეს ნემსი. ხოლო ერი იგი, რავდენთა ჭამეს, იყვნეს ვითარ ხუთათას, გარნა ყრმებისა და დედებისა. მაშინ უბრძანა ქრისტემან ერსა მას ვმელით ქუეყანით მოსლვაჲ. ხოლო ქრისტე და მოწა-

დამბლადაცემულის პირდაპირ მიყვანა მასთან, სახურავი გადაადრეს [სახლს] და იქიდან ლოგინით ჩაუშევს იგი, მან კი აღადგინა, და ისიც თავისი ფეხით წავიდა თავის სახლში. დიდძალი ხალხი გაჰყვა უფალს და აღიდებდნენ ღმერთს, მან კი ამ ხალხისგან გამოარჩია თორმეტი ადამიანი, უწოდა მათ მოწაფე და რასაც უბრძანებდა, იმას აკეთებდნენ.

„შევიდა იგი ერთ დაბაში. იქ ქორწილი იყო. და შევიდა იესო სეფაში.³¹ ღვინო არ იყო იქ, რადგან გამოლეულიყო³² და ცარიელი სარწყულები³³ იდგა იქ. მაშინ უბრძანა იესომ მოწაფეებს მოეტანათ წყალი, და აავსეს სარწყულები წყლით. აკურთხა ქრისტემ ეს წყალი და გახდა იგი ღვინო, პირველ ღვინოზე უფრო საამური. ბევრს უკვირდა. ირწმუნეს მისი და გაჰყვნენ მას.

„და შემდეგ, ქალი, რომელსაც თორმეტი წელი ჰქონდა სისხლდენა,³⁴ მოვიდა შეუმჩნეველად³⁵ იესოს ზურგიდან, ხელი მოჰკიდა მისი სამოსლის კიდეს და განიწმინდა იგი.

„შემდეგ კი, მოდიოდა ქრისტე ერთ ადგილას და იყო იქ მშვენიერი ველი.³⁶ მან მოხედა ხალხს, რომელიც უკან გაჰყვა მას, და უთხრა მოწაფეებს: „ეს ხალხი, ამდენი დღეა, რაც უჭმელია, და მებრალეა. წადით ქალაქში, იყიდეთ პური და მიეცით ამ ხალხს“.³⁷ ამასთან, ქრისტემ უთხრა მოწაფეებს: „არავის გაქვთ პური აქ?“ უთხრა ერთმა მოწაფეთაგანმა: „მე მაქვს ხუთი პური და ორი თევზი“. უთხრა ქრისტემ: „მომიტანეთ ის აქ“. როდესაც მოუტანეს ხუთი პური და ორი თევზი, ბრძანა ქრისტემ ხალხის დასხმა მიწაზე,³⁸ აამაღლა ზეცისკენ ის ხუთი პური და ორი თევზი, აკურთხა, დატეხა და აწვდიდა თავის მოწაფეებს, მოწაფეები კი აწვდიდნენ ხალხს.³⁹ ხალხმა ჭამა და დანაყრდა. თორმეტი სავსე გოდორი აიღეს ნარჩენი, ხოლო ის ხალხი, რამდენმაც ჭამა, იყო დაახლოებით ხუთიათასი, გარდა ბავშვებისა და დედებისა⁴⁰. „მაშინ უბრძანა ქრისტემ იმ ხალხს ხმელეთის მიწით მოსვლა, ხოლო ქრისტე და მისი მოწაფეები გადიოდნენ ზღვას როგორც

ფენი მისნი განვიდოდეს ზღუასა მას, ვითარცა ვმელსა, და ფერ-
ვნი მათნი არა დაილტვენეს. და ვითარცა განვდეს ვმელად, და
მოემთხვა კაცი ერთი, რომლისა თანა იყო ლეგეონი ეშმაკი. ღალ-
ატ-ყო და თქუა: ქრისტე, შემეწიე მე, რამეთუ ბოროტად ვიგუე-
მები, ხოლო ქრისტემან შეპრისხნა ლეგეონსა მას ეშმაკსა და
განვიდა მისგან და აღიდებდა ღმერთსა. ხოლო ეშმაკი იგი ღა-
ლადებდა და თქუა: ქრისტე, გიცი შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე
ღმრთისაჲ, ჩემდა ხოლო მოხუედ წარწყმედად. ხოლო ქრისტემან
უბრძანა ქუეყანასა და განელო და დანთქა ეშმაკი იგი და შთავ-
და ჯოჯოხეთად ქუესკნელად.

„და მერმე მოვიდა დაბასა მას, რომელსა სახელი ერქუა
ბეთანია, სადა ლაზარე მომკუდარ იყო ოთხით დღით წინა მისა,
და იღვა იგი სამარესა შინა. და მივიდა ქრისტე კარსა მის
სამარისასა, ვმა-ყო და თქუა: ლაზარე, გამოგუალე! და ერთითა
მით ვმითა ქრისტესითა იგი სამარისაგან გამოვიდა მხიარული.
და უკრდა ერსა მას და უფრომს განმრავლდა ერი იგი სარწმუ-
ნოებითა დიდითა.

„ამისა შემდგომად აღვიდა ქრისტე იერუსალემდ და შევიდა
ტაძარსა ღმრთისასა და იხილა მუნ შინა სავაჭროჲ დაგებული
და ჰყიდდეს. და აღილო ქრისტემან შოლტი და გამოასხა კაცები
იგი და გამოუბნია სავაჭროჲ იგი და დაამჯუა ტაბლები იგი და
თქუა: ესრე წერილ არს: სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოც-
ელ ეწოდოს, ხოლო თქუენ ვითარცა ქუაბი ავაზაკთაჲ გიყოფიეს.
და მერმე თქუა: დავარღვო ტაძარი ესე და მესამესა დღესა
აღვაშენო ეგე. და ვითარცა ესმა ესე ჰურიათა მათ, განრისხნეს
ფრიად და თქუეს: ჩუენ ვიცით მამაჲ მისი იოსები და დედაჲ მისი
მარიამ, და ძმანიცა უსხენ, ხოლო თავსა თუსსა ძედ ღმრთისად
გამოაჩინებს და ტაძარსა ღმრთისასა მამულად იჩემებს. და მერ-
მე თქუეს: სოლომონ ორმეოცსა წელსა ალაშენა, და იგი იტყუს
დარღუევად და მესამესა დღესა აღშენებად. ამის სიტყუსათუს
გული განიწყეს ჰურიათა მათ და შური გულსა დაიდვეს და
იზრახეს შეპყრობაჲ მისი და მოკლვამ.

ხმელეთს და მათი ფეხები არ სველდებოდა;⁴¹ და როდესაც გავიდნენ ხმელეთზე, შეხვდა მათ ერთი კაცი, რომელთანაც იყო ლეგეონი ეშმაკი. დადადყო მან და თქვა: „ქრისტე, შემიწიე მე, რადგან ბოროტად ვიგვემები“. ქრისტემ შერისხა ლეგეონი ეშმაკი და როდესაც გავიდა [იმ კაცისგან], [ეს კაცი] ადიდებდა ღმერთს, ეშმაკი კი დადადებდა და ამბობდა: „ქრისტე, გიცნობ შენ, ვინც ხარ, წმინდა ღმერთისა. მხოლოდ ჩემს დასადუჟად მოხვედი.“ ხოლო ქრისტემ უბრძანა მიწას, გაიღო იგი და დანთქა ეშმაკი, რომელიც ჩავარდა ჯოჯოხეთში, ქვესკნელში.⁴²

„და შემდეგ მოვიდა იგი იმ დაბაში, რომელსაც სახელად ერქვა ბეთანია, სადაც მის [მისვლამდე] ოთხი დღით ადრე მომკვდარიყო ლაზარე და იღო იგი სამარეში.⁴³ მივიდა ქრისტე სამარის კართან, დაიძახა და თქვა: „ლაზარე, გამოდი“,⁴⁴ და ქრისტეს ერთი დაძახებით სამარიდან გამოვიდა იგი მხიარული, ხალხს კი უკვირდა და ეს ხალხი უფრო გამრავლდა დიდი სარწმუნოებით.

ამის შემდეგ⁴⁵ ავიდა ქრისტე იერუსალიმში,⁴⁶ შევიდა ღვთის ტაძარში⁴⁷ და ნახა იქ შიგნით გაშლილი დახლი, სადაც ყიდდნენ.⁴⁸ აიღო ქრისტემ შოლტი,⁴⁹ გამოყარა ის ადამიანები, მიმოუბნია დახლი, გადააბრუნა მაგიდები⁵⁰ და თქვა: „ასეა დაწერილი: „ჩემი მამის სახლს ეწოდება სალოცავი სახლი“, თქვენ კი გაგიხდიათ იგი როგორც ავაზაკთა გამოქვაბული“. ⁵¹ შემდეგ თქვა: „დავშლი ამ ტაძარს და მესამე დღეს ავაშენებ მაგას“. ⁵² როდესაც ებრაელებმა გაიგონეს ეს, მეტად განრისხდნენ და თქვეს: „ჩვენ ვიცით მისი მამა იოსები და მისი დედა მარიამი, და ძმებიც ჰყავს მას, თავის თავს კი ღვთის ძედ წარმოაჩინეს და ღვთის ტაძარს მამისეულად იჩემებს“. ⁵³ და შემდეგ თქვეს: „სოლომონმა ორმოც წელიწადში ააშენა იგი, ეს კი ამბობს, რომ დაშლის მას და მესამე დღეს ააშენებს“. ⁵⁴ ამ სიტყვის გამო გაწყურნენ⁵⁵ ებრაელები, შური ჩაიდეს გულში და განიზრახეს მისი შეპყრობა და მოკვლა.

„და შეიპყრეს ქრისტე და მოიყვანეს წინაშე მღდელთმოდღუ-ართა მათ და მოხუცებულთა. და ქრისტეს პრქუეს მღდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა: შენ ვითარ თავსა შენსა ძედ ღმრთისად გამოაჩინებ, ძე ღმრთისად ხარა შენ? ხოლო ქრისტემან პრქუა მათ: ეგე თქუენ სთქუთ.

„და მერმე პრქუეს ქრისტესა: სოლომონმან ორმეოცსა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: დავარღუო და სამსა დღესა აღაშენო ეგეო! მაშინ ქრისტემან პრქუა: მე ველ-მეწიფების დარ-ღუევად და მესამესა დღესა აღშენებად. მაშინ-ლა განრისხნეს ჰურიანი იგი და აღტენეს და აღაშფოთეს ერი იგი ჰურიათა და თქუეს: მოსაკლავად შეჰგავს კაცი ესე. და მოუვდეს ქრისტესა ზედა და იწყეს ცემად და კიცხევად მისა, და რომელიმე სცემდა ვურთითა თავსა მისსა და რომელიმე ლერწმითა სცემდა თავსა მისსა წმიდასა და რომელიმე სცემდა ყურიმალსა და რომელიმე ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა ნათელსა. და აღჰმართეს ძელი და ჯუარს-აცუეს ქრისტე და ძმარი და ნავლეი შეზავებული ასუეს ჯუარსა ზედა.

„მაშინ თუალნი აღიხილნა ზეცად მამისა მიმართ და თქუა: მამაო ჩემო, ყოველივე აღვასრულე და ისრაელმან არა ისმინა ჩემი და ესევეითარი ტანჯვამ მოაწიეს ჩემ ზედა. და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული. და მწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით. ხოლო კაცი ერთი იყო ველმწიფე და მოწაფე ყოფილ იყო ქრისტესსა. მანადილო გუამი ქრისტესსი და დადვა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი მიაგორვა კარსა ზედა სამარისასა. და მესამესა დღესა მსთუად ცისკარსა ოდენ ანგელოზი გარდამოვდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი მის საფლავისაგან. და ქრისტე აღდგა და გამოვიდა მიერ სამარით და ეჩუენა ორთა მოწაფეთა და მარიამს მაგდანელსა და სხუათა დედათა. და პრქუა მათ ქრისტემან: არქუთ მოწაფეთა ჩემთა: წარვედით გალილეას, თაბორდ, და მუნ მიხილოთ მე.

და ათორმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს სიხარულითა დიდითა მთასა თაბორსა და იხილეს ქრისტე და თაყუანის-სცეს და

„შეიპყრეს მათ ქრისტე და მოიყვანეს იგი მღვდელ-
მოძღვრებისა და მოხუცებულების წინაშე.⁵⁶ უთხრეს ქრისტეს
მღვდელთმოძღვრებმა და მოხუცებულებმა: „შენ როგორ წარ-
მოაჩენ შენს თავს ღვთის ძედ? ღვთის ძე ხარ შენ?“ ქრისტემ
კი უთხრა მათ: „ეგ თქვენ თქვით“.⁵⁷

„შემდეგ უთხრეს ქრისტეს: „სოლომონმა ორმოც წელი-
წადში ააშენა ეს ტაძარი და შენ თქვი: „დავშლი და მესამე
დღეს ავაშენებ მაგასო“.⁵⁸ მაშინ ქრისტემ უთხრა მათ: „მე
ძალმოსილი ვარ დავშალო და მესამე დღეს ავაშენო იგი“.⁵⁹
მაშინ კი განრისხდნენ ებრაელები, ატეხეს და ააფორიაქეს
ებრაელთა ხალხი და თქვეს: „მოსაკლავად ჩანს ეს კაცი“,⁶⁰
და მისცვივდნენ ქრისტეს და დაიწყეს მისი ცემა და დაცინ-
ვა.⁶¹ ზოგი სცემდა მის თავს მათრახის ტარით, ზოგი კი
ღერწმით სცემდა მის წმინდა თავს. ზოგი ყვრიმალში სცემ-
და მას, ზოგი კი ანერწყვებდა მის ნათელ პირისახეს.⁶² აღ-
მართეს ძელი, ჯვარს აცვეს ქრისტე და შეასვეს მას ჯვარზე
შეზავებული ძმარი და ნაღველი.⁶³

„მაშინ აახილა მან თვალები ზეცისკენ მამისადმი და
თქვა: „მამაო ჩემო! ყოველივე აღვასრულე, ისრაელმა კი არ
ისმინა ჩემი და ამგვარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზე“. და მოხარა
მან თავი და ამოუშვა სული.⁶⁴ სწრაფად გადმოიყვანეს იგი
ჯვრიდან.⁶⁵ ერთი კაცი იყო ხელმწიფე და ქრისტეს მოწა-
ფედ მყოფი. მან აიღო ქრისტეს სხეული, დადო იგი ახალ
სამარეში და დიდი ლოდი მიაგორა სამარის კარზე.⁶⁶ მესამე
დღეს გათენებისას, სწორედ ცისკარზე, ანგელოზი გადმოვი-
და ზეციდან და გადააგორა ის ლოდი იმ საფლავიდან.⁶⁷
ქრისტე აღდგა, გამოვიდა სამარიდან, ეჩვენა ორ მოწაფეს⁶⁸,
აგრეთვე მარიამ მაგდანელს და სხვა დედებს,⁶⁹ და უთხრა
მათ ქრისტემ: „უთხარით ჩემს მოწაფეებს: წადით გალილეა-
ში, თაბორისკენ და იქ მნახავთ მე“.⁷⁰

და ის თორმეტი მოწაფე წავიდა დიდი სიხარულით
თაბორის მთაზე, ნახეს ქრისტე, თაყვანი სცეს მას და ეამბო-

ამბორს-უყვეს ფერჯთა მისთა წმიდათა. ხოლო ქრისტემან ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: აწ არღარა გერქუას თქუენ მოწაფე, არამედ მოციქულ გერქუას თქუენ. ხოლო მე აწ აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა. ხოლო მოციქულთა მათ შთაჰბერა სული ცხოველი და ჰრქუა მათ: მიიღეთ თქუენ სული ცხოვრებისა და წარვედით თქუენ ქალაქებსა და სოფლებსა და დაბნებსა კიდითგან ვიდრე კიდემდე ქუეყანისა და ჰყოფდით ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებასა და მოაქცევდით წარმართთა და ნათელ-სცემდით სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა. და ასწავებდით მათ, ყოველივე რავდენი გამცენ თქუენ, და მე ესერა თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. უსასყიდლოდ მოგიღებთ და უსასყიდლოდცა მისცემდით მათ.

და ქრისტე ამალდა ზეცად ანგელოზთა თანა, ხოლო ათორმეტნი იგი მოციქულნი წარვიდეს და მიმოვლეს გარემო სოფლებსა და ქალაქებსა და დაბნებსა და ახარებდეს და ქადაგებდეს ქრისტესა, აღდგომილსა მკუდრეთით, და ჰყოფდეს ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებათა, და მოიქცეოდეს და ნათელს-იღებდეს სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა.

„და ესრეთ განმრავლდა და განეფინა ქრისტეანობა და განვრცნა კიდით ქუეყანისაათ ვიდრე კიდემდე ქუეყანისა. და ებისკოპოსნი და მღვდელნი განაჩინეს და ეკლესიანი აღაშენეს. და მას შინა ჯუარი აღემართა, და ყოველსა სოფელსა ჰრწმენა ქრისტე და აღივსო ყოველი სოფელი ქრისტეანებითა, და ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტე. ჰურიათა მათ ვითარცა წინაწარმეტყუელნი იგი უთხრობდეს, ეგრეთცა მოიწია მათ ზედა: რომელნიმე მახვლითა, რომელნიმე სიყმილითა, რომელნიმე სიკუდილითა მოსწყდეს და განიღინეს და სხუანი ტყუეობითა განიბნინეს, რამეთუ არა დაიმარხეს რჩული ღმრთისა ცხოველისა. ხოლო აწ ქრისტეანეთა უწოდა ისრაელ, რამეთუ ისრაელი ითარგ-

რნენ მის წმინდა ფეხებს,⁷¹ ხოლო ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს: „ახლა აღარ გერქმევათ თქვენ მოწაფე, არამედ მოციქული გერქმევათ თქვენ,⁷² მე კი ახლა ავლივარ ჩემს მამასთან და თქვენს მამასთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან“,⁷³ ხოლო მოციქულებს შთაჰბერა ცხოველი სული⁷⁴ და უთხრა მათ: „მიიღეთ თქვენ სიცოცხლის სული;⁷⁵ წადით თქვენ ქალაქებში, სოფლებსა და დაბებში ქვეყნიერების კიდით-კიდემდე, მოახდინეთ ნიშები, სასწაულები და კურნებანი,⁷⁶ მოაქციეთ წარმართები, მონათლეთ ისინი მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით და ასწავლეთ მათ ყოველივე, რამდენიც გამცნეთ თქვენ, მე კი აჰა თქვენთან ვარ თქვენი ცხოვრების ყველა დღეს და ვიდრე სოფლის აღსასრულამდე.⁷⁷ უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე მიეცით მათ“.

და ქრისტე ამაღლდა⁷⁸ ზეცად ანგელოზებთან ერთად, ხოლო ის თორმეტი მოციქული წავიდა და მიმოვლო მახლობელი ქვეყნები, ქალაქები, დაბები. ისინი ახარებდნენ და ქადაგებდნენ ქრისტეს, აღდგომილს მკვდრეთით, ახდენდნენ ნიშებს, სასწაულებს და კურნებებს,⁷⁹ [წარმართები კი] მოიქცეოდნენ და ნათელს-იღებდნენ მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით.⁸⁰

„აი, ასე გამრავლდა და მოეფინა ქრისტიანობა. განივრცო იგი ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე. განაჩინეს ეპისკოპოსები და მღვდლები, ეკლესიები ააშენეს და მასში ჯვარი აღიმართა. მთელმა ქვეყნიერებამ ირწმუნა ქრისტე და მთელი ქვეყნიერება აივსო ქრისტიანებით. ყველა ქვეყანაში ქადაგებულ იქნა ქრისტე. როგორც წინასწარმეტყველები აუწყებდნენ ებრაელებს, ისე მოიწია მათზე: ზოგნი მახვილით ამოწყდნენ და მოისპნენ, ზოგნი შიმშილით, ზოგნი სიკვდილით, სხვები კი ტყვეობის შედეგად მიმოიფანტნენ, რადგან არ დაიცვეს მათ ცხოველი ღვთის სჯული, ამჟამად კი ქრისტიანებს უწოდა მან ისრაელი, რადგან „ისრაელი“ განიმა-

მანების „ერ ღმრთისა და მონა ქრისტესა“, რომლისადა არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

VII. „მაშინ ვითარცა გულისვმა-ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქედიაკონისაგან დასაბამითგანი ყოველი ვიდრე აქამომდე და მივიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოდ და ძმ მისი იესუ ქრისტე და სული წმიდად მისი. და ამით ნათელ-მიღებიეს და ვერვინ განმა-შოროს მე ქრისტესგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვამდე, ხოლო მამულისა ჩემისა რჩულისათჳს სიტყუადვე ზარმაც და მრცხუენისცა. რამეთუ ღმერთმან, რომელმან ქმნა ცა და ქუეყანად, მზე და მთოვარე და ვარსკულაენი, ზღუად და ვმელი, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცუნი, ველნი და ტყენი, შეშად და ცეცხლი, ოთხფერვნი პირუტყუნი და მკეცნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ცისანი, და მერმე კაცნი შექმნნა ღმერთმან და მას ყოველსა ზედა უფალ ყო იგი. ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტეოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმრთად ვხადოდითა? ნუ იყოფინ ესე!

„მზე და მთოვარე და ვარსკულაენი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმან მზესა განათლებად დღისადა უბრძანა და მთოვარესა და ვარსკულავთა განათლებად დამისადა უბრძანა, რამეთუ ღმერთ არა არიან.

„ღმერთმან-ლა ღრუბელსა უბრძანის, და მოეფინის, ბრწყინვალეებად მზისადა და მთოვარისადა დააბნელის. მზე და მთოვარე ამისთჳს არა ღმერთ არიან. მერმე კუალად ცეცხლი არა ღმერთ არს ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან ალაგზნის და კაცმანვე დაშრიტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა.

„ამისთჳს არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰპართის, გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა, თუ კაცი დახუდის, და-ვე-წჳს. ხოლო ცეცხლსა-ლა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისადა დაშრიტის და უჩინო-იქმნის ცეცხლი იგი; ამით არა ღმერთ არს, ხოლო ჩუენ

რტება როგორც „ერი ღვთისა და მონა ქრისტესი“, ⁸¹ რომლისაც არის დიდება უკუნიითი-უკუნისამდე, ამინ.

VII. „მაშინ, როგორც კი გავიგე და შევიცანი ყოველივე სამოელ მთავარდიაკონისგან, - ყოველივე დასაბამიდან ⁸² ვიდრე აქამდე, - და ჩავწვდი ებრაელებისა და ქრისტიანების მთელ სჯულს, ვირწმუნე მე დაუსაბამო ღმერთი, მისი ძე იესო ქრისტე და მისი წმინდა სული. ამით მოვნათლულვარ და ვერავინ გამაშორებს მე ქრისტესგან ვიდრე ჩემი სულის ამოსვლამდე; ხოლო ჩემი მამისეული სჯულის გამო სიტყვის თქმაც კი მზარავს და მრცხვენია კიდევ, რადგან ღმერთმა შექმნა ცა, მიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ზღვა, ხმელეთი, მდინარეები, წყალსატევები, მთები, ბორცვები, ველები, ტყეები, შეშა, ცეცხლი, ოთხფეხი პირუტყვი, მხეცები, ქვეწარმავლები და ცის ფრინველები. შემდეგ ადამიანები შექმნა ღმერთმა და ამ ყოველივეზე გააბატონა იგი. ⁸³ ყოველივე ეს ამ ადამიანს დაუმორჩილა მან და ნუთუ ჩვენ ამ ყოველივეს შემქმნელი ღმერთი უნდა დაგტოვოთ და ამ ღმერთის დაბადებულს ღმერთად ვუხმობდეთ? ნუ მოხდება ეს!

„მზე, მთვარე და ვარსკვლავები არ არიან ღმერთები, არამედ ღმერთმა მზეს დღის განათება უბრძანა, მთვარეს და ვარსკვლავებს კი უბრძანა განათება ღამისა, მაგრამ ისინი ღმერთები არ არიან.

„ღმერთივე უბრძანებს ღრუბელს და მოეფინება ⁸⁴ და აბნელებს ბრწყინვალებას მზისას და მთვარისას. ამიტომ არ არიან ისინი ღმერთები. შემდეგ, კიდევ, ცეცხლი არ არის ღმერთი იმის გამო, რომ ცეცხლს ადამიანი ანთებს და ადამიანივე აქრობს, რადგან ადამიანია ცეცხლის ბატონი.

„ამიტომ არ არის ღმერთი ცეცხლი, რომელიც თუ ვინმეს გაექცევა და წავა, რასაც მიაღება, თუნდაც ტყეს, ან თუნდაც ველს, ანთუ სახლს (თუგინდ ადამიანი დახედეს მას), დაწვავს კიდევ, მაგრამ თუ ცეცხლს წყალი მოხვდება, ჩააქრობს იგი ცეცხლის ესოდენ ძალას და ეს ცეცხლი გაქრე-

ღმერთად გურწამს. ხოლო ჩუენ ღმერთმან ცეცხლი სამსახურებელად მოგუცა, ყინელსა განსატფობელად და ყოვლისა სანოვანისა საქმარად; და ოდეს გვნებნ, აღვაგზნით, და ოდეს გვნებნ, დავშრიტით. და ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი.

„მერმე ღმრთისა შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყუთა მსგავს ვიყვენით. და ესრესახედ, ვითარცა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი, და ეგრეთ აღრეულად გარდაივადიან მამლობაჲ და დედლობაჲ მათი, და ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თუსი, გინა შობილი, და აღრეულად გარდავივადით ბუნებაჲ იგი ჩუენი.

„ხოლო აწ მადლითა ღმრთისაჲთა, ვინამთგან იქმნა ნათლისღებაჲ და რჩული ქრისტეანობისაჲ იციედ კაცთა, მიერთგან დაივსნა და განქარდა უწესოჲ იგი საქმჲ. ხოლო ამას გვედრები, უფალო ჩუენო, იესუ ქრისტე, რაჲთა გუამი ჩემი დაემარხოს მცხეთასა, სადაცა-იგი ნათელი მოვიდე სამოელ კათალიკოზისა ველითა და ღირს ვიქმენ რჩულსა ქრისტეანეთასა. ამიერთგან ვერვინ განმაშოროს მე სიყუარულსა შენსა და სარწმუნობასა და სურვილსა. ვითარცა წერილ არს: არცა ტანჯვათა, არცა გუემათა, არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახვლმან, არცა სიკუდილმან ამათ ვორცთა ჩემთამან შემიძლოს მე განყენებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე“.

მაშინ ჰრქუა მას ბუზმირ მარზაპანმან:

„შვილო ჩემო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ დაიმცირებ დღეთა ცხორებისა შენისათა ქრისტეანებისათუს და ნუ ქურვივ ზამ ცოლსა შენსა და ობოლ შვილთა შენთა და ნუ მოსწყდები მოყუასთა შენთა ამას ცხორებასა.

ჰრქუა მას წმიდამან ევსტათი: „უწინარჯს შენსა სხუათა ველმწიფეთა მტანჯეს მე ფრიად და მგუემეს და არა დავემორჩილე მათ, აწ შენი ვირწმუნო? ნუ იყოფინ ეგე ჩემდა“!

ბა. ამის გამო, არაა იგი ღმერთი, თუმცა ჩვენ ღმერთად გვწამს. მაგრამ ჩვენ ღმერთმა ცეცხლი მოსახმარად მოგვცა, ყინულის გასათბობად და ყოველგვარი სანოვავის გასაკეთებლად. როდესაც მოგვინდება, ვანთებთ მას, და როდესაც მოგვინდება, ვაქრობთ. ამიტომაც არ არის ღმერთი ცეცხლი.

„შემდეგ, ღვთისგან შექმნილი ადამიანები პირუტყვი ცხოველების მსგავსნი⁸⁵ ვიყავით და ისევე როგორც პირუტყვებმა მამლობა-დედლობის დროს არ იციან არც მშობელი, არც მათგან შობილი და ასე აღრეულად იკმაყოფილებენ თავიანთ მამლობა-დედლობას, ამგვარადვე ჩვენც, გონიერი⁸⁶ ადამიანები, პირუტყვების მსგავსნი ვიყავით, რომლებმაც არ ვიცოდით არც მშობელი ჩვენი, არცთუ შობილი და აღრეულად ვიკმაყოფილებდით ჩვენს ბუნებას.

„მაგრამ ახლა, ღვთის მადლით, მას შემდეგ, რაც დაწესდა ნათლისღება და ქრისტიანობის სჯული იციან ადამიანებმა, ამიერიდან მოისპო და აღმოიფხვრა ეს უწესო საქმე...⁸⁷ ხოლო ამას გვედრები, ჩვენო უფალო იესო ქრისტე, რომ ჩემი სხეული დაიმარხოს მცხეთაში, სადაც ნათელვიდე სამოელ კათალიკოსის ხელით და ღირსი გავხდი ქრისტიანთა სჯულისა. ამიერიდან ვერავინ გამაშორებს მე შენს სიყვარულს, სარწმუნოებასა და სურვილს, როგორც დაწერილია: „ვერც ტანჯვა, ვერც გვემა, ვერც საპყრობილეში შიმშილი, ვერც მახვილი, ვერც ამ ჩემი ხორცის სიკვდილი ვერ შეძლებს ჩვენს გამიჯვნას შენგან, უფალო იესო ქრისტე“.⁸⁸

მაშინ უთხრა მას ბუზმირ მარზაპანმა:

„ჩემო შვილო ევსტათი, ისმინე ჩემი და ნუ შეამცირებ შენი ცხოვრების დღეებს ქრისტიანობის გამო, ნუ დააქვრივებ შენს ცოლს, ნუ დააობლებ შენს შვილებს, ნუ მოსწყდები შენს მეგობრებს ამ ცხოვრებაში.

უთხრა მას წმინდა ევსტათიმ: „შენზე აღრე სხვა მთავრებმა მტანჯეს მე ძალიან და მგვემეს, მაგრამ არ დავემორჩილე მათ და ახლა შენსას დავიჯერებ? ნუ მოხდება ეს ჩემზე“.

VIII. მაშინ ვითარცა ცნა ბუზმირ მარზაპანმან დამტკიცებულ-
ლი და შეუძრველი გული და გონებად ნეტარისა ევსტათისი და
ვერ შინებითა და ტანჯვითა და ვერცა კეთილისა ქადებითა
არწმუნა მამული რჩული პერობად, უბრძანა მსახურთა: „წარიყ-
ვანეთ ეგე საპყრობილედ და იღუმალ ღამით თავი წარჰკუეთეთ,
რამთა არავინ ქრისტეანეთა ცნან და პატივ-სცენ გუამსა მისსა,
და წარიხუენით ვორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიენით შესაჭ-
მელად მვეცთა და მფრინველთა“.

ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრო-
ბილედ, რამთამცა აღასრულეს ბრძანებული იგი მარზაპანისაჲ მის.

ჰრქუა მათ წმიდამან ევსტათი: „მცირედ მგებდით მე, ძმანო
ჩემნო, რამეთუ კვლთა შინა თქუენთა ვარ, რამთა ვილოცო მე
ღმრთისა ჩემისა მიმართ“. ხოლო მათ მცირედ დაითმინეს და
აცალეს და ჰრქუეს: „ეგრე ვყოთ“. მაშინ მოიდრიკნა მუკლნი და
აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად და თქუა: „უფალო ღმერთო,
ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ გნებაჲს ცხ-
ორებაჲ, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა,
რომელმან ისმინე ლოცვამ პირველთა მათ მოწამეთაჲ, რომელნი
პირითა მახვლისაჲთა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელ-
ითა, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე
ცეცხლითა და რომელნიმე მვეცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა
შენისათჲს და მოიღეს შენმიერი იგი აღთქუმული, რომელი თუალმან
არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუვდა,
რომელი-იგი განუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა,
უფალო, ღირს-მყავ მონაწილე მათ თანა და სამკვდრებელსა მათ
თანა, სინარულსა მათ თანა, უოხჭნოსა შუებასა მათ თანა, მი-
უკუანაჲსთა ჟამთა ნარჩევი მოწამეთაჲ, ვითარცა იტყუს პავლე
მოციქული: მე ვარო ნარჩევი მოცუქულთაჲ. შენ იცი, უფალო
ჩემო იესუ ქრისტე, რამეთუ არავინ ვირჩიე შენსა, არცა მამაჲ,
არცა დედაჲ, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლოჲ
უფალი შეგიყუარე და სახელისა შენისათჲს ესერა თავი
წარმეკუეთების დღეს. და ამას ვილოცავ და გვედრები და ვითხოვ

VIII. მაშინ, როდესაც შეიცნო მარზაპანმა ნეტარი ევსტათის მტკიცე და შეუძრავი გული და გონება, რომელსაც ვერც დაშინებითა და ტანჯვით, ვერც კარგი რამის დაპირებით ვერ დააჯერა მამისეული სჯულის დაცვა, უბრძანა მსახურებს: „წაიყვანეთ ეგ საპყრობილეში და ღამით ჩუმად წაქვეთეთ თავი, რომ არც ერთმა ქრისტიანმა არ გაიგოს და არ მიაგოს პატივი მის სხეულს. წაიღეთ მისი ნეშტი ქალაქგარეთ და მიმოაბნით მხეცებისა და ფრინველების შესაჭმელად“.

მსახურებმა კი წაიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილეში, რომ შეესრულებინათ მარზაპანის ნაბრძანები.

უთხრა მათ წმინდა ევსტათიმ: „ცოტა ხნით მადროვეთ მე, ჩემო ძმებო (რადგან თქვენს ხელთ ვარ), რომ ვილოცო მე ჩემი ღვთის მიმართ“. მათაც ცოტა ხნით მოითმინეს, აცალეს მას და უთხრეს: „ასე ვიზამთ“. მაშინ მოიდრიკა მუხლები ევსტათიმ, თავისი თვალები ზეცისკენ აახილა და თქვა: „უფალო ღმერთო ყოვლისმპყრობელო, რომელსაც ყველა ადამიანის ცხონება გნებავს“, ვინც კი სარწმუნოებით სასოებს შენს წმინდა სახელს; შენ, რომელმაც შეისმინე იმ პირველმოწამეთა ღოცვა, ზოგი რომ მახვილის პირით დაიხოცა, ზოგი - ტბის ყინულით, ზოგი ზღვაში ჩაყრით მოისრა, ზოგი - ცეცხლით, ზოგი კი მხეცებისგან შეიჭამა შენი სახელის გამო და მიიღო ის შენმიერი დანაპირები, „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, ადამიანის გულამდე არ მოსულა, რაც გაუმხადე შენს წმინდა მოწამეებს“;⁸⁹ მეც, უფალო, ღირსი გამხადე მათთან მონაწილეობისა, მათეული სამკვიდრებლისა, მათთან სიხარულისა, მათთან დაუსრულებელი შვებისა, მე - მოწამეთაგან უკნინესი⁹⁰ ბოლო დროისა, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „მე ვარო უკნინესი მოციქულთაგან“.⁹¹ შენ იცი, უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რომ არავინ ვირჩიე შენზე მეტად, არც მამა, არც დედა, არც ძმები, არც ნათესავები, არამედ ერთადერთი შენ შეგიყვარე, უფალო, და შენი სახელის გამო აჰა თავი წამეკვეთება დღეს. ამას ვლოცულობ, გვედრები და

შენ სახიერისაგან, რაათა არა დაეტეოს გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არამედ რაათა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდასა, სადა-იგი შენ გამომიჩნდი, და რაათა აქუნდეს მადლი და კურნება ძუალთა ჩემთა, ვითარცა-იგი პირველთა მათ“.

და ესმა ვჰამ, რომელი ეტყოდა ევსტათის და ჰრქუა: „არა უნაკლულჯს იყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისათა, რომელთა ვჰრწმენე მე. ხოლო გუამისა შენისათჳს ნუ ჰზრუნავ, ეგრე იყოს ვითარცა შენ სთქუ ყოფად“. და განმხიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა ღმერთსა. ხოლო წმიდასა ევსტათის პირველვე ემცნო ნეტარისა სტეფანჯსდა, რაათა რაჟამს გეუწყოს სიკუდილი ჩემი, მწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და მუნ დაჰმარხეთ, სადა ნათელ-ვიღე.

და ვითარცა დაასრულა ლოცვაჲ და ვედრებაჲ და თხოვაჲ უფლისა მიმართ, ჰრქუა მსახურთა მათ მარზაპნისათა: „აწ აღასრულეთ განჩინებული იგი ბრძანებაჲ ჩემ ზედა“. ხოლო მათ არა უნდა მოკლვის. ხოლო ერთმან მათგანმან ჰრქუა: „ჩუენ მოვსწყდებით, უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი“. მაშინ მიყენეს ველნი მათნი მის ზედა და სცეს მახვლითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკუეთეს თავი მისი, და შეჰვედრნა სულნი თჳსნი ქრისტესა მეუფესა.

ხოლო გუამი მისი ღამე განიღეს გარეშე და დააგდეს მუნ. ხოლო ცნეს ვიეთმე ქრისტეანეთა და წარიღეს იგი მცხეთას, რამეთუ სტეფანეს ემცნო მუნ მყოფთა ქრისტეანეთადა. ვითარცა მიიწინეს მცხეთას, უთხრეს სტეფანეს, და სტეფანე აუწყა სამოელს კათალიკოზსა, ხოლო მან ფრიად განიხარა და დაჰმარხა იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმიდასა ეკლესიასა მცხეთისასა და ვიდრე აქამომდის იქმნებიან კურნებანი სნეულთანი მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსითა, რომლისაჲ არს სუფევად და ძლიერებაჲ, პატივი და სიმტკიცე და დიდებაჲ მოუკლებელი სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე. ამენ.

ვითხოვ შენგან, კეთილისგან, რომ არ დარჩეს ჩემი სხეული აქ, თბილისში, არამედ დაიმარხოს იგი წმინდა მცხეთაში, სადაც შენ გამოიმჩნდი, და ჰქონდეთ ჩემს ძვლებს მადლი და კურნება, როგორც იმ პირველთა“.⁹²

და მოესმა ხმა, რომელიც ეუბნებოდა ევსტათის, უთხრა რა ასე: „არ იქნები შენ კურნების მადლით უფრო ნაკლები იმ პირველებზე, რომლებმაც მიწაზე მემე, ხოლო შენი სხეულისთვის ნუ ზრუნავ; ისე იქნება, როგორც შენ თქვი, რომ მომხდარიყო“. გამხიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა ღმერთს. ამასთან, წმინდა ევსტათის ადრევე შეეცდებინებინა ნეტარი სტეფანესთვის: „როდესაც გეუწყება ჩემი სიკვდილი, სწრაფად წაიღე ჩემი სხეული მცხეთაში და დამარხეთ იქ, სადაც მოვინათლე“.

და როდესაც დაასრულა მან ღოცვა-ვედრება და თხოვნა უფლის მიმართ, უთხრა მარზაპნის მსახურებს: „ახლა შეასრულეთ ჩემზე განჩინებული ბრძანება“. მათ არ უნდოდათ მისი მოკვლა, მაგრამ ერთმა მათგანმა უთხრა მათ: „ჩვენ დავიხოცებით, თუ ეგ ცოცხალი დარჩება“. მაშინ გაიწვდინეს მისკენ თავიანთი ხელები, დაარტყეს მახვილი მის პატიოსან კისერს და წაკვეთეს მისი თავი; და მიაბარა მან თავისი სული⁹³ მეუფე ქრისტეს.

ხოლო მისი სხეული ღამე გარეთ გაიტანეს და იქ დააგდეს, მაგრამ გაიგეს ეს ვიღაც ქრისტიანებმა და წაიღეს იგი მცხეთაში, რადგან სტეფანეს ეუწყებინა [ამის შესახებ] იქ მყოფი ქრისტიანებისთვის. როდესაც მივიდნენ მცხეთაში, შეატყობინეს სტეფანეს, სტეფანემ კი აუწყა სამოელ კათალიკოსს, ხოლო მან მეტად გაიხარა და დამარხა იგი დიდი დიდებითა და პატივით მცხეთის წმინდა ეკლესიაში. ვიდრე აქამდე ხდება იქ სწრაფად კურნებანი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლით, რომლისადაც არის სუფევა, ძლიერება, პატივი, სიმტკიცე და მოუკლებელი დიდება სულიწმინდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სქოლიოები

1. „**მარზაპნობა**“ - გამგებლობა, იპატოსობა, სატრაპობა (,,მარზაპანი“ –ბერძნ. **ῥπατος**, სომხ. **կուսակալ** ლათ. **satrapes**, **senator**, სლავ. **ꙋπάτѣ**); ეს ტერმინი სამეზის გვხვდება წმინდა წერილის ძველ ქართულ რედაქციებში, კერძოდ ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხებში: „და წარავლინნა შეკრებად **მარზაპანებისა** (J: „**მარზაპანები**“), ერისთავთა და სოფლებისა-მთავართა, შერაცხილთა და ძლიერთა, და ველმწიფეთა და ყოველთა მთავართა სოფლებისათა მოსლვად სატფურსა მის კერპისასა“ (ღან. 3.2; შდრ ბერძნ. **καὶ ἀπέστειλεν συναγαγεῖν τοὺς ῥπάτους καὶ τοὺς στρατηγούς καὶ τοὺς τοπάρχας, ἡγούμενους καὶ τυράννους καὶ τοὺς ἐπ’ ἐξουσιῶν καὶ πάντας τοὺς ἄρχοντας τῶν χωρῶν ἐλθεῖν εἰς τὰ ἐγκαίνια τῆς εἰκόνοϋ. სომხ. *Եւ արձակեաց ժողովել զկուսակալս եւ զգորավարս եւ զգորագլուխս եւ զպետս եւ զբռնաւորս եւ զգործակալս` եւ զամենայնիչխանս աշխարհաց զալ ի նաակատիս պատկերին;* ლათ. **misit ad congregandos satrapas magistratus et iudices duces et tyrannos et praefectos omnesque principes regionum ut convenirent ad dedicationem statuae;** სლავ. **И послѧ (навѣходоносоръ царь) собрѧти ꙋпѧты и воевѧды и мѣстоначѧлники, вожди же и мѣчнѣли, и сѣщыѧ на властѣхъ и всѧ кнѧзи стрѧнъ, прѣити на ѡбновленіе кѣміра;** „და შეკრბეს **მარზაპანები** (J: „**მარზაპანები**“) და ერისთავები ... სატფურსა მის კერპისასა“ (ღან. 3.3; ბერძნ. **καὶ συνήχθησαν οἱ ... ῥπατοι, στρατηγοὶ ...**εἰς τὸν ἐγκαίνισμὸν τῆς εἰκόνοϋ. სომხ. *Եւ ժողովեցան կուսակալս, գորավարք ... ի նաակատիս պատկերին;* ლათ. **tunc congregati sunt satrapae magistratus ... ad dedicationem statuae;** სლავ. **И собрѧшасѧ мѣстоначѧлницы, ꙋпѧтове, воевѧды ... на ѡбновленіе тѣла);** „შეიზრახნეს ყოველნი სუფევისა შენისანი**

ერისთავნი და ყოველნი სოფლებისა მთავარნი, **მარზაპანები** (J: „**მარზანები**“) და ნახპეტები“ (დან. 6.8; ბერძნ. *συνεβουλεύσαντο πάντες οἱ ἐπὶ τῆς βασιλείας σου στρατηγοὶ καὶ σατράπαι, ἄπατοι καὶ τοπάρχαι*. სომხ. *խորհուրդ արարիւն օամենքեան որ են ի թագաւորութեան քում` , զօրավարք եւ նախարարք, իշխանք եւ կուսակալք*; ლათ. *consilium inierunt omnes principes regni tui, magistratus, et satrapae, senatores, et iudices*; სლავ. *совѣщаша вси ѿже во царствѣ твоѣмъ воєводы ѿ кнѣзи, ѿпѣти ѿ владѣиции странѣми*).

2. დედნისეული „დღითა“ ნიშნავს: „ასაკით“, „წლოვანებით“.
3. დედნისეული „ყრმა“ აქ „ჭაბუკს“ ნიშნავს (ეს მნიშვნელობა „ყრმას“ აქვს. შდრ. ი. 21.18 ჯროუჭ-პარხლის რედაქციაში „ჭაბუკი“, ჰადიმურში „ყრმა“, ბერძნ. *νεώτερος*)
4. დედნისეული „მეჯადაგე“ საბას განმარტებით „მეჯღანა“ (თუმცა ძველ ქართულში „ჯადაგი“//„ჯადაგო“ ნიშნავდა „მჭევრმეტყველს“, „ორატორს“. იხ. საქ. მოც. 24.1, სადაც ბერძნ. *ὀρέτορ*, ლათ. *orator*, სომხ. *ճարտարախօս* უძველეს ვერსიებში გადმოცემულია როგორც „ჯადაგო“, რასაც გიორგი მთაწმინდელი ცვლის ტერმინით „მეტყუელი“; იხ. ი.აბ. ლექს.)
5. „ტოზიკი“ - დღესასწაული, ღვინო, განცხრომა (ნუსხათა ნაწილში: „ზატიკი“.)
6. „მეტოზიკე“ - მედღესასწაულე (ნუსხათა ნაწილში „მეზატიკე“).
7. „ტოზიკობა“ - „განცხრომა“, „დღესასწაულობა“, „მსხვერპლშეწირვა“ („ზორვა“). სელნაწერთა ნაწილში: „ზატიკობა“. საგულისხმოა, რომ „ტოზიკობა“ გვხვდება „ძველი ალექმის“ უძველეს ქართულ რედაქციაში (იხ. ი. აბ. ლექს., გვ. 413). მაგალითად: „სახლისა ტოზიკობისა (J: ტოზიკებისა) მათისასა არა შეხვდე დაჯდომად მათ თანა ჭამად და

სუმაღ“ (OJ, იერ. 16.8). სხვა რედაქციაში „ტოზიკობას“ ცვლის „განცხრომა“ („სახიდ განცხრომისა მათისა ...“, ბაქარის ბიბლია). სეპტუაგინტაში გვაქვს: εἰς οἰκίαν πόντου οὐκ εἰσελεύσῃ συγκαθίσαι μετ’ αὐτῶν τοὺν φαγεῖν καὶ πιεῖν. (**πόντος**: „სმა“, „ლხინი“; შდრ. ლათ. convivium, სომხ. **ըմպել** - „სმა“; შდრ. სლავ. **И въ домѣ пѣрныи да не внидеши сѣдѣти съ нѣми, ѣже ѣсти и пити**); კიდევ: „არცაღალა თუ ვიდიდებოდე შუებასა მას მეფისასა თანა და არცაღა საღა ვსუ ღვნოღ **ტოზიკობით**“ (ესთ. 14.17, O = სეპტ. 4.17x; καὶ οὐκ ἔδῶξασα συμπόσιον βασιλέως οὐδ ἕπιον οὐ νον **σπονδῶν**); ბაქარისეულში გვაქვს: „არცა ვსუ ღვნო **ნაზორევისაგან**“. ასე რომ, ოშკისეული „ტოზიკობა“ შეესაბამება ბაქარისეულ „ნაზორევის“. ბერძნულშია, როგორც ვხედავთ, **σπονδή**, რაც, კერძობითად, ნიშნავდა „ღვინის შეწირვას“ ანუ შესაწირავი ღვინის სამსხვერპლოზე, მსხვერპლზე, მიწაზე დაღვრას კერპე-ბისადმი შეწირვის ნიშნად, ზოგადად კი, **კერპებისადმი მსხვერპლშეწირვას**). სომხურში გვაქვს **սպանի** („მსხვერპლშეწირვა“), ლათინურში **libamen** („ღვინის შეწირვა“), რუსულში **идоложертвенный** (не пила вина **идоложертвенного**); შდრ. სლავ. **и не прослави́хъ пи́ра царѣва, ниже пи́хъ вѣно трѣбнишь <ИДАЛСКНХЪ>**). ზემორე ტერმინთშესიტყვობანი გვიჩვენებს, რომ „ტოზიკობა“ უიგივდება „ნაზორევის“ ანუ ბერძნულ **σπονδή**-ს. საკუთრივ „ნაზორევი“, ისევე როგორც მასთან შინაარსობრივად იგივეობრივი „ნაგები“, ძველ ქართულში ძირითადად გადმოსცემდა ბერძნულ **θυσία**-ს ამგვარი ტერმინთშერსატყვისობის საფუძველს ქმნიდა ხშირადხმარებული ზმნები „ზორვა“ და „გება“, რომლებიც გადმოსცემდნენ ბერძნულ **θύω**-ს (აგრეთვე **σπένδω**-ს). მაგალითად: „უქმნეს თავთა თვსთა ვბოღ და თაყუანის-სცეს მას და **უზორეს** მას“ (გამოსლ. 32.8 - АКС; შდრ. OBS: „იქმნეს თავისა მათისა ვბოღ (+ გამოდნობილი S) და თაყუანის-სცეს მას“; ბერძნ. ἔποιήσαν ἑαυτοῖς μῦσχον καὶ προσκεκυνήκασιν αὐτῷ καὶ **τεθῆνκασιν** αὐτῷ καὶ ε παν. სომხ. **արարին իւրեանց որք ձուլածայ**, ev erkir p a gin nma , ev **զոհեցին** նմա; ლათ. feceruntque sibi

vitulum conflatilem et adoraverunt atque **immolantes** ei hostias; სლავ. сотворѣша себѣ тѣла, и поклонишася ѣмѣ, и **пожрѣша** ѣмѣ; „**უზორვიდენ** კერპთა მათთა, და მიგხადონ შენ **ზორვილთა** მათ მოგონებისა მათისათა“ (გამოსლ. 34.15 – AK; B(O?)S: „**უკლვიდენ** ღმერთთა მათთა, და გხადოლი[ნ] თქუენ და შჳამო **ნაკერპავი** იგი მათი“; ბერძნ. **θύσασθαι** τοῖς θεοῖς αὐτῶν καὶ καλέσασθαι σε καὶ φάγης **τῶν θυμάτων** αὐτῶν,. სომხ. **զոհիցեն** աստուածոց նոցա, եւ կոչիցեն զքեզ, եւ ուտիցես ի **զոհիւ** նոցա; ლათ. adoraverint simulacra eorum vocet te quispiam ut comedas de **immolatis**; სლავ. **пожрѣтъ** вогъмѣ ѣхъ, и призовѣтъ тѣ, и снѣсѣ ѿ **жертвъ** ѣхъ; „**უზორვიდეს** იგინი ეშმაკთა და არა შესწირვიდეს ღმრთისა“ (II სჯ. 32.17 – BDES; შდრ. G: „**უკლვიდეს** ეშმაკთა და არა ღმრთისა“; ბერძნ. **ξθύσασθαι** δαιμονίοις καὶ οὐ θεῷ. სომხ. **զոհիցին** դիւսց եւ ոչ Աստուծոյ; ლათ. **immolaverunt** daemonibus et non Deo; სლავ. **Пожрѣша** бѣсовѣмѣ, а не бѣгъ; „მთავარნი უცხოტომთანი შეკრბეს **ზორვად ზორვასა** დიდსა დაგონისა, ღმრთისა მათისა“ (მსჯ. 16.23 – G; შდრ. B(O?)DS: „შეკრბეს მთავარნი უცხოტესლთანი **შეწირვად მსხუერპლისა** დიდისა დაგონის, ღმრთისა მათისა“; ბერძნ. οἱ σατράπαι τῶν ἀλλοφύλων συνήχθησαν **τοῖς θύσαι** θύσαν μεγάλην Δαγῶν τῷ θεῷ αὐτῶν. სომხ. **իշխանք** ալլազգեսցն ժողովեսցան զոհել զոհ մեծ Գազոնայ աստուծոյն իւրեանց; ლათ. principes Philistinorum convenerunt in unum ut **immolarent hostias** magnificas Dagon deo suo; სლავ. **кнѣзи** иноплемѣнничи собрѣшася **пожрѣти** **жертвъ** великѣ дагѣнѣ бѣгѣ боємѣ; „მისცნა იგინი ველთა გაბაონელთასა და მიიყვანნეს და **დაზორნეს** იგინი წინაშე უფლისა“ (II მგ. 21.9 – OJa; შდრ. FS: „და მისცნა იგინი გაბაონელთა მათ და **დაზორნეს** იგინი წინაშე უფლისა“; შდრ. B: „და მისცნა იგინი ველთა შინა გაბაონელთასა და **დამოჰკიდეს** იგინი **მზესა ზედა** წინაშე უფლისათა“; ბერძნ. ἔδωκεν αὐτοὺς ἐν χειρὶ τῶν Γαβιαωνιτῶν, καὶ **ἐξήλυσαν** αὐτοὺς ἐν τῷ ὄρει ἔναντι κυρίου. სომხ. **ես** զնոսա ի **ձեռս** Գաբաոնացոցն, եւ **յարագեցին** զնոսա ի **լերինն** առաջի **օեարն**; ლათ. dedit eos in manu Gabaonitarum

qui crucifixerunt illos in monte coram Domino; სლავ. *дѣдѣ ѿ хъ въ рѣки гаванитѣмъ. ꙗко повѣснша ꙗ на соицѣ на горѣ прѣд гдѣмъ;* „წარმოიხუნა მიერ დავით ძუალნი იგი საულისნი და იონათანისნი, ძისა მისისანი, და შეკრიბნა კუალად ძუალნი იგი **დაზორვილთანი** მათ და დაჰფლნა ძუალნი იგი საულისნი და ძუალნი იგი მათნი ქუეყანასა მას ბენიაშენისსა“ (II მფ. 21.9 – OJa; შდრ. FS: „მოილო მუნით ძვალნი საულისნი და ძვალნი იონათანისნი, ძისა მისისა, და შეკრიბნა **დაზორვილნიცა** იგიცა და დაფლნა იგინი ქუეყანასა მას ბენიაშენისსა“; შდრ. B: „მოილო დავით ძუალნი საულისა მიერითგან და ძუალნი იონათანისნი, ძისა მისისა, და ძუალნი **დამოკიდებულნი** ქუეყანასა ზედა და დაფლეს ძუალნი საულისა და ძუალნი იონათანისა ძისა მისისა და ძუალნი **დამოკიდებულნი მზესა ზედა** ქუეყანასა ბენიაშენისსა“; ბერძნ. ἀνήγειρεν ἐκεῖθεν τὰ ὀστέα Σαουλ καὶ τὰ ὀστέα Ἰωναθαν τοῦ υἱοῦ αὐτοῦ καὶ συήγαγεν τὰ ὀστέα **τῶν ἐξῆλισμένων** καὶ ἔθαψαν τὰ ὀστέα Σαουλ καὶ τὰ ὀστέα Ἰωναθαν τοῦ υἱοῦ αὐτοῦ καὶ **τῶν ἡλυσθέντων** ἐν γῆ Βενιαμιν. სომხ. *հհան անտի գուկերս Մաուդայ եւ գուկերս նովնաթանու որդւոյնորա. Ժողովեաց եւ զյարագելոցն յերկրին Բենիամինի;* ლათ. *aspportavit inde ossa Saul et ossa Jonathan filii eius et colligentes ossa eorum qui adfixi fuerant sepelierunt ea cum ossibus Saul et Jonathan filii eius in terra Benjamin;* სლავ. *вознесѣ давидъ крѣсти сѣди ѿтѣдѣ ѿ крѣсти ѿнаѣна сына ѣгѣ, ѿ собрѣ крѣсти повѣшєныхъ на соицѣ: ѿ погребѣша крѣсти сѣди ѿ крѣсти ѿнаѣна сына ѣгѣ, ѿ крѣсти повѣшєныхъ на соицѣ, въ землѣ венѣаміновѣ;* „ქმნა სოლომონ ყოველი იგი სამსახურებელი ტაძარსა მას უფლისასა და **საზორველნი** იგი ოქრომანი და ტაბლად იგი, რომელსა ზედა პური იგი შესაწირავისაჲ მის დაეგებოდა, იყო ოქრომსაჲ“ (III მფ. 7.48(34) – O; შდრ. JA: „მისცა ყოველი იგი ტაძარსა მას უფლისასა. და **საზორველნი** იგი ოქრომანი და ტაბლად იგი, რომელსა ზედა პური იგი შესაწირავისაჲ დაეგებოდა, ოქრომსაჲ“; ~შ: „ქმნა სოლომონ ყოველი იგი სამსახურებელი ტაძარსა მას უფლისასა

და **საზორველნი** იგი ოქროსანი და ტაბლა იგი (ვ), რომელსა ზედა პური იგი შესაწირავისა დაიდებოდა, ოქროსა“; B: „და მისცა მეფემან სოლომონ ყოველ[ნი] ჭურჭელნი, რომელიცა უქმნა ტაძარსა შინა უფლისასა **საკურთხეველი** ოქროსა და ტრაპეზი, რომელსა ზედა პური შეიწიროდა, ოქროსი“; ბერძნ. ξῶθαιεν ὁ βασιλεὺς Σαλωμων τὰ σκεύη, ἃ ἐποίησεν, ἐν οἴκῳ κυρίου, **τὸ θυσιαστήριον** τὸ χρυσοῦν καὶ τὴν τράπεζαν, ἐφ’ ἧς οἱ ἄρτοι τῆς προσφορᾶς, χρυσῆν, . სომხ. *արար Մողրմին գամենայն կահն որ ի տան օեառն, զգոհանոցն ոսկի, եւ զսեղանն յորոյ վերայ հացնպատարագի՝ ոսկի*; ლათ. *fecitque Salomon omnia vasa in domo Domini altare aureum et mensam super quam ponerentur panes propositionis auream*; სლავ. *даде царь солимонъ всѣ сосуды, ꙗже сотвори во храмѣ гдѣи: ѿптарь златънѣ и трапѣзъ, на нѣйже хлѣбы приношенїа, златѣи; „დამიტევეს მე და უგეს ღმერთთა უცხოთა“ (იერ. 1.16 – G; შდრ. OJ: „დამიტევეს მე და უზორვიდეს ღმერთთა უცხოთა“; ბერძნ. ἐγκατέλιπόν με καὶ ἔθυσαν θεοῖς ἄλλοτριοῖς καὶ προσεκύνησαν τοῖς ξέροισι τῶν χειρῶν αὐτῶν.. სომხ. *տողին զիս եւ զոհեցին աստուածոց օտարաց*; ლათ. *dereliquerunt me et libaverunt diis alienis*; სლავ. *ѡтврѣшиа мѧ и пожрѡа богѡмъ чуждѣиmъ*; „იხილეს ყოველი ბორცვ მაღალი და ყოველი ხე ჩრდილოანი და უზორეს მუნ ღმერთთა მათთა და დააწესეს მუნ საკურთხეველი ძღუენთა მათთაჲ და დადვეს მუნ საყნოსი სულნელებისა მათისაჲ და უგეს მუნ გებანი მათნი“ (ეზეკ. 20.28 – G; შდრ. OJ: „იხილეს მათ ყოველი ბორცვ მაღალი და ყოველი ხე ჩრდილოვანი და უზორვიდეს მუნ კერპთა მათთა და დააწესეს მუნ საყნოსელი სულნელებისაჲ და შეწირეს მუნ მსუერპლები მათი“; ბერძნ. εἶδον πάν βουρὸν ὑψηλὸν καὶ πάν ξύλον κατάσκιον καὶ ἔθυσαν ἑκεῖ τοῖς θεοῖς αὐτῶν καὶ ἔταξαν ἑκεῖ ὄσμην εὐωδίας καὶ ἔσπαισαν ἑκεῖ σπονδὰς αὐτῶν. სომხ. *տեսին անդ գամենայն բլուր բարձր եւ գամենայն ծառ վարսաւոր, եւ զոհեցինտնդ դիցն իւրեանց, եւ կարգեցին անդ զոհս պատարագաց իւրեանց` , եւ արկին զխունկս տնուշութեան իւրեանց, եւ նուիրեցին անդ գնուէրս իւրեանց*; ლათ. *viderunt omnem collem excel-**

sum et omne lignum nemorosum et **immolaverunt** ibi victimas suas et dederunt ibi iniritationem **oblationis** suae et posuerunt ibi odorem suavitatis suae et **libaverunt libationes** suas; სლავ. вѣдѣша всѣкъ хѣлмъ высокъ и всѣко дрѣво прихѣнное, и **пожрѣша** тамъ богѣмъ своимъ и оучиниша тамъ ѿростъ дарѣвъ своихъ, и положиша тамъ воиò благовоиѣа своегò и **возліѣша** тамъ **возліѣниѣ** своѣ, და ა. შ.).

როგორც ვხედავთ, „ტოზიკის“ სინონიმური ტერმინების - „ნაზორევისა“ და „ნაგების“ - შესატყვისობა ბერძნულ **θυσια-**სთან მათი ზმნური ფორმების სემანტიკას ეფუძნება. რაც შეეხება თვით მიმღებობურ „ნაზორევსა“ და „ნაგებს“

ისინი რამდენიმეგზის გვხვდება წმინდა წერილის ძველ ქართულ რედაქციებში: „და ხადეს მათ **ნაზორევთა** ზედა კერპთა მათთასა. და ჭამა ერმან მან **ნაკერპავი** მათი და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა“, რიცხვ. 25.2, AKB; შდრ. SL: „და ხადეს მათ **ნაგებთა** ზედა კერპთა მათთასა. და ჭამა ერმან მან **ნაზორევთა** მათთა და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა.“; შდრ. G: „და ჰხადეს მათ **ნაგებთა** მიმართ კერპთა მათთასა. და ჭამა ერმან **ნაგებთა** მათთა და თაყუანის-სცეს კერპთა მათთა“; იხ. ბერძნ. και ἐκάλεσαν αὐτοὺς ἐπὶ ταῖς θυσιαῖς τῶν εἰδῶλων αὐτῶν, καὶ ἔφαγεν ὁ λαὸς τῶν θυσιῶν αὐτῶν καὶ προσεκύνησαν τοῖς εἰδῶλοις αὐτῶν. სომხ. *Եւ կոչեցին գնոսա ի զոհս կոոց իւրեանց. Եւ եկեր ժողովուրդն ի զհօից նորա, Եւ երկիր պագին կոոց նոցա;* ლათ. *quae vocaverunt eos ad sacrificia sua at illi comederunt et adoraverunt deos earum;* სლავ. и призваша ꙗко въ **трѣехъ** кѣмиръ своихъ, и ѿдоша людиѣ **трѣехъ** ѿхъ и поклонишася кѣмиръамъ ѿхъ; „ცმელსა **ნაზორევთასა** სჭამდით და სუემდით თქუენ ღვნოსა ნაგებთა მათთასა“, II სჯ. 32,38 – BDES; შდრ. G: ცმელსა **ზორვილთა** მათთასა შჭამდით და ჰსუემდით ღვნოსა **ნაგებთა** მათთასა“. იხ. ბერძნ. ὁν τὸ στεᾶρ τῶν θυσιῶν αὐτῶν ἡσθίετε καὶ ἐπίνετε τὸν οὖνον τῶν σπονδῶν αὐτῶν. სომხ. *զորոց գճարպ զհօից նոցա ուտէիք Եւ ըմպէիք՝ գգինի նուիրաց նոցա;* ლათ. *de quorum victimis come-*

debant adipēs et bibebant vinum **libaminum** surgant; სლავ. ѿχ҃же т҃ѣкѣ жѣр҃твѣ ѿχ҃ъ ѿд҃а҃с҃тѣ, ѿ пїа҃с҃тѣ вїнѡ **т҃рѣбѣ** ѿχ҃ъ; „ცმელსა **ნაზორევსა** მათსა (**ნაზობრევთა** მათთასა ა) შჭამდით და ჰსუემდით თქუენ ღვნოსა **ნაგებთა** მათთასა“; გალობ. 2.38 – ABE; შდრ. გიორგისეული: „ცმელსა **ნაზორევთა** მათთასა შჭამდით და სუემდით ღვნოსა **ნაგებთა** მათთასა“; = II სჯ. 32,38, იხ. ზემოთ; ბერძნ. სომხ. ლათ. სლავ. შესატყვისები იგივე; „მიწერად მათა, რაათა განეყენნენ იგინი ჭამად **ნაზორევსაგან** კერპთადასა, და სიძვისაგან, და მშთვარისა, და სისხლისა“, საქ. მოც. 15.20; ბერძნ. ἀλλὰ ἐπιστειλαὶ αὐτοῖς τοῦ ἀπέχεσθαι τῶν **ἀλισυγμάτων** τῶν εἰδώλων καὶ τῆς πορνείας καὶ τοῦ πνικτοῦ καὶ τοῦ αἵματος; სომხ. տալ թողութս առ նոսա խորչել ի կերակրոց կուոց եւ ի պոռնրկութենէ եւ ի մեռելոսոց եւ յարենէ; ლათ. sed scribere ad eos ut abstineant se a **contaminationibus** simulacrorum et fornicatione et suffocatis et sanguine; სლავ. заповѣдати ѿмѣ ѡгрѣбѣтисѣ ѿ **т҃рѣбѣ** ѿдѣлскнхъ ѿ ѿвѣдѣнннхъ ѿ ѿкрѡвѣ; „ჭამად კერპთა-ნაზორევსა“, გამოცხ. 2.14; ბერძნ. φαγεῖν εἰδωλῶματα. სომხ. ուտել նոցա գոհնալ; ლათ. edere; სლავ. ѿс҃ти жѣр҃твѣ ѿдѣлскїа). ქართული „ზორვის“ ეკევივალენტად სომხურში უდიდესწილად გვხვდება საერთო ძირის „ზობ“, რაც „მსვერპლს“ ნიშნავს. როგორც ვნახეთ, ბერძნული **მისია** ასევე „ნაზორევადაა“ თარგმნილი „რიცხვთა“ წიგნის უადრესი ქართული თარგმანის ფრაგმენტში (ლიტერი I. იხ. ზემოთ რიცხვ. 25.2), რასაც გელათურ ბიბლიაში ცვლის „ნაგები“, ხოლო ბაქარისეულში „ნაკერპავი“. სომხურში აქაც „ზობ“ გვაქვს: **გოհა** (საგულისხმოა, რომ საქ. მოც. 15.20-ში დამოწმებული ბერძნული **ἀλισυγμάτων** გადმოცემულია ასევე როგორც „ნაზორევაგან“, თუმცა სომხურში „ზობ“ აღარ გვხვდება). „ნაზორევსა“ და **მისია**-ის შესატყვისობიდან გამომდინარეობს ქართული „საზორველის“ ეკევივალენტობა ბერძნული **მისიაστήριον**-ისადმი, რაც „სამსხვერპლს“, „საკურთხეველს“ ნიშნავს. ეს შესატყვისობა სახეზეა II ეზრ. 3.3-ში, II მეფ. 7.48-ში და სხვა (იხ. სქოლიო). საგულისხმოა, რომ

სომხურში ორივე შემთხვევაში შესატყვისია ქართულთან საერთო ძირის მქონე ტერმინები „ზოპარან“ - *զոհարան* (II ეზრ. 3.3) და „ზოპანოც“ - *զոհանոց* (III მეფ. 7.48). გარდა აღნიშნულისა, „საზორველი“ გადმოსცემდა ბერძნულ *σαιοβή*-საც (მაგ. „უზორვიდეს საზორველსა“, იერ. 32.39; შდრ. ბერძნ. *ζοειβιον σαιοβή*, ლათ. *libabant libamina*; აქაც სომხურში ქართულთან საერთო ძირის სიტყვებს ვხვდებით: „ზოპეინ ზოპს“ - *զոհեին զոհս*. შდრ. სლავ. *возлевиши возлевиши*).

8. მ. 10.32-33.

9. შდრ. ლ. 1.28.

10. „ყველაფერს ჩავწვი“ - შესაბამისი დედნისეული ადგილი, არსებული პუბლიკაციების მიხედვით, ამგვარია: „ყოველსა ზედა მივიწვი“. ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს „ყოველსა ზედამივიწვი“, ანუ მოცემულ ადგილას „ზედა“ უნდა იყოს არა თანდებული სიტყვისა „ყოველსა“ (ე. ი. არა „ყოველსა-ზედა“ ანუ „ყოველივეზე“), არამედ სახეზე უნდა გვქონდეს ზმნისწინიანი ფორმა „ზედა-მივიწვი“. მართლაც, ზმნა „ზედამიწვენა“, დადასტურებული უძველესი დროიდან, ნიშნავს „შეცნობას“, „ზედმიწვენით აღქმას“, „ჩაწვდომას“, ხოლო არსებითი სახელი „ზედამიწვენა“ (გვიანდელი ფორმებით: *ზედმიწვენულებაა//ზედმიწვენილებაა//ზედმიწვენულობაა*) გულისხმობს „გამოწვლილვას“, „ზედმიწვენილობას“, „აკრიზიას“, მოგვიანებით: „მეცნიერებას“, „ეპისტემოლოგიას“. მისი ძირითადი ბერძნული შესატყვისებია: *ἡ ἀκριβεία* (გელათურ სკოლამდე), *ἡ ἐπιστήμη* (გელათურ სკოლაში და პეტრიწთან). ეს საკითხი სხვაგან ვრცლად გვაქვს განხილული (იხ. ე. ჭელიძე, ტერმინოლოგია, გვ. 490-502; 582-588; 665-666), ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხსენებული არსებითი სახელის უძველესი დამოწმება „მწვდომელობის“, „მეცნიერების“ ანუ *ἐπιστήμη*-ს მნიშვნელობით სახეზეა „ეკლესიასტეს“ უადრეს ქართულ თარგმანში: „იგავნი და ზედამიწვენანი“ (ეკლ. 1.17; იხ. ი.აბ. ლექს., გვ. 164;

იხ. ე. ჭელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 585, შენ. 2), ხოლო ზმნური ფორმა დამოწმებულია „ეზრას“ პირველი წიგნის („პირველი ეზრას“) ასევე უადრეს (ოშკურ-იერუსალიმურ) რედაქციაში, სადაც მას კონტექსტის მიხედვით უდავოდ ბერძნული $\xi\lambda\iota\sigma\tau\alpha\mu\alpha\iota$ -ს გააზრება აქვს და ნიშნავს „გაგებას“, „შეტყობას“, „ჩაწვდომას“, რასაც ადასტურებს თუნდაც მომდევნო სიტყვა „გუაუწყე“ (შდრ. კონტექსტი: „ზედამიწიე ბრძანებასა კვროს მეფისასა და გუაუწყე ჩუენ ამის ყოვლისა საქმისათჳს“, I ეზრ. 6.21). შესაბამისად, დამაკმაყოფილებელია მოცემულ კონტექსტში აღნიშნული ტერმინის ი. აბულაძისეული განმარტება: „ზედამიწევნა - შეგნება, შეტყობინება“ (ი. აბ. დასახ. ლექს. გვ. 164). უფრო დაზუსტებითაა აპოკრიფების (მათ შორის, ხსენებული „პირველი ეზრას“) გამომცემლის ც. ქურციკიძის განმარტება: „ზედამიწევნა - შეტყობა“ (ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ. 1970, გვ. 436). საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ციტატაში „ზედამიწევნას“ სწორედ ირიბი დამატება აქვს შეწყობილი (მიცემითი ბრუნვა: „ზედამიწიე ბრძანებასა“), როგორც ეს ხსენებულ „მარტვილობაში“ გვაქვს: „ყოველსა ზედამიწიე“.

11. „ვიდრე უღვთობა“ - ეს სიტყვები დედანში უშუალოდ ებმის წინარე წინადადებას, მაგრამ აშკარაა, რომ ან თვით ეს სიტყვებია დამახინჯებული, ანდა მათ წინ აკლია ტექსტს რაღაც.
12. „ერთს... მეორეს... მეშვიდეს“ - დედანში არის ჩამოთვლა: „ერთსა ... ერთსა... ერთსა...“ და ა.შ., რაც ძველი ქართულისთვის ბუნებრივია, ახალ ქართულში კი შესაბამისი ფუნქციით რიგობითი რიცხვითი სახელები გამოიყენება.
13. შდრ.: „განვამდიდრო იგი ბოძითა“. არქაული ტერმინი „ბოძი“ ორგზის გვხვდება წმინდა წერილის ძველ ქართულ ვერსიებში, სადაც მას „წილის“, „ნაწილის“ მნიშვნელობა აქვს (ბერძნ. $\mu\acute{\epsilon}\rho\iota\varsigma$. სომხ. $\mu\acute{\alpha}\sigma\alpha\kappa$; ლათ. $pars$; სლავ. $\text{ч\acute{a}ст\text{ь}}$). თითოგზის დასტურდება, აგრეთვე, „ბოძება“ და „საბოძ-

ვარი“. მოვითანთ ნიმუშებს: „მიიღებდეს **ბოდსა** კაცად-კაცადი მისგან თავისა თვისისა, სოლო დიდად განდიდნა **ბოძი** ბენიამენისი უფრომს მათსა“ (შეს. 43.34 – O; შდრ. AKS: „მიიღებდეს იგინი **ბოდსა** კაცად-კაცადი და მიიხუნეს თავისა თვისისა, სოლო დიდად განდიდნებოდა **ბოძი** ბენიამენისი უფრომს მათსა“; შდრ. CB: „მოიხმიდეს **ნაყოფთა** მისთაგან მათდა მიმართ. სოლო განდიდნა **ნაყოფი** ბენიამენისი უფროს **ნაყოფისა** ყოველთასა“; ბერძნ. ἦραν δ **μερίδας** παρ’ αὐτοῦ πρὸς αὐτούς: ἐμεγαλύνθη δ **ἡ** μερὶς Βενιαμιν παρὰ τὰς **μερίδας** πάντων. სომხ. *առին իւրեանց մասունս ի նմանէ, եւ ԼԻՆԾԱԿԵԼ ՄԱՍՆ ԲԵՆԻԱՄԻՆԻ քան զմասունս; ლათ. sumptis **partibus** quas ab eo acceperant maiorque **pars** venit Benjamin ita ut quinque **partibus** excederet; სლავ. ВЗРАША **ЧАСТИ** ѿ НЕРѠ КЪ СЕБѢ: ВЪПАШАА ЖЕ БНІСТЬ **ЧАСТЬ** ВЕНІАМІНОВА ПАЧЕ ВСѢХЪ **ЧАСТЕЙ** ПАТЕРНЦЕЮ, НѢЖЕ ǾНЫХЪ); „**მიბოძე** მე ადგილი ქალაქსა ერთსა და მუნ დავეჯდე“ (I მფ. 27.5 – OFS; შდრ. Ja: „**მიბრძანე** ადგილი ქალაქსა ერთსა და ვიყო მე მუნ“; B: „**მომცე** მე ადგილი ერთი მოზღუდვილისა აგარაკსა ზედა და დავადგრე მუნ“; ბერძნ. **δῶτασαν** δὴ μοι τόπον ἐν μιᾷ τῶν πόλεων τῶν κατ’ ἄγρον καὶ καθήσομαι ἐκεῖ. სომხ. *տացես ինձ տեղի ի միում քաղաքաց յանդս, եւ նստայց անդ; ლათ. detur mihi locus in una urbium regionis huius ut habitem ibi; სლავ. Да ДАЧИ мѣ мѢСТО ВО ѢДИНѢМЪ ѿ РРАДЫВЪ НѢЖЕ НА СЕЛѢ, И САДЪ ТАМА); „და ყო მეფემან სმა ყოველთა თანა მეგობართა თვსთა შვდ დღე და აღამაღლა ქორწილი ესთერისი და განცხრომა ყო ყოველთა მიანიჭ[ნ]ა **საბოძვარნი** მრავალნი, ვითარცა შუენოდა დიდებულებასა მისსა“ (ესთ. 2.18 – S; შდრ. O: „და ყო მეფემან ქორწილი ესთერისი განცხადებულად, სოლო სსუათა მათ ბრძანა **განტევება** სოფლად თვსა“; შდრ. DFI: „და ყო მეფემან სუჰამა ყოველთა თანა მეგობართა თვსთა შვდ დღე და აღამაღლა ქორწილი ესთერისი და **სარკის მიტევება** ყო ასოცდაშვდთა მათ თესლთამ, რომელნი იყვნეს სამეფოსა მისსა“; B: „და უქმნა მეფემან ლხინი ყოველთა მეგობართა თვსთა და ძალთა შვდ დღე და აღამაღლა ქორწილი ესთერისა და ყო**

განსახარელი მყოფთა სამეფოსა შინა მისსა“; ბერძნ. και ἐποίησεν ὁ βασιλεὺς πρὸτον πᾶσι τοῖς φίλοις αὐτοῦ και ταῖς δυνάμεισιν ἐπὶ ἡμέρας ἐπτα και ἔψωσεν τοὺς γάμους Εσθηρ και **ἄφεισιν** ἐποίησεν τοῖς ὑπὸ τὴν βασιλείαν αὐτοῦ.. სომხ. *ხ. արար թագաւորն կոչունս ամենայն սիրելեաց իւրոց և զօրացն իւրոց զատուրս ելին, և բարձրացոյց նա զհարսանիսն Դեսթերայ. և հրամանս ետ թողութիւն առնել ամենացուն որ ընդ թագաւորութեամբ նորա էին*; ლათ. *et iussit convivium praeparari permagnificum cunctis principibus et servis suis pro coniunctione et nuptiis Hester et dedit **requiem** in universis provinciis ac dona largitus est iuxta magnificentiam principalem*; სლავ. *И сотвори ѿ царь пиръ вѣщмъ дрѣвѣмъ своимъ и сѣламъ сѣдмъ днѣмъ, и вознесе бракъ ѿсѣриимъ, и сотвори **Мрѣдѣ** сѣцымъ во царствѣи ѿгѣмъ*). აღვნიშნავთ, რომ ი. აბულაძეს დამოწმებული აქვს ტერმინ „**ბოძის**“ საყურადღებო ნიმუში: „**ბოძითა განგამდიდრნე**“ (ი. აბულაძე, ლექს. გვ.34). დავძენთ, რომ რადგან „**ბოძი**“ მეტად იშვიათი ლექსიკური ერთეულია, შესაბამისად, ი. აბულაძის მიერ დამოწმებული გამონათქვამის („**ბოძითა განგამდიდრნე**“) აშკარა დამთხვევა „მარტვილობის“ ზემორე სიტყვებთან („**განგამდიდრო იგი ბოძითა**“) გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უშუალო ტექსტობრივ კავშირთან და რომ ის თარგმანი, რომელსაც იმოწმებს ი. აბულაძე (კერძოდ, ესაა საკითხავი „წარტყუნვისათჳს ქრისტეს ჯუარისა“, რაც შემოგვინახა უძველესი ქართულენოვანი ტექსტების შემცველმა ცნობილმა ნუსხამ H 341, რომელიც ამავე დროს შეიცავს თვით „ევსტათის მარტვილობასაც“), ჰაგიოგრაფისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

14. „**ეშმაკი შეუვიდა**“ – შდრ. „**ეშმაკი შეუვდა**“; ანალოგიური გამონათქვამები წმინდა წერილის ძველ ქართულ ვერსიებში არაიშვიათია. მაგალითად: „სული უფლისაჲ განემორა საულისგან და **შეუვდა მას სული უკეთური** ბრძანებითა უფლისაჲთა და აჭირვებდა მას“ (I მფ. 16.14 – OFS; შდრ. JA: ‘ამიერითგან სული უფლისაჲ განემორა საულისგან და

სულმან უკეთურმან შეიპერა და აჭირებდა“; B: „სული უფლისა განემორა საულისგან და **შეაშთო იგი სულმან ბორტმან** უფლისაგან“); „ჭურიათა უღმრთოებისათჳს წინამსწარ სიტყუაჲ შემდგომად ქრისტეს მოსლვისა, რომელ **შეუჯდეს მათ ძკრი**“ (O, სქოლიო იერ. 16.18-ზე). კიდევ უფრო ხელშესახებია ლკ. 22.3, რაც ჩანს სწორედ გამოყენებული „მარტვილოზის“ ავტორის მიერ: „და **შეუჯდა ეშმაკი** იუდას“ (ჯრუჭ-პარხლისა და გიორგისეული; ჰჰადიშურს აკლია; შდრ. აგრეთვე: „ზრუნვანი ამის სოფლისანი და **საცთური სიმდიდრისაჲ შეუჯდის**“, მრ. 4.19 – DE და გიორგისეული; შდრ. ჰჰადიშ: „ზრუნვათა ამის სოფლისათა და **საცთურიმან სიმდიდრისამან, რომელ შეერინიან**“)

15. „**კალათი**“ - უძველეს ხელნაწერში (H 341) გვაქვს „**ფსირიდი**“ (= „**კალათი**“, ბერძნ. **σφύρις, σφύρινος**), სხვა ნუსხებში კი „**ფსიადი**“, რაც ძველ ქართულში, ერთი მხრივ, ნიშნავს „**ფიალას**“ (იხ. გამოსლ. 25.29 - ოშკური: „**ფსიადეები**“, საბასეული: „**ფიალები**“, ბერძნ. **ψύιας**, შდრ. ი. აბ. ლექს., გვ. 448), მეორე მხრივ კი - „**ჭილს**“, „**ჭილოფს**“, „**საგებს**“ (ბერძნ. **ψιαιος**). ასე რომ, კონტექსტის მიხედვით არც „**ფსიადია**“ შეუძლებელი (ცხადია, სხვაა ის საწერი „**ჭილი**“, რაც ბერძნულ **ψύριος**-ს გადმოსცემს; შდრ. იობ. 40.16/21).

16. „**სპარსთა მეფის წარგზავნილი**“ - დედანი: „**მწოდებელი სპარსთა მეფისაჲ**“. აღნიშნული ადგილი ადასტურებს, რომ „**მწოდებელი**“ სპეციალური ტერმინია და არა უბრალოდ მიმღობური ფორმა ზმნისა „**წოდება**“. მართლაც, აქ რომ „**მწოდებელი**“ ჩვეულებრივ „**მსმობელს**“ ნიშნავდეს, მაშინ „**მწოდებელი სპარსთა მეფისაჲ**“ „**სპარსეთის მეფის მსმობელად**“ უნდა გაგვეაზრებინა, რაც ნონსენსია. ასე რომ, „**მწოდებელი**“ გარკვეული ფუნქციის მქონე ნდობით აღჭურვილი პირის აღმნიშვნელია და კონკრეტულად „**მივლინებულს**“, „**წარგზავნილს**“, „**წარმომადგენელს**“ უნდა ნიშნავდეს. ამიტომ ვთარგმნეთ ზემოთაც „**მწოდებელი**“ „**წარგზავნილად**“ (ვგულისხმობთ უსტამ ციხისთავისგან ევსტათისადმი გაგზავ-

ნილ მხედარს). შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს მეფის ევნუქი ანუ საჭურისი, როგორც ამას გვაგულვებინებს ესთ. 6.14-ის ოშკური რედაქცია: „და ვითარ ამას ოდენ ზრახვიდა, **მოიწია მწოდებელი** და ასწრაფებდა მას პურად მეფისა თანა“ (შდრ. ფრაზეოლოგიური დამთხვევა: „**მწოდებელი** სპარსთა მეფისაჲ **მოიწია** არვანდ გუშნა[ს]პისა“) (შდრ. სხვა რედაქციები: DFI: „და ვიდრე-იგი ამას იტყოდეს, მოიწივნეს **საჭურისნი** და ასწრაფებდეს მისლვად სუმასა მას ამანს“; S: „და ვიდრე იგი ამას იტყოდა, მოიწინეს ორნი **საჭურისნი** და ასწრაფებდეს ამანს მისლვად სმასა მას“; B: „ და კუალად ამას ღა რაჲ ეტყოდეს მათ, მოვიდა **საჭურისი**, სწრაფად უვმეს ამანს სერსა ზედა“; იხ. ბერძნ. $\xi\tau\iota\ \alpha\upsilon\tau\omega\nu\ \lambda\alpha\lambda\omicron\sigma\upsilon\nu\tau\omega\nu\ \pi\alpha\rho\alpha\gamma\acute{\iota}\nu\omicron\nu\tau\alpha\iota\ \omicron\iota\ \epsilon\sigma\nu\omicron\nu\chi\omicron\iota\ \epsilon\pi\iota\sigma\pi\epsilon\upsilon\delta\omicron\nu\tau\epsilon\varsigma\ \tau\omicron\nu\ \text{Αμ}\alpha\nu\ \epsilon\pi\grave{\iota}\ \tau\omicron\nu\ \pi\acute{\omicron}\tau\omicron\nu\ \nu\omicron\nu\ \eta\tau\omicron\iota\acute{\iota}\mu\alpha\sigma\epsilon\nu\ \text{Ε}\sigma\theta\eta\rho.$ სომხ. *եւ միշնչեւ նոքա խօսէին, եկին երկու ներքինիք կոչել զՀաման ի ճաչ տիկնոջն*; ლათ. *adhuc illis loquentibus venerunt eunuchi regis et cito eum ad convivium quod regina paraverat pergere compulerunt*; სლავ. $\text{И}\ \epsilon\upsilon\mu\grave{\epsilon}\ \gamma\lambda\alpha\gamma\omicron\lambda\omicron\upsilon\mu\omicron\upsilon\mu\omicron\ \eta\mu\omicron\upsilon\ \pi\rho\acute{\iota}\nu\delta\omicron\sigma\alpha\ \epsilon\upsilon\nu\acute{\iota}\chi\eta\ \sigma\pi\acute{\iota}\sigma\eta\sigma\alpha\ \zeta\omicron\nu\epsilon\delta\acute{\iota}\mu\epsilon\ \acute{\alpha}\mu\acute{\alpha}\nu\alpha\ \eta\alpha\ \eta\acute{\iota}\rho\upsilon\ \epsilon\grave{\iota}\rho\acute{\omicron}\zeta\epsilon\ \omicron\gamma\omicron\tau\acute{\omicron}\nu\alpha\ \epsilon\acute{\iota}\sigma\theta\acute{\iota}\rho\upsilon\ \epsilon\grave{\iota}\sigma\theta\acute{\iota}\rho\upsilon$).

17. „სეფეწული“ - მეფური ჩამომავლობის დიდგვაროვანი, ბერძნ. **βασιλικός** (შდრ. ამ ტერმინის ერთადერთი დამოწმება „ძველი აღთქმის“ ოშკურ რედაქციაში, ესთ. 9.3: „მთავარნი და ველმწიფენი, კარანნი და **სეფეწულნი** და ყოველნი მწიგნობარნი პატივ-სცემდეს ჰურიათა“; DFI: „მთავარნი სოფლებისანი და ძლიერნი მეფენი პატივ-სცემდეს მათ“; S: „ყოველნი მსაჯულნი და სპასპეტი და მთავარნი სათნო-ეყვნეს ჰურიათა“; B: „მთავრობელნი კერძოთა და მპყრობელნი და მეფობათა მწიგნობარნი წარუკითხევდენ ებრაელთა“; ბერძნ. $\omicron\iota\ \gamma\alpha\rho\ \acute{\alpha}\rho\chi\omicron\nu\tau\epsilon\varsigma\ \tau\omega\nu\ \sigma\alpha\tau\rho\alpha\pi\omega\nu\ \kappa\alpha\iota\ \omicron\iota\ \tau\upsilon\rho\alpha\nu\nu\omicron\iota\ \kappa\alpha\iota\ \omicron\iota\ \beta\alpha\sigma\iota\lambda\iota\kappa\omicron\iota\ \gamma\rho\alpha\mu\mu\alpha\tau\epsilon\acute{\iota}\varsigma\ \xi\tau\acute{\iota}\mu\omega\nu\ \tau\omicron\varsigma\ \text{Ιουδαίου}\varsigma.$ სომხ. *իշխանք՝ որ ի վերայ նախարարացն նոցա կացեալ էին, եւ կուսակալք եւ արքունի դպր-ապետք պատուէին զՀրեայսն*; ლათ. *nam et provinciarum iudices duces et procuratores omnisque dignitas quae singulis locis et operibus praeerat extollebant Iudaeos*; სლავ. $\text{Н}\alpha\upsilon\delta\alpha\iota\sigma\tau\epsilon\upsilon\delta\omicron\upsilon\mu\acute{\iota}\eta\ \eta\ \sigma\epsilon\phi\epsilon\upsilon\tau\omicron\upsilon\lambda\omicron\iota$

BO CTPÁНАMЪ ѿ BΛACTHTEΛIЄ ѿ **църцѣи** KHHΓOYIΔA ΠOCHHTÁXZ
 ἸδΔΕΐ; ი. აბულაძეს მითითებული აქვს საყურადღებო ნიმუში,
 ი. 4.46, ჰჰადიშური: „მუნ იყო **სეფეწულ** ერთ“, ხანმეტური
 და ჯრუჭ-პარხლისა: „იყო ვინმე **სამეუფოასა კაცი**“ (ხანმ.
 „**სამეუფო კაცი**“, იხ. ხანმეტი ტექსტები, I, ლ. ქაჯაიას
 გამოც., თბ., 1984, გვ. 126); გიორგისეული და ე. წ. ექვთიმე-
 სეული: „... **სამეუფოთ მოსრული კაცი**“, ი. აბ. ლექს., გვ.
 388; ბერძნ. βασιλικός, ლათ. regulus, სომხ. *թագաւորաց*,
 სლავ. царев мѣж, რუს. **царедворец**, ინგლ. nobleman).

18. ე. ი. აღესრულა.

19. „ქრისტიანობენ“ – შდრ. „ქრისტეანობენ“. ეს რთული
 ტერმინი დამადასტურებელია ქართული საეკლესიო ტერმი-
 ნოლოგიის მნიშვნელოვანი დაწინაურებულობისა აღნიშნულ
 ეპოქაში. მითითებული სიტყვა ბერძნულად ასე იქნებოდა
Χριστιανίζουσιν. ცნობილია, რომ ტერმინი „ქრისტიანიზმი“
 (**Χριστιανισμός**.) წმ. ეგნატი ანტიოქიელმა გამოიყენა პირვე-
 ლად II ს-ის დამდეგს (რომლის ზმნური ფორმაცაა ზემორე
 სიტყვა), შექმნილი პავლე მოციქულისგან გამოყენებული „ჰუ-
 რიაების“ (**Ἰουδαισμός**) (შდრ. გალატ. 2.14: καὶ προέκοπτον
ἐν τῷ Ἰουδαισμῷ ἢ π πολλοὺς συνηλικιώτας ἐν τῷ γένει μου,
 περισσοτέρως ζήλωτες ἢ ἀρχὰς τῶν πατρικῶν μου
 παραδόνσεων.) ანალოგიით. ზმნა **Χριστιανίζω** გვხვდება ორი-
 გენესთან, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან, კირილე სკვითო-
 პოლელთან, V ს-ის საეკლესიო ისტორიკოსებთან და სხვ.

20. შდრ. „მთავარნი იგი კაცნი“ - ე. ი. წარჩინებულები.

21. „ჟამნობა“ - აღნიშნული ტერმინი (შდრ. „**ჟამნობაჲ**“)
 მოცემულ ადგილას (და არა უკლებლივ ყველა შემთხვევა-
 ში) უიგივდება „**ჟამობას**“, რომელიც ჩვეულებრივ, გად-
 მოსცემს ბერძნულ **ψάλλω**-ს და, შესაბამისად, ერთი მხრივ
 ნიშნავს საკუთრივ ფსალმუნთა გალობას სათანადო ჟამთა
 ანუ საათთა მიხედვით (შდრ. კიმენი II, გვ. 223), მეორე

მხრივ კი, გაცილებით ხშირად, ზოგადად საეკლესიო ლოცვასა და გალობას (საკუთრივ „**ჟამნობისთვის**“ უფრო ნიშანდობლივია პირველი მნიშვნელობა). საგულისხმოა, რომ წმ. ექვთიმე ათონელი ბერძნულ **ψάλλω**-ს ქართულად თარგმნის „**ლოცვად**“ და სინონიმურ შესატყვისად ურთავს „**ჟამობას**“, ხოლო **ψαλμῳδία**-ს, რასაც საზოგადოდ შეესატყვისება სწორედ „**ჟამობა**“, გადმოსცემს ტერმინით „**გალობა**“ (იხ. „მცირე სჯ.“, ტრულის კრების კანონი 75, ექვთიმეს მიხედვით 63: ბერძ. **Τὸς ἐπὶ τῷ ψάλλειν ἐν ταῖς ἐκκλησίαις παραγινόμενους, βουλόμεθα μῆτε βραῖς ἀτάκτοις κειρῆσθαι, καὶ τὴν φύσιν πρὸς κραυγῆν ἐκβιάζεσθαι, μῆτε τι ἐπιλέγειν τῶν μὴ τῆ ἐκκλησίᾳ ἀρμοδίων τε καὶ οἰκείων· ἀλλὰ μετὰ πολλῆς προσοχῆς καὶ κατανύξεως τὰς ψαλμῳδίας προσάγειν τῷ τῶν κρυπτῶν ἔφῳρῳ Θεῷ.** ექვთიმეს თარგმანი: „რომელნიცა **ლოცვად** შეკრებოდინ ეკლესიათა შინა, გამცნებთ, რამათა არა უწესოათა ვმითა აღასრულებდენ **ჟამობასა**; ნუცამცა რას იტყვან, რომელ არა საეკლესიო და წესიერი იყოს, არამედ ფრიადითა კრძალულებითა და ღმობიერებითა შესწირვიდენ **გალობასა** მას უფლისა“. საგულისხმოა, რომ არსენ იყალთოელი, ამავე კანონის თარგმნისას, ხსენებულ **ψάλλω**-ს უფარდებს ორ სიტყვას „**ლოცვა და გალობა**“. საყურადღებოა, რომ **ψαλμῳδία**-ც, არსენისგან გადმოტანილია როგორც „**ლოცვა**“. შევადართო: „რომელნი ეკლესიათა შინა ლოცვად და გალობად შემოკრებოდინ, გუნებავს მათი, რამათა არცა უწესოთა ვმობათა ივუმევდენ და ბუნებასა ვავილებით ღაღადებად აიძულებდენ, არცა იტყოდინ რასმე, რომელი არა შესატყვს და საკუთარ იყოს ეკლესიისა, არამედ რამათა ფრიადითა კრძალულებითა და ღმობიერებითა შესწირვიდენ ეგევითართა მათ **ლოცვათა** დაფარულთა საქმეთა მათთა ზედამხედველისა ღმრთისა“, დიდ. სჯ. თბ. 1976, გვ. 397).

22. „ზაგინი“ - ეს ტერმინი ხშირად გვხვდება „**ძველ აღქმაში**“. მაგალითად:

„**ზაგინებნი** იგი მათნი დაამკუენ, ძეგლები იგი მათი დამუსრე, მალნარები იგი მათი აკაფე და ხატები იგი კერპებისა

მის მათისა შეჰმუსრე და ცეცხლითა დაწვ“ (გამოსლ. 34.13 – AK; შდრ. B(O?); „**ბომონები** მათი შემუსრეთ, კერპნი მათნი შემუსრეთ და მუხოვანნი მათი მოჰკაფეთ, და გამოქანდაკებულნი იგი ღმერთთა მათთანნი დასწუნეთ ცეცხლითა“; შდრ. S: „**ბომონნი** მათნი დაარღვე და ძეგლები მათი შეჰმუსრენ, და სერტყები მათი მოჰკაფენ და გამოქანდაკებულნი იგი ღმერთთა მათთანნი დაწუნენ ცეცხლითა“. ბერძნ. **τοὺς βωμοὺς** αὐτῶν καθελείτε καὶ τὰς στήλας αὐτῶν συντρίψετε καὶ τὰ ἄλση αὐτῶν ἐκκόψετε καὶ τὰ γλυπτὰ τῶν θεῶν αὐτῶν κατακαύσετε ἐν πυρὶ. სომხ. *գրագինս նոցա կործանեսցիք, եւ զարձանս նոցա փշրեսցիք, եւ զանտառս նոցա կոտորեսցիք, եւ զդրօշեալս դից նոցա հրով այրեսցիք*; ლათ. **aras eorum destrue confringe statuas lucosque succide**; სლავ. **кѣпища** ѿчъ разорѣте ѿ кѣміры ѿчъ сокрѣшіте, ѿ дѣбрѣвы ѿчъ пощѣячіте, ѿ нѣвѣаинаа богѡвъ ѿчъ сожжіте ѡгнѣмъ); „მოსპოთ ყოველი **ბაგინები** მათი“ (რიცხვ. 33.52 – **AKB(O?)**; შდრ. S: „მოსპოთ ყოველი **ბა-ნაკები** მათი“; შდრ. G: „მოსპნეთ **ბომონნი** მათნი“; ბერძნ. ἐξαρείτε **τὰς σκοπιὰς** αὐτῶν. სომხ. *կործանեսցիք զդիտանոցս*; ლათ. **confringite titulos**; სლავ. **разрѣшіте стравѣни** ѿчъ); „არამედ ესრეთ უყოთ თქუნენ მათ: **ბაგინები** მათი დაამკვთ, ძეგლები მათი დამუსრეთ, სერტყები მათი დაკაფეთ, ძეგლები მათი დაწუნეთ ცეცხლითა“ (II სჯ. 7.5 – **ABEKS**; შდრ. Gb: „არამედ ესრეთ უყოთ მათ: **ბომონები** მათი დაარღვეთ, ძეგლები მათი დამუსრეთ და სერტყები მათი მოკაფეთ და ქანდაკებულნი მათნი დაწუნეთ ცეცხლითა“; შდრ. ბერძნ. ἄλλ’ οὐτως ποιήσετε αὐτοῖς: **τοὺς βωμοὺς** αὐτῶν καθελείτε καὶ τὰς στήλας αὐτῶν συντρίψετε καὶ τὰ ἄλση αὐτῶν ἐκκόψετε καὶ τὰ γλυπτὰ τῶν θεῶν αὐτῶν κατακαύσετε πυρὶ. სომხ. *Այլ այսպէս արասցիք նոցա: գրագինս նոցա կործանեսցիք, եւ զարձանս նոցա փշրեսցիք, եւ զանտառս նոցա կոտորեսցիք, եւ զդրօշեալս նոցա այրեսցիք* հրով; ლათ. **quin potius haec facietis eis aras eorum subvertite confringite statuas lucosque succidite et sculptilia conburite**; სლავ. **Но оуце да сотворишѣ ѿмъ: трѣбнища** ѿчъ разсѣпаете, ѿ столпи ѿчъ да сокрѣшіте, ѿ дѣбрѣвы ѿчъ да пощѣячіте, ѿ ваѣниа

ΒΟΓΩΒΨ ΗΨΧ ΔΑ ΣΟΖΖΕΤΕ ΟΓΗΕΜΨ); „და მიიღეს საჭურველი მათი და დადევს **ბაგინსა** მას კერპთა მათთასა და გუამი მისი ჯუარს აცუეს ზღუდეთა ზედა ბეთსანისასა“ (I მფ. 31.10 - FO; შდრ. Ja: „და მიიღეს ჯაჭუ-ჭური მისი, დადევს **ბაგინსა** შინა კერპთა მათთასა და გუამი მისი ჯუარს-აცუეს (S: „დამო-ჰკიდეს“) ზღუდეთა ზედა ბეთსანისათა“; შდრ. B: „და დადევს საჭურველი მისი **ასტრატეს თანა** და გუამი მისი შთადევს ზღუდესა შინა ვეთსანისასა“; ბერძნ. καὶ ἀνέθηκαν τὰ σκεῦῃ αὐτῶν εἰς τὸ Ἀσθαρτεῖον καὶ τὸ σῶμα αὐτῶν κατέπηξαν ἐν τῷ τείχῃ Βαιθσαν. სომხ. եւ եղին զկարասին նորա յԱստարտիոնն, եւ զմարմինս նոցա ՝ կախեցին զպարսպէն Բեթսանայ; ლათ. et posuerunt arma eius in **templo Astharoth** corpus vero eius suspend-erunt in muro Bethsan; სლავ. и положиша оръжіе єго ѿ астарта, тѣло же єго воукинѣша на стѣнѣ бѣтсамн; შდრ. ებრაულის რუსული თარგმანი: и положили оружие его в **капище Астарты**, а тело его повесили на стене Бет-Сана. საყურადღებოა, რომ „ბაგინის“ შესატყვისი დასტურ-დება მხოლოდ ებრაულში, როგორც ამას გვიდასტურებს ებრაულიდან თარგმნილი ლათინური და რუსული); „და აღაშენნა მალაღნი იგი, რომელნი დაამკუნა ეზეკია, მამამან მისმან; და აღაშენნა **ბაგინნი** იგი ბაალისნი და განაწესნა მალნარნი იგი, ვითარსახედ განაწესნა აქაბ, მეფემან ისრაელისამან, და თავყუანის-სცა ყოველთა ძალთა ცისათა და ჰმონა მათ. “ (IV მფ. 21.3 - OJa; შდრ. Ja: „და აღაშენნა მალაღნი იგი, რომელ დაამკუნა ეზეკია, მამამან მისმან; და აღაშენნა **ბაგინნი** იგი ბაალისნი და განაწესნა ქურუმნი, ვითარ აქაბ, მეფემან ისრაელისამან, და თავყუანის-სცა ყოველთა ძალთა ცისათა და ჰმონა მათ“; შდრ. FJS: „და აღაშენნა მალაღნი იგი, რომელ დაამკუნა ეზეკია, მამამან მისმან და აღაშენნა **ბაგინნი** იგი ბაალისნი და ქმნა მალნარნი იგი (FJ: „განაწესნა ქურუმნი“), ვითარსახედ ქმნა აქაბ, მეფემან ისრაელისამან, და თავყუანის-სცა ყოველთა ძალთა ცისათა და მონებდა მათ“; შდრ. B: „და მიიქცა და აღაშენნა მალაღნი, რომელნი და-არღვნა მამამან მისმან ეზეკია, და აღადგინა **სამსხუერპლო**

ბაალისა და ქმნნა მალნარნი, ვითარცა ქმნნა აქაბ, მეფემან ისრაელისამან, და თაყუანის-სცა ყოველსა ძალსა ცათასა და დაემონა მათ “; ბერძნ. καὶ ἐπέστρεψεν καὶ ἠκοδόμησεν τὰ ἠψηλά, ὡ κατέσπασεν Ἐζεκιας ὁ πατήρ αὐτοῦ, καὶ ἀνέστησεν **θυσιαστήριον** τῆ Βααλ καὶ ἐποίησεν ἄλση, καθὼς ἐποίησεν Ἀχαιβ βασιλεὺς Ἰσραηλ, καὶ προσεκύνησεν πάσῃ τῆ δυνάμει τοῦ οὐρανοῦ καὶ ἐδούλευσεν αὐτοῖς. სომხ. *ხ. դարձաւ շինեաց զբարձունսն զոր կործանեաց եգեկիա հայր նորա, և կանգեաց գսեղանս Բահալու, և արար անտառ որպես արար Աքաբը արքայ սրայեկի, և երկիր եպագ ամենայն զօրովսեան երկնից և ծառայեաց նոցա;* ლათ. *conversusque est et aedificavit excelsa quae dissipaverat Ezechias pater eius et erexit aras Baal et fecit lucos sicut fecerat Ahab rex Israhel et adoravit omnem militiam caeli et coluit eam;* სლავ. *и ѿбратѣсѧ, и создѧ высѡкаѧ, иже разорѣн ѡтѣцѧ єгѡ єзекиѧ, и воздвѣже жєртвенникѧ баалѧ, и сотвори ѧдєрѧвы, иже сотвори ахаѧвѧ царѧ иишевѧ, и поклонѣсѧ всєи сѧиѧ небєснѣи и порабѡта иишѧ); „ბაგინნი იგი ... დაარღვნა ... და ბაგინნი იგი მაღალნი ... დაამკუა ... დაწუნა იგინი ზედა ბაგინთა მათ“ (IV მფ. 23.12,15,16 – O; შდრ. FJSJa: „საკურთხეველები იგი ... დაარღვია ... და საკურთხეველიცა იგი მათი მაღალი დაარღვა ... და დაწუნა იგი საკურთხეველსა მას ზედა“; შდრ. ვ: „და საკურთხეველი ... აღმოთხარა ... და საკურთხეველი ... მაღალი აღმოთხარა ... და დაწუნა საკურთხეველსა ზედა“; ბერძნ. τὰ θυσιαστήρια ... καθεῖλεν ... καὶ γε τὸ θυσιαστήριον ... τὸ ἠψηλόν ... συνέτριψεν ... καὶ κατέκαυσεν ἐπὶ τὸ θυσιαστήριον. სომხ. *գսեղանս ... քսեաց ... և գսեղանս ... զբարձր` ... կործանաց ... և պրեաց ի վերայ սեղանոյն;* ლათ. *altaria quoque ... destruxit ... et altare ... excelsum ... destruxit ... conbusit ea super altare;* სლავ. *Ѡлтарѧ ... разсѡпаѧ царѧ ... и Ѡлтарѧ ... высѡкѣи ... сокрѡши ... и сожжє на Ѡлтарѧи); „და აჰა, მსგავსება ტაძრისა და სახლისა მისისა და კამარისა მისისა და ზედა სახლისა დასადებელნი ბაგინთა და სახლისა სალხინებელისა და მსგავსებისა სახლისა უფლისაჲ.“ (I ნშტ. 28.20 - B(O?); სხვა**

ვერსიებს აკლია; შდრ. F1SD: „და აჰა, ესერა, სახე ტაძრისა და სახლისა მისისა, და ზაქო და ქერობინისა და საუნჯეთა მათ შინაგანთა და სახლისა მის სალხინებელისა და სახე სახლისა უფლისა.“; ბერძნ. καὶ ἴδου τὸ παράδειγμα τοῦ ναοῦ καὶ τοῦ οἴκου αὐτοῦ καὶ ζακχὼ αὐτοῦ καὶ τὰ ὑπερῶα καὶ τὰς ἀποθήκας τὰς ἐσωτέρας καὶ τὸν οἶκον τοῦ ἰλασμοῦ καὶ τὸ παράδειγμα οἴκου Κυρίου. სომხ. *եւ ահա այդ է օրինակ տաճարին եւ վերնատանցն եւ շտեմարանացն, ներքնատանցն եւ տանն քաւութեան, եւ օրինակ տաճարին օեառն այդ է`*; ლათ. აკლია; სლავ. и сѣ, ПОДОбІЕ ЧРѢМА и ДОМѢ ЕГѠ, и КАМАРЪ ЕГѠ, и ГОРНИЦЪ, и ПОЛАГАНИЦЪ ВНѢТРЕННИХЪ, и ДОМѢ АЧИЩЕНІА, и ПОДОБІЕ ДОМѢ ГДІАА); „ვითარ-სახედ წარმოტყუენა ყოველი **ბაგინები** მათი და მისცნა იგინი განსარყუნელად“ (ივდ. 4.1 - ODFIS; შდრ. В: „არა იგივე უქმნეს იერუსალემსა და ტაძარსა უფლისასა, რომელი - სხუათა ქალაქთა და **ბომონთა** მათთა“; ბერძნ. ὃν τρόπον ἐσκύλευσεν πάντα τὰ ἱερὰ αὐτῶν καὶ ἔδωκεν αὐτὰ εἰς ἀφανισμόν., სომხ. *Թորպէս քահրբաց գամենայն մեհենանս նոցա եւ արա՛ր գնոսայապականութիւն;* სლავ. иже ѿбразоу расхѣти всѣ **сѡщѣнникѡ** и хъ и даде сѣ во истрѣбленіе); „განარისხნეს იგი **ბაგინებსა** მათსა და კერპებითა მათითა აშურეს მას“ (ფს. 77.58 - ABCDEF; შდრ. გიორგი: „განარისხეს იგი **ბორცუებსა** ზედა მათსა და კერპებითა მათითა აშურებდეს მას“; ბერძნ. παρώργισαν αὐτὸν ἐν τοῖς βουνοῖς αὐτῶν καὶ ἐν τοῖς γλυπτοῖς αὐτῶν παρεζήλωσαν αὐτόν. სომხ. *դարձեալ բարկացուցին զնա ի բագինս իւրեանց, եւ դրօշկովքիւրեանց նախանձարկին նմա;* ლათ. in ira concitaverunt eum in **collibus** suis et in sculptilibus suis ad aemulationem eum provocaverunt; სლავ. прогнѣваша егѡ **въ хѡлмѣхъ** своѣхъ, и во истрѣканнѣхъ своѣхъ раздражѣша егѡ); „დაარღვნა ეზეკია მაღალნი და **ბაგინები** მათი“ (ეს. 36.7 - OJ; ბერძნ. ἀφείλεν Εζεκιας τὰ ὑψηλά αὐτοῦ καὶ τὰ **θυσιαστήρια** αὐτοῦ. სომხ. *քակեաց եզեկիա գբարձունս եւ գսեղանս նորա;* ლათ. abstulit Ezechias excelsa et **altaria**; სლავ. разоуи езекіа высѡкаѡ и **трѣбнѣма** егѡ); „და აღაშენეს **ბაგინი** (O: „**ბაგინები**“) იგი ტაფეთისაჲ“ (იერ.

7.31 - OJ; შდრ. G: „ და აღეშენეს **ბომონი** ტაფეთისი ... არლარა თქუან მერმე: **ბაგინი** ტაფეთისი“; ბერძნ. και ἱκοδομησαν **τὸν βωμὸν** τοῦ Ταφεθ ... οὐκ ἔροῦσιν ἕτι **Βωμὸς** τοῦ Ταφεθ. სომხ. *յիսեցին բազին օսիხեթայ ... եւ ոչ եւս ասասցեն Բագին օսիხեթայ*; ლათ. *et aedificaverunt **excelsa** Thofeth ... non dicitur amplius **Thofeth***; სლავ. и создаша **Трѣница** тафѣгѣ ... не рекѣтъ кто мѣ: **Трѣница** тафѣгѣво); „**ბაგინნი**“ (იერ. 11.13 - OJ; შდრ. G: ‘**ბომონნი**’; ბერძნ. βωμοῦς. სომხ. *բագինս*; ლათ. *aras*; სლავ. ὄλταρη); „აღმაველი **ბაგინსა** ზედა“ (იერ. 48.35 - OJ; შდრ. G: „აღმაველი **ბომონსა** ზედა“; ბერძნ. ἀναβαίνοντα ἐπὶ **βωμὸν**. სომხ. *որ ելանէր ի բագինս*; ლათ. *offerentem **in excelsis***; სლავ. *жрѣцаго на горѣхъ*); „**ბაგინნი** (O: „**ბაგინნი**“)მისნი ცეცხლითა დაიწუნენ“ (იერ. 49.2 - OJ; შდრ. G: „**ბომონნი** მათნი ცეცხლისა მიერ დაიწუედ“; ბერძნ. **βωμοὶ** αὐτῆς ἐν πυρὶ κατακαυσθήσονται. სომხ. *բագինք նորս հրով պրեხցին*; ლათ. ***filiaeque** eius igni succendentur*; სლავ. *Трѣница ѣгнѣмъ сожжѣна вѣдѣтъ*); „შეიმუსრნენ საკურთხეველნი თქუენნი და **ბაგინები** თქუენი ... მოვსრა საკურთხეველები თქუენი და შეიმუსროს კერპები თქუენი და მოოვრდეს **ბაგინები** თქუენი“ (ეზეკ. 6.4 - OJ; შდრ. „უჩინო-იქმნენ მსხუერპლისსაცავნი თქუენნი და შეიმუსრნენ **ტაძარნი** თქუენნი ... მოესრულოს და ცოდოს მსხუერპლისსაცავებმან თქუენმან და შეიმუსროს და განიბძაროს კერპები თქუენი და მოისპოს **ტაძრები** თქუენი“; ბერძნ. συντριβήσονται τὰ θυσιαστήρια ἱμῶν και τὰ **τεμένη** ἱμῶν ... ἐξολεθρευθῆ τὰ θυσιαστήρια ἱμῶν, και συντριβήσονται τὰ εἰδῶλα ἱμῶν, και ἐξαρθήσεται τὰ **τεμένη** ἱμῶν. სომხ. *կործանեսցին սեղանք ձեր, եւ խորտակեսցին մեհանք ձեր ... պակասեսցին սեղանք ձեր, եւ խորտակեսցին եւ դադարեսցին կուռք ձեր, եւ բարձցն մեհանք ձեր*; ლათ. *demoliar aras vestras et confringentur **simulacra** vestra ... et interibunt arae vestrae et confringentur et cessabunt idola vestra et conterentur **delubra** vestra*; სლავ. *сокрѣшатъца Трѣница вѣша и кѣмірницы вѣши ... да потрѣвѣтъца Трѣбницы вѣши и сокрѣшатъца, и пресѣанѣтъ кѣміры вѣши, и шверѣтъца **кѣмірницы***

ΒΑΨΑ); „დაივიწყა ისრაელმან შემოქმედი თვისი და იშენა **ბაგინები**“ (ოს. 8.14 - O; შდრ. SB: „დაივიწყა ისრაელმან შემოქმედი თვისი და აღაშენნეს **ტაძარნი**“; ბერძნ. ἐπελάθετο Ἰσραηλ τοῦ ποιήσαντος αὐτὸν καὶ ῥοκοδόμησαν **τεμένη**. სომხ. *մոռացաւ ջարայէլ զԱրարիչ իւր եւ շինեցին մեհնանս*; ლათ. oblitus est Israhel factoris sui et aedificavit **delubra**; სლავ. *забылъ имъ сотворшаго и и возградилъ **трѣнища***);

ამჯერად „ახალი აღთქმის“ სამი ნიმუში ვნახოთ: „რამეთუ მოიყვანენით კაცნი ესე, არცა **ბაგინისმძარცველ**, არცა მგომობარ არიან ღმრთისა ჩუენისა“ (საქ. მოც. 19.37; ბერძნ. ἡγάγετε γὰρ τοὺς ἄνδρας τοῦτους οὗτε **ἱεροσῶλους** οὗτε βλασφημοῦντας τὴν θεὸν ἡμῶν. სომხ. *ածէք զարսդ զպղոսիկ այսր, ոչ մեհնակապուսս եւ ոչ հაკոյշս աստուածոպէս մերոյ*; ლათ. adduxistis enim homines istos neque **sacrilegos** neque blasphemantes deam vestram; სლავ. *приведѡте во мѡжѣи чѣхъ, ни **хрѡмъ** (ἀρτεμίδην) ἁκράδωνъ*, ниже богѣиу ваши *χθλιψиχъ*); „**ბაგინსაცა** აზმნა შეგინებად“ (საქ. მოც. 24.6 - ლ; შდრ. **ჟ**: „**ტაძარსაცა** აზმნო შეგინებად“; ბერძნ. καὶ **τὸ ἱερόν** ἐπέιρασεν βεβηλῶσαι. სომხ. *եւ գտადարն իսկ կամեցաւ պղծել*; ლათ. **templum** violare conatus est; სლავ. *и цѣрковѣ похѣчилъ ἁсквернѣти*); „ანუ არა უწყით, რამეთუ რომელნი **ბაგინისასა** მას იქმედ (**ჟ**: „**ბაგინსა** ჰმსახურებედ“), **ბაგინისაგან** ჭამედ (**ჟჟ**: „ჭამიან“)? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე დგანედ, საკურთხეველისაგან ნაწილი განილიან?“ (Iკორ. 9.13 - AB; შდრ. CD: „არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი **ბაგინსა** ჰმსახურებედ, **ბაგინისაგან** ჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე დგანედ, საკურთხეველისაგან ნაწილი განილიან?“; ბერძნ. οὐκ οἴδατε ὅτι οἱ **τὰ ἱερά** ἐργαζόμενοι τὰ ἐκ **τοῦ ἱεροῦ** ἐσθίουσιν, οἱ τῷ θυσιαστηρίῳ παρεδρεύοντες τῷ θυσιαστηρίῳ συμμερίζονται; სომხ. *ոչ գիտէք, եթէ որ ի տաճարին գործեն՝ ի տաճարէ անտի ուտեն, եւ որ սեղանոյն պաշտօնեայք են~ ի սեղանոյ անտի վայելեն*; ლათ. nescitis quoniam qui in **sacrario** operantur quae de **sacrario** sunt edunt qui altario deserviunt cum altario participantur; სლავ. **Не** вѣсте ли, ꙗко

Δέκλωνται ἡ ἀμείνια ἡ σελτήνια ἡ ἀδύτη; (ἡ) σιζάται ἡ ὀλιτάρη σο ὀλιτάρημα δέκλωνται).

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ „ზაგინი“ არსებითად იგივეა, რაც ბერძნული **ὁ βωμός** („ბომონი“). იგი აგრეთვე უიგივდება არაეკლესიური შინაარსით გამოყენებულ **τὸ ἱερὸν**-ს („ტაძარი“), ისევე როგორც შეიძლება გადმოსცემდეს **τὸ τέμενος**-ს („სალოცავი ადგილი“), **τὸ θυσιαστήριον**-ს („საკურთხეველი“), **ἡ σκοπιά**-ს („ამაღლებული ადგილი“), **ὁ βουνός**-ს („ბორცვი“) და მისთ. სხვაენოვანი შესატყვისებიდან (იხ. ზემოთ) განსაკუთრებით საგულისხმოა სომხური „ზაგინ“ (**բագին**), რომელიც რამდენიმეჯნის თანხვედება ქართულ ტექსტში დამოწმებულ „ზაგინს“ (ამგვარი თანხვედომანი, ჩვენნი აზრით, შესაბამის ადგილებში სომხურ-ქართული ტექსტების ურთიერთდამოკიდებულებას ცხადყოფს).

23. აქ ტექსტი დამახინჯებულია, რადგან მეორდება აბრაამის ქანაანში დამკვიდრება.
24. „ქებრონის“ ნაცვლად D ნუსხაში (A 176) არის „ქანაანი“.
25. შდრ. „ღუაწლსა შინა“. ტერმინი „ღუაწლი“, ერთი მხრივ, გადმოსცემდა „ასპარეზობის“ აღმნიშვნელ **ἄβητος**-ს. მეორე მხრივ, საკუთრივ „ომის“ აღმნიშვნელ **πύλεμος**-ს.
26. „მაღალი სერტყები“ - „სერტყი“ ძველ ქართულში ნიშნავდა როგორც ჩვეულებრივ „ტყეს“, ასევე წარმართული კულტმსახურების ადგილს, ე. წ. „წმინდა ტყეს“ (ბერძნ. **ἄλσις**)
27. „მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ქრისტე ქვეყნად, რომელიც შევიდა წმინდა ქალწულის მუცელში, ხორცი შეისხა და განკაცდა წმინდა მარიამისგან, წმინდა საშოდან გამოვიდა და ღმრთეება ხორციით დაიფარა. ღმრთეება რომ ხორციით არ დაეფარა, ადამიანი ვერც მიეახლებოდა ღმერთს, რადგან მზესაც კი, ღვთის ქმნილებას ვერავინ უსწორებს თვალს და სფეროს მზისას ვერავინ უყურებს. ღმრთეებას

ადამიანი ვერ მიეახლებოდა. ამიტომ, სორცი შეისხა მან, რომ ისრაელი როგორმე მოექცია ცხოველი ღვთისკენ. თავისი განკაცებისას ნათელილო მან მდინარე იორდანეში იოანეს ხელით და როდესაც ამოვიდა წყლიდან აჰა ცანი გაიხსნა და სული წმინდა, როგორც სპეტაკი მტრედი, გადმოვიდა და დაივანა მასზე. სმა იყო ზეციდან, რომელმაც თქვა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე ვისათნოვე. მაგისი ისმინეთ და ცხონდებით“ - ესაა „მარტვილობის“ ყველაზე უფრო თეოლოგიური ნაწილი, სადაც ლაკონურადაა გადმოცემული, ერთი მხრივ, წმინდა მოძღვრება მაცხოვრის განკაცების სოტერიოლოგიური არსის შესახებ, მეორე მხრივ კი, ამავე სოტერიოლოგიური დანიშნულებით, აღდგომის წინმსწრები ორი ეპოქალური მოვლენის, შობისა და ნათლისღების ეკლესიოლოგია. პირველ საკითხთან დაკავშირებით ჰაგიოგრაფის სწავლება (შდრ. „მოავლინა ღმერთმან ძმ თუსი ქრისტე სოფლად. და შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და ვორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიაამისგან, და საშომაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთეებაჲ ვორცითა დაიფარა. უკუეთუმცა ღმრთეებაჲ ვორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზე ქმნული ღმრთისაჲ არს და თუალნი ვერვინ შეუდგნის და სიმრგულე მზისაჲ ვერვინ განიცადის. ღმრთეებასაცა კაცი ვერ მიეახლა. ამისთვის ვორცნი შეისხნა, რამთამცა ისრაელი მო-ვითარ-აქცია ღმრთისა ცხოველისა“) ამომწურავადაა შესწავლილი (იხ. თ. ჭყონია, იყო თუ არა მონოფიზიტი „ეესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი?, „მრავალთავი“, თბ. 1961). რაც შეეხება მეორე საკითხს, კერძოდ მაცხოვრის ნათლისღების სოტერიოლოგიურ დანიშნულებას, ამ საკითხზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ, რადგან „მარტვილობაში“ აშკარად ჩანს ავტორის ღრმად მართლმადიდებლური ცნობიერება. ჰაგიოგრაფი, შესაბამისი სახარებისეული უწყებისა და ეკლესიის მამათა თეოლოგიური განმარტებების კვალობაზე, აღნიშნულ მოვლენას (მაცხოვრის ნათლისღებას) სრულიად განსაკუთრებულ საიდუმლოდ აღიარებს, რომლის დროსაც ცანი განიხვნა

და გადმოვიდა სულიწმინდა (შდრ. „და განკაცებასა მისსა ნათელ-ილო იორდანესა მდინარესა ველითა იოვანეწსითა. და ვითარ აღმოვიდოდა მიერ წყლით, აჰა ცანი განესუნეს და სული წმიდაჲ, ვითარცა ტრედი, გარდამოვდა სპეტაკი და დაადგრა მას ზედა, და ვჰაჲ იყო ზეცით გარდამო და თქუა: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ და სცხონდეთ“). ნათელია, რომ ჰაგიოგრაფისთვის ესაა კაცობრიობის წმინდამყოფელი, მის-დამი სულიწმინდის მომნიჭებელი ღმერთოქმედება და არა, ცხადია, იოანეს ნათლობასთან გატოლებული სინანულის ნათლის-ღება.

28. „დააგლისა“ - შდრ. დედნისეული „დაპგოზა“.

29. „აეხილა თვალეზი“ - დედნისეული „აღესუნეს თუალნი“ კვ-ლაეაც ჰადიშურ ოთხთავს თანხვდება (იხ. ი. 9.10). ეს შესი-ტყეება აღნიშნულ რედაქციაში, საზოგადოდ, სამგზის იჩენს თავს: „აღესუნეს თუალნი შენნი“, ი. 9.10; „აღესუნეს თუალნი მათნი“, მ. 9.30; „რაჲთა აღმესუნენ ჩუენ თუალნი ჩუენნი“, მ. 20.33; ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში სამივეგან გვა-ქვს არა „აღსუმა“, არამედ „აღსილვა“. საგულისხმოა, რომ გიორგისეული რედაქცია, რაც, როგორც ცნობილია, ჯრუჭ-პარხლის რედაქციის სრულყოფაა, მ. 9.30-ის ტექსტში ნაცვ-ლად „აღსილვისა“ სწორედ ჰადიშურ „აღსუმას“ წარმოგვიდ-გენს, თუმცა ბერძნულში აქაც და დანარჩენ ორში ერთი და იგივე ზმნა გვაქვს: ἀνοίγω. შესაძლოა, აღნიშნული ფაქტი გიორგის მიერ ჰადიშური რედაქციის გათვალისწინებაზეც მიგ-ვანიშნებდეს (ხანმეტს მითითებული ადგილები აკლია).

30. „დედისერთა“ - შდრ. „იამაერი“, რაც იშვიათი სიტყვაა. როგორც ე. დოჩანაშვილის მიერ არის გარკვეული, იგი წარ-მოადგენს სომხურ „მიამაერს“ (სომხ. „მი“ - ერთი; „ა“ - მაკავშირებელი ხმოვანი; „მავრ“ - დედისა) და შინაარსობრი-ვად უდრის ქართულ ტერმინს „მხოლოდშობილი“, რაც თავის მხრივ ბერძნული μονογενής-ის კალკია (ბერძნ. μόνος - მხოლ;

γένος - შობილი) (იხ. მცხეთური ხელნაწერი, გამოსცა ე. დოჩანაშვილმა, თბ. 1981, გვ. 40-43; შდრ. მცხეთ. ხელნ., თბ. 1983, გვ. 11-12; ტერმინ „**მხოლოდშობილის**“ შესახებ იხ. ე. ჭელიძე, ტერმინოლოგია, I, გვ. 233-247). ე. დოჩანაშვილს მოაქვს ციტატა ჰადიშისა და ჯრუჭ-პარხლის ოთხთავებიდან (ლ. 7.12-15), სადაც „**მხოლოდშობილი**“ გვხვდება და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჩვენამდე მოუწვეველ რომელიმე ქართულ ოთხთავში შესაძლოა ყოფილიყო სწორედ „**იამაჯრი**“ (მცხეთ. ხელნ. 1980, გვ. 43). ეს ვარაუდი დასაშვებია, მაგრამ მკვლევრისგან დაუზუსტებელი დარჩა, რომ ტერმინი „**იამაჯრი**“ სახეზე იქნებოდა კონკრეტულად ჰადიშური რედაქციის თავდაპირველ ტექსტში. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, ჰადიშის ოთხთავის დედანი, სწორედ იმ მონაკვეთში, სადაც მოცემულია ამბავი მაცხოვრის მიერ ქვრივის მხოლოდშობილი ძის („ეესტათის მარტვილობით“: „**იამაჯრის**“) აღდგინების შესახებ, **ნაკლული ყოფილა** და გადამწერს იგი შეუესია ჰადიშური რედაქციისგან განსხვავებული (და ჯრუჭ-პარხლის რედაქციასთან საკმაოდ ახლოს მდგომი) ტექსტით (იხ. ი. იმნაიშვილი, ჰადიშის ოთხთავი რედაქციულად, თსუ შრომები, ტ. 28, თბ. 1946; ტ. 30 - B, 1948; იხ. ჰადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ. 2003, გვ. 11). ასე რომ, ა. შანიძის გამოცემიდან ციტატის მოტანა, ცხადია, არაა იმის საბუთი, რომ ჰადიშური რედაქციის თავდაპირველ ტექსტშიც „**მხოლოდშობილი**“ გვექნებოდა და არა „**იამაჯრი**“. პირიქით, მასში გაცილებით მოსალოდნელია სწორედ ეს უკანასკნელი, რასაც ადასტურებს „ეესტათის მარტვილობა“ (რომელიც, ყველა მონაცემით, ჰადიშური რედაქციის ოთხთავს ეყრდნობა).

31. „**სეფა**“ - დედნისეული „**საქორწინე**“ ძველ ქართულში სამი მნიშვნელობით დასტურდება: 1. საქორწილო, ქორწილისა (ბერძნ. **γάμος**): მ. 22.12 - „სამოსელი **საქორწინე**“ (ჯრუჭ-პარხლისა; ჰადიშურში „**ქორწილისაჲ**“); 2. საქორწილო საძინებელი, ახალდაქორწინებულთა ოთახი (ბერძნ. ὡς **νυμφόν**): „**ნუთუ** ეგების შვილთა **საქორწინისათა** გლოვაჲ?“ (მ. 9.15 -

ჰადიშური; ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში გვაქვს „სიძისათა“, რაც ბერძნულ შესატყვისად გულისხმობს ოს **συσφιδος**-ს); „დაშთეს გარეშე **საქორწინესა** მას“, მამათა სწავლანი, თბ. 1955, გვ. 49.20 (ქართული ნიმუშებისთვის იხ. ი. აბ., ლექს., გვ. 375); 3. საქორწილო სახლი, სეფა (შდრ. ი.აბ. ლექს., გვ. 375; ი. იმნაიშვილი, სინ. მრავ., გვ. 218). „ეესტათის მარტვილობის“ ტექსტში, კონტექსტის მიხედვით, „**საქორწინე**“ მესამე მნიშვნელობისაა.

32. „**გამოლეულიყო**“ - დედნისეული „**მოლეულ იყო**“, მართალია, აღნიშნულ ადგილას (ი. 2.3) არ დასტურდება არც ჯრუჭ-პარხლისაში და არც ჰადიშურში (ყველგან სახეზეა „**მოკლება**“), მაგრამ ვერ ვიტყვით კატეგორიულად, რომ ჰადიშური რედაქციის თავდაპირველ ტექსტში არ იქნებოდა „**მოლევა**“. საქმე ისაა, რომ დღესდღეობით, გარდა ზემორე „**მარტვილობისა**“, ტერმინი „**მოლევა**“ (ბერძნ. **διασάω**, სომხ. **ծախել**) მხოლოდ ერთგ ზისი დამოწმებით ვიცით, რაც სწორედ **ჰადიშურ ოთხთავშია**: „**მოელია** (=დაეხარჯა) მას ყოველი ნაყოფი მისი“ (მრ. 5.26; იხ. ი. აბ. ლექს. გვ. 267; ჯრუჭ-პარხლისაში გვაქვს: „**განხუებულ იყო**“). სავესებით მიზანშეწონილია ვიფიქროთ, რომ „ეესტათის მარტვილობაში“ აღნიშნული ტერმინის სახით შესაძლოა დაცული იყოს ჰადიშური რედაქციის თავდაპირველი ვითარება, რაც შეიცვალა გვიანდელი გადამწერისგან. ამგვარი შეცვლის შესაძლებლობას ადასტურებს თვით ხსენებული „მარტვილობა“, რომლის ნუსხსათა უმრავლესობაში თავდაპირველი „მოლეულ იყო“, შეცვლილია როგორც „მოკლებული იყო“.

33. „**სარწყულები**“ - დედნისეული „**ტაკუნი**“ კვლავ ჰადიშური რედაქციისკენ მიმართავს ჩვენს ყურადღებას, სადაც ვკითხულობთ: „მუნ დგეს **ტაკუნი** მარმარილომასანი“ (შდრ. ჯრუჭ-პარხლისა და გიორგისეული: „იყენეს მუნ **სარწყულნი** ქვისანი ... მდგომარენი“, ი. 2.6; შდრ. იქვე 2.7). თვით ჰადიშურის ფრაზაც: „**მუნ დგეს**“ (შდრ. ჯრუჭ-პარხლისა: „**იყენეს ... მდგომარენი**“) იდენტურია „მარტვილობისა“: „**დგეს მუნ**“.

საკუთრივ ჰადიშური ტერმინი „ტაკუკი“ აშკარა ანალოგიას პოულობს სომხური სახარების „თაკოიკი“-თან (ბერძნ. *θάρια*), ისევე როგორც ეპითეტი „მარმარილოსანი“, რაც უიგივდება ტერმინს *κρυσταλλ* („მარმარილოსნი“), მაშინ როცა ჯრუჭ-პარხლისაში და გიორგისეულში სახეზეა ბერძნულის ზედმიწევნითი შესატყვისი „ქვისანი“ (შდრ. *λίθιναι*, ლათ. *lapideae*, სლავ. *каменки* [ტერმინი „ტაკუკი“ გვხვდება, მაგალითად, „ქებათა“ წიგნში: „უპე შენი ტაკუკ წახნაგებულ“ (7.3). ბერძნული შესატყვისია *κρυστήρ*, სომხური *թակույկ*. სხვაგან „ტაკუკი“ შეესატყვისება ბერძნულ ტერმინს *σπονδιόν* („შესაწირი ღვინის თასი“), სომხ. *ճաշակ*-ს („პურის და ღვინის საწყაო პატარა თასი“), ლათ. *turibulum*-ს, სლავ. *возливанники*-ს (გამოსლ. 25.29). დასტურდება კიდევ ერთი ტერმინთშესატყვისობა: „ტაკუკი“ – *στάμνος* - *սսփոր* (ებრ. 9.4)]. ახლა, რაც შეეხება „სარწყულს“: ეს ტერმინი ორგზის დასტურდება თვით ჰადიშის ოთხთავშიც. ერთ შემთხვევაში (ი. 4.11) „სარწყული“ გადმოსცემს ბერძნულ *ἄνλιμα*-ს (შდრ. სომხ. *դուլ*, რაც ნიშნავს „ვედროს; საგულისხმოა, რომ აღნიშნულ მუხლში სომხურშიც და ჰადიშურშიც ემატება „შენ“ - *դու*, რაც არ არის არც ბერძნულში, არც ჯრუჭ-პარხლისა და გიორგისეულ რედაქციებში, ამასთან, ამ უკანასკნელებში ნაცვლად „სარწყულისა“ გვაქვს „სავსებელი“, რაც კალკია აღნიშნული ბერძნული ტერმინისა). განსაკუთრებით საგულისხმოა „სარწყულის“ მეორე დამოწმება (ი. 4.28), რადგან ბერძნულში გვაქვს სწორედ ზემოგანხილული *θάρια*, რასაც ი. 2.6-7-ში ჰადიშური ოთხთავი „ტაკუკით“ გადმოსცემდა (იხ. ზემოთ). მოსალოდნელი იყო, რომ ხსენებულ *θάρια*-ს ამჯერადაც „ტაკუკი“ ჰქონოდა შესატყვისად, მაგრამ ამჯერად ჰადიშურიც (ჯრუჭ-პარხლის რედაქციისებრ) სარგებლობს ტერმინით „სარწყული“. ასეთი ცვალებადობის მიზეზი ისაა, რომ ი. 2.6-7-სგან განსხვავებით სომხურში ბერძნული *θάρια* უკვე გადმოტანილია არა ტერმინით „თაკოიკი“ (რაც იდენტურია „ტაკუკისა“), არამედ ტერმინით „საფორ“ (ამრიგად, სომხურის ტერმინოლოგიური ცვალებადობა ასახვას პოულობს

ჰადიმურში). საგულისხმოა, რომ აღნიშნული **ზნრია** გვხვდება „შესაქმის“ წიგნში (24.15). დღეისათვის ცნობილ ქართულ რედაქციებში (მათ შორის ოშკურში) შესატყვისია „**სარწყული**“; სომხურში კვლავაც „**საფორ**“ გვაქვს (და არა „**თაკოიკ**“); იხ. იგივე ტერმინთშესატყვისობანი (ბერძნ. **ზნრია** - „სარწყული“ - *σακιοι*) ეკლ. 12.6; მსჯ. 7.16 (გელათური; სხვა ქართულ ნუსხებში გვაქვს „**ჩაფი**“) („ტაკუკისა“ და „სარწყულის“ ზოგი ნიმუშისთვის იხ. ი. აბ. ლექს. გვ. 369; 410). აღნიშნულ მონაკვეთში (ი. 1-11) ჰადიმურის სომხურზე დამოკიდებულებას კარგად გვიჩვენებს 8-9 მუხლები, სადაც სუფრის თამადა ნახსენები. ბერძნული **ἀρχιτρικλιος** ანუ „**მთავარმესუფრე**“ (ბერძნ. **ἀρχι-** - „**მთავარი-**“; **τρικλιος** - „სასადილო სუფრა“, თავდაპირველად „სამსავარძლიანი, ექვსკაციანი სუფრა“; **τρι-** - „სამი“, **κλινη** - „საწოლი, ქვედასაჯდომი, ინახი“), რაც არის იგივე ლათინური *architriclinus* და სლავური *архитриклин*, ჯრუჭ-პარზლის რედაქციაში გადმოცემულია საკუთრივ ქართული (ე. ი. არაკალკირებული) ტერმინით „**პურისა-უფალი**“ („აღმოავსეთ აწ და მოართუთ **პურისა-უფალსა**“, ი. 2.7). რაც შეეხება ჰადიმურს, იქ სახეზეა ორი შესატყვისი „**პურისა-უფალი**“ და „**მთავარი ტაძრისაჲ**“ („აღმოიღეთ და მოართუთ **პურისა-უფალსა** და **მთავარსა ამის ტაძრისასა**“). საიდან უნდა გაჩენილიყო „**მთავარი ტაძრისაჲ**“? ცხადია, ესაა სომხური ტექსტის „**ტაჭარაპეტ**“ (*տաճարապետ*), რაც საზოგადოდ სასახლის, „**ტაძრის**“ მთავარს ნიშნავს, კერძო მნიშვნელობით კი სუფრის უფროსს, თამადას (ა. ხუდაბაშიანის მიხედვით: *распоряжающий пиром*). ამრიგად, მოტანილ ადგილას ჰადიმური რედაქციის ავტორმა ქართულ „**პურისუფალს**“ დაუმატა სომხური „**ტაჭარაპეტ**“, რაც მან პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, როგორც „**სახლის (ტაძრის) უფროსი**“. აქ რომ სწორედ სომხურის მიხედვით ხდება ჰადიმურში თავდაპირველი ქართული თარგმანის (ბერძნულიდან მომდინარის) სწორება, ეს უეჭველია, რადგან, ჯერ ერთი, „**მთავარი იგი ტაძრისაჲ**“ მოსდევს „**პურისუფალს**“, რაც მის მეორადობას, მის დანართობას ცხადყოფს,

ამასთან, პირუკუ ვითარება რომ წარმოვიდგინოთ (ე. ი. სომხურიდან მომდინარე თარგმანის სწორება ბერძნულის ან ჯრუჭ-პარხლის რედაქციის მიხედვით), მაშინ აუხსნელი იქნებოდა, საერთოდ რატომ დატოვა მან „**მთავარი იგი ტაძრისაა**“, რომლის შესატყვისი ბერძნულში არ არის, ან კიდევ (თუ, გავიგებოვრებთ, გვიანდელი სწორება ბერძნულის მიხედვით ხდებოდა), რატომ არ ამოიღო მან (ბერძნულთან შეჯერების სავარაუდო შემსრულებელმა) სომხურიდან მომდინარე მრავალი წაკითხვა. ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ **ჰადიშური რედაქციის ავტორი ეყრდნობა უკვე არსებულ არასომხური წარმომავლობის ქართულ ოთხთავს, ინარჩუნებს მის თავდაპირველ მონაცემს „პურისა-უფალი“ და, ამასთან, ურთავს სომხური „ტაჭარაპეტის“ თარგმანსაც.** უფრო მიზანშეწონილია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველი „**პურისუფალი**“ შემთხვევით გაეპარა მას (ამგვარი მოვლენები არაიშვიათად ახასიათებს რედაქტორულ ნამუშევარს), რადგან ზემორე ბერძნული ტერმინის (*ἀρχιεπίσκοπος*) მომდევნო ორგზისი დამოწმებისას ქართული „**პურისა-უფალი**“, რაც სახეზეა ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში (ი. 2.9), ჰადიშურში უკვე წარსოცილია და შესატყვისად გვაქვს მხოლოდ „**მთავარი**“ და „**მთავარი იგი ტაძრისაა**“.

34. „სისხლდენა“ – შდრ. „**წიღოვნებაა**“, თანდებულითურთ („**წიღოვნებასა შინა**“), პარალელს პოულობს ჯრუჭ-პარხლის ვერსიასთან: „და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელსა დაეყო **წიღოვნებასა შინა** თორმეტი წელი“ (მ. 9.20). ჰადიშურში ვკითხულობთ: „და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო **სისხლისა დინებასა ზედა** ათორმეტ წელ“. საგულისხმოა, რომ, მეორე მხრივ, სწორედ ჰადიშურის ზმნა „**იყო**“ თანხვედბა „მარტვილობას“ (თვით ბერძნულში ზმნა საერთოდ არაა. ტექსტი, სიტყვა-სიტყვით, ასეთია: „**და აჰა, ქალი, სისხლმდენი თორმეტი წელი...**“). „**წიღოვნების**“ შესატყვისად ბერძნულშია *ἀμφοριουσα* („სისხლმდინარე“, „სისხლმდენი“), რასაც ზედმიწევნით თანხვედბა სომხური *տիւաստես*. ასე რომ, მოტანილი ადგილის მიხედვით არ იკვეთება ქართული ტე-

ქსტების რედაქციული მიმართების საკითხი ბერძნულ-სომხურ-თან, მაგრამ სხვა ვითარებაა იმავე ამბავთან დაკავშირებით მარკოზის სახარებაში, სადაც ჯრუჭ-პარნლის ტექსტს („და იყო მუნ დედაკაცი, რომელი იყო **წყაროთა სისხლისათა გუემულ** ათორმეტ წელ“, მრ. 5.25) ჰადიშურში ენაცვლება შემდეგი ტექსტი: „და დედაკაცი ვინმე იყო **დაშტნობასა ზედა** ათორმეტ წელ“. მართალია, სომხურ სახარებაში სიტყვებს: „**დაშტნობასა ზედა**“ შეესაბამება *ჩხხრასხხიქხან აყხან* („სისხლის დინებასა ზედა“), მაგრამ არ იქნებოდა მთლად გამორიცხული, რომ ეს ყოფილიყო სომხურის ბერძნულ-თან გვიანდელი შესწორების შედეგი, უფრო ადრეულ ტექსტში კი, ჰადიშურის კვალობაზე, შესაძლოა მასში გვქონოდა *ჩ რაჟთან* (ა. ხუდაბაშიანის განმარტებით „**დაშტან**“ არის ‘женская кровь, месячная кровь’; იხ. აგრეთვე ქვემოთ). თავის მხრივ, ტერმინ „**წიღოვნებას**“ სხვა შემთხვევაში შეესატყვისება ბერძნ. *მენსტრუაცია* („მენსტრუაციის მქონე“) და სომხ. *საყარაჲ* („მენსტრუაციის მქონე“) (იხ. ეზეკ. 18.6). თითქოს „**წიღოვნება**“ გვხვდება I ეზრა 1.4-შიც, რასაც ბერძნულში შესატყვისი არა აქვს, სომხურში კი არის *აღსხიქხან* („სიბილწე“, „შერყენილება“, მაგრამ არა კონკრეტულად „მენსტრუაცია“), რის გამოც იქნებ უფრო მართებული ჩანდეს საბასეული ბიბლიის ვარიანტული „**ბიწოვნება**“ (ქართული ტექსტისა და სომხური შესატყვისის შესახებ იხ. აპოკრ. I, ც. ქურციკიდის გამოც. გვ. 13; 480). ორსიტყვედი „**წიღოანი დედაკაცი**“ ერთგან გადმოსცემს ბერძნულ *მენსტრუაციის მქონე*-ს და სომხურ *საყარაჲ*-ს („მენსტრუაციის მქონე“; შდრ. ლათ. *menstruata*). ეს ორსიტყვედი შესატყვისი აღნიშნულ მუხლში, როგორც ჩანს, ძველ ქართულ ტრადიციაში მიღებული იყო (შდრ. აღნიშნული მუხლის ციტირება წმ. ექვთიმე ათონელის ერთ თარგმანში: „ვითარცა ძონძი დედაკაცისა წიღოვნისა“, ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ც. ქურციკიდის გამოც. თბ. 1983, გვ. 202. 35-36), თუმცა გელათურ ბიბლიაში მას ცვლის ზემოაღნიშნული სომხური „**დაშტანი**“ („ვითარცა ძონძი **დაშტანისა**“, იხ. მცხეთ. ხელნ. 1985, გვ. 151).

35. „**შეუმჩნევლად**“ - დედნისეული „**იდუმალ**“ („და მოვიდა **იდუმალ** ზურგი-კერძო იესუსა“), საფიქრებელია, კვლავაც ჰადიშურისკენ მიაქცევდეს ჩვენს ყურადღებას, სადაც „წიღოვან დედაკაცთან“ დაკავშირებით მარკოზის თავში ვკითხულობთ: „ხოლო დედაკაცი იგი შეშინდა და ძრწოდა მისთვის, რომელი-იგი ყო მან **იდუმალ**“, მრ. 5.33). ბოლო ნაწილი („**რომელი-იგი ყო მან იდუმალ**“) საერთოდ არაა ჯრუჭ-პარხლისა და გიორგის რედაქციებში, ისევე როგორც სახარების ბერძნული ნუსხების უმრავლესობაში (არაა იგი არც ლათინურში და სლავურში), მაგრამ არის სომხურში: *վասն որոյ գաղտն արար* (მდრ. ბერძნ. ნუსხების ნაწილი: *δὸ πεισίηκει λάθρα*) [საყურადღებო ჩანს ისიც, რომ აღნიშნული მუხლის (მრ. 5.33) ბოლოს ბერძნული ტექსტის ორი ვარიანტიდან (1. დანაშაული - *αἰτία*; 2. სიმართლე, ჭეშმარიტება - *ἀλήθεια*) ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში გვაქვს პირველი („უთხრა მას ყოველივე **ბრალი**“), ხოლო ჰადიშურში, სომხურისებრ, მეორე („უთხრა მას ყოველი **ჭეშმარიტი**“ - მდრ. სომხ. *ստուգութիւն*. ისიც აღსანიშნია, რომ გიორგისთან სახეზეა სწორედ ეს უკანასკნელი („უთხრა მას ყოველივე **ჭეშმარიტი**“), რაც იქნებ მის მიერ ამჯერადაც ჰადიშური ოთხთავის გათვალისწინებაზე მიგვანიშნებდეს (ცხადია, ბერძნულის პარალელურად).

36. „**მშვენიერი ველი**“ - სახარების პირველ სამ თავში სახეზეა „**უდაბნო**“ („წარვიდა **უდაბნოსა** ადგილსა“ მ. 14.13; „წარვიდეს **უდაბნოსა** ადგილსა“, მრ. 6.32; „აქა **უდაბნოსა** ადგილსა ვართ“, ლ. 9.12), იოანესთან კი „**მთა**“ („ავდა **მთასა** იესუ“, 6.3). აღნიშნული სხვაობა ადასტურებს, რომ ზემორე თხრობა მოტანილია ზეპირად, მეხსიერებაზე დაყრდნობით.

37. ეს ადგილიც დადასტურებაა იმისა, რომ „მარტვილობის“ ტექსტი ეყრდნობა ზეპირ, მეხსიერებაზე დაფუძნებულ თხრობას. მასში შერწყმულია ხალხის დაპურების ორი ამბავი: ერთი - ხუთი პურითა და ორი თევზით, მეორე კი - შვიდი პურითა და მცირე თევზით. მართლაც, ზემორე სიტყვები მაცხოვრისა,

მეტ-ნაკლები ზედმიწევნითობით, თავს იჩენს სწორედ შვიდ პურთან დაკავშირებით (შდრ. „მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ ესერა აწ სამი დღე არს და მელიან მე და არარამ აქუს, რამცა ჭამეს, და განტეგება მათი უზმათამ არა მნებავს, ნუჟუე დაცვენ გზასა ზედა“, მ. 15.32; შდრ. მრ. 8.2), მაშინ როცა ხუთი პურის და ორი თევზის ამბავში სწორედ მოწაფეები სთხოვენ იესოს, რომ საჭმელად გაუშვას ხალხი (იხ. მ. 14.15; მრ. 35-36; ლ. 9.12).

38.ეს ადგილიც („უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხმამ ქუეყანასა“) უფრო ესადაგება შვიდი პურის ამბავს, სადაც არის ნაზგასმული ხალხის მიწაზე დასხდომა („და უბრძანა ერსა მას დასხდომა ქუეყანასა“, მ. 15.35; შდრ. მრ. 8.6), მაშინ როცა ხუთ პურთან დაკავშირებით დასასხდომ ადგილად „თივამ“ იხსენიება და არა „ქუეყანამ“ (შდრ. „და უბრძანა ერსა მას დასხდომა თივასა ზედა“, მ. 14.19; „და უბრძანა მათ დასხდომა ... მწუანვილსა ზედა თივისასა“, მრ. 6.39; „ჰრქუა მათ იესუ: დასხით კაცები ესე. იყო თივამ ფრიად ადგილსა მას და დასხდა კაცები იგი“, ი. 6.10 - ჯრუჭ-პარხლისა; ჰადიშური: „ჰრქუა იესუ: ინავ-უდგთ კაცებსა მაგას. და იყო დიდად თივლოვან ადგილი იგი, და ინავ-იღვა კაცებმან მან“).

39.„გატენა და აწვიდა თავის მოწაფეებს, მოწაფეები კი აწვიდინენ ხალხს“. აქაც მოტანილი ტექსტი თითქმის ზედმიწევნითი ციტირებაა (თვით მწკრივთა იდენტური გადასვლით ნამყო სრულიდან უწყვეტელზე) შვიდი პურის ამბავთან დაკავშირებული მათესელი ტექსტისა (შდრ. „მარტვილობა“: „განტენა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას“; მ. 15.36: „განტენა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას“; შდრ. მრ. 8.6), მაშინ როცა ხუთ პურთან დაკავშირებით ტექსტი მცირედით სხვაგვარია, კერძოდ: მ. 14.19: „მისცა მოწაფეთა თვსთა პური იგი და მათ („მოწაფეთა“ - ჰადიშური) მისცეს ერსა მას“; მრ. 6.41: „განტენა (ჯრუჭ-

პარხლისა: „**დამუსრა**“) პურნი იგი და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რაათამცა დაუგეს მათ“; ლ. 9.15: „**დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაათა დაუგონ ერსა მას**“; ი. 6.11: „**მისცემდა, რომელნი-იგი დასხდეს**“ (ჯრუჭ-პარხლისა; ჰადიშური: „**განუყო მენაჯეთა მათ**“). რაც შეეხება „მარტვილობაში“ დადასტურებულ ტერმინს „**აკურთხევა**“ („**აკურთხნა და განტეხნა...**“), იგი, თავის მხრივ, უფრო ხუთი პურის ამბისკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას (შდრ. „**აკურთხნა იგინი და მისცა**“, მ. 14.19; „**აკურთხა და განტეხნა**“, მრ. 6.41 - ჰადიშური; ჯრუჭ-პარხლისა: „**აკურთხნა და დამუსრა...**“; „**აკურთხნა იგინი და დამუსრა**“, ლ. 9.16), მაშინ როცა 7 პურთან დაკავშირებით გვაქვს არა „**აკურთხა**“, არამედ „**ჰმადლობდა**“ (შდრ. „**ჰმადლობდა და განტეხა**“, მ. 15.36; შდრ. იგივე მრ. 86. საყურადღებოა, რომ იოანესთან, სადაც მხოლოდ ხუთი პურის ამბავია, თუმცა ზოგი მუხლი შვიდი პურის შესახებ თხრობასაც მოგვაგონებს, ასევე „**ჰმადლობდა**“ დასტურდება. ი. 6.11). და ბოლოს, რაც შეეხება „მარტვილობის“ ფრაზას: „**აღიპყრნა ზეცად ხუთნი იგი პურნი და ორნი თევზნი**“, მას სახარებებში პირდაპირი ანალოგი არა აქვს არც ერთ ამბავთან დაკავშირებით. შდრ. ხუთი პურის ამბავი: „**აღიხილნა ზეცად და აკურთხნა**“, მ. 14.19; „**აღიხილნა ზეცად**“ („**ცად**“ - ჰადიშური) და „**აკურთხნა**“, მრ. 6.41; „**აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა**“, ლ. 9.16 (რაც შეეხება შვიდ პურთან დაკავშირებულ მუხლებს და, აგრეთვე, იოანეს თხრობას, მათში „**ზეცად აღიხილვისა**“ თუ „**ზეცად აღპყრობის**“ შესახებ უწყება საერთოდ არ გვაქვს). ასეთი მეტნაკლები დაცილებანი „მარტვილობის“ ტექსტსა და შესაბამის სახარებისეულ მონაკვეთებს შორის კვლავაც ხსენებული ტექსტის ზეპირმესხიერებითი წყაროდან მომდინარეობას ადასტურებს (ამგვარი დაცილებაა თუნდაც „მარტვილობაში“ რომელიღაც მოწაფეზე მითითება, რომელსაც საკუთრად ჰქონია თურმე ხუთი პური და ორი თევზი, მაშინ როცა სახარებებში მსგავსი კონკრეტული პიროვნება მითითებული არ არის).

40. მთელ ამ აბზაცში ექვსგზის გვაქვს საკუთრივ „პურთა“ ხსენება (შდრ. „იყიდეთ პური“; „არავის გაქვთ პური?“; „მე მაქვს ხუთი პური...“; „მოუტანეს ხუთი პური“; „აამალლა ზეცისკენ ის ხუთი პური“). ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგან სახარებათა ზემომითითებული ადგილების ძველქართულ თარგმანებში მხოლოდ „პური“ არ გვხვდება. მის გვერდით თავს იჩენს მეორე ტერმინიც „ჯუეზამ“. მოგვაქვს შესაბამისი ნიმუშები ორივე რედაქციიდან: „ხუთი ჯუეზამ პური“ (ჯრუჭ-პარხლისა; ჰადიშური: „ხუთი პური“, მ. 14.17): „მოილო ხუთი იგი პური ... მისცა მოწაფეთა თვსთა პური იგი“, მ. 14.19; „პური ესოდენი“, მ. 15.33; „რაოდენი პური გაქუს“, მ. 15.34; „შვდი პური“, მ. 15.34; „და მოილო შვდი იგი პური“, მ. 15.36; „არცალა პურისა ჭამად აცალეზდეს“ (ჰადიშური: „ჰცალნ“), მრ. 6.31; „ვიყიდოთ ორასის დრაჰკნის პური“, მრ. 6.37; „რაოდენი ჯუეზამ (ჯრუჭ-პარხლისა: „პური“) გაქუს?“ მრ. 6.38; „ხუთი ჯუეზამ (ჯრუჭ-პარხლისა: „ხუთი პური“), მრ. 6.38; „და მოილო ხუთი იგი ჯუეზამ პური (ჯრუჭ-პარხლისა: „ხუთი იგი პური“),“ მრ. 6.41; „განტეხნა პურნი“ (ჯრუჭ-პარხლისა: „დამუსრა პური“), მრ. 6.41; „განძღებად პურითა“, მრ. 8.4; „რაოდენი გაქუს თქუენ პური?“ მრ. 8.5; „მოიხუნა შვდნი იგი პურნი“, მრ. 8.6; „დაავიწყდა თანამიღებად პური, გარნა ერთ ხოლო ჯუეზამ (ჯრუჭ-პარხლისა: „პური“) აქუნდა“, მრ. 8.14; „ხუთი ჯუეზამ (ჯრუჭ-პარხლისა: „პური“) განუტეხე“, მრ. 8.19; „შვდი ჯუეზამ“ (ჯრუჭ-პარხლისა: „შვდი“), მრ. 8.28) „ხუთ ჯუეზა პური“, ლ. 9.13; „მოილო ხუთი იგი პური“, ლ. 9.16; „ვინამ უყიდოთ პური?“ ი. 6.5; „ორასისა დრაჰკნისა პური“, ი. 6.7; „აქუს ხუთ ჯუეზა (ჯრუჭ-პარხლისა: „პური“) ქრთილის“, ი. 6.9; „მოილო პური“, ი. 6.11; „ქრთილისა პურთაგან“, ი. 6.13 (გარდა დამოწმებული ადგილებისა, კვლავაც უამრავგზის გვხვდება სიტყვა „პური“ ქართულ ოთხთავში). ასე რომ, „პურის“ მნიშვნელობით, ერთი მხრივ, სახეზეა თვით „პური“, მეორე მხრივ, „ჯუეზამ“, მესამე მხრივ კი ორივე ერთად „ჯუეზამ პური“, და ეს მაშინ, როდესაც ბერძნულში უკლებლივ ყველგან მხოლოდ ერთი

ტერმინი გვაქვს **ἄριστος**, ისევე როგორც ლათინურში **panis**, სლავურში **хлеб**. მხოლოდ სომხურში გვაქვს, ქართულისებრ, ორი შესატყვისი: „**პაც**“ (**ჲაჲ**) და „**ნკანაკ**“ (**ნკანასკ**). ამათგან, **ჲაჲ** „**პურის**“ აღმნიშვნელი საზოგადო ტერმინია და მის შესატყვისად ქართულში ყოველთვის „**პურია**“. რაც შეეხება **ნკანასკ**-ს, რომელიც „**კვერს**“ ნიშნავს, იგი შეიძლება გადმოიციეს, ერთი მხრივ, როგორც „**პური**“, მეორე მხრივ - როგორც „**ვუეზაჲ**“ (საკუთრივ ორსიტყვედი „**ვუეზაჲ პური**“, კონკრეტულად ზემორე მუხლში, იმას მიგვანიშნებს, რომ ჯერ იყო „**პური**“ და შემდეგ, სომხურის საფუძველზე დაემატა „**ვუეზაჲ**“, თუმცა საზოგადოდ სომხურშიც შეიძლება შეგვხვდეს „**ნკანაკ**“ და „**პაც**“ გვერდი-გვერდ. მაგალითად: „სასყიდელი მეძვისაჲ ვითარცა **ერთის ვუეზის პურის**“, იგავ. 6.26 - **O**; შდრ. **B**: „სასყიდელი მეძჳსა რაოდენ **ერთისა პურისა**“; ბერძნ. τμη ἕρ πρρυς ὄση και **ἐνδς ἄριστου**. სომხ. **գինք կնոլ պոռնկի` որչափ` նկանակի միոլ հացի**; ლათ. **pretium enim scorti vix unius est panis**; სლავ. **Цѣна бо блдннцы, ѣліка ѣднннгу хлѣба**).

41. ეს თხრობა დიდადაა დაშორებული სახარებათა ტექსტს. თუმცა მაცხოვრის მიერ წყალზე ფეხით მსვლელობის შესახებ მათეს სახარებაში მართლაც ხალხის სასწაულებრივი დაპურების შემდეგაა ნაუწყები (მ. 14.25-26), მაგრამ ის, რომ მოწაფეებიც მისებრ დადიოდნენ ზღვაზე, არსადაა უწყებული, თუ არ ჩავთვლით პეტრეს ცნობილ ამბავს (მ. 14.28-31).

42. ეს თხრობაც დიდად სხვაობს სახარებისეული ტექსტისგან. მიმდევრობითაც, ლეგეონით შეპყრობილი ადამიანის ამბავი წინ უსწრებს ხალხის დაპურებისა და მაცხოვრის ზღვაზე სვლის ამბებს (ი. მრ. 5.2-17; ლ. 8. 27-37), თან აღნიშნული ლეგეონი ქვეყანელში კი არ დაინთქმება, არამედ ღორების კოლტში შევა და ეს კოლტი ჩაიხრჩობა ზღვაში.

43. „**სამარეში**“... „**სამარის**“... „**სამარიდან**“ - როგორც ვხედავთ, ლაზარესთან დაკავშირებულ თხრობაში სამგზის არის დამოწმე-

ბული ლექსიკური ერთეული „სამარე“. ეს ფაქტიც „მარტვილობაში“ ასახული სახარებისეული ტექსტის რედაქციულობას გვიდგენს. საქმე ისაა, რომ **ჯრუჭ-პარსლის რედაქციაში ტერმინი „სამარე“ ერთხელაც არაა დამოწმებული** (შდრ. თუნდაც ლაზარეს ამბავი აღნიშნული რედაქციის მიხედვით: „იესუ ... მოვიდა **საფლაავად**“). ყველგან, და ამისი ნიმუში მრავალია, ბერძნული **τὸ τάφος** მასში თარგმნილია როგორც „**საფლავი**“ (იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1986, გვ. 520-521). მეორე მხრივ, **ჰადიშურში ჯრუჭ-პარსლისეული „საფლავი“ შეცვლილია „სამართ“ ან „სამარობანით“** (იხ. იქვე, გვ. 508-509). აქ რომ მართლაც **ჰადიშური ცვლის ჯრუჭ-პარსლისას და არა პირიქით**, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ **ჯრუჭ-პარსლის რედაქციისგან განსხვავებით, სადაც ერთხელაც კი არ გვხვდება „სამარე“, ჰადიშურში, - თუმცა სულ სამ შემთხვევაში, მაგრამ მაინც, - „საფლავი“ შენარჩუნებულია ანუ გადარჩენილია რედაქტორის კალამს** (იხ. მ. 27-64; 66; ი. 20.1). ტექსტობრივი მიმართების კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როდესაც **ჰადიშურში მოსალოდნელი „სამარის“ ნაცვლად „საფლავი“ გვაქვს**. კერძოდ: „**აშენებთ საფლავებსა წინააღმართმეტყუელთასა**“ (ლ. 11.47; ბერძნულში შესატყვისია **τὸ μνημεῖον**). **ჰადიშური ამ შემთხვევაში ანგარიშს უწევს საკუთრივ სომხური სახარების ტერმინთმონაცვლეობას**. მართლაც, სომხურში **ჰადიშური „სამარის“ (τὸ τάφος) შესატყვისად ყველგან გვაქვს „გერეზმან“ (գերեզման)**. მაგრამ ზემორე **τὸ μνημεῖον-ს** ფარდად მასში თავს იჩენს მეორე ტერმინი „**შირინ“ (շիրին)**. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **ჰადიშურში ასახულია არა სომხური ტერმინთმონაცვლეობა (რომ „გერეზმან“ შეცვალა „შირინ“-მა), არამედ უშუალოდ ბერძნული (რომ τὸ τάφος შეცვალა τὸ μνημεῖον-მა), მაგრამ ეს ნაკლებ სარწმუნოა, რადგან ასეთ შემთხვევაში ჰადიშური რედაქციის „სამარე“ ბერძნული τὸ τάφος-ის შესატყვისად უნდა მიგვეჩნია, „საფლავი“ კი - τὸ μνημεῖον-სი (როგორც ამას ლ. 11.47 თითქოს გვიჩვენებს), მაგრამ ვნახ-**

ავთ სხვა ადგილს (კერძოდ მ. 23.29) და აღმოვაჩინეთ, რომ ჰადიშური „საფლავი“ ზემორე მაგალითის საპირისპიროდ, უკვე თვით **τὸ ἄφιδ**-ს შეესატყვისება, „სამარე“ კი - **τὸ μνημειον**-ს: „აშენებთ თქვენ საფლავებსა (τὸς ἄφιδ) მას წინამაჴარმეტყუელთასა და განაშუენებთ სამარებსა (τὸ μνημειον) მას მართალთასა“. რამ გამოიწვია ამგვარი ტერმინშესატყვისობითი ცვალებადობა? იმან, რომ მოცემულ ადგილას ბერძნული „ტაფოს“ სომხურში თარგმნილია არა „გერეზმან“-ით (რისი ტერმინოლოგიური შესატყვისიცაა ჰადიშური „სამარე“), არამედ - „შირინ“-ით (რასაც ჰადიშურში „საფლავი“ გადმოსცემს). ასე რომ, გინდ „ტაფოსს“ თანხვედებოდეს, გინდ „მნემეიონს“, სომხური „გერეზმან“ ჰადიშურში გადმოიცემა ტერმინით „სამარე“, ისევე როგორც, გინდ „ტაფოსს“ შეესაბამებოდეს, გინდ „მნემეიონს“, სომხური „შირინი“ ჰადიშურში გადმოიტანება ტერმინით „საფლავი“ (გარდა ზემომითითებული გამონაკლისებისა, სადაც „საფლავი“ ჰადიშურში წინმსწრები ქართული თარგმანიდან არის გაპარული).

44. „ლაზარე, გამოდი!“ - დედნიეული „ლაზარე, გამოგუალე!“ კვლავაც ჰადიშურს თანხვედება: „ლაზარე, აღდეგ და გამოგუალე!“ (ი. 11.43; შდრ. ჯრუჭ-პარხლისა და გიორგისეული: „ლაზარე, გამოვედ გარე“). „მარტვილობის“ აღნიშნული ტექსტის ჰადიშურთან თანხმობა შენიშნულია ნ. გოგუაძის მიერ, რომელიც ტექსტის სქოლიოში სათანადო სახარებისეული მუხლის მითითებისას ფრჩხილებში აკონკრეტებს რედაქციას: “(C)“, რაც ჰადიშურს გულისხმობს (ძქალძ, I, თბ. 1963, გვ. 40).

45. „ამის შემდეგ“ - დედნიეული „ამისა შემდგომად“ (ისევე როგორც მრავალი ამგვარი გამოთქმა) ადასტურებს მესხიერებაზე დაყრდნობილი ზეპირი თხრობის მწიგნობრულ საფუძველს (შდრ. ლ. 5.27; ლ. 7.11; ლ. 8.1; ლ. 10.1; ლ. 12.4; ლ. 17.8 და ა.შ.). კონკრეტულად აღნიშნულ ამბავთან დაკავშირებით იხ. ი. 2.12.

46. „აღვიდა ქრისტე იერუსალიმში“ - როგორც ჩანს, იგულისხმება კონკრეტულად ი. 2.13: „აღვიდა იესუ იერუსალემდ“ (შდრ. „მარტვილობა“: „აღვიდა ქრისტე იერუსალემდ“).
47. „შევიდა ღვთის ტაძარში“ - დედნიეული „შევიდა ტაძარსა ღმრთისასა“ სახარებებში ასეა გადმოცემული: „შევიდა იესუ ტაძარსა მას (ჰადიშური: „ტაძრად“), მ. 21.12; „შევიდა ტაძარსა მას“, მრ. 11.15 (ძალიან საგულისხმოა ჰადიშური: „შევიდა სამღდელოსა მას“); „შევიდა ტაძარსა მას“, ლ. 19.45 (= ჰადიშური, ხანმეტური); „პოვნა (ჰადიშ: „პოვა“) ტაძარსა მას...“ (ი. 2.14). როგორც ვხედავთ, ქართული ოთხთავის რედაქციებში გვაქვს „ტაძარი“, რასაც შეესაბამება ბერძნული **τὸ ἱερόν** და სომხური „ტაჭარ“ (*տաճար*). ერთადერთი გამონაკლისია, როგორც ვნახეთ, მრ. 11.15-ის ჰადიშური ტექსტი, სადაც ნაცვლად „ტაძრისა“ გვაქვს „სამღდელოა“ („შევიდა სამღდელოსა მას“). ეს სიტყვა იმდენად მოულოდნელი მოსჩვენებია ა. შანიძეს, რომ მისთვის თავის გამოცემაში კითხვის ნიშანიც კი დაუსვამს, თუმცა აქ, ცხადია, არავითარი შეცდომა არ გვაქვს, რადგან ბერძნული **ἱερόν**, როგორც ცნობილია, არის ზედსართავ **ἱερός**-ის საშუალო სქესის (**ἱερόν**) გასუბსტანტივებული სახე, ხოლო **ἱερός** იგივეა, რაც „სამღდელო“ და ხშირად ითარგმნებოდა კიდევ ასე ქართულად (შესაბამისად, აღმატებითი ხარისხის **ἱερότατος** არაიშვიათად გამოიციელოდა და გადმოიცემა როგორც „უსამღდელოესი“). ამგვარი თარგმანი განპირობებულია ორი სიტყვის, - **ἱερεὺς** (მღვდელი) და **ἱερός**-ის, - ფუძეზიარობით (შდრ. რუს. **священный** და **священник**). სომხურად „სამღდელოა“ (**ἱερός**) გადმოიცემა ტერმინით „ქაჰანაიკან“ („ქაჰანაი“ = „მღვდელი“) (შდრ. „I ეზრას“ წიგნში რამდენიმეგზის.: „სამღდელოა ჭურჭერი“ - **ἱερόν ὄχηθι** - **քահանայական կան կահ**; = სეპტ. II ეზრა). რაც შეეხება სომხურ „ტაჭარს“, იგი, ცხადია, არანაირად არ უკავშირდება ეტიმოლოგიურად „სამღდელოს“ (სომხური „ტაჭარი“, ისევე როგორც ქართული „ტაძარი“, როგორც ცნობილია, ფალაურდიდან მომდინარ-

ეობს და უპირველესად ნიშნავს „სასახლეს“, „ბალატს“, გადატანით კი „ღვთის სახლს“ ანუ „ტაძარს“ დღევანდელი მნიშვნელობით). ასე რომ, ჰადიშურში ტერმინი „სამღდელო“, რომელიც ამავე რედაქციაში სხვაგანაც გვხვდება (იხ. მრ. 11.11; მრ. 11.16; მრ. 11.27; მრ. 12.35) და რომელსაც ბერძნულში ყველგან **ἱερόν** შეესაბამება, სომხურში კი - „**ტაჭარ**“, ვერანაირად ვერ იქნება გამომდინარე ამ უკანასკნელისგან („**ტაჭარისგან**“), ანუ იგი უთუოდ საკუთრივ ბერძნული **ἱερόν**-ის ეტიმოლოგიური გააზრების საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი. ამრიგად, მოცემული ტერმინის მიხედვით, ვფიქრობთ, შემდეგი სურათი იკვეთება: **ჰადიშური რედაქცია წარმოადგენს ბერძნულიდან მომდინარე უძველესი ქართული თარგმანის საფუძველიან გადამუშავებას სომხურის კვალობაზე** (დაახლ. V-VI სს-ის მიჯნაზე), სადაც არაიშვიათად, ნებსით თუ უნებლიეთ, **შენარჩუნებულია თავდაპირველი ტექსტის მონაცემები**.

ახლა დავუბრუნდეთ „ევსტათის მარტვილობას“. როგორც ვნახეთ, მასში ნაუწყებია იესოს შესვლა არა უბრალოდ „**ტაძარსა**“, როგორც ეს გვაქვს ყველა ზემომოტანილ ციტატაში, არამედ - „**ტაძარსა ღმრთისასა**“. აქ სიტყვა „**ღმრთისასა**“ არ უნდა მივიჩნიოთ „მარტვილობის“ ავტორის შენამატად, რადგან მისი ბერძნული შესატყვისი **θεοῦ** სახეზეა მათეს თავის ბერძნული ტექსტის მრავალ ხელნაწერში. იგივე ვითარებაა გიორგისეულ რედაქციაშიც: „შევიდა იესუ **ტაძარსა მას ღმრთისასა**“ (მ. 21.12; შდრ. სლავ: в цѣрковѣ божіи; ლათ. *intravit Iesus in templum Dei*). სომხურშიც, თუმცა ძირითად ტექსტში მხოლოდ „**ტაძარი**“ გვაქვს, სქოლიოში შენიშვნაა, რომ ზოგ ხელნაწერში ემატება **Աստուծոյ** („**ღმრთისაჲ**“). არ გამოვრიცხავთ, რომ „მარტვილობა“, რომელიც საზოგადოდ ჰადიშურის მიმდგომ სახარებას მისდევს, მოცემულ ადგილას ინარჩუნებდეს ხსენებული ჰადიშური რედაქციის ადრეულ სახეს.

48. ეს წინადადება („**და იხილა მუნ შინა სავაჭროჲ დაგებული და ჰყიდეს**“) მეტ-ნაკლებად ეხმაურება მხოლოდ იოანეს

სახარებას („და პოვა ტაძარსა მას, რამეთუ ფრდიდეს ზროხასა და ცხოვარსა და ტრედსა, და კერმისმცვალებელნი, რამეთუ სხდეს“, ი. 2.14, ჰადიშური). თვით „სავაჭროც“ აღნიშნულ ამბავთან დაკავშირებით სწორედ იოანესთან (ი. 2.16) გვაქვს: „ნუ შეიქმთ სახლსა მამისა ჩემისასა სავაჭროდ“ (ჯრუჭ-პარხლისა: „სახლ სავაჭრო“ - ბერძნ. ο κων ἔμποριου. სომხ. „ზტუნ ვაჭარი“ - *զտւն վաճարի*).

49. „აილო ქრისტემ შოლტი“ - ესეც მხოლოდ იოანეს სახარებაზე მიგვივითებს: „და ქმნა შოლტი საბელთაგან“ (ი. 2.14; სხვა სახარებებში შოლტი არ იხსენიება)

50. აქ აღწერილი მოქმედებები („და გამოასხა კაცები იგი და გამოუბნია სავაჭრომ იგი და დაამკუა ტაბლები იგი“) სახარებებში ასეა გადმოცემული: მ. 21.12, ჯრუჭ-პარხლისა: „და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი შეკერმეთა და დასასხდომელი იგი მსყიდელთა მათ ტრედისათა დაამკუა“; ჰადიშური: „და გამოასხა ყოველი მოფარდული და მომსყიდელები ტაძარსა მას შინა და ტაბლები იგი თესლისმოფარდულთა დაამკუა და საჯდომელები, რომელი ყიდდეს ტრედებსა“ [ჰადიშურში ყურადღებას იქცევს „თესლისმოფარდულთა“ ნაცვლად ჯრუჭ-პარხლის სიტყვისა „შეკერმეთა“. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ნიშნავს „მემონეტეს“, „ფულის დამსურდავებელს“ და ზედმიწევნით შეესაბამება ბერძნულ *τὸν κοίλαςιστον*-ს (შდრ. ლათ. *nummulariorum*, სლავ. *торжником*, რუს. *мековщиков*). აღნიშნულის საპირისპიროდ, ჰადიშური „თესლისმოფარდულთა“ უიგივდება სომხურ „პატავაჭარაცნ“-ს (*պատասճարացն*), რაც ეტიმოლოგიურად სწორედ „თესლის გამყიდველს“ ნიშნავს („პატ“ - „თესლი“, „მარცვალი“; „ვაჭარელ“ - „ვაჭრობა“, „გაყიდვა“). საკმაოდ ნათელია სომხური ტერმინის წარმომავლობის მიზეზიც: მთარგმნელს ბერძნული *κόλλας*, რაც „მცირე მონეტას“, „ხურდას“ ნიშნავს, აღრევია მეორე ტერმინში *κόλλας*, რაც სწორედ „თესლს“, „მარცვალს“

გულისხმობს (შესატყვისობისთვის შდრ. მაგ. ბერძნული **ἐχθὴ τῶν κοιλίων** - ქართული „ლოცვამ თესლსა ზედა“, იხ. „დიდნი კურთხევანი“, თბ. 2002, გვ. 386-387, ბერძნ. **τὸ μέγα ἐχθολογίον**, გვ. 496). შესაბამისად, სომეხ მთარგმნელს ტერმინი **κοιλιαστικής** ეტიმოლოგიურად აღუქვამს როგორც „მეთესლე“ ანუ „თესლის გამყიდველი“, რაც ზედმიწევნითაა ასახული ჰადიშურში. **მრ. 11.15**: ჯრუჭ-პარხლისა: „და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა და მომსყიდელთა მიერ ტაძრით; და **ტაბლები** იგი მეკერმეთა **განუბნია** და სასხდომელები იგი მსყიდელთა მათ ტრედისათა **დაამკუა**“; ჰადიშური (დაზიანებულია): „... სა შინა **ტაბლები** იგი მე[კერმეთა და] სავრძლები იგი ტრედისმოფარდულთა **დაამკუა**“ (სომხურში აქაც „**მეკერმეთა**“ ნაცვლად „**თესლისგამყიდველნი**“ ანუ „**ჰატავაჭარაცნ**“ გვაქვს, რითაც იგი თითქოს ჰადიშურს განესხვავება, თუმცა ჰადიშური „**ტრედისმოფარდულთა**“ მაინც უფრო ესადაგება სომხურ კომპოზიციას „**აღავენევაჭარაცნ**“ - *აղავენევაჭარაცნ*, ვიდრე ბერძნულ ორსიტყვედს **τῶν πλοσόντων τὰς περιστεράς**, რასაც ზედმიწევნით გადმოსცემს ჯრუჭ-პარხლის რედაქცია: „**მსყიდელთა მათ ტრედისათა**“. დავძენთ, რომ სომხური „**ჰატავაჭარ**“ მხოლოდ ეტიმოლოგიურად ნიშნავს „**თესლის გამყიდველს**“, ჩვეულებრივი მნიშვნელობით კი იგი იმავე „**გადამსურდავებელს**“ გულისხმობს, რასაც ქართული „**მეკერმე**“). იმაზეც გაუუსვამთ ხაზს, რომ თუმცა მოტანილ ადგილას გიორგი, ჩვეულებისამებრ, მიჰყვება ჯრუჭ-პარხლის რედაქციას და ზემომითითებულ ორ ბერძნულ სიტყვას ისიც ორსიტყვედად თარგმნის („**მსყიდველთა მათ ტრედისათა**“), მაგრამ აშკარაა, რომ მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ჰადიშურის საგულისხმო კომპოზიტი „**ტრედისმოფარდულთა**“ და სხვაგან (კერძოდ, მათეს სახარების ზემოაღნიშნულ მუხლში) იმავე ბერძნული ორსიტყვედის ეკვივალენტად სწორედ ამ ჰადიშურ ტერმინს მოუხმო („დასასხდომელები იგი **ტრედისმოფარდულთა** მათ დაუქცია“, მ. 21.12); **ლ. 19.45**: „იწყო გამოსხმად, რომელნი ჰყიდდეს ტრედებსა“; **ი. 2.15**: ჯრუჭ-პარხლისა: „და ყოველი გამოასხა ტაძრით: ზროხა და ცხო-

ვარი; და კერმისმსყიდელთა მათ დაუთხია კერმა და **ტაბლე-
ბი იგი დაუმჯუა**“; ჰადიშური: „გამოასხა ყოველი ტაძრისა-
გან; და ცხოვარი და ზროხა; და პილენძი თესლისმოფარ-
დულთა მათ **განუზნია და ტაბლები იგი დაამჯუა**“ (ჰადი-
შური „**პილენძი თესლისმოფარდულთა**“ წარმოდგენს თარგ-
მანს სომხური ტექსტისა „**პლინძ პატავაჭარანც**“ - *պլինձ
հատասաճարանց*) [დავძენთ, რომ ნაცვლად ტერმინისა „**კერ-
მისმყიდელთა**“, ე. წ. ეფთვიმეს რედაქციაში სახეზეა „**კერ-
მისმწყველთა**“, იხ. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქ-
ცია, ი. იმნაიშვილის გამოც., 1979, გვ. 86); საგულისხმოა
ისიც, რომ მომდევნო მუხლში (ი. 2.16) უკვე ჯრუჭ-პარხლის
რედაქციაში (აქედან გიორგისეულში) გვხვდება კომპოზიტი
„**ტრედისმოფარდულთა**“ (რაც გამომდინარეობს ბერძნული
ფრაზიდან: *τρίς τῆς περιστερῆς πάλισσι*, ჰადიშურში კი სომხ-
ურის ზედმიწევნით შესატყვისი ტექსტი გვაქვს: „**რომელნი-
იგი ტრედსა ფრდიდეს**“ – *որ զաղանխսն վաճառւին*). ოთხ-
თავიდან დამოწმებულ შესაბამის მუხლებში ხაზგასმულად ის
სიტყვებია წარმოდგენილი, რომლებიც შესატყვისს პოულობენ
„მარტვილობის“ ტექსტთან. ამით აშკარად ჩანს ჰაგიოგრაფი-
სეული ზეპირი თხრობის ტექსტობრივი საფუძველი.

51.ამ ციტატაშიც, მსგავსად ზემოგანხილულებისა, შერწყმულია
სხვადასხვა ციტატა. კერძოდ, „**სახლი მამისა ჩემისა**“ ყურა-
დღებას მიგვაქცევინებს იოანეს სახარებაზე („**სახლსა მამისა
ჩემისასა**“, ი. 2.16), რადგან დანარჩენებში მხოლოდ „**სახ-
ლია**“; შემდეგ, შესიტყვება „**სახლი სალოცველ**“ (შდრ. ეს.
56.7; 10.7) აშკარად სინოპტიკურ სახარებებს უკავშირდება,
ამასთან ჯრუჭ-პარხლის რედაქციას, რადგან ჰადიშურში ორ
შემთხვევაში (მ. 21.13; მრ. 11.17) გვაქვს „**სახლ თავყუანის-
საცემელ**“ [მართალია ლ. 19.46-ში ჰადიშურშიც „**სახლ
სალოცველ**“ გვაქვს, მაგრამ როგორც აღვნიშნავდით (იხ.
ზემოთ. გვ. 1, შენ. 2), გამორკვეულია, რომ მოცემულ ადგი-
ლას ჰადიშური ხელნაწერის ტექსტი ჰადიშური რედაქციისა
კი არ არის, არამედ ჯრუჭ-პარხლისა]. კიდევ „**ქუაბი ავაზა-
კთა**“ (შდრ. იერ. 7.11) ასევე სინოპტიკური სახარებებიდან

მომდინარეობს (იოანესთან გვაქვს „სახლი სავაჭრო“). დასასრულს, „გიყოფიეს“ („ქუაბი ავაზაკთაჲ გიყოფიეს“) მათეს და მარკოზის თავებს მიემართება („თქუნ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“, მ. 21.13; მრ. 11.17), მაშინ როცა ლუკასთან გვაქვს „ჰყავთ“ (19.46). რაც შეეხება ჰადიშურ შესიტყვებას „სახლ თავყუანისსაცემელ“, მისი წარმოშობა ნათელი არ არის. ბერძნულშია *ο κος παρισσευχις*, რაც „სალოცველ სახლს“ ნიშნავს („თავყანსაცემი სახლი“ იქნებოდა *ο κος παρισσαυθησδς*), ისევე როგორც სომხური *սոյն սոյլի[խ]ի* („ლოცვათა სახლი“; თავის მხრივ, „თავყანისცემის სახლი“ სომხურად იქნებოდა *սոյն სրկրպადი[ქხან]*).

52. შდრ. ი. 2.19 (შდრ. აგრეთვე მ. 26.61; მ. 27.40; მრ. 14.58).

53. შდრ. მ. 13.55-56; ი. 6.42 („ღვთის ტაძარს მამისეულად იჩემებს“ - სახარებებში არ გვხვდება).

54. შდრ. ი. 2.20: „ორმეოც და ექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე და შენ სამთა დღეთა აღადგინო (ჰადიშ.: „აღჰმართო“) ეგე?“ შესაძლოა „მარტვილობის“ თავდაპირველ ტექსტში იყო „ორმეოცსა და ექუსსა წელსა“. რაც შეეხება შენამატს „სოლომონ“, „მარტვილობის“ ავტორს ტაძართან მისი კავშირის შესახებ შეიძლება სცოდნოდა ან ზოგადად (თუნდაც „ძველი აღთქმიდან“) ანდა კონკრეტულად სახარებებიდანვე (შდრ.: „და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას და სტოასა სოლომონისსა“, ი. 10.23).

55. „გაწყრნენ“ - დედნისეული „გული განიწყეს“ კვლავაც ჰადიშურ რედაქციას გულისხმობს (შდრ. მ. 21.16: „გული განიწყეს და ჰრქუეს...“; ჯრუჭ-პარხლისა: „განრისხნეს და ჰრქუეს მას“; შდრ. ხანმეტი: „განრისხნეს და ხრქუეს მას“). ასე რომ, მოცემულ ადგილას მხოლოდ ჰადიშურშია „გული განიწყეს“ (შდრ. ბერძნ. *ἦρανκρησαν*, სომხ. *բարկսցան*). იგივე ტერმინი ჰადიშურში კიდევ გვხვდება: „გული განიწყეს (ჯრუჭ-პარხლისა: „განრისხნეს“) ორთა მათ ძმათათჳს“, მ. 20.24 (ბერძნ.

ἤγανάρησαν, სომხ. *բարկայան*). ცნობილია აქტივის ფორ-
მაც: „გული განაწყო“ (ე. ი. გააბრაზა; ოშკური: ოვსე 12.14;
ბ. ზმნმთხვ; ს. *բարկայიց*).

56. შდრ. მ. 26.57; მრ. 14.53; ლ. 22.54; ი. 18.12-13.

57. შდრ. 2. 26.63-64; მრ. 14.61-62; ლ. 22.67; 22.70.

58. შდრ. მ. 26.61; მრ. 14.58; შდრ. მ. 27.40.

59. ი. 2. 19-20.

60. შდრ. მ. 27.1.

61. შდრ. ლ. 22.63.

62. შდრ. მ. 26.67; მ. 27.30; მრ. 15.19.

63. აქ ძალიან მოკლედ არის გადმოცემული მაცხოვრის შეურაცხ-
ყოფისა და ჯვარცმის ამბავი; საკუთრივ ძმრისა და ნაღვლის
შესახებ შდრ. მ. 27.34, ჯრუჭ-პარხლისა (= ხანმეტი, გიორგ-
ისეული): „და მისცეს მას ძმარი ნავლლითა შეზავებული“;
ჰადიშური: „და მისცეს მას სუმაღ ღვნომ ნავლეღრეული“
[როგორც ვხედავთ, ჰადიშურში, ერთი მხრივ, ემატება „სუ-
მაღ“ (შდრ. ბერძნ. *πινειν*, სომხ. *բմպել*), სლავ. *пити*, ლათ.
bibere), მეორე მხრივ კი „ძმრის“ ნაცვლად მითითებულია
„ღვნომ“ (შდრ. ზოგი ბერძნ. ნუსხა: *οίνον*, სომხ. *գինի*, ლათ.
vinum), თუმცა სხვა ადგილას ჰადიშურშიც „ძმარია“ (ბერძნ.
δξος, სომხ. *քացախ*): „ვითარცა მიიღო იესუ ძმარი იგი ნავლ-
ლითურთ“ (ჯრუჭ-პარხლისაში და გიორგისეულში, ისევე
როგორც ბერძნულ-ლათინურში და სლავურში, არ გვაქვს
„ნავლლითურთ“, მაგრამ იგი დასტურდება სომხურში: *Հանդ-
երձ լիկոպն*. აქაც ჰადიშურის სომხურთან კავშირი თვალნათლივ-
ია]. მოტანილი ციტატები ცხადყოფს, რომ „მარტვილობის“
ფრაზა: „ძმარი და ნავლელი შეზავებული“ ესატყვისება მ.
27.34-ის ჯრუჭ-პარხლის რედაქციას (შდრ. მ. 27.48; მრ. 15.23).

64. „მაშინ აახილა მან თვალეზი ზეცისკენ მამისადმი და თქვა: „მამაო ჩემო! ყოველივე აღვასრულე, ისრაელმა კი არ ისმინა ჩემი და ამგვარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზე“. და მოხარა მან თავი და ამოუშვა სული“ - აღნიშნული მონაკვეთი (შდრ. „მაშინ თუ აღნი აღიხილნა ზეცად მამისა მიმართ და თქუა: მამაო ჩემო, ყოველივე აღვასრულე და ისრაელმან არა ისმინა ჩემი და ესევეთარი ტანჯვამ მოაწიეს ჩემ ზედა. და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული“) მნიშვნელოვნად სხვაობს ოთხთავის შესაბამისი მუხლებისგან. მოვიტანთ ციტატებს: (I) „ხოლო იესუ კუალად დადად-ყო ვპითა დიდითა და განუტევა სული“ (მ. 27.50; ბოლო სიტყვები ჰადიშურში ამგვარია: „და აღმოუტევა სული“. როგორც ვხედავთ, აქაც „მარტვილობა“ ტერმინოლოგიურად ჰადიშურს ემთხვევა: „და აღმოუტევა სული“). მაცხოვრისგან „ვმაცოფა“ მითითებულია წინარე მუხლშიც: „და მეცხრესა ოდენ ჟამსა ვმა-ყო იესუ ვპითა დიდითა და თქუა: ელი, ელი, ლამა საბაქთან? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რამსათჳს დამიტევებ მე?“ (მ. 27.46; შდრ. მრ. 15.34); (II) „ხოლო იესუ ვმა-ყო ვპითა დიდითა და განუტევა სული“ (მრ. 15.37); საყურადღებოა ჰადიშური: „ხოლო იესუ აღუტევა ვმამ და აღმოზერა სული“; როგორც ვხედავთ, ჰადიშურში ტერმინი „აღმოუტევა“ ჯერ „სულთან“ დაკავშირებით იჩენს თავს (იხ. ზემოთ მ. 27.50), შემდეგ კი თითქმის იგივე ტერმინი („აღუტევა“) გვხვდება „ვმის“ გამოცემის აღსანიშნად. ეს ტერმინოლოგიური დამთხვევა შეიძლება ახსნილიყო ბერძნულით, რადგან პირველ შემთხვევაში „აღმოუტევა“ ბერძნულში გადმოცემულია სიტყვით ἄφικεν (შდრ. ὁ δὲ Ἰησοῦς πάλιν κράξας φωνῆν μεγάλῃ ἄφικεν τὸ πνεῦμα), ხოლო მეორე შემთხვევაში „აღუტევა“-ს შეესაბამება იმავე ზმნის მიმღეობა ἄφεις (შდრ. ὁ δὲ Ἰησοῦς ἄφεις φωνῆν μεγάλῃν ἐξέπνευσεν), თუმცა უფრო მეტი კავშირი მაინც სომხურთან ჩანს, სადაც ორივეგან, ჰადიშურისებრ, ერთი და იგივე ზმნური ფორმაა სახეზე: *արձակես*; (III) „და ვმა-ყო ვპითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ველთა შენთა შევჰვედრებ სულ-

სა ჩემსა; და განუტევა (ჰადიშური: „აღმოუტევა“) **სული**“ (ლ. 23.46); (IV) ყველაზე ხელშესახებია ტექსტობრივი თანხვედრა „მარტვილობისა“ სწორედ იოანეს სახარებასთან. შდრ. „მარტვილობა“: „...ყოველივე ადვასრულე ... და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული“; ი. 19.30, ჯრუჭ-პარხლისა: „თქუა: ესეცა წერილი აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და განუტევა სული“. ჰადიშური (რაც განსაკუთრებით საგულისხმოა): „თქუა: ყოველივე აღსრულებულ არს. და მიიდრიკა თავი და აღმოუტევა სული“. როგორც ვხედავთ, კონკრეტული მონაცემებით („ყოველივე“, „აღმოუტევა“) „მარტვილობის“ ტექსტი ესატყვისება იოანეს სახარების აღნიშნული მუხლის საკუთრივ **ჰადიშურ რედაქციას**. რაც შეეხება პირველ მონაცემს („ყოველივე“), მას შესატყვისი არა აქვს ბერძნულში, სადაც გვაქვს მხოლოდ *τετέλεσται* (შდრ. *ἔτελεσεν τὸ ἔξοδος Ἰησοῦς ἐπεὶ, Τετέλεσται: καὶ κλῖνας τὴν κεφαλὴν παρέδωκεν τὸ πνεῦμα*) (შდრ. სლ. *consummatum est*). მის ნაცვლად, როგორც ვხედავთ, ჯრუჭ-პარხლისაში (და გიორგისეულში, ასევე ე. წ. ექვთიმესეულში) გვხვდება: „**ესეცა წერილი**“ (რომლის წარმომავლობაც ნათელი არ არის). ჰადიშურს თანხვედება მხოლოდ სომხური, სადაც გვაქვს *սմնայն* („ყოველივე“). რაც შეეხება მეორე მონაცემს („აღმოუტევა“), მისი სახით საქმე გვაქვს ჰადიშური რედაქციის კიდევ ერთ ტერმინოლოგიურ მახასიათებელთან. მართლაც, **ტერმინები „აღმოუტევა“, „აღუტევა“ ქართული ოთხთავებიდან გვხვდება მხოლოდ ჰადიშურში**. სხვებში „აღმოუტევა“-ს ცვლის „განუტევა“, ხოლო „აღუტევა“-ს - „ვმა-ყო“ და „მოიხუნა“ (გარდა მითითებული ნიმუშებისა, „აღმოტევა“ ჰადიშურში დამოწმებულია კიდევ ერთ ადგილას, მრკ. 15.39 მუხლში: „ლაღატ-ყო და **აღმოუტევა სული**“; შდრ. ჯ.პ.: „ლაღად-ყო და **განუტევა სული**“; ასევე, „აღტევაებისთვის“ იხ. C მრ. 4.32). საზოგადოდ, ტერმინი „აღმოტევა“ იშვიათად გვხვდება წმინდა წერილის ძველ ქართულ ვერსიებში. დავიმოწმებთ არსებულ ნიმუშებს: „რავდენ-ესე დავშურები სულითა ჩემითა, იწროებით

აღმოუტევენ (D: „აღმოუტევენ“) მის ზედა სიტყუანი ჩემნი“ (იობ. 10.1 – ODS; შდრ. B: „ვიურვი სულითა ჩემითა, სულთქმითა განუტეო მას ზედა სიტყუანი ჩემნი“); „ხოლო აღუტევა ვჰამ ყრმამან და ტიროდა“ (შესაქ. 21.16 – CB; შდრ. OAS: „დაღად-ყო ყრმამან მან და ტიროდა“); „და აღუტევა (B: ‘აღუტევნა“) ვჰამ ტირილით“ (შესაქ. 45.2 – CB; შდრ. OAS: „აღიმაღლა ვჰამ ტირილით“); „ანუთუ აღუტევის (D: „აუტევის“) ვჰამ ვარმან ბაგასა ზედა, წინაშე რაჲ უცნ საზრდელი?“ (იობ. 6.5 – ODS; შდრ. B: „ანუ განაგდოს ვჰამ ვარმან ბაგათა შინა, მქონებელმან საზრდელისამან?“); „პირველი ვჰამ, მსგავსი ყოველთაჲ, სწორი აღუტევე ტირილი“ (სიბრძნ. სოლ. 7.3 – O; შდრ. B: „პირველისა ვჰისა მსგავსად ყოველთა განუტევე ტირილი“).

65. „მარტვილობის“ ტექსტიდან ისე ჩანს, თითქოს იოსებ არიმათიელამდე სხვას გადმოეხსნას უფალი ჯვრიდან (შდრ. „და მწრაფლ გარდამოიღეს მიერ ჯუარით. ხოლო კაცი ერთი იყო კელმწიფე და მოწაფე ყოფილ იყო ქრისტესა. მან აღიღო გუამი ქრისტესი და დადვა ახალსა სამარესა და ლოდი დიდი მიაგორვა კარსა ზედა სამარისასა“). სინამდვილეში, უფლის სხეულის გარდამოხსნა სწორედ იოსებს და ნიკოდემოსს უკავშირდება. მაგალითად: „იოსებ... გარდამოჰქსნა იგი“ (ლ. 23.53; ბერძნ. Ἰωσήφ ... καθέλθῃ. შდრ. ჰადიშური: „იოსებ... გარდამოიხუნა“); „იოსებ... ნიკოდემოსცა... მოიღეს (ჰადიშური: „გარდამოიხუნეს“) გუამი იესუსისი (ჰადიშური: „ვორცნი იგი იესუსისნი“)“ (ი. 19.40; შდრ. ბერძნ. Ἰωσήφ ... καὶ Νικάνδημος ... ἔλαβον οὖν τὸ σῶμα τὸν Ἰησοῦν).

66. იოსებისა და ნიკოდემოსის მიერ მაცხოვრის დაკრძალვა ასეა სახარებებში აღწერილი:

„და ვითარცა შემწუნრდა (ჰადიშ.: „და ვითარ დამწუნრდა“) მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიამთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუსისა... და მოიღო გუამი იგი მისი (ჰადიშ.: „და მოიხუნა ვორცნი იგი

იოსებ“) და შეჰგრაგნა იგი ამრენაკსა (ჰადიმ. = ხანმეტი: „არდაგსა“) წმიდასა და დადვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა (ჰადიმ. „სამარესა“), რომელი გამოეკუეთა (ჰადიმ. „აღმოეკუეთა“) კლდისაგან (ჰადიმ. „კლდესა შინა“), და მთაგორვა ლოდი დიდი კარსა მის საფლავისასა (=ჰადიმ.) და წარვიდა“ (მ. 27.57-60; შდრ. ბერძნ. Ὁψίας δ γενομένης ἦλθεν ἄνθρωπος πλοῦσιος ἄπὸ Ἀριμαθαίας, τοῦνομα Ἰωσήφ, δς καὶ αὐτὸς ἐμαθητεῖσθι τῷ Ἰησοῦ: οὗτος προσελθὼν τῷ Πιλάτῳ ἤτήσατο τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ. τότε ὁ Πιλάτος ἐκέλευσεν ἀποδοθῆναι. καὶ λαβὼν τὸ σῶμα ὁ Ἰωσήφ ἐνετύλιξεν αὐτὸ ἐν σινδόνι καθαρᾷ, καὶ ἔθηκεν αὐτὸ ἐν τῷ καινῷ αὐτοῦ μνημεῖῳ δ ἐλατῶμῃσεν ἐν τῇ πέτρῃ, καὶ προσκυλίσας λίθον μέγαν τῇ θύρῃ τοῦ μνημεῖου ἀπήλθεν);

„მოვიდა იოსებ არიმათიელი, შეუენიერი მზრახვალი (ჰადიმ. „პატოსანი მზრახვალი“ – ἐνσχήμων βουλευτής, *ყარყ-ხუი სარყარარ*), რამეთუ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იესუმისი... და [პილატემ] მიჰმადლა გუამი იგი მისი იოსებს (ჰადიმ. „მიჰმადლნა ვორცნი იგი იოსებს“) და მან იყიდა ამრენაკი (ჰადიმ. „არდაგი“) და... და შემოსა იგი ამრენაკითა და დადვა იგი საფლავსა, რომელი გამოკუეთილ იყო კლდისაგან, და მთაგორვა ლოდი და დასდვა იგი კარსა ზედა მის საფლავისასა“ (მრ. 15.43-46; შდრ. ბერძნ. ἔλθων Ἰωσήφ ὁ ἄπὸ Ἀριμαθαίας ἐνσχήμων βουλευτής, δς καὶ αὐτὸς ἦν προσδεχόμενος τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ, τολμήσας εἰσεῖλθαι πρὸς τὸν Πιλάτον καὶ ἤτήσατο τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ ... καὶ ... ἐδώρησατο τὸ πτῶμα τῷ Ἰωσήφ. καὶ ἀγοράσας σινδὸνα καθελὼν αὐτὸν ἐνετύλιξεν ἐν τῷ σινδόνι καὶ ἔθηκεν αὐτὸν ἐν μνημεῖῳ δ ἦν λελατομημένον ἐκ πέτρας, καὶ προσεκύλισεν λίθον ἐπὶ τὴν θύραν τοῦ μνημεῖου);

„და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი (ჰადიმ.: „რომელი იყო მთავარმზრახვალთაგანი“, შდრ. სომხ. *ჰრ ღრ სარყარარ*, მაშინ როცა ბერძნულშია βουλευτής *სპარჯონ* – „მრჩეველად მყოფი“), კაცი კეთილ და მართალ, ესე არა

თანაშერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა და იყო იგი არნიმათიამთ, ქალაქისაგან ჰურიათამსა, რომელ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა... გამოითხოვა (ჰადიშ.: „მოითხოვნა“) გუამი იესუმსი (ჰადიშ.: „ვორცნი იესუმსნი“) ... და შეჰმოსა მას არდაგი (ჰადიშ.: „და წარგრაგნა არდაგსა“) და დადვა იგი საფლავსა გამოკოდილსა (ჰადიშ.: „გამოკუეთილსა მას სამარესა“), სადა არავინ დადებულ იყო“ (ლ. 23.50-53; შდრ. ბერძნ. *Καὶ ἰδὸν ἀνὴρ ὀνόματι Ἰωσήφ βουλευτῆς ὑπάρχων καὶ ἀνὴρ ἀγαθὸς καὶ δίκαιος οὗτος οὐκ ἦν συγκατατεθειμένος τῇ βουλήνῃ καὶ τῇ πράξει αὐτῶν ἀπὸ Ἀριμαθαίας πύλεως τῶν Ἰουδαίων, ὃς προσεδέχετο τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ ... ἤτήσατο τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ, καὶ ... ἐνετέλιξεν αὐτὸ σινδόνι, καὶ ἔθηκεν αὐτὸν ἐν μνήματι λαξευτῷ οὐκ ἦν οὐδείς οὐπω κεῖμενος*);

„ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არნიმათიამთ, რომელი იყო მოწაფე იესუმსა ფარულად, შიშისათვის ჰურიათამსა, რაითა აღიღოს გუამი იესუმსი. და უბრძანა მას პილატე. მოვიდეს და აღიღეს გუამი იგი მისი. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი-იგი მოვიდა იესუმსა ღამე პირველ. და მოიღო აღრეული მურისა და ალომსაა ვითარ ასი ლიტრაჲ. და მოიღეს გუამი იესუმსი და შეჰგრაგნეს იგი ტილოებიტა, არდაგებიტა სულნელტა მათ თანა, ვითარცა არს ჩუეულეჲაჲ ჰურიათაჲ დაფლავასა. იყო ადგილსა მას, სადა ჯუარს-ეცუა, მტილი, და მტილსა მას შინა საფლავი ახალი, სადა არავინ დადებულ იყო. მუნ დადვეს გუამი იგი იესუმსი, პარასკევისათვის ჰურიათამსა, რამეთუ მახლობელ იყო საფლავი იგი“ (ი. 19. 38-42; შდრ. ბერძნ. *ἠρώτησεν τὸν Πιλάτον Ἰωσήφ ὁ ἀπὸ Ἀριμαθαίας, τὸν μαθητῆς τοῦ Ἰησοῦ κεκρυμμένος δὲ διὰ τὸν φόβον τῶν Ἰουδαίων, ἵνα ἄρῃ τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ: καὶ ἐπέτρεψεν ὁ Πιλάτος. ἦλθεν οὖν καὶ ἦρεν τὸ σῶμα αὐτοῦ. ἦλθεν δὲ καὶ Νικόδημος, ὁ ἔλθων πρὸς αὐτὸν νυκτὸς τὸ πρῶτον, φέρων μίγμα σμύρνης καὶ ἄλσῃς ὡς λίτρας ἑκατόν. ἔλαβον οὖν τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ καὶ ἔδησαν αὐτὸ ὀθονίοις μετὰ τῶν ἁρωμάτων, καθὼς ἔθος ἐστὶν τοῖς Ἰουδαίοις*

ἐνταφιάζειν. ἦν δ' ἐν τῇ τόπῃ ὅπου ἐσταυρώθη κήπος, καὶ ἐν τῇ κήπῳ μνημεῖον καινὸν ἐν ᾧ οὐδὲν οὐδὲν ἦν τεθειμένον: ἐκεῖ οὖν διὰ τὴν παρασκευὴν τῶν Ἰουδαίων, ὅτι ἐγγὺς ἦν τὸ μνημεῖον, ἔθηκεν τὸν Ἰησοῦν). Ὡς. ჰადიშური: „ვევედრებოდა პილატეს იოსებ არიმათელი, რომელი მოწაფე ყოფილ იყო იესუსა ფარულად, შიშისათვის ჰურიათამსა, რამთა გარდამოიხუნეს ვორცნი იგი იესუსნი. და ბრძანა პილატე. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი მოსრულ იყო ღამე იესუსა პირველ, და მოიღო მური, შეზავებული ჰალომთურთ ვითარ ას ლიტრა. გარდამოიხუნეს ვორცნი იგი იესუსნი და შეგრაგნეს იგი მჩუართა საკუმეველითურთ, ვითარცა ჩუეულეზაა აქუნდა ჰურიათა დაღუწოლაა სამკუდროთა. და იყო ადგილსა მას, რომელსა ჯუარსაცუეს, მტილი, და მტილსა მას შინა სამარე ახალი, რომელ არავინ დადებულ იყო მუნ. და პარასკევისა მისთვის ჰურიათამსა, რამეთუ ახლოს იყო სამარე იგი, სადა დადევს იესუ“ [როგორც ვხედავთ, იოანეს ზემორე ტექსტის ჯრუჭ-პარსლისა და ჰადიშის რედაქციებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობებია. აღვნიშნავთ მათგან არსებითს: (I) ჯ.პ.-სეული „ჰკითხსა“ (Ὡს. ბერძნ. ἰκάνησεν), ჰადიშური „ვევედრებოდა“ (= ს. *აიყახსაგ*); (II) ჯ.პ.: „მოიღო აღრეული მურისა და აღლმსა“ (= ბერძნ.: *μίγμα σμύρνης καὶ ἄλτης*), ჰადიშური: „მოიღო მური, შეზავებული ჰალომთურთ“ (პირდაპირი კალკირებაა სომხურისა: *ხეხერ დამირა ხაონ რნე ჯალიქს - „მოიტანა მური, შეზავებული ჰალომთურთ“*). (III) ჯ.პ.: „დაფლვასა“ (= ბ. *ἐνταφιάζειν*), ჰადიშური: „დაღუწოლაა სამკუდროთა“. ძნელი სათქმელია, სომხური *ყასიხლ* იტევს თუ არა ჰადიშური სინტაგმის შინაარსს (ეს ზმნა ნიშნავს „გავხედავ“; „შეგრაგნას“; სწორედ იგი შეესაბამება წინარე მუხლების „შეგრაგნას“), თუმცა ერთი რამ უეჭველად შეიძლება ითქვას: უნდა იყოს არა დაცალკევებით „დაღუწოლა“ (ასეა ა. შანიძისა და ზ. სარჯველაძის გამოცემებში. ი. იმნაიშვილის სიმფონია-ლექსიკონშიც გატანილია „ღუწოლა“), არამედ ერთად: „დაღუწოლა“, რაც მიცვალებულს

ბულის მოვლას აღნიშნავდა (საგულისხმოა ი. აბულაძის „ლექსიკონში“ ტერმინი „დაღუაწება“, რაც იგივეობრივია „დაღუწოლისა“. უფრო ზუსტად, „დაღუაწება“ თვით ი. აბულაძისგან შერჩეული ფორმაა მასდარისა პირიანი ზმნისთვის „დაიღუაწე“, რომლის ორ ნიმუშსაც გვაწვდის იგი. მასდარის ამგვარი ფორმა თავისთავად შესაძლებელია, თუმცა ისევე როგორც უზმნისწინო „იღუაწე“-სთვის მასდარი არის „ღუწა“ და „ღუწოლა“, ხოლო „ღუაწება“ მკვლევარის მიერ კავებშია ჩასმული, როგორც სავარაუდო, მაგრამ ნიმუშით დაუდასტურებელი ფორმა, ამგვარადვე „დაღუაწება“ დასაშვებ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ რეალურ მასდარად ზმნისწინიანი „დაიღუაწე“-სთვის „დაღუწა“ ან „დაღუწოლა“ უნდა მივიჩნიოთ, როგორც ამას აშკარად გვისაბუთებს ჰადიშური. რაც შეეხება მკვლევარისგან დამოწმებულ ნიმუშებს, მათში აშკარად „მკვდრის გაპატიოსნება-ზეა“ საუბარი. შდრ. „მკუდარი დაიღუაწე“, „დაიღუაწე გუამი მამისა ონოფრესი“, დასახ. ლექს., გვ.129; ეგვევ ტერმინი დასტურდება მერჩულესთან: „შემდგომად ჟამთა მრავალთა სანატრელი მშობელი მამისა გრიგოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სუროდა. ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუაწა სული მისი და დიდებამ შეწირა ღმერთსა“, ძქალძ, I, გვ. 278)]. მოტანილი ციტატების ფონზე აშკარაა, რომ „მარტვილობის“ ზეპირმესიერებითი (და ზოგან ფოლკლორული, რაც კარგახანია შემჩნეულია) მონაცემების გვერდით (ვთქვათ, ასეთია იოსებ არიმათიელის „ველმწიფედ“ წოდება) თავს იჩენს თვით გამოთქმის ფორმითაც უპირობოდ მწიგნობრული წარმოშობის ადგილები (მაგ. ფრაზა: „მოწაფე ყოფილ იყო“ - შდრ. მ. 27.57; ი. 19.38 ჰადიშ. და სხვ.).

67. „მესამე დღეს... საფლავიდან“ - ეს მონაკვეთი საკმაოდ ახლოსაა ტექსტთან. მართალია „მესამე დღე“ საკუთრივ აღდგომასთან დაკავშირებულ მუხლებში არ გვხვდება, მაგრამ მასზე წინასწარმეტყველებს თვით მაცხოვარი და აღდგომის შემდეგ მოწაფეებიც იხსენებენ უფლის სიტყვებს. მაგალითად: „იწყო

იესუ უწყებად მოწაფეთა თვსთა ... მოკლვად და **მესამესა დღესა** აღდგომად“, მ. 16.21 (საყურადღებოა, რომ ტერმინი „**უწყებად**“, რაც გვგვდება ყველა ქართულ ოთხთავში და, მათ შორის, გიორგისთანაც, ჰადიშურში შეცვლილია სიტყვით „**ჩუენებად**“, რაც გაცილებით ახლოსაა ბერძნულთან: **δεικνυσθαι**. იმავე „**ჩუენების**“ აღმნიშვნელი ტერმინი გვაქვს სომხურშიც: **ցուցանել**; შდრ. ლათ. ostendere, რუს. открывать); „...და მოკლან იგი და **მესამესა დღესა** აღდგეს“ (მ. 17.23); „და **მესამესა დღესა** აღდგეს“ (მ. 20.19); „შემდგომად **სამისა დღისა** აღვდგეო“ (მ. 27.63. ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულს: **Μετὰ τρεῖς ἡμέρας ἔγερσομαι**; შდრ. ლათ. **post tres dies resurgam**; მაგრამ ჰადიშურში არ გვაქვს „**შემდგომად**“. მასში ვკითხულობთ: „**მესამესა დღესა აღვდგე**“. აქ ჰადიშური სომხურისგანაც სხვაობს, სადაც გვაქვს: **კსი ხრჩე ასილე კბინხს**. აღვნიშნავთ, რომ ხანმეტი და გიორგისეული თანხვდება ჯრუჭ-პარხლისას); „... მოკლვად და **მესამესა დღესა** აღდგომად“, მრ. 8.31 (შდრ. მრ. 9.31; მრ. 10.34; ლ. 9.22; ლ. 18.33; ლ. 27.7; ლ. 24. 24.46). რაც შეეხება საკუთრივ დღის მონაკვეთის მითითებას „მარტვილობაში“ („**გათენებისას, ჯერაც ცისკარზე**“ - შდრ. დედნისეული: „**მსთუად ცისკარსა ოდენ**“), მასაც ხელშესახები **ტექსტობრივი** პარალელები აქვს ოთხთავში. მაგალითად: „მწუსრი შაბათსა, რომელი **განთენდებოდა** ერთშაბათად...“ (მ. 28.1); „და ვითარცა გარდავდა (ჰადიშ.: „წარვდა“) შაბათი იგი ... და **ნიად** (ჰადიშ. „**მსთუად**“) **განთიადსა** (ჰადიშ.: „**განთიად**“) მას ერთშაბათისასა ...“ (მრ. 16. 1-2); „ხოლო ერთსა მას შაბათსა, **ცისკარსა მსთუად** (ჰადიშ.: „**მსთუად განთიად**“) მოვიდეს...“ (ლ. 24.1); „ერთსა მას შაბათსა (ჰადიშ.: „და ერთშაფათსა მას“) ... განთიად, ვიდრე ბნელ-და იყო (ჰადიშ.: „**განთიად რიჟურაჟუ ოდენ**“)“ (ი. 20.1). დამოწმებული ნიმუშებიდან ყველაზე ახლოს „მარტვილობასთან“ არის **ლ. 24.1**, ჯრუჭ-პარხლის რედაქცია („**ცისკარსა მსთუად**“). რაც შეეხება ნაწილაკს „**ოდენ**“, მისი პარალელი შეიძლება დავინახოთ **ი. 20.1**-ის ჰადიშურ რედაქციაში: „**რიჟურაჟუ ოდენ**“ (შდრ. ჯრუჭ-პარხ-

ლის “-ღა“, ბერძნ. **Ξη**). და ბოლოს, ანგელოზის მიერ ლოდის გადაგორების ამბავი („**ანგელოზი გარდამოვდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი მის საფლავისაგან**“), რაც ერთ წინადადებაშია გადმოცემული, **თითქმის პირდაპირი ციტირებაა** მათეს სახარების შესაბამისი მუხლისა (სხვა სახარებებში, როგორც ცნობილია, საუბარია არა ანგელოზისგან ლოდის გადაგორების, არამედ ანგელოზის მიერ უკვე გადაგორებული ლოდის შესახებ): „და აჰა ძრვა იყო დიდ, რამეთუ **ანგელოზი** უფლისაჲ **გარდამოვდა ზეცით**, მოვიდა და **გარდააგორვა ლოდი იგი** კარისა **მისგან საფლავისა** (- ჰადიშ.) და დაჯდა მას ზედა“ (მ. 28.2; საგულისხმოა, რომ ბერძნულ ხელნაწერთა ერთ ჯგუფში გამოტოვებულია სიტყვა „**საფლავისა**“. ამგვარსავე სახეს გვიჩვენებს **სომხურიც** და, შესაბამისად, **ჰადიშურიც**. აღნიშნულის გამო „მარტვილობაში“ დადასტურებული „**საფლავისაგან**“ უფრო ჯრუჭ-პარხლის რედაქციისკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას).

68. „**ეჩვენა ორ მოწაფეს**“ - შდრ. ლ. 24.13-35; მრ. 16.12-12.

69. შდრ. მ. 28.9-10; მრ. 16.9; ი. 20.14-17.

70. შდრ. მ. 28.10. ტექსტობრივი პარალელი შესამჩნევია „მარტვილობის“ ტექსტის ბოლო ნაწილში („**მუნ მიხილოთ მე**“). რაც შეეხება წინა ნაწილს, აქ სიტყვას „**წარვედით**“ უფრო ჯრუჭ-პარხლის რედაქცია თანხვედება („**რაათა წარვიდენ**“, შდრ. ხანმეტი), რადგან ჰადიშურშია „**მივიდენ**“. თაბორზე მითითება („მარტვილობის“ ტექსტში) ზეპირი მონაცემია, რადგან იგი სახარებებში არ დასტურდება.

71. ამჯერადაც „მარტვილობაში“ ხაზგასმულია გალილეის კონკრეტული ადგილი, **თაბორის მთა**, რაც არ გვხვდება სახარებებში. ამასთან, გალილეაში უფალს შეხვდა არა თორმეტი, არამედ თერთმეტი მოწაფე (შესაძლოა აქ გადამწერის შეცდომა გვექონდეს). საზოგადოდ, აღნიშნული უწყება ეფუძნება მათეს სახარებას, სადაც ვკითხულობთ: „**ხოლო ათერთმეტნი იგი**

მოწაფენი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სადაცა-იგი უბრძანა მათ იესუ. და იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას ... და მოუვდა მათ იესუ...“ (მ. 28.16-18).

72. „ახლა აღარ გერქმევათ თქვენ მოწაფე, არამედ მოციქული გერქმევათ თქვენ“. ეს სიტყვები სახარებაში არ გვხვდება. საზოგადოდ, მოციქულების გამორჩევა ხდება გაცილებით ადრე, როგორც ეს უწყებულა მარკოზთან: „და ყვნა ათორმეტნი იგი, რაათა იყვნენ მის თანა და რაათა წარავლინნეს იგინი ქადაგებად“ (მრ. 3.14). საგულისხმოა, რომ აღნიშნული თორმეტი რჩეულის „მოციქულად“ სახელდება პირდაპირაა ნაუწყები ბერძნული ნუსხების ერთ ნაწილში (καὶ ἐποίησεν δώδεκα, ὧν καὶ ἄποστόλους θύμασεν, ἵνα ἄσιν μετ’ αὐτοῦ καὶ ἵνα ἄποστέλλῃ αὐτοὺς κηρῖσσειν), რაც ასახულია ჰადიშურში (თუმცა სომხურში, ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის ცნობილ ტექსტში, მსგავსი რამ არ დასტურდება): „და მოციქულ სახელი დასდვა მათ“. ამასვე იმეორებს ლუკა: „გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქული უწოდა“ (ლ. 6.13; შდრ. ἐκλεξάμενος ἅπ’ αὐτῶν δώδεκα, ὧν καὶ ἄποστόλους θύμασεν). ცხადია, არც ერთი აღნიშნული მუსლი არ ეთანხმება „მარტვილობის“ ზემორე სიტყვებს (შდრ, დედანი: „აწ არღარა გერქუას თქუნ მოწაფე, არამედ მოციქულ გერქუას თქუნ“). ვფიქრობთ, აქ სინამდვილეში უნდა იგულისხმებოდეს მაცხოვრის მიერ თავისი მოწაფეების ამალგება მონობიდან მეგობრობამდე, როგორც ამას გვამცნობს იოანე: „თქუნ მეგობარნი ჩემნი ხართ..., არღარა გეტყვ თქუნ მონა... ხოლო თქუნ გარქუ მეგობარ“ (ი. 15. 14-15).

73. ესაა ციტირება იოანეს სახარებისა: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუნისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუნისა“ (ი. 20.17) (წყარო მითითებულია, ძქალძ, I, გვ. 41).

74. „მოციქულებს შთაჰბერა ცხოველი სული“ - შდრ. ი. 20.22: „ესე ვითარცა თქუა, შთაჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ

სული წმიდაა“. ე. წ. ექვთიმეს რედაქციაში „შთაპბერა“-ს ნაცვლად გვაქვს „პბერა“, გიორგისტან კი „შეპბერა“, თუმცა ადრეული „შთაპბერა“, ერთი მხრივ, უფრო ზუსტად გადმოსცემს ბერძნულ ტერმინს (ბერძნ. *ἐνεφύσησεν*. შდრ. ლათ. *insufflavit*), მეორეც, აღნიშნული ადგილი ეხმიანება „შესაქმის“ წიგნის იმ მუხლს, სადაც ადამისადმი „სიცოცხლის სულის“ „შთაბერვაა“ უწყებული („და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი, მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად“, შეს. 2.7; შდრ. *καὶ ἔπλασεν ὁ θεὸς τὸν ἄνθρωπον χυτὸν ἕρῃ καὶ ἐνεφύσησεν εἰς τὸ πρῶτον αὐτὸν πνοῆν ἕρῃ, καὶ ἔγενετο ὁ ἄνθρωπος εἰς ψυχὴν ζῶσαν*). თეოლოგიური აზრით, მაცხოვარმა სწორედ ის დასაბამიერი „შთაბერილობა“ განუახლა ადამიანს, რაც ცოდვის გამო აღიზოცა. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, რაც წამოჭრილია „მარტვილობაში“, - კერძოდ, საკითხი ადამიანის დასაბამიერი განღმრთობილობისა და ცოდვითდაცემის შემდეგ განკაცებული ღვთის მიერ ამავე განღმრთობილობის კაცობრიობისადმი უკუბრძობის შესახებ, - ქვაკუთხედიან საეკლესიო ანთროპოლოგიისა და, შესაბამისად, ქართულ პაგიოგრაფიულ ძეგლებშიც არაიშვიათად იჩენს თავს.

75. „მიიღეთ თქვენ სიცოცხლის სული“ – შდრ. „მიიღეთ თქვენ სული ცხოვრებისა“. იოანესთან გვაქვს „სული წმიდაა“. პაგიოგრაფის „სული ცხოვრებისა“, ვფიქრობთ, ეფუძნება სწორედ იმ სწავლებას, რაზეც წინარე კომენტარში აღვნიშნავდით (რომ მაცხოვრისეული „შთაბერვა“ განახლება იყო თავდაპირველი „შთაბერვისა“). სწორედ იმ პირველი „შთაბერვისას“ იხსენიება „სული ცხოვრებისა“ ანუ „სული სიცოცხლისა“ (იხ. შეს. 2.7: „შთაპბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა“ – *ἐνεφύσησεν εἰς τὸ πρῶτον αὐτὸν πνοῆν ἕρῃ*), რომელიც მრავალი ეგზეგეტის მიერ სულიწმინდად განიმარტება. მაგალითად, როგორც მივეუთითებდით, წმ. კირილე ალექსანდრიელი აღნიშნავს: „შთაპბერა მას (ადამს, ე.

წ.) გონითი ქმნილებისადმი (ე. ი. ადამიანისადმი, ე. წ.) მინიჭებული **სულიწმინდა** ... რაც განიშორა (ადამიანმა, ე. წ.) ცოდვის გამო, ... მაგრამ მას შემდეგ, რაც ღმერთმა და მამამ სათნო იჩინა, რომ ქრისტეში შემოკრებილიყო ანუ დასაბამიერისკენ უკუწაყვანილიყო ყოველივე, რათა ჩვენგან გაფრენილი და განშორებული სულიწმინდა კვლავ აღედგინა მას ჩვენში, ამის გამო **შთაბერა მან იგი თავის წმინდა მოციქულებს და უთხრა: „მიიღეთ სულიწმინდა“**, ვინაიდან ქრისტესმიერი [შთაბერვა] განახლება იქმნა იმ დასაბამიერი საბოძვარისა და ჩვენდამი მოცემული შთაბერვისა“ (იხ. ეჭვლიძე, მართლმადიდებლური სატმეტყველება, გვ. 47-48; იხ. აგრეთვე წინა კომენტარი). ამრიგად, რადგან „შესაქმის“ წიგნის „**სული სიტოცხლისა**“ იგივე **სულიწმინდაა**, რომელიც მაცხოვრისგან შთაებერათ მოციქულებს, შესაბამისად იოანეს სახარების ზემომოტანილი მუხლის ტერმინოლოგიური შეცვლა ჰაგიოგრაფის მიერ ამ უკანასკნელის საღვთისმეტყველო განსწავლულობაზე უნდა მეტყველებდეს. აღსანიშნია ისიც, რომ შესაქმის ზემორე ტმეტყვები („**სული სიტოცხლისა**“) ჩვენს მიერ მოტანილია გვიანდელი ნუსხებიდან, რომლებიც მითითებულ ადგილას გელათურ რედაქციას ასახავენ (მრავალ სხვა მომენტთან ერთად ამას ეჭვმიუტანლად სწამებს შეს. 1.26 მუხლის ტერმინთშესიტყვება „**სატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ**“, რაც ამ ფორმით წმ. არსენ იყალთოელისგან იღებს სათავეს და აღრე, ცხადია, არ არსებობდა (მისი წინამორბედი სახეა „**სატად და მსგავსად ჩუენდა**“, რაც მოგვიანებითაც არაიშვიათად იჩენს თავს), მაშინ როცა ოშკურში (რომელსაც მოცემული მუხლი აკლია) ტერმინ „**სიტოცხლის**“ ნაცვლად, რაც ბერძნული ჯარის აღმნიშვნელად ასევე გვიანდელი მოვლენაა, უთუოდ იქნებოდა ჰაგიოგრაფისეული „**ცხოვრებისაა**“ ან „**ცხოველი**“. ამას შთამბეჭდავად ადასტურებს წმინდა წერილის უადრესი ქართული რედაქციების სხვა (ჩვენამდე დაუზიანებლად მოღწეული) ადგილები. მაგალითად: „რამეთუ ვერ იცნა **შემოქმედი თვისი და რომელმან შთაბერა მას სული შემწმ და მოჰსცა მას სული ცხოვრებისაა**“ (სიბრძნ. სოლ. 15.11 – OS; შდრ. B:

„რამეთუ არა იცნა შემოქმედი მისი და რომელმან მოჰბერა მას სული მოქმედებისა და შთაბერა სული ცხორებისა“ ბერძნ. ὅτι ἠγνοῶσεν τὸν πλάσαντα αὐτὸν καὶ τὸν ἐμπνεύσαντα αὐτῷ ψυχῆν ἐνεργούσαν καὶ ἐμφοσήσαντα πνεῦμα ζωτικόν. შდრ. სომხ. *զի ո՛չ ծաննեալ գտեղծիչն իւր եւ ո՛չ գայն, որ շնչեաց ի նա գլուխն ազդեցութեան եւ որ փչեացն ի նա հոգի կենդանական;* ლათ. *quoniam ignoravit qui se finxit et qui inspiravit illi animam quae operatur et qui insufflavit spiritum vitalem;* სლავ. *ѣкъ не ѡубѣдѣ создáешагъ єго, ѡ вдохнѣшагъ ємѡ дъшѡ дѣиствѣтельныѡ, ѡ вѣднѣшагъ дѣхъ живѡтныѡ*); „დგომასა მას მათსა დგანედ და აღმალლებასა მას ქერობინთასა აღმალლდიან ეტლის თუალნიცა იგი მათ თანა, რამეთუ სული ცხოვრებისაა (O: „სული ცხოველი“; ბერძნ. *πνεῦμα ζῶνς*. შდრ. სომხ. *იჳի կենդանկթեան;* ლათ. *spiritus vitae;* სლავ. *дѣхъ живи*) იყო მათ თანა“ (ეზექ. 10.17 – OJ; შდრ. G: „დგომასა შინა მათსა დგიან და აღმალლებასა შინა მათსა აღიმაღლებდეს მათ თანა. მით რამეთუ სული სიცოცხლისაა იყო მათ თანა“); „აჰა ესერა მე მოგცე თქუენ ზედა სული ცხოვრებისაა (O: „სული ცხოვრებისაა“; ბერძნ. *πνεῦμα ζῶνς*. შდრ. სომხ. *չունջ կենդանի;* ლათ. *spiritum et vivetis;* სლავ. *дѣхъ живѡтены*)“ (ეზექ. 37.5 – OJ; შდრ. G: „აჰა მე შემოვიყვანო თქუენ ზედა სული სიცოცხლისაა“); „არა დაშთა სული ცხოვრებისაა (ბერძნ. *πνεῦμα*. შდრ. სომხ. *չունջ*; ლათ. *halitus;* სლავ. *дѣхъ*) მის თანა“ (III მფ. 17.17 – O; შდრ. Ja: „სამშვნველი“; JS: „სამშვნველიცა“; F: „საშუმინველიცა“; B: „სული“).

76.აქ აღწერილი სამოციქულო მოღვაწეობის ნიშანთვისებანი შორეული პერიფრაზია მარკოზის სახარების დამაბოლოებელი ნაწილისა: „და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა და ქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა... სოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე თანაუვიდოდის: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდინ, გუელთა შეიპყრობდენ, დაღათუ სასიკუდინე სუან, არარაჲ ავნოს მათ, სნეულთა ზედა კელი დასდვან და განცოცხლდენ“ (მრ. 16. 15-18).

77. „მოაქციეთ წარმართები ... ვიდრე სოფლის აღსასრულამდე“ - შდრ. „მოაქციევდით წარმართთა და ნათელ-სცემდით⁴⁸ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა. და ასწავებდით მათ¹, ყოველივე² რავედენი გამცენ თქუენ, და მე ესერა თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულამდე³ სოფლისა“. შდრ. მათე: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მ. 28. 19-20). განსაკუთრებით საგულისხმოა „მარტვილობის“ სიტყვები „ცხოვრებისა თქუენისათა“ („მე ესერა თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“). საქმე ისაა, რომ აღნიშნული სიტყვები არ გვხვდება არც ბერძნულ ორიგინალში (იხ. ბერძნ. *πορευθητε εν μαθησειατε παντα τα εθνη, βαπτιζοντες αυτους εις το ονομα του πατρος και του υιου και του αγιου πνευματος, διδασκοντες αυτους τηρειν παντα οσα εντειλαμην υμιν: και ιδου εγω μεθ' υμων ειμι παντας τας ημερας ζωης της συντελειας του αιωνος*). შდრ. ბოლო ნაწილის ახალქართული თარგმანი: „აჰა მე თქვენ-თანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე“), არც რომელიმე სხვაენოვან თარგმანში (შდრ. სომხ. *ընդ ձեզ եմ գամենայն ատուրս, մինչև ի կատարած աշխարհի*, ლათ. *ego vobiscum sum omnibus diebus usque ad consummationem saeculi*, სლავ. *дз с вами есмь во вса дни до скончєнна вєка*). ასევე არ დასტურდება აღნიშნული სიტყვები არც რომელიმე ქართულ ოთხთავში (იქნება ეს ჯრუჭ-პარხლისა, ჰადიშური, ოპიზის, ტბეთის, ბერთისა, ანდა ხანმეტი ლექციონარი, ან კიდევ ე. წ. ექვთიმესეული და გიორგისეული რედაქციები). მიუხედავად აღნიშნულისა, „ევსტათის მარტვილობა“ მოცემულ ადგილას სახარების უძველესი ქართული თარგმანის ამსახველად წარმოჩნდება, როგორც ამას შთამბეჭდა-

ვად მოწმობს **ხანმეტი ოთხთავი**: „და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა **ცხოვრებისა თქუენისათა** და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (იხ. ხანმეტი ტექსტები, I, გამოსცა ლ. ქაჯაიამ, თბ. 1984, გვ. 63; შდრ. შენ. 20) [დავძენთ, რომ წარმართების მონათვლაზე მათეს გარდა გვაუწყებს მარკოზიც: „**წარვედით ... და ქადაგეთ ..., რომელსა პრწმენეს და ნათელ-იღოს, ცხოვნდეს**“, მ. 16. 15-16].

78. „**და ქრისტე ამაღლდა**“ - ჰაგიოგრაფის ტექსტიდან ისე ჩანს, რომ ქრისტე, რომელიც გალილეაში, თაბორის მთაზე მოძღვრავდა მოწაფეებს, ამავე მთიდან ამაღლდა ზეცად. საზოგადოდ, „**ახალ აღთქმაში**“ კონკრეტული დასახელება ამაღლების ადგილისა არ გვაქვს. ლუკას სახარებაში ვკითხულობთ, რომ უფალი გამოეცნალება თავის თერთმეტ მოწაფეს იერუსალიმში (შდრ. „**აღდგეს მასვე დღესა შინა და მოიქცეს იერუსალმად და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სსუანი მათთანანი, და იტყოდეს, ვითარმედ: «ნანდვლვე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონსK, და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და ვითარ-იგი გამოეცნადა მათ განტეხასა მას პურისასა, და ვითარ-იგი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა...**“, ლ. 24.33-36), შემდეგ კი ამაღლდება მათგან. საკუთრივ ამაღლება ლუკას მიერ ასეა აღწერილი: „**და განიყვანნა იგინი ვიდრე ბეთანიადმდე და აღიპყრნა კელნი თუსნი და აკურთხნა იგინი. და იყო კურთხევისა მას იესუმსსა მათა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად**“ (ლ. 24. 50-51) [საგულისხმოა, რომ ბოლო სიტყვები („**და აღვიდოდა ზეცად**“) სახეზეა ბერძნული ნუსხების მხოლოდ ნაწილში (შდრ. Ἐξήγαγεν δὲ αὐτοὺς ἕξω πρὸς Βηθανίαν, καὶ ἐπάρας τὰς χεῖρας αὐτοῦ εὐλόγησεν αὐτούς. καὶ ἐγένετο ἐν τῷ εὐλογεῖν αὐτὸν αὐτοὺς διέστη ἅπ’ αὐτῶν καὶ ἀνεφέρετο εἰς τὸν οὐρανόν., შდრ. ლათ. et ferebatur in caelum, სლავ. и возношашесѧ на небо), თუმცა იმავე ბერძნული მანუსკრიპტების მნიშვნელოვან რაოდენობაში აღნიშნული უწყება არ გვხვდება (არც გამომცემელს, ე.

ნესტლს შეაქვს იგი ძირითად ტექსტში, იხ. *Novum Testamentum Graecae*, ed. E. Nestle, 1971, p. 229). სომხურში, თუ გვიანდელი ჩანართი არაა, დღეისათვის ცნობილ ტექსტში ზემორე სიტყვები დაცულია: *ხს վերահայր յերկինս*. აღნიშნულის ფონზე, ბერძნულთან მიმართების ასპექტით, ხაზგასასმელია, რომ ჩვენთვის საყურადღებო ფრაზა არ დასტურდება ჰადიმურ ოთხთავში („და იყო კურთხევასა მას ოდენ, განეყენა მათგან“)]. იგივე უწყება გვაქვს მარკოზთანაც: „უკუნა-ნამსკენელ, მსხდომართა მათ ათერთმეტთა ერუენა ... ხოლო შემდგომად სიტყვსა მის მისისა მათა მიმართ, აღმაღლდა ზეცად () და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“ (მრ. 16.14-19; შდრ. ბერძნ. Ὑστερον δ ἀνακειμένους ἀπτοῖς τοῖς ἕνδεκα ἐφανερώθη ... μετὰ τὸ λαλῆσαι ἀπτοῖς ἀνελήμφθη εἰς τὸν οὐρανὸν καὶ ἐκάθισεν ἐκ δεξιῶν τοῦ θείου). უფრო ინფორმატიულია „საქმე მოციქულთა“, რომლის პირველ თავში აღწერილია უფლის ზეცად ამაღლება, შემდეგ კი უწყებულება, რომ ამაღლების ხილვის შემდეგ მოციქულები ზეთისხილის ანუ ელეონის მთიდან დაბრუნდნენ იერუსალიმში (საქ. 1.12). შესაბამისად, მყარი საფუძველი ედება იმ აზრს, რომ სწორედ ზეთისხილის მთიდან ამაღლდა უფალი (ლუკა ამ მთის ზუსტ მდებარეობასაც იქვე უთითებს: „რომელიც მდებარეობს იერუსალიმის ახლოს, აქვს რა შაბათის გზა“, ე. ი. დაცილებულია იერუსალიმიდან დაახლ. 2000 ნაბიჯით, რაც განსაზღვრავდა შაბათის გზას). ეს სწავლება ვლინდება ლიტურგიკულ ტრადიციაშიც (შდრ. ამაღლების კანონი: „მთასა ზეთისხილთასა ამაღლებულსა დღეს ქრისტესა მეუფესა ვაქებთ“, იხ. უძველესი იადგარი, თბ. 1981, გვ. 241. 26). მიუხედავად აღნიშნულისა, ჰაგიოგრაფის ორგზის ხაზგასმას თაბორის მთაზე და, გარკვეულწილად, უფლის ამაღლების აღნიშნულ მთასთან დაკავშირებას შესაძლოა თავისი საფუძველი ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ ჯერ ანგელოზის, შემდეგ უფლის მოწოდება თავისი თერთმეტი მოწაფისადმი, რომ მის შესახებდრად გალილეაში წასულიყვნენ ისინი, ბოლოს კი მათეს პირდაპირი უწყება მათი იქ წასვლისა და მთაზე უფლის

ხილვის შესახებ („**ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სადაცა-იგი უბრძანა იესუ და იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას**“, მ. 28. 16-17) მაცხოვრის გამოცხადებათა შორის უგვიანეს მოვლენად წარმოჩნდება და ასედაც განიმარტება, თან მათეს სახარება **სწორედ ამ შეხვედრით ასრულებს უფლის მიწიერ ცხოვრებას**, რაც ხსენებულ მთას ძალაუნებურად გვაფიქრებინებს ამადლების ადგილად, ხოლო ის, თუ რომელია აღნიშნული მთა, მიუხედავად მათესგან მისი დაუსახელებლობისა, მაინც უეჭველად თაბორს გვაფიქრებინებს, რომელიც სწორედ გალილეაშია, და არანაირად - ზეთისხილისას, რომელიც იერუსალიმის ახლოსაა და დიდადაა დაშორებული (პალესტინის მასშტაბით) გალილეისგან. სწორედ ამგვარი აზრის ამსახველად წარმოჩნდება „ევსტათის მარტვილობის“ ავტორი.

79. მოციქულთა მოღვაწეობის ამსახველი ეს მონაკვეთი შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც „საქმეთა“ კანონიკურ ტექსტს, ასევე აპოკრიფულ აღწერილობებს, ან კიდევ ზოგად ცოდნას და, ამასთან, მარკოზის სახარების უწყებას: „**ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა შეწვენითა და სიტყვსა მის დამტკიცებითა მისა მიმართ, რომელნი-იგი შეუდგეს მათ სასწაულნი**“ (მრ. 16.20).

80. მდრ. მ. 28.20: „**წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუნ**“.

81. „**ისრაელი**“ ზემოთაც განმარტა ჰაგიოგრაფმა როგორც „**ერიღეთისა**“, თუმცა ამჯერად დაურთო: „**მონა ქრისტესი**“. ორივე განმარტება ოდენ ფუნქციურია (ეტიმოლოგიურად „**ისრაელი**“ ნიშნავს „**ღვთისმბრძოლს**“).

82. „**დასაბამიდან**“ - ძირითად (უძველეს) ნუსხაში (H 341) გვაქვს „**დასაბამითგანი**“. ოთხ გვიანდელ ხელნაწერში სახ-

ეზეა „დასაბამითგან“, რაც უფრო მიზანშეწონილი გვეჩვენება კონტექსტის მიხედვითაც და ტერმინოლოგიური ასპექტითაც („დასაბამითგანი“ წარმოადგენს ზმნიზედა „დასაბამითგან“-ისგან მიღებულ რთულ მწიგნობრულ ტერმინს, რაც ამ დროისთვის ნაკლებადაა მოსალოდნელი). შესაძლოა აქ გარკვეული მინიშნება გვქონდეს ლ. 24.27-ზე: **„და იწყო მოსესითგან და ყოველთა წინასწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთა წიგნთა მისთჳს“** [ესაა ჯრუჭ-პარხლის რედაქცია, რასაც ეთანხმება ე. წ. ექვთიმესეული და გიორგისეული ოთხთავები, მაგრამ ჰადიშის ოთხთავში დამატებული სიტყვები, - „... ყოველთა წიგნთა მისთჳს“, - მცირედით შეცვლილია და ახლავს დანართი. აი, მთლიანი ტექსტი: „... ყოველთა წიგნთაგან, რომელთა წერილ არს მისთჳს“. აღნიშნული სხვაობა აშკარად გვიდასტურებს უეჭველობას იმისას, რომ **ჰადიშური რედაქცია წარმოადგენს არა სომხურის თარგმანს, არამედ უძველესი ქართული თარგმანის საფუძვლიან შესწორებას სომხურის მიხედვით.** ვიდრე ძირითად მონაცემს შევეხებოდეთ, ჯერ იმას აღვნიშნავთ, რომ ჰადიშური რედაქციის ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა იმგვარი ტექსტი, სადაც იქნებოდა არა „ყოველთა წიგნთა“, როგორც ეს ჯრუჭ-პარხლის ოთხთავებშია, არამედ, ჰადიშურისებრ, **„ყოველთა წიგნთაგან“** (შდრ. პალესტინურ-ურბნისული ოთხთავები და, მათ კვალობაზე, გიორგისეული: **„ყოველთაგან წიგნთა მისთჳს“**; შდრ. ბერძნ. και ἄρχαίμενος ἔπειθον Μωϋσῆα και ἔπειθον πάντων τῶν προφητῶν διεραήσεσεν αὐτοῖς ἐν πάσαις ταῖς γραφαῖς τὰ περὶ ἑαυτοῦ). სიტყვა „წიგნნი“ შეესაბამება ორიგინალისეულ **γραφαῖς**-ს და სხვა რამ დამაზუსტებელი მონაცემი აღნიშნულ **γραφαῖς**-ს არ ახლავს ბერძნულის არც ერთ ხელნაწერში (შდრ. გიორგისეული). მეორე მხრივ, ჰადიშურში სიტყვას „წიგნთაგან“ მოსდევს მთელი ფრაზა **„რომელთა წერილ არს მისთვის“**. აშკარაა, რომ ეს ფრაზა სომხურის მიხედვით უნდა იყოს დამატებული, მაგრამ საგულისხმო სწორედ ისაა, რომ სომხურში სიტყვა „წიგნნი“ ზემორე რთული ქვეწყობილი წინადადების საკუთრივ დამოკ-

იდებულ ნაწილშია ჩართული. სომხური სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „ ... **განუმარტავდა მათ, რაც რამ ყველა წიგნში დაწერილი იყო მისთვის**“ (*მხსნէր ნიყა ირ ինչ յամենայն գիրս գրեալ էր գնմանէ*). ამრიგად, ჰადიშური რედაქციის ავტორი მიჰყვება წინარე ქართულ თარგმანს, მთლიანად ინარჩუნებს მის სინტაქსურ სახეს სიტყვებამდე „**ყოველთა წიგნთაგან**“ და ამის შემდეგ ურთავს სომხურისთვის ნიშანდობლივ მონაცემს. **იგი რომ უშუალოდ სომხურიდან თარგმნიდეს, წინადადება სინტაქსურად ადეკვატური იქნებოდა სწორედ სომხურისა, მაგრამ როგორც ვნახეთ, ეს ასე არ არის**]

83. შდრ. შეს. 1. 1-30.

84. აქ. ს. ყუბანეიშვილისა და ძქალძ-ის პუბლიკაციებში მძიმე არ არის დასმული, რაც აუცილებელია (შდრ. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1987, 268.

85. „**პირუტყვი ცხოველების მსგავსნი**“ - დედნისეული ტექსტი („**საცხოვართა პირუტყუთა მსგავს ვიყვენით**“) ფრაზეოლოგიურად აშკარად მიანიშნებს II პეტრ. 2.12-ზე: „**ვითარცა პირუტყუნი საცხოვარნი**“ (შდრ. ბერძნ. **ὡς ἄλογα ζῷα**).

86. „**გონიერი**“ - დედნისეული „**პირმეტყუელი**“ ტერმინოლოგიური შესატყვისია ბერძნული **λογικός**-ისა, რაც ნიშნავს „**მოაზროვნეს**“, „**აზროვნებითს**“, „**გონების მქონეს**“, „**გონიერს**“ (ისევე როგორც, თავის მხრივ, ტერმინი „**პირუტყუ**“ გადმოსცემს ბერძნულ **ἄλογος**-ს ანუ „**უგონებოს**“, „**აზროვნების არმქონეს**“). აღნიშნული ტერმინები („**პირმეტყუელი**“ და „**პირუტყუ**“) წმინდა ქართული წარმოშობის კომპოზიტებია, სადაც პირველი წევრი „**პირ-**“ სხვა ენებში შესატყვისს ვერ პოულობს (შდრ. ზემომითითებული ბერძნული ტერმინები, რომლებიც კალკირებულად ნიშნავს: „**სიტყვიერს**“ და „**უსიტყვოს**“; იგივე ვითარებაა სომხურშიც). ამიტომ მოხდა, რომ მოგვიანებით თანდათან გაბატონდა უფრო ზედმიწევნითი შესატყვისები: „**სიტყვერი**“ და

„უტყუ“ ან „უსიტყუ“, თუმცა ამგვარი შესატყვისობა მხოლოდ გარეგან მხარეს გულისხმობს, შინაარსობრივად კი ქართული „სიტყვარიც“ და „პირმეტყუელიც“ (ისევე როგორც ბერძნული „ლოგიკოს“), არა მხოლოდ „სიტყვის“, არამედ „აზროვნების, გონების მქონეს“ ნიშნავს, „უსიტყუ“ და „პირუტყუ“ კი - „გონების არმქონეს“.

87. აქ ტექსტს აკლია.

88. ამ ციტატის შესატყვისად გამოცემებში მითითებულია რომ. 8.35 (იხ. ძქაღძ, I, გვ. 43), რაც ნაწილობრივ არის მართალი. საკუთრივ ეს მუხლი იმდენად განსხვავებულია და ასახული „მარტილობაში“, რომ ძნელი იქნებოდა საუბარი პირდაპირ ტექსტობრივ კავშირზე (შდრ.: „**ვინ განმაშოვრნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამ ანუ სიყმილმან, შიშულობამან ანუ მასჯლმან?**“, რომ. 8.35). მწიგნობრული, უშუალოდ ტექსტობრივი, გავლენის დასადასტურებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევსტათის ლოცვის ბოლო ნაწილი: „**არცა სიკუდილმან... შემიძლოს მე განყენებად...**“. გამონათქვამი „**შემიძლოს მე განყენებად**“ უეჭველად ტექსტობრივი მონაცემია, რაც მომდინარეობს რომ. 8. 39-დან. შდრ.: „**არცა სიკუდილმან... შემიძლოს ჩუენ განყენებად...**“. საგულისხმოა, რომ ზმნა „**შემიძლოს**“, სადაც ასახულია ირიბი ობიექტი, მხოლოდ ქართული თარგმანის სპეციფიკაა, რადგან სხვა ენებს მსგავსი შესაძლებლობა არა აქვთ (შდრ. ბერძნ. *δυσήθεται ἡμᾶς χωρῖσται* - „**შეძლებს ჩვენს განყენებას**“; იგივეა სომხ. *կարէ մեկնել զմեջ*; ლათ. *poterit nos separare*; სლავ. *возможеѣт нас разлучити*; სტოკპოლმის თარგ.: „**შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას**“). რა თქმა უნდა, ზემორე „**შემიძლოს**“ გაცილებით ინფორმატიულია, ვიდრე თანამედროვე „**შეძლებს**“. ფორმობრივად ძველთან უფრო ზედმიწევნითი იქნებოდა „**შემაძლებინოს**“, მაგრამ შინაარსობრივად მნიშვნელოვან სხვაობას მივიღებდით, რადგან ეს უკანასკნელი ჩვენი პიროვნული სურვილის სხვა ძალის დახმარებით აღსრულებას გულისხმობს, მაშინ როცა „**შემიძ-**

ლს“ იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ გარეგან ძალას სურს მაიძულოს ანუ იძულებით შეძლოს ჩემი გაშორება ღვთისგან. ამრიგად, მოტანილ ადგილას უეჭველია პაგიოგრაფის მიერ რომ. 8. 39-ის საკუთრივ ქართული თარგმანის გამოყენება. ამას ხაზს ვუსვამთ, რადგან „მარტვილობის“ აღნიშნულ ციტირებასთან დაკავშირებით არა მხოლოდ მითითებულ გამოცემაში, არამედ სპეციალურ კვლევაშიც აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ რომ. 8. 35-ზე და უგულებელყოფილია რომ. 8. 39, რომელთანაც „მარტვილობის“ ზედმიწევნითი ტექსტობრივი კავშირი უეჭველია (იხ. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1983, გვ. 108; დავძენთ, რომ მართალია კ. დანელიას აღნიშნულ ნაშრომში ცალკე თავადაა გამოყოფილი საკითხი „პავლეს ეპისტოლეთა ციტატები ქართულ ორიგინალურ თხზულებებში“, მაგრამ უდიდესი ნაწილი ციტატებისა მკვლევრის ყურადღების მიღმა დარჩენილი).

89. შდრ. I კორ. 2.9 (შდრ. ეს. 64.4): „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა“. როგორც ვხედავთ, სახაზეა ზედმიწევნითი ციტირება (შდრ. „მარტვილობა“: „რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელი-იგი განუმზადე...“).

90. შდრ. „ნარჩევი“. აღნიშნული ტერმინის შესახებ იხ. მომდევნო შენიშვნა.

91. ბერძნულ ტერმინს **ἐλάχιστος**, რაც არის აღმატებითი ხარისხის სიტყვისა **μικρός** („მცირე“, „პატარა“, „კნინი“) (შდრ. **ἐλάχιστος**-ის შესატყვისები ლათ. მინიმუს, სომხ. սրուսս, სლავ. миніи, რუს. наименьший). ძველი ქართული „ნარჩევი“, გარდა აღნიშნულისა, გამოიყენებოდა „მუცლადმოწვევტილის“ (ძველი ქართულით „მორყუნლის“) ანუ ბერძნული **τὸ ἔκκρισμα**-ს შესატყვისად (შდრ.: „ვითარცა ნარჩევსა მეჩუენა მეცა“, I კორ. 15.8; ბერძნ. ὁσπερὲν τῷ ἔκκρισματι ἄφθι κἀμοί. შდრ.

ლათ. **abortivo**; სლავ. **ИЗВЕРЖ** = რუს; სომხ. **ანარკ** - „უბადრუკი“. „ნარჩევს“ ბერძნულ ეკვივალენტად დასტურდება აგრეთვე **τὸ περικάρμα** („ნაგავი“, „ნარჩენები“, „ნაყარ-ნუყარა“, სიტყვ. „შემონაწმენდი“): „ნარჩევ (ბერძნ. **περικάρματα**) მართლისა უშჯულოა“ (იგ. სოლ. 21.18; შდრ. სომხ. **ღნღან**; სლავ. **ОТРЕБИ**); „ვითარცა **ნარჩენი** (ბერძნ. **περικάρματα**) სოფლისანი შევიქმნენით“ (I კორ. 4.13; შდრ. ლათ. **purgamenta**; სომხ. **აიასკ სჯასაკი** - „დაცინვის საგანი“, „სამარცხვინო“; სლავ. **ОТРЕБИ**; ქართული ნიმუშებისთვის იხ. ი. აბულაძე, ლექს., გვ. 321).

92. ე. ი. იმ პირველ წმინდანთა ძვლებს.

93. „**მიაზარა მან თავისი სული**“ - სიტყვები ეხმაურება ლ. 23.46-ს: „**მამათ, ველთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა**“ (შდრ. ფს. 30.6). რაც შეეხება ჰაგიოგრაფის მიერ მრავლობითი რიცხვის გამოყენებას („**შეჰვედრნა სულნი თჳსნი...**“), რაც ერთი შეხედვით მოულოდნელია, ამგვარი რამ სხვა ქართულენოვან ტექსტებშიცაა არაიშვათად დადასტურებული. ამ მხრივ შეიძლებოდა მიგვეთითებინა ერთ უადრეს თარგმანზე. ესაა ცნობილი ძეგლი: „**წამებაჲ წმიდათა ორმოცთაჲ**“. მასში ერთგან ნაუწყებია იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მარტვილი ვერ გაუძლებს ყინულიან წყალს და აბანოსკენ გაიქცევა, მაგრამ, როგორც ძეგლშია თქმული, „**ვითარ მიეახლა სიცხესა მას, მესყულად განირღუა იგი და სულნი წარჰდეს**“ (A რედაქცია; B-ში გვაქვს: „**წარჰდა სული მისი**“; იხ. ი. აბულაძე, შრომები, I, თბ. 1975, გვ. 136, შდრ. სომხ. **գահիւն**). ანალოგიური ნიმუშები გვაქვს წმინდა წერილის ტექსტშიც. მაგალითად: „**და აწ უკუეთუ აღვიდეთ მონისა შენისა, მამისა ჩუენისა, და ყრმაჲ ეგე არა იყოს ჩუენ თანა, რამეთუ სულნი მისნი** გამოაბან სულსა მაგისსა (AKS: **სულთა მაგისთა**)“ (შესაქ. 44.30 - OAKS; შდრ. CB: „**აწ უკეთუ განვიდეთ მონისა მიმართ შენისა, ხოლო მამისა ჩუენისა, და ყრმა არა იყოს ჩუენ თანა, რამეთუ სული მისი** გამოკიდებულ არს სულსა ამისსა“; ბერძნ. **ὅτι οὐκ ἔστιν εἰσπορευταῖμα πρὸς**

τὸν παῖδά σου πατέρα δ ἡμῶν καὶ τὸ παιδάριον μὴ ἦ μεθ' ἡμῶν: **ἡ δ ψυχὴ αὐτοῦ** ἐκκρέμαται ἐκ τῆς τούτου ψυχῆς. სომხ. *ხლ არդ ხმէ ხրթացხմք առ ծառայ քո հայր մեր, ხლ պատահակս չիցէ ընդ մեզ, ხლ նորա ոգին կախեալ կայ զդորա ոգուդ;* ლათ. *igitur si intravero ad servum tuum patrem nostrum et puer defuerit cum anima illius ex huius anima pendeat;* სლავ. **Нѣѣ ѿво ѡце поидѣ къ рабѣ твоємѣ, ѡтцѣ же нѡшѣмѣ, ѡ ѡтроцица не бѣдетъ съ нѡми: **дѣша же єгѡ** свѣзана єсть съ дѣшєю єгѡ);** „და მოვიდა დედაკაცი იგი განთიად და დაეცა კართა ზედა მის სახლისათა, სადა იყო ქმარი იგი მისი, და **სულნი წარჰვდეს**“ (მსჯ. 19.26 – ODS; სხვა რედაქციებში შესატყვისი არა აქვს, გარდა სომხურისა და ნაწილობრივ ლათინურისა; შდრ. G: „და გამოვიდა დედაკაცი გაცისკრებულ და დაეცა კარსა თანა სახლისასა, რომელსა იყო ქმარი მისი, **ვიდრე მოვმოზადმდე**“; ბერძნ. καὶ ἦλθεν ἡ γυνὴ τὸ πρὸς πρῶν καὶ ἔπεσεν παρὰ τὴν θύραν τοῦ πύλῳνος τοῦ οἴκου τοῦ ἀνδρός, ὅς ἦν ὁ κύριος αὐτῆς ἐκεῖ, **ξως ὅς δέφασσεν**. სომხ. *ხლ ხկն կինն ընդ առաստան, ხლ անկալ առ դրանդույ դրան տան առնն` ուր էր տէր նորա, ხლ ხհան զուգին`¹;* ლათ. *at mulier recedentibus tenebris venit ad ostium domus ubi manebat dominus suus et ibi **corruit**;* სლავ. **И прїиде жена къ заѣтрїю, ѡ падѣ ѿ дѣрїи дѡмѣ, ѡдѣже бѡше мѣжъ єѡ, **до разсвѣтїи**);** „ნუ უყოფ ბოროტსა, მეფე, დავითს, რამეთუ არაჲ შეუცოდებიეს შენდა, არამედ ყოველნი საქმენი მისნი შენდა მომართ კეთილ არიან, რამეთუ **სულნი თჳსნი გამსახურნა** (F: ‘გასხურნა’) **შენ**“ (I მფ. 19.4 – OF; Ja: „... **სული მისი დადვა შენთჳს**“; S: „... **თავი თჳსი მისცა ველთა მტერთასა**“; B: „... **შთადვა სული მისი ველსა შინა მისსა**“; ბერძნ. ἔθετο τὴν ψυχὴν αὐτοῦ ἐν τῇ χειρὶ αὐτοῦ. სომხ. *ხդ գանձն իւր ի ձեռն իւրում;* ლათ. *posuit animam suam in manu sua;* სლავ. **положи дѣшѣ своѡ въ рѣцѣ своѡи**); „მე ვიპყრენ **სულნი** იგი ველთა შინა ჩემთა“ (I მფ. 28.21 – OF; შდრ. Ja: „**სულნი**, რომელნი გინდეს, შევიპყრენ“; S: „**შევიპყრენ სულნი** იგი ველთა შინა ჩემთა“; B: „დავდეგ

სული ჩემი ველსა შინა შენსა“;“; ბერძნ. ἐθέμην τὴν ψυχὴν μου ἐν τῇ χειρὶ μου. სომხ. *եղի զոգի իմ ի ձեռին իմում*; ლათ. *posui animam meam in manu mea*; სლავ. *положи́хъ ду́шамъ моею въ рѣцѣ твои*); „და პოვეს მუნ კაცი ერთი მეგვპტელი, ველსა მას, და შეიპყრეს იგი და მოიყვანეს დავითისა; და სცეს მას პური და წყალი, ჭამა და სუა. და სცეს მას ლელჳსკუერი და სკიჭი და მოუდგნეს მას სულნი (S: „მოექცნეს მას სულნი“), რამეთუ სამ დღე და სამ ღამე პური არა ეჭამა (+ S: „და არცა ესვა წყალი“)“ (I მფ. 30.11-12 - FO; შდრ. B: ‘... განძლიერდა სული მისი მის თანა“; ბერძნ. καὶ ἐνρίσκουσιν ἄνδρα Αἰγύπτιον ἐν ἄγρῳ καὶ λαμβάνουσιν αὐτὸν καὶ ἄγουσιν αὐτὸν πρὸς Δαυιδ ἐν ἄγρῳ: καὶ διδράσιν αὐτῷ ἄρτον, καὶ ἔφαγεν, καὶ ἐπῶρισαν αὐτὸν ὕδωρ: καὶ διδράσιν αὐτῷ κλάσμα παλάθης, καὶ ἔφαγεν, καὶ κατέστη τὸ πνεῦμα αὐτοῦ ἐν αὐτῷ, ὅτι οὐ βεβρώκει ἄρτον καὶ οὐ πεπόκει ὕδωρ τρεῖς ἡμέρας καὶ τρεῖς νύκτας. სომხ. ... *Հաստատեցաւ այնու ոգի նորա*; ლათ. *reversus est spiritus eius*; სლავ. *ὄγκρѣпнѣа дѣхъ ѣгѡ въ нѣмѣ*); „ჰსცა იოაბ უბესა ზეშთა ამესას და გარდამოუყარა ნაწლევნი მისი და არღარა დააქცია. რამეთუ მუნთქუესვე წარჰკვდეს სულნი მისნი. და იოაბ და ამესა სდევნიდეს საბიეს, ძესა ბედადისსა.“ (II მფ. 20.10 - OJa; შდრ. FS: „... წიაღვდეს სულნი მისნი“; ბერძნ. ἔπαισεν αὐτὸν ἐν αὐτῇ Ἰωαβ εἰς τὴν ψόαν, καὶ ἐξέχυθη ἡ κοιλία αὐτοῦ εἰς τὴν γῆν, καὶ οὐκ ἐδευτέρωσεν αὐτῷ, καὶ ἀπέθανεν. καὶ Ἰωαβ καὶ Αβεσσα ὁ ἄδελφὸς αὐτοῦ ἐδῶλξαν ὀπίσω Σαβεε υἱοῦ Βοχορι. სომხ. ... *եւ մեռաւ*; სლავ. ... *и ѣмре*); „და ვითარცა დამწუხრდა, აღმოჰკვდეს სულნი“ (III. მფ. 22.35 - JaFS; შდრ. OJ: „მოკუდა მეფე მწუხრად“; B: „და მოკუდა მწუხრსა შინა“; ბერძნ. καὶ ἀπέθανεν ἔσπερας. სომხ. *եւ իբրեւ ընդ երեկս եղև, եւ ոգին`*; ლათ. *et mortuus est vesperi*; სლავ. *и ѣмре въ вѣчере*); „... ეძიებდა პურსა, ... რადათამცა მოიქცინა სულნი“ (გოდ. იერ. 1.11; შდრ. 1.19 - OJ; შდრ. SB: „მეძიებელთა პურისათა ... მოქცევისათჳს სულისა“; ბერძნ. ζητοῦντες ἄρτον ... *τοὺς ἐπιστρέψαι ψυχῆν*. სომხ. ... *ի*

სნღჳრ ჴაგჳი ... ჳი ჲარდოღღგენ ჳანდჳინს ჲრბანს; ლათ. quaerens panem ... ad refocilandam animam; სლავ. ꙗѳѳѳѳ ꙗꙗꙗꙗ ... Ѡже бы ѡбратѳѳѳѳ дѳѳѳѳ); „სულნი შენნი და ყოველნი გზანი შენნი ველთა შინა მისთა არიან“ (დან. 5.23 - OJ; შდრ. SB: „მშენვაჲ შენი ველსა შინა მისსა და ყოველნი გზანი შენნი“; ბერძნ. ἡ πνοή σου ἐν χεῖρὶ αὐτοῦ καὶ πᾶσαι αἱ ὁδοὶ σου. სომხ. շունջ քո ի ձեռիւն նորա է եւ ամենայն ճանապարհքք քո; ლათ. qui habet flatum tuum in manu sua, et omnes vias tuas; სლავ. ды́хніе твоѳѳѳѳ въ рѳѳѳѳ ѳѳѳѳ, ѳѳѳѳ ꙗꙗꙗꙗ ꙗꙗꙗꙗ); „ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ანანიას, დაეცა და სულნი წარჰვდეს“ (საქ. მოც. 5.5; ბერძნ. ἀκούων δ ὁ Ἀνανίας τοὺς λόγους τούτους πεσὼν ἐξέψυξεν. სომხ. լուեալ Անանիա զբանս զայսոսիկ՝ անկաւ եւ եհան զոգի; ლათ. audiens autem Ananias haec verba cecidit et exspiravit; სლავ. слы́шавъ же а́нани́а словеса́ сѳѳѳѳ, па́дъ ѳѳѳѳ); „დაეცა მეყსეულად ფერვთა თანა მისთა და სულნი წარჰვდეს“ (საქ. მოც. 5.5; ბერძნ. ἔπεσεν δ παρακρήμα πρὸς τοὺς πόδας αὐτοῦ καὶ ἐξέψυξεν. სომხ. եւ անկաւ անդէն առ ոտս նորա եւ եհան զոգի; ლათ. confestim cecidit ante pedes eius et exspiravit; სლავ. Па́дѳѳѳѳ же ѳѳѳѳ ꙗꙗꙗꙗ ꙗꙗꙗꙗ ἑῳ ἢ ѳѳѳѳ); „იქმნა იგი მატლთა შესაჭმელ და სულნი წარჰვდეს“ (საქ. მოც. 12.23; ბერძნ. γεθόμενος σκοληκόβρωτος ἐξέψυξεν. სომხ. եղեալ որդեսլից՝ սատակեցաւ; ლათ. consumptus a vermibus exspiravit; სლავ. ѳѳѳѳ ѳѳѳѳ ѳѳѳѳ ѳѳѳѳ, ѳѳѳѳ).

დამოწმებული ნიმუშები შთამბეჭდავად ადასტურებს, რომ „მარტვილობის“ ფრაზა „შეჰვედრნა სულნი თუსნი...“ გადამწერის ცთომილება კი არაა, არამედ სამეტყველო არქაიზმი, რაც გვიკარნახებს ვიფიქროთ, რომ ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანში ლ. 23.46-ის სიტყვები („მამაო, ველთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“), რასაც ეყრდნობა ჰაგიოგრაფი, შესაძლოა ასეთი სახისა ყოფილიყო: „მამაო, ველთა შენთა შევჰვედრებ სულთა ჩემთა“. ამასთან, აღვნიშნავთ იმასაც, რომ პიროვნული „სულის“ მრავლობითი რიცხვი („სულნი“) და, კერძოდ, გამოთქმა: „სულნი წარჰვდეს“

სპეციფიკური ქართული მოვლენაა, რადგან მისი სხვაენოვანი ეკვივალენტები „სულს“ მხოლოდითით წარმოგვიდგენენ (ან საერთოდ არ შეიცავენ ამ გამოთქმას). ნაწილობრივ გამონაკლისია სომხური, სადაც არაიშვიათად გვხვდება სსენებული გამოთქმის ანალოგიური *ხհან ვიჟი*, თუმცა მეტად სიმპტომატურია, რომ სომხურშიც, სხვა ენათა მსგავსად, თითქმის ყველგან სიტყვა „სული“ მხოლოდითშია (იხ. ზემოთ). შესაბამისად, აშკარაა, რომ ერთი პიროვნული სულის მრავლობითით აღნიშვნა არანაირად არ ყოფილა ნიშანდობლივი სომხურისთვის და თუ სადმე ამგვარი რამ ჩნდება, ქართული ტექსტის გავლენით უნდა აიხსნას. ჩვენ კვლავ მივაქცევთ ყურადღებას ქართულ-სომხურ სახარებათა ურთიერთმიმართების ფაქტს და ამჯერადაც ხაზგასმით ვიტყვი, რომ სომხური ბიბლია არაიშვიათად ამჟღავნებს უშუალო ტექსტობრივ დამოკიდებულებას პროტოქართულზე, ისევე, როგორც მოგვიანებით ქართული – სომხურზე. მართლაც, ერთი მხრივ აშკარაა, რომ, ვთქვათ, ისეთ მუხლსი, როგორიცაა თუნდაც ზემოდამოწმებული „საქმე მოციქულთა“, სადაც ბერძნულში სამგზის გვხვდება ზმნა *ἐξέψυξεν*. ეს ტერმინი ასევე ერთ სიტყვადაა გადატანილი ლათინურ-სლავურშიც: *exspiravit* და *ѣзды*, მაშინ როცა ქართულ-სომხურში სახეზეა ორსიტყვიანი და აშკარად ურთიერთთანმხვედომი გამონათქვამები: „სულნი წარჰვდეს“ და *ხხან ვიჟი*. აშკარაა, რომ ეს გამონათქვამები ურთიერთდამოკიდებულია, მაგრამ რომელი ექვემდებარება რომელს? ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ შესატყვისობა *ἐξέψυξεν* – *ხხან ვიჟი* სომხურში არამყარია, რადგან ზემოხსენებული სამი შემთხვევიდან მესამეში ბერძნული *ἐξέψυξεν* გადმოტანილია არა იმავე ორსიტყვიდით *ხხან ვიჟი*, არამედ სულ სხვა ტერმინით *სათასქესა* (ზმნა *სათასქი* ასეა განმარტებული ხუდაბაშიანის მიერ: *погибнуть, истребить*). მეორე მხრივ, ქართულში სამივეგან უცვლელად მეორდება „სულნი წარჰვდეს“. ამრიგად, თუ პირველ ორ შემთხვევაში კანონზომიერ სახეს გვიჩვენებს ტერმინთშესატყვისობა *ἐξέψυξεν* – „სულნი წარჰვდეს“ – *ხხან*

დიქი, მესამე შემთხვევაში სომხური არღვევს აღნიშნულ კანონ-
 ზომიერებას, მაშინ როცა ქართულში კვლავ იგივე ტერმინთ-
 შესატყვისობაა სახეზე. ამიტომ, თუ ვიფიქრებდით, რომ ქართუ-
 ლი „**სულნი წარჰვდეს**“ სომხური **ხհან დიქი**-ის კალკირებით
 აღმოჩნდა ბერძნული **ἔχθρα**-ის ეკვივალენტად „საქმე მო-
 ციქულთა“-ს ქართულ თარგმანში, მაშინ აუხსნელი იქნებო-
 და ამავე ორსიტყვედის მესამეგზისი გამოყენება კვლავაც
 იმავე ბერძნული **ἔχθρα**-ის შესატყვისად, რადგან ამ მეს-
 ამე შემთხვევაში სომხურში უკვე გვაქვს არა ზემორე **ხხან**
დიქი, არამედ **սատակես**, რაც ვერანაირად ვერ ითარგმნება
 ქართულად როგორც „**სულნი წარჰვდეს**“. ამრიგად, არამ-
 ყარი სომხური ტერმინოლოგიის შუამავლობით მყარი ბერძნულ-
 ქართული **ἔχθρα** - „**სულნი წარჰვდეს**“ ვერ აიხსნება,
 პირიქით კი სავსებით მოსალოდნელია. ამასვე ადასტურებს
 ზემორე მაგალითები „მეფეთა“ წიგნებიდან, კერძოდ II მფ.
 20.10 და III. მფ. 22.35 ეს ორი ნიმუში საყურადღებოა იმ
 მხრივ, რომ მათ სხვაენოვან ტექსტებში გამოყენებულია ტერ-
 მინი „**მოკვდა**“ (ბერძ. **ἔθανεν**. ლათ. **mortuus est**; სლავ.
умре), მაშინ როცა ქართულ-სომხურში თავს იჩენს ზემომო-
 ტანილი **ც** და **ხხან დიქი**, თუმცა სომხური ამჯერადაც არამ-
 ყარია, რადგან მასში ქართულთან იდენტური **ხხან დიქი**
 (ბერძნული **ἔθανεν**-ის შესატყვისად) სახეზეა მხოლოდ
 პირველ შემთხვევაში, მეორეგან კი იგივე ბერძნული **ἔθανεν**
 სომეხ მთარგმნელს გადმოაქვს ტერმინით **მხილ**, რაც ზუს-
 ტად იმავეს ნიშნავს, რასაც ქართული „**მოკვდა**“. მაშ, ისმის
 კითხვა: სომხური ტექსტი, რომელიც პირველ შემთხვევაში
 თანხვდება ბერძნულს და **ἔθανεν**-ს თარგმნის მისი ზედმი-
 წვენიით შესატყვისით **მხილ**, მეორე შემთხვევაში რის საფუძ-
 ველზე ცვლის ამგვარად მართებულ ტერმინთ-შესატყვისობას
 და რა მიზეზით შემოაქვს ორსიტყვედი **ხლ იქინ**? ცხადია,
 საფიქრებელია, ეს მოხდა ქართული ტექსტის გავლენით, რადგან
 საკუთრივ ბერძნული თუ რომელიმე სხვაენოვანი თარგმანი
 ამგვარ ცვალებადობას ვერ აგვიხსნის. რაც შეეხება პირუკუ
 დაშვებას (რომ იქნებ ქართული ახდენს სომხურის კალკირე-

ბას), მისი უმართებულობა თვალნათლივია. მართლაც, თუ ვიფიქრებდით, რომ სწორედ ქართული „აღმოჰვდეს სულნი“ თარგმნის სომხურ *ხԼ იգիჩ*-ს, მაშინ აუხსნელი იქნებოდა **II მფ. 20.10**-ის „წარჰვდეს სულნი“, სადაც სომხური ტექსტი ბერძნულთან ადეკვატურ *მხიას*-ს გვიჩვენებს. ამ კუთხით სხვა ნიმუშების განხილვაც ბევრისმთქმელია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულით შემოვიფარგლებით და მხოლოდ იმას დავძენთ, რომ, ზემომითითებული და კიდევ მრავალი სხვა მაგალითის საფუძველზე უეჭვოდ იკვეთება ბიბლიის ქართული თარგმანის უცილობელი ტერმინოლოგიური ანალიზის აუცილებლობა სომხური ბიბლიის გენეზისის მეცნიერული შესწავლის საქმეში.



იოანე საბანისძე

მარტვილობა წმინდა მოწამე
აბო თბილელისა

[წიგნი სამოელ კათალიკოსისაჲ იოვანეს მიმართ საბანის ძისა]¹

მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანისძესა, სულიერად შეიღსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ! მშუდობაჲ იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ! ჩუენ თვთ უწყით წადიერებაჲ შენი ღმრთისმსახურებისათჳს და ღმრთიეგმიადღებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათჳს. შენ თვთ უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა ამათ შინა იმარტულა მეოხად ქრისტეს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს.

მნებაჲს, რაჲთა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტურობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსავსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთჳსცა მოვაგლინო წიგნი ესე ჩემი ველითა ხსართან მღელისა ჩემისაჲთა, აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩემი და ჯუარისა დაწერაჲ ველითა ჩემითა და შეწეენითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთადა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდათა მოციქულთა და მოწამეთაჲთა ველ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იყო და ვითარ შენ თვთ უწყი, და აღწერე მარტურობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩუენ მოგჳძლუანე, რაჲთა უმეტეს ლოცვა-ვეოთ შენთჳს. მადლი უფლისაჲ იყავნ შენ ზედა, ამჴნ!

[სამოელ კათალიკოსის ეპისტოლე
იოანე საბანის ძის მიმართ]

მე, სამოელ ქრისტესმიერ ქართლის კათალიკოსი, უფალ იოანე საბანისძეს, წმინდა კათოლიკე ეკლესიის სულიერ შვილს და ჩვენთვის საყვარელს, ღოცვით უფლის მიერ მოგიკითხავ. მშვიდობა იყოს შენზე და შენი სახლის მთელ კრებულზე ქრისტეს მიერ. ჩვენ თავად ვიცით შენი წადიერება ღვთისმსახურებისთვის, შენი ღვთიემიმაღლებული ცოდნა საღვთო წიგნებისა და შენი გულმოდგინება კარგი საქმეების სამოღვაწეოდ. შენ თვით იცი ამ სანატრელი ახალი მოწამის აბოს შესახებ, რომელიც ამ დღეებში ეწამა ჩვენს და მთელი ჩვენი ქვეყნის, ქართლის, მეოხად ქრისტეს მიმართ.

მნებავს, რომ დაიწეროს ამ სანატრელის „მარტვილობაც“ (როგორც იმ პირველი ქრისტესმოწამეებისა) და დაიდოს ესეც წმინდა კათოლიკე ეკლესიაში ყველასთვის გასახსენებლად, ვინც კი ჩვენს შემდეგ იქნება. ამის გამო ვგზავნი შენთან ამ წერილს ჩემი მღვდლის ხსართანის ხელით. ახლა მიიღე ეს წერილი, ჩემი დალოცვა და ჯვრის დაწერა ჩემი ხელისგან, და შენც ღვთის – მამის, ძისა და სულიწმინდის – შეწევნით, აგრეთვე ღვთისმშობლის, წმინდა მოციქულებისა და მოწამეების მეოხებით შეუდექი სრული ჭეშმარიტებით გადმოცემას, როგორც იყო და როგორც შენ თვითვე იცი, და აღწერე წმინდა მოწამე აბოს მარტვილობა, აღწერილი კი ჩვენ მოგვიტანე, რომ უფრო მეტად ვილოცოთ შენთვის. მადლი უფლისა იყოს შენზე. ამინ.

პასუხი წიგნისაჲ იოვანტს მიერ

მარადისსაწადელი და თავყუანისსაცემელი ბრძანებაჲ ღმრთივპატრიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისაჲ მოვიღე ველითა სიწმიდისმოყუარისა ხსართან მღდელისაჲთა, რომლისათჳსცა აღპყრობითა ველთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ქველისმოქმედისა ქრისტტს ღმრთისა ჩუენისა, რომელმან არა დავიწყებულ-ყო სიმდაბლტ ესე ჩემი ღმრთისა შემწყნარებელთა წმიდათა ლოცვათა თქუენთა, რომელთაცა-ესე ღირს-ვიქმენ მე მიმთხუევად; და უფრომსლა ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან დაჰწერგა გულსა მამფლისასა ესევეითარისა ამის ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ ვორცთა მექმნების მე საუკუნოდ მიმართ და სოფელსა ამასცა. აწ რაჲ-მე მოვაჯენო უფლებასა თქუენსა? მძიმე არს ჩემდაორკერძოვე. უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“, და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთჳსცა იტყჳს: „ულრმტსსა შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერტსსა შენსა ნუ გამოიკითხავო“. ამისთჳს შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე, და შეშფოთნა გონებაჲ ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობტსად შევჰრაცხე მორჩილყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი და აღვიმართე ღმრთისსათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქუენითა და მარადის ძღუნისმიმპყრობელისა ღმრთისა მარჯუენისა თქუენისა ჯუარისა დაწერთა ჩემ უღირსსა ზედა, და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთმთავრისა მის სოლომონის მიერ თქუმული,

წერილზე პასუხი იოანეს მიერ

ჩემი ღმრთივპატიოსანი პატრონისა და ბატონის მარად-საწადელი და თაყვანსაცემი ბრძანება მივიღე სიწმინდისმოყვარე ხსართან მღვდლის ხელით, რის გამოც ჩემი ხელების ზეაპყრობით ჩემმა უღირსებამ მადლობა შესწირა ყოვლად-ძლიერსა და ქველმოქმედ ქრისტეს, ჩვენს ღმერთს, რომელმაც არ გახადა დავიწყებული ჩემი სიმდაბლე თქვენს ღვთისშემწყნარებელ წმინდა ღოცგებში, რომელთა მიღების ღირსიც გაგხდით მე; ამასთან, უფრო მეტად ვაქებ და ვაკურთხებ მე ღვთის მოწყალებას, რომელმაც შთანერგა პატრონის გულში ამგვარი [საქმის] გამო ბრძანების [გაცემა], რაც ჩემთვის გახდება სარგებელი და ნაყოფი სულისა და სიამაყე და სიხარული ხორცისა საუკუნოდაც და ამ სოფელშიც. ახლა რაღა მოვახსენო თქვენს უფლებამოსილებას? მძიმეა ჩემთვის ორივე მხრივ. თუკი ვეურჩები თქვენს ბრძანებას, დაწერილია, რომ „ურჩი შვილი წარსაწყმედელს მიეცესო“ (იგავ. 13.1), ხოლო თუ მორჩილებას მოვინდომებ, ამისთვისაც ამბობს იგი: „შენზე ღრმას ნუ გამოეძიებ და შენზე ძლიერს ნუ გამოიკვლევო“ (ზირ. 3.22)¹. ამის გამო შიშმა და წუხილმა შემიპყრო მე, შეშფოთდა ჩემი გონება, დავეცი და მოვაკლდი ცოდნას, მაგრამ უმჯობესად მივიჩნიე ჩემი ბატონის ბრძანებისადმი ჩემი თავის დამორჩილება, რითაც კვლავ გაპძლიერდი და აღვემართე თქვენი ღვთისსათნო წმინდა ღოცგითა და ღვთისადმი მარადის ძღვნის მიმწოდებელი თქვენი მარჯვენის მიერ ჩემზე, უღირსზე, ჯვრის გადაწერით. ამასთან, ვისწავლე ბრძენთმთავარი სოლომონის მიერ ნათქვამიც: „მიჰბაძე ჭიანჭველას,

ვითარმედ: ჰბაძევედ ჯინჯველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მს-გავს მისა. ვითარცა-იგი მან თუსსა უდიდჭსსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარილის საზრდელად თუსა, მეცა გულსმოდგინე ვიქმენ უძლიერჭსსა ჩემსა აღებად და წადიერებად გულისა ჩემისადა აღავსო უფალმან.

და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკლებული მარტურობად, ჭეშმარიტი და უტყუელი, წმიდისა მოწამისადა, მადლითა და მეოხებითა მისითა, და მოგიძღუნე უფალსა ჩემსა, რომლისათუს კუალად ვითხოვ ვედრებით: სათნო-ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტჭს-მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რაათა ზიარ ლოცვათა თქუენტა იქმნეს კუალად და მერმეცა უღირსებად ჩემი.

ზარმაცო, და გახდი მისებრ მშრომელი“ (იგავ. 6.6-9), რადგან ისევე, როგორც იგი შეებმება გულმოდგინედ მასზე უფრო დიდ ხორბლის მარცვალს, მანამ, სანამ არ აიღებს მას და არ წაიღებს თავის საზრდოდ, ასევე მეც გულმოდგინება მაქვს იმისა, რომ „ავიღო“ ჩემზე უფრო „ძლიერი“ და უფალმა ადავსოს ჩემი გულის წადიერება.

და ჩემი უღირსი გონების მიერ აღვწერე შემოკლებული მარტვილობა, ჭეშმარიტი და უტყუარი, წმინდა მოწამისა, მისივე მადლითა და მეოხებით, და მოგართვი ჩემს ბატონს, რისთვისაც კვლავ ვითხოვ ვედრებით: მოსაწონი გახადოს უფალმა [ეს აღწერილობა] თქვენს გულში და მთელი ქრისტესმოყვარე ხალხის გულში, ვინც კი აღმოიკითხავს მას, რომ კვლავ და კვლავ თქვენი ღოცვების მოზიარე გახდეს ჩემი უღირსება.

წამებამ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა
ქრისტესისა ჰაბომსი

რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ცფილისს,
დელითა სარკინოზთაბთა, გამოთქუმული იოვანე ძისა
საბანისი ბრძანებითა ქრისტას მიერ სამოელ
ქართლისა კათალიკოზისაბთა

პირველი თავი: ღმრთისმსახურთა და მარტვრთმოყუარეთა
კრებულისათვს თხრობად და უწყებად [და] მოძღურებად და ახ-
ლისა ამის მოწამისა ჰაბომს ყსენებად.

მეორე თავი: ქართლად შემოსლვად და ნათლისღებად წმიდ-
ისა და ნეტარისა ჰაბომსი.

მესამე თავი: მარტვრობად წმიდისა ჰაბომსი.

მეოთხე თავი: ქებად სანატრელისა მოწამისა ჰაბომსი.

პირველი თავი

ღმრთისმსახურთა შეკრებულთა მათ უწყებად და მარ-
ტვრთმოყუარეთა მათ სწავლად და ახლისა ამის მოწამისა
მოყსენებად წმიდისა ჰაბომსი

საყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს,
ძისა ღმრთისანო, და სამკვდრებელნო სულისა წმიდისანო! გხე-
დავ თქუენ, ვითარცა ღმრთივცნობილთა და ღმრთისმცნობელ-

ქრისტეს წმინდა და ნეტარი მოწამის
აბოს წამება

რომელიც ეწამა ქართლში, ქალაქ თბილისში,
სარკინოზთა ხელით, გამოთქმული საბანის ძის იოანეს
მიერ სამოელის, ქრისტესმიერ ქართლის
კათალიკოსის, ბრძანებით

პირველი თავი: ღვთისმსახური და მარტვილთმოყვარე
კრებულისთვის თხრობა, უწყება და სწავლება, და ამ
ახალი მოწამის აბოს ხსენება.

მეორე თავი: ნეტარი აბოს ქართლში შემოსვლა და
ნათლისღება.

მესამე თავი: წმინდა აბოს მარტვილობა.

მეოთხე თავი: სანატრელი წმინდა მოწამე აბოს ქება.

პირველი თავი

შეკრებულ ღვთისმსახურთა მიმართ უწყება,
მარტვილთმოყვარეთათვის სწავლება და ამ ახალი
მოწამის, წმინდა აბოს ხსენება

მამისთვის საყვარელნო, და ქრისტეს მეგობარნო და მო-
ნანო, და სულიწმინდის სამკვიდრებელნო, გხედავთ თქვენ,
როგორც ღვთისგან შეცნობილთ და ღვთის შემცნობელთ. ამ-

თა, ამისთვისცა გარქუ თქუენ მონად და მეგობრად ქრისტჳსა, არამედ მონად ამისთვის, რამეთუ „პატიოსნითა სისხლითა“ მისითა „სყიდულ ხარო“ თქუენ, ხოლო მეგობრად ამისთვის, რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და მისნი დაბადებულნი და სიყუარულითა მისითა ნათელ-გვლებიეს.

აწ გლოცავ თქუენ ქრისტჳს მიმართ, სურვიელითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფრომსდა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ-ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტჳსთვის არიან და სანატრელთა ამისთა მოწამეთათჳს. შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა და სავანჳ განუმზადეთ, რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკვდრებად ასოთა შინა თქუენტა, ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღუარმან ეკლესიათამან, ვითარმედ: „ტადარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკვდრებულ არს თქუენ შორის“; და უფალი იტყვს წინამსწარმეტყუელისა მიერ: „მე მოვიდე და დავემკვდრო თქუენ შორის“, და წმიდასა სახარებასა იტყვს, ვითარმედ: „სასუფეველი ღმრთისაჲ გულთა შინა თქუენტა არს“.

ამისთვის, საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რადთა არა ცუდად დაგშურეთ: მე სიტყუათა და თქუენ სმენითა, – რადთა ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩუენტაჲ.

და არათუ ჩემდა ხოლო მარტომსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტურობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ ჯერ-არსთქუენდა დაკვრებად ჩემ თანა, რომელნი-ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშვდესა დარსა ზედა ჰსდგათ, რომლისა ჟამისათჳს უფალი იტყვს, ვითარმედ: „მრავალნი ჰსცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ“, და მოციქული პავლე მიჰსწერს ტიმოთესა, ვითარმედ: „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულისთქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებდენ მოძღუ-

იტომაც გიწოდეთ თქვენ ქრისტეს მონებად და მეგობრებად; „მონებად“ იმის გამო, რომ „მისი პატიოსანი სისხლით ხართ თქვენ ნაყიდი“ (I კორ. 6.20), ხოლო „მეგობრებად“ იმიტომ, რომ მისი შექმნილები და დაბადებულები ვართ და მისი სიყვარულით მოვნათლულვართ.

ახლა, გვედრებით თქვენ ქრისტეს მიმართ, რომ წადიერი გულით მომაპყროთ თქვენი ეგ ხილული ყურთასმენა, უფრო კი თქვენი გულისა და გონების ეგ გრძობადი ყურნი გახსნათ მოსასმენად და უმასპინძლოთ ამ ჩემს სიტყვებს, რადგან [ეს სიტყვები] ქრისტესთვის არის და მისი სანატრელი მოწამეებისთვის, რომ მიიღოთ ისინი² თქვენი სხეულის კარავში და სამყოფელი მოუმზადოთ მათ, რადგან უფალს ნებაგს დამკვიდრება თქვენი [სხეულის] ნაწილებში, როგორც თქვა ეს წმინდა პავლე მოციქულმა, ეკლესიათა მოძღვარმა: „ტაძრები ხართ ღვთისა და სულიწმინდაა დამკვიდრებული თქვენში“ (I კორ. 3.16). უფალიც ამბობს წინასწარმეტყველის მიერ: „მე მოვალ და დავმკვიდრდები თქვენში“ (ზაქარ. 2.10), და წმინდა სახარებაში კი ამბობს: „ღვთის სასუფეველი თქვენს გულებშია“ (ლკ. 17.21).

ამიტომ, საყვარელნო, ნუ მოგეწყინებათ ამ სიტყვათა სმენა, რომ ფუჭად არ დაეშვრეთ, - მე სიტყვით, თქვენ კი სმენით, - რათა ერთად მოგვცეს ჩვენ უფალმა ჩვენი გარჯის საზღაური.

ამასთან, არათუ მარტოოდენ ჩემთვის არის საშური წმინდა მოწამის ამ საწადელი მარტვილობის სმენა, არამედ, ასევე, მართებს ყველა თქვენგანს, რომ გაკვირებაში იყოს³ ჩემთან ერთად, რომლებიც კი „მეშიდე ათასწლეულში“, - ამ „შემოკლებულ დროში“, - ვდგავართ, რა დროისთვისაც უფალი ამბობს: „ბევრი შეცდება და ბევრს შეაცდენენ“ (მთ. 24.5.11), და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთეს: „მოვა დრო, როდესაც ამ მაცხოვრებელ მოძღვრებას აღარ განიკუთვნებენ, არამედ საკუთარი სურვილისამებრ თვითონვე შეიკრებენ

რებასა ქავილითა ყურთაათა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი მათნი გარემიაქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა-ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის. რამეთუ რომელნი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაათა ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისაათა თვთ თავით თვსით შჯულისდებისაათა, განდგომილთა ქრისტესგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა, და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისასა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარწსლა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაათა. მიერიტგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ-ლამორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი, შიშითა განილევნიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი, ქარისაგან ძლიერისა აღძრულნი. არამედ ქრისტეს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სღვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშოვრებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.

ესევეითარსა შინა ჟამსა გამოჩნდა ახოვნად წმიდად ესე მოწამე; არათუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეტარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხოოდ უცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა, რომლისათვს დღეს კუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებამან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გვრგვზოსან-ყო ეკლესიამ, და ყოველი კრებული ქრისტეანეთაჲ ერთბამად განანათლა; ყოველნივე პირნი ღირს-იქმნნეს ამას დღესა გარდამატებულისა მადლისა შეწირვად ქრისტეს მიმართ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა. რამეთუ მრჩობლ-იქმნა დღესასწაული ესე ღმრთისგა-

მოძღვრებას ყურთა ქავილით და ჭეშმარიტებისგან მია-
ბრუნებენ ყურთასმენას და ზღაპრებს მიუბრუნდებიან“ (II
ტიმ. 4.3-4), რაც ხდება კიდევ ახლა ამ დროს ჩვენს შორის,
რადგან მრავალი ჩვენგანი, ვინც მიწის ამ კიდეში ვართ, ამ
ჩვენმა ზედამხედველებმა, ამჟამინდელმა ბატონ-პატრონებმა,
თავიანთი თვითრჯულობითი მოძღვრების მზაკვრობით
ქრისტესგან განდგომილებმა, სასტიკისა და სივერაგის გზით
და საცთურების ხრიკით შეაცდინეს და გადადრიკეს ჭეშმარ-
იტების გზისგან, და ისინი, რომლებიც ხუთასი წლის განმავ-
ლობაში და უფრო ადრეც ნათლისღების წმინდა მადლით
არიან რჯულდებულნი, ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას
ასცდნენ. იმ დროიდან დღემდე ქრისტიანთა⁴ შვილები გადა-
ავგარეს, ნაწილი – ძალადობით, ნაწილი – მოტყუებით, ნაწი-
ლი – ახალგაზრდული უმეცრებით, ნაწილი – მზაკვრობით,
სხვები კი, რომლებიც ვართ-და მორწმუნეები, ძალადობის
ქვეშ დამონებულნი და სინაკლულითა და სიგლახაკით,
როგორც რკინით, შეკრულები, მათი ხარკის ქვეშ გვემულები,
დატანჯულები და მეტად მძიმედ ვნებულნი, შიშით იღვევიან
და ირხევიან, როგორც ლერწმები - ძლიერი ქარისგან, მა-
გრამ, ჩვეულებისამებრ მამაპაპეული მსვლელობისა⁵,
ქრისტეს სიყვარულითა და შიშით, და ჭირთა მოთმენით, არ
შორდებიან ღვთის მხოლოდშობილ ძეს.

ასეთ დროს გამოჩნდა ახოვნად ეს წმინდა მოწამე,
რომელიც არათუ თავიდანვე ჩვენგანი იყო, არამედ მოვიდა
იგი, უცხო რჯულით, უმეცარი ჩვენი სარწმუნოებისა, და
ქრისტეს, ჩვენს ღმერთს, შეემეცნა⁶, რის გამოც დღეს წმინ-
და და ახალი მოწამის ამ ახალმა დღესასწაულმა და ზეიმ-
მა კვლავ გვირგვინი დაადგა ეკლესიას და ქრისტიანთა
მთელი კრებული ერთბაშად გაანათა. ყველა პიროვნება
ღირსი გახდა ამ დღეს ქრისტეს, ჩვენი ჭეშმარიტი ღვთის,
მიმართ მეტისმეტი მადლიერების შეწირვისა, რადგან
გაორმაგდა ღვთისგამოცხადების ეს დღესასწაული⁷ და

მოცხადებისა და მადლმან ღმრთისა მამისამან გამოჩინებითა მით ჩუენდა საყუარელისა ძისა თვისისადათა და გარდამოსლვითა სულისა წმიდისა მისისადათა სარწმუნოვებითა შეთხზული იგი გვრგვნი მარტვრთა თვსთა დადგა თავსა ეკლესიასასა, რომლისაგანცა სიმრავლწ იგი დღესასწაულთა, ვითარცა გვრგვნი, გარემოდგს, და ღმრთისმოყუარეთა მათ ჩუეულებად აქუს მარადის შემოკრებად მას შინა საღმრთოხსათვს დიდებისა. რამეთუ ერთად შეკრებითა მით მათითა მრავალი ღმრთისმსახურებად აჩუენიან, არათუ ცუდთა განცხრომათა და ჭამადთა ნაყროვნებისა უძღებებად შორის მათსა იპოვის არამედ ყოველთა წილ საჭმელთა გემოვანთა ძალი იგი საღმრთოთა სიტყუათა ტკბილად გამოვალნ პირით, რამეთუ სიტყუად იგი წინამსწარმეტყუელისადა ოხრინ შორის მათსა, ვითარმედ: „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფალო, უფროას თაფლისა პირსა ჩემსა“, რამეთუ შეკრებასა მას ჭამადთასა განძღებებადაცა აქუს, ხოლო ღმრთისა სიტყუათა ვსენებასა არა აქუს განძღებად ღმრთისმოყუარეთა სულთა და კუალად „წმიდათა მათ მარტვრთა ვსენებითა ვინმემცა განძღა მარტვრთმოყუარწ“? და ერთგულებადცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყვს უფალი წმიდათა მისთა: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემეწყნარა“. ამისთვს უფროას გულსმოდგინედ საღმრთოთა მათთვს არნ შეკრებად იგი მათი: მუნ შუვაწარმოიხუნინან სიტყუანი იგი ცხოვრებისანი, მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოვებად აღორძნდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მოძღურებანი იგი მადლისანი, მამათმთავართა იგი შუენიერებად, წინამსწარმეტყუელთა იგი დიდებად, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოლუაწებად, ქრისტწსი იგი თავსდებად ჩუენტვს - ვნებად, რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ექმნის ჭაპუკთა მოთხრობითა მით სიმცნწ იგი ქრისტწს მოლუაწეთა და სიქადულ და მხიარულებამოხუცებულთა ვსენებად იგი ღუაწლისა მის მარტვრთადასა, და საწადელ და სასურველ მდდელთა და ყრმათა მათ, მოწაფეთა და შვილთა ეკლესიასათა კრებად იგი დღესასწაულისა მის წმიდათადასა და

მამაღმერთის მადლმა თავისი საყვარელი ძის ჩვენდამი გამოჩინებით და მისი წმინდა სულის გადმოსვლით სარწმუნოებისგან დაწნული გვირგვინი თავის მარტვილებს დაადგა ეკლესიის თავზე, რის გამოც დღესასწაულთა ეს სიმრავლე, როგორც გვირგვინი, გარშემო ადგას მას და ღვთისმოყვარეებს ჩვეულება აქვთ ყოველჯამს მასში შეკრებისა საღვთო დიდებისათვის, რადგან თავიანთი ერთად შეკრებით მრავალ ღვთისმსახურებას აჩვენებენ, თუმცა არათუ ფუჭ განცხრომათა და საჭმელთა ნაყროვანების განუძღომლობა იჩენს თავს მათში, არამედ ყველა გემრიელი საჭმლის სანაცვლოდ საღვთო სიტყვათა ძალა ტკბილად გამოდის მათი პირიდან, ვინაიდან წინასწარმეტყველის სიტყვა ხმოვანებს მათში: „ტკბილია ჩემს სასაში შენი სიტყვები, უფალო, თაფლზე მეტად – ჩემს პირში“ (ფს. 118.103). მართლაც, საჭმელთა შეკრებას განძღომაც ახლავს, ხოლო ღვთის სიტყვათა გახსენებას არ ახლავს განძღომა ღვთისმოყვარე სულებისთვის, და კიდევ, „მის წმინდა მარტვილთა ხსენებით ვინ განძღება მარტვილთმოყვარე?“. ამასთან, მათ ერთგულებაც აქვთ უფლისადმი, რადგან ასე ეუბნება უფალი თავის წმინდანებს: „ვინც თქვენ მიგიღებს, მე მიმიღებს“ (მთ. 10.40). ამიტომ, უფრო გულმოდგინედ იმ საღვთო [საქმეებისთვის] ხდება მათი შეკრება: იქ წარმოადგენენ ისინი ცხონების სიტყვებს, იქ იზრდება წმინდა სამების სარწმუნოება, იქაა სიტკბოების სწავლებანი, მადლის მოძღვრებანი, მამათმთავართა მშვენიერება, წინასწარმეტყველთა დიდება, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მოღვაწეობა, ქრისტეს თავდებობა ჩვენთვის – ვნება, რადგან სიმტკიცე და სიხარული ხდება ჭაბუკებისთვის თხრობა ქრისტეს მოღვაწეთა სიმხნის შესახებ, სიამაყე და მხიარულება მოხუცებულთათვის – ხსენება მარტვილთა ღვაწლისა, საწადელი და სასურველი მღვდელთათვის და ეკლესიის ყრმათა, მოწაფეთა და შვილთათვის – წმინდანთა დღესასწაულის ზეიმი, და

ემსგავსნიან შორის ეკლესიასა ვმანი იგი მათნი ანგელოზთა მათ
გალობისა შემსხმელთა და სული წმიდაა იხარებნ შორის მათსა
თავყუანისცემული, და მამაა იდიდებინ და კაცთმოყუარებაა
იგი და ქველისმოქმედებაა ძისაა იქადაგებინ. რამეთუ ყოვლისა-
მპყრობელმან ღმერთმან და დიდად-უხუმან უფალმან, რომელ-
მან არა უგულებელს-ყო ურვაა კაცთაა და სიყუარულისათჳს
კაცთაჲსა ქალწულისაგან წმიდისა ვორცნი შეიმოსნადა წმიდი-
თა მით ვორცითა მისითა სამოთხით გამოვრდომილსა მას კაც-
სა, დაცემულსა, ზეცად აღუწოდა და მიუწდომელსა მას საიდ-
უმლოსა ღირს-ყო (რომელი-იგი არა იყო, და დაადგრა, რომე-
ლი-იგი იყო, - დიდებაა მაცხოვრისა ჩუენისაჲ) – იესუ
ქრისტჳსსა მას დამდაბლებასა ჩუენთჳს, რამეთუ დამდაბლდა
და მივსნა ჩუენ, აღმალდა ზეცად, ვინაჲცა გარდამოვდა, და
მიწისაგანი ესე კაცებაა თანაალიყვანა და მარჯუენით მამისა
მჯდომარე არს, რომელი-იგი საკვრველად განგებულებით
შეიერთა ღმრთეებამან, რომელიცა-იგი ორითავე მით სახითა,
ერთი ძჳ, ღმრთად და კაცად თჳნიერ განყოფათა, იქადაგების
იგივე სახელით „ენმანუელ ჩუენ თანა ღმერთი“ და კაცი, რაჲთა
„სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუჯლი მოდრკეს, ზეცისა-
თანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი, და ყოველმან ენამან
მან აღუაროს“ სახელსა მისსა, რამეთუ საშინელ და წმიდა და
ყოვლადძლიერ და საკვრველ და უფალ და ყოვლისა-მპყრობელ
არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდი-
დრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისაებრ ჩემისა
და გულსმოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა,
საყუარელნო: **კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარ-
გალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუ-
ეყანა, მარილ, მატლ, მარცუალ მდოგჳს, მზე სიმართ-
ლის, ძე მამის უკუდავის და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და
განუქარვებელ და უცვალებელ, რამეთუ უქცეველ და განუ-
ქარვებელ არს შე[მ]დგომად ვორცთმესხმისა და შეერთებისა
ღმრთეებისა იგი ბუნებაა, რომლისათჳს უკუეთუ შემძლებელ-**

ემსგავსება მათი ხმები ეკლესიის შიგნით გალობის შემსხმელ⁸ ანგელოზებს, და სულიწმინდა, თაყვანცემული, ხარობს მათ შორის, და მამა იდიდება, და ძის ქველმოქმედება და კაცთმოყვარეობა იქადაგება, რადგან ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა და მეტად უხვმა უფალმა, რომელმაც არ უგულბებელი ადამიანთა ურვა და კაცთა სიყვარულის გამო წმინდა ქალწულისგან ხორცი შეიმოსა, თავისი წმინდა ხორციით სამოთხიდან გამოვარდნილი ადამიანი, დაცემული, ზეცისკენ აიხმო, და აღირსა მას მიუწვდომელი საიდუმლო, - იესო ქრისტეს ქვედადაბლება ჩვენთვის, ის, რაც [აქამდე] არ არსებობდა, და შენარჩუნდა ის, რაც არსებობდა - ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს დიდება, რადგან ქვედადაბლდა იგი, გვიხსნა ჩვენ, ამაღლდა ზეცად, საიდანაც გადმოვიდა, თან აიყვანა ჩვენი ეს მიწისაგანი კაცუბა⁹ და [ეს კაცუბა] მჯდომარეა მამის მარჯვნივ, რაც საკვირველად შეიერთა [მისმა] ღმერთებამ განგებულებით, რომელიც ამ ორივე ბუნებით იქადაგება ერთ ძედ, ღმერთად და ადამიანად განყოფის გარეშე, იგივე არის რა სახელით „ემმანუელი - ღმერთი და ადამიანი ჩვენთან“ (შდრ. მთ. 1.23), „რათა მისი სახელის მიმართ მოდრკეს ყველა მუხლი ზეცისათა, ამქვეყნისათა და ქვესკნელის [მკვიდრთა] და ყველა ენამ აღიაროს“ მისი სახელი (შდრ. ფილიპ. 2.10-11), რადგან საშინელია, წმინდაა, ყოვლადძლიერია, საკვირველია, უფალია და ყოვლისმპყრობელია მისი სახელი. არ ძალგვიძს ჩვენ მივსწვდეთ მისი სახელის სიმდიდრეს, მაგრამ, ჩემი უძლურებისა და თქვენი გულმოდგინების შესაბამისად, შევუდგები იმის უწყებას თქვენთვის, საყვარელნო, რომ არის იგი კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, ყვაილი, ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, მიწა, მარილი, მატლი, მდოგვის მარცვალი, სიპართლის მზე, უკვდავი მამის ძე, ერთი ღმერთი - გარდაუქმნელი, განუქარვებელი, შეუცვლელი, რადგან გარდაუქმნელი და განუქარვებელია ღმერთების ბუნება [მისი¹⁰] ხორცშესხმისა და [ადამიანურ ბუნებასთან] შეერთების შემდეგ, რომლის შესახ-

ვიქმნე თითოეულისა ამის სახელისდებისათვის ჭეშმარიტი უწყებად თქუენდა, გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქუენ, ქრისტესმოყუარეთა.

„**ვარ**“ ეწოდა რამეთუ თქუა: „**მე ვარ კარი ცხოვართა**“, რამეთუ ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კარს ამას სასუფევლისასა, შევალთ.

„**გზა**“ ეწოდა, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „**მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და ცხოვრება**“, რამეთუ ზეცად აღმავალთა გუექმნების ჩუენ გზა.

„**ტარიგ**“ ეწოდა, „**რამეთუ ჩუენთვის დაიკლა**“, და მარადის ცხოველ არს და ვორცთა და სისხლთა მისთა ჩუენდა განყოფითა ცხოვრებასა საუკუნესა მოგუანიჭებს.

„**მწყემს**“ ეწოდა, რამეთუ თქუა: „**მე ვარ მწყემსი კეთილი**“. ჭეშმარიტად, რამეთუ ცხოვარნი შეცთომილნი მოგუაქცინა და მტერი იგი ჩუენი ლომი არგნითა მით ჯუარისა მათა მოკლა და მისგან დაჯსნილი იგი გუამი პირველშექმნულისა მის ძალითა ღმრთეებისა თვისისა მათა კუალად განაცოცხლა და ნაკბენი გესლენისა მის მგლისაა წყლულებითა თვისითა განკურნა და გესლი იგი მომაკუდინებელი წამლითა მით ღმრთეებისა თვისისა მათა განაქარვა და აღასრულა სიტყუამ იგი წინამსწარმეტყუელისა მიერ თქუმული, ვითარმედ: „**ინყლა იგი ცოდვითა ჩუენთათვის და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით**“.

„**ლოდ საკიდურ**“ ეწოდა წინამსწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი-იგი შეურაცხ და განგდებულ იქმნა მღდელთმოდღუართა მათგან და მწიგნობართა, ნათესავისაგან ჰურიათაგან იერუსალესს, არამედ ესე თავ ყოველთა ცისკიდეთა იქმნა.

„**მარგალიტ**“ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ვორცთა, ღმრთებით გამობრწყინდების, რომელსა ღმრთისმოყუარენი იგი ვაჭარნი სასუფეველისანი, ვითარცა ღმერთსა არა შიშუელსა და კაცსა

ებაც, თუკი შეეძლება, თითოეულ ამ სახელდებასთან დაკავშირებით ჭეშმარიტს გაუწყებთ თქვენ, თუმცა კი გაუწყებთ მისივე მადლით თქვენ, ქრისტესმოყვარეებს:

„**კარი**“ ეწოდა, რადგან თქვა: „**მე ვარ კარი ცხვრებისა**“ (ი. 10.7), ვინაიდან ჭეშმარიტად მის მიერ, როგორც სასუფეველის *კარში* შეედევართ მისდამი მორწმუნეები.

„**გზა**“ ეწოდა, რადგან თქვა: „**მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება**“ (ი. 14.6), ვინაიდან *გზა* ხდება იგი ჩვენთვის, ზეცად ამსვლელთათვის.

„**ტარიგი**“ ეწოდა, „**რადგან ჩვენთვის დაიკლა**“ (I კორ. 5.7) და მარადის ცოცხალია და საუკუნო ცხოვრებას გვანიჭებს თავისი ხორცისა და სისხლის ჩვენდამი განაწილებით.

„**მწყემსი**“ ეწოდა, რადგან თქვა: „**მე ვარ ვარგი მწყემსი**“ (ი. 10.14). ჭეშმარიტად ასეა, რადგან მოგვაქცია მან გზასაცდენილი ცხვრები, ამასთან, ლომი, ჩვენი მტერი, ჯვრის კვერთხით მოკლა, ხოლო ამ ლომისგან განადგურებული სხეული პირველქმნილი [ადამიანისა] თავისი ღმრთეების ძალით კვლავ გააცოცხლა და შხამიანი მგლის ნაკბენი თავისი ჭრილობით განკურნა, მომაკვდინებელი შხამი კი თავისი ღმრთეების წამლით გააქარწყლა, აღასრულა რა წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი სიტყვა: „**დაიჭრა იგი ჩვენი ცოდვების გამო და მისი ჭრილობით ჩვენ განვიკურნეთ**“ (ეს. 53.5).

„**თავსაკიდური ლოდი**“ ეწოდა წინასწარმეტყველის მიერ (ფს. 117.22), რადგან იგია, რომელიც შეურაცხყოფილი და უკუგდებული გახდა, მღვდელთმოძღვართა და მწიგნობართა მიერ, ებრაელთა ტომისგან იერუსალიმში, თუმცა მთელი ცისქვეშეთის თავი გახდა იგი.

„**მარგალიტი**“ ეწოდა (შდრ. მთ. 13.45-46), რადგან იგი, როგორც *მარგალიტი*, ღმრთეებით ბრწყინდება ორ ფიცარს – სულსა და ხორცს – შორის, რომელსაც სასუფეველის ღვთისმოყვარე ვაჭრები სარწმუნოებით ეძიებენ არა როგორც ღმ-

არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა, სარწმუნოებებითა ეძიებენ და მოიყიდიან მხოლოსა მას მრავალსაყიდლისასა ყოვლისა საფასისა წარგებითა და სისხლთა თვსთაცა დათხევითა.

„მარილ“ ეწოდა, რამეთუ ცოდვითა განრყუნელთა ამათ ვორცთა ჩუენთა მოგუეახლა და სიმყრალჭ იგი კერპთმსახურებისაა განგუაშოვრა და სულნი ჩუენნი სარწმუნოებებითა ღმრთისმსახურებისაათა სულნელად შეჰზავნა.

„ყუავილ“ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესქსისა ყუავილად აღმოჰსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისგან ვორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაათა სული იგი მადლისაა მოჰფინა ჩუენ ზედა.

„ანგელოზ“ ეწოდა, რამეთუ ერქუმის მას წინამსწარმეტყუელისა მიერ **„დიდისა ზრახვისა ანგელოზი, საჰვრველი“**, რომელი მამისა მიერ ჩუენდა მჰსნელად მოივლინა.

„კაც“ ეწოდა, რამეთუ თქუა წინამსწარმეტყუელმან: **„კაც არს და ვინ იცნას იგი“**. ჭეშმარიტად სრული კაცებაა შეიმოსა, თვნიერ ცოდვისა, და ღმრთეებაა თვსი ჩუენ გამოგვცხადა.

„ღმერთ“ ეწოდა, ვითარცა თქუა ნეტარმან იოვანე მახარებელმან, ვითარმედ: **„ღმერთ იყო სიტყუაჲ იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა, რომელი რაჲ იქმნა“**.

„ნათელ“ ეწოდა მის მიერვე, რამეთუ თქუა: **„იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“**.

„ქუეყანა“ ეწოდა, ვითარცა თქუა დავით: **„ქუეყანამან გამოსცა ნაყოფი თვსი, მაჰურთხენ ჩუენ, ღმერთო, ღმერთო ჩუენო!“** ჭეშმარიტად ქუეყანისა დამბადებელი იგი ქუეყანად მოვიდა და ქუეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ვორცი, ვითარცა შუენიერი ჯეჯული, აღმოჰსცენდა ქუეყანით და ნაყოფად გამოიხუნა წმიდანი თვსნი მოციქულნი

ერთს - შიშველს და როგორც მარტოოდენ ადამიანს, არამედ როგორც ღმერთსა და ადამიანს, და ისინი მთელი საუნჯის დახარჯვით და თავიანთი სისხლის დანთხევითაც კი სარწმუნოებით ყიდულობენ მხოლოდ მას, დიდფასიანს.

„მარილი“ ეწოდა, რადგან ჩვენს ამ ცოდვით შერყვნილ ხორცს მიეახლა, კერპთმსახურების სიმყრალე გაგვაშორა და ჩვენი სულები ღმრთისმსახურების სარწმუნოებით სურნელოვნად შეაზავა.

„ყვავილი“ ეწოდა, რადგან იესეს ძირიდან ყვავილად აღმოცენდა (ეს. 11.1) ეკლესიაში წმინდა ქალწულ მარიამისგან ხორციელად, ხოლო ღმრთეების სურნელებით მადლის სული მოჰფინა ჩვენზე.

„ანგელოზი“ ეწოდა, რადგან წინასწარმეტყველის მიერ სახელად აქვს მას „ღიღი განზრახვის ანგელოზი, საკვირველი“ (ფს. 9.6), რომელიც მამის მიერ მხსნელად მოვიდა ჩვენთან.

„ადამიანი“ ეწოდა, რადგან წინასწარმეტყველმა თქვა: „ადამიანია და ვის ეცოდინება იგი“ (იერ. 17.9). ჭეშმარიტად სრული ადამიანობა შეიმოსა მან ცოდვის გარეშე და თავისი ღმრთეება ჩვენ გამოგვიცხადა.

„ღმერთი“ ეწოდა, როგორც თქვა ნეტარმა იოანე მახარებელმა: „ღმერთი იყო ის სიტყვა და ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, რამდენიც კი შეიქმნა“ (ი. 1.3).

„სინათლე“ ეწოდა მის მიერვე, რადგან თქვა: „იყო ჭეშმარიტი სინათლე, რომელიც ანათებს ყველა ადამიანს, ამქვეყნად მომსვლელს“ (ი.1.9).

„მინა“ ეწოდა, როგორც თქვა დავითმა: „მინამ გამოიღო თავისი ნაყოფი. გვაკურთხე ჩვენ, ღმერთო, ღმერთო ჩვენო“ (ფს. 66.7). ჭეშმარიტად, მიწის დამბადებელი მიწაზე მოვიდა და მიწის მტვრით შექმნილთაგან აღმოცენდა მიწიდან მიწამტვრის ბუნების მქონე ხორცი, როგორც მშვენიერი ჯეჯილი, და ნაყოფად გამოიღო თავისი წმინდანები: მოციქულები, მოწამეები,

და მოწამენი და მართალნი, და დაწყეული იგი ქუეყანაჲ ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღაესო.

„მარცხულ მდოგვსა“ ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თვსსა და მოგუემსგაესების ჰასაკსა ჩუენსა, რაჲთა ურნატსა სულისა ჩუენისასა დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს და რტოთა მათ ზედა ჯუარისა მისისათა შეგუკრიბნეს და აღმალდეს და ჩუენ აღგუამაღლნეს მისთანა.

„მატლ“ ეწოდა, რამეთუ თქუა: **„მატლ ვარ და არა ვაც“** გამობრწყინვებითა ღმრთეებისაჲთა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრეთ ვორცთა შინა თვსთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თვსი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთააგდო და აღმოიქუა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისათვსცა იტყვს: **„შეიპყრას ვეშაპი იგი სამჭედურითა და განიღო დანდალი ყბასა მისსა და ხრატუკი ცხვრსა მისსა“**, ესე იგი არს ეშმაკი, რომელ შეიპყრა, და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისათვს წამებს მეფსალმუნს და ვით: **„შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ მის“**.

„მგე სიმართლის“ ეწოდა, რამეთუ თქუა წინამსწარმეტყუელმან: **„და გამოგიბრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელისა მისისათა, მგმ იგი სიმართლისაჲ, რომელსა აქუს კურნებაჲ ქუეშეფრთეთა მისთა“**, რამეთუ იგი არს, რომელი ჰფარავს და განატფობს და **„არარაჲ არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა“**.

ხოლო ესე არათუ რამე თავით თვსით განგიმარტე თქუენ, საყუარელნო და ქრისტესმოყუარენო და სწავლისმოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინამსწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოვებაჲ. რამეთუ უეჭუელი სარწმუნოვებაჲ საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათვს, ესე, მამაო ზეცათაო, ღმერთო და უფალო ცხოვრებისმომცემელო, შენ მიერ მოღებითა მაღლისაჲთა, რამეთუ ქრისტეანეთა სარწმუნოვებაჲ დიდ მოძღურება არს.

მართალი, და ეს დაწყველილი მიწა კურთხევის ნაყოფით ააგოსო.

„მდოგვის მარცვალი“ ეწოდა, რადგან იმცირებს იგი თავის თავს და მიემსგავსება ჩვენს აღნაგობას, რომ ჩვენი სულის ხნულში დაირგოს, ღრმად გაიბას ძირი, თავისი ჯვრის რტოებზე შეგვეკრიბოს, ამაღლდეს და თავის თავთან ერთად ჩვენც აგვამაღლოს.

„მატლი“ ეწოდა, რადგან თქვა: **„მატლი ვარ და არა ადამიანი“** (ფს. 21.7), ვინაიდან ღმრთეების გამობრწყინებით თავისი ეს ღმრთეება როგორც ანკესი თავის სხეულში დაფარა ისე, როგორც მატლში, ჩააგდო იგი ამ სოფლის ზღვაში¹¹ და ამოიღო, როგორც კეთილმა მეთევზემ, რის შესახებაც ამბობს: **„შეიპყრობ დიდ ვეშაპს ანკესით და გააცვამ მას ყბებზე აღვირს და კაუჭს მის ცხვირში“** (შლრ. იობ. 40.20-21)¹². ეს არის ეშმაკი, რომელიც შეიპყრო მან და შემუსრა მისი მზაკერობები, რის შესახებაც მოწმობს დავით მეფსალმუნე: **„შენ შემუსრე იმ ვეშაპის თავები“** (ფს. 73.13-14).

„სიმართლის მზე“ ეწოდა, რადგან თქვა წინასწარმეტყველმა: **„და გამოგიბრწყინდებათ თქვენ, მისი სახელის მოშიშთ, სიმართლის მზე, რომელსაც აქვს კურნება თავისი ფრთების ქვეშ“** (მალაქ. 4.2), ვინაიდან სწორედ იგია, რომელიც იფარავს და ათბობს, და **„არაფერია, რაც დაეფარება მის სიცხეს“**¹³.

ხოლო არათუ მე თვითონ განვიმარტეთ თქვენ ამათგან რაიმე, საყვარელნო, ქრისტესმოყვარენო და სწავლისმოღვაწენო¹⁴, არამედ ამას მოწმობენ საწინასწარმეტყველო წიგნები, მოციქულთა ქადაგება, წმინდა სახარებათა ნაწერები და ნეტარ მამათა და მოძღვართა მიერ დადგენილი სარწმუნოება, რადგან უეჭველი სარწმუნოება დიდი საუნჯეა მორწმუნეებისთვის, რომლებიც მადლს იღებენ შენგან, ზეცათა მამაო, ღმერთო და უფალო ცხოვრებისმოძვემელო, ვინაიდან ქრისტეიანთა სარწმუნოება დიდი მოძღვრებაა.

ამით მადლითა თავყუანისგცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგიარებენ შენ მარტულნი და შენთვის დევნულებად ღირს-იქმნებიან, რომელმან ივნე ჩუენთვის, ქრისტე ღმერთო, მოწამე არიან შენდა და შენ გევედრებიან და ცთომასა მას ეშმაკისასა და მსახურთა მისთა მძლავრებასა შეურაცხ-ჰყოფენ,

რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოვებად ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ – ჩუენცა, შორიელთა ამით მკვდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვს: „მოვიდოდიან აღმოსავალით და დასავალით და ინავ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“.

აჰა ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოვებად და წოდებულ არს დედადწმიდათა, რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებად უკუნითი უკუნიამდე, ამჴნ.

მეორე თავი

ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაზოგისი

რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძე ადრნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუშნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა-იგი მან აღაშწნა.

ამ მადლით გეთაყვანებიან შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმინდანნი, გაღიარებენ შენ მარტვილნი და ღირსნი ხდებიან დევნულებისა შენს გამო, რომელიც ეგნე ჩვენთვის, ქრისტე ღმერთო, ისინი მოწმობენ შენს მიმართ, შენ გაფარებენ თავს და არაფრად აგდებენ ეშმაკის მაცთუნებლობასა და მის მსახურთა ძალადობას.

ვინაიდან არათუ მხოლოდ ბერძნებმა მოიპოვეს ეს ღვთისმიერი სარწმუნოება, არამედ – ჩვენც, ამ შორეულმა მოსახლეებმა¹⁵, როგორც მოწმობს უფალი და ამბობს: „მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან და დასხდებიან აბრაამის, ისააკისა და იაკობის წიადში“ (მდრ. მთ. 8.11).

აჰა, ქართლის მოსახლეებსაც აქვთ სარწმუნოება და წოდებულია [ქართლი] წმინდანთა დედად, რომელთაგან ერთნი საკუთრივ აქაური მცხოვრებნი იყვნენ, მეორენი კი – უცხონი და სხვა ადგილიდან მოსულნი დრო და დრო, მოწამეებად რომ ჩნდებოდნენ ქრისტე იესოს, ჩვენი უფლის მიერ, რომლისაც არის დიდება უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მეორე თავი

წმინდა მოწამე აბოს ქართლში შემოსვლა
და ნათლისღება

რადგან იყო დრო, როდესაც ქართლის ერისთავი, სახელით ნერსე, ადარნესე კურაპალატისა და ერისთავის ძე, ხმობილ იქნა ბაბილონის ქვეყანაში სარკინოზთა იმჟამინდელი ხელისუფლის, ამირა მუმნი აბდილას მიერ, რომელიც იყო დიდ ქალაქ ბადდადში, მან რომ ააშენა; ხოლო ბოროტი

ხოლო შესემნითა ბოროტთა კაცთადათა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსც, ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ, და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ნებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძქ მისი მაჰდი. ხოლო ქველისმოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსცსი. და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა, ქუეყანადვე თუსა.

მნებაჲს აწ, ქრისტცსმოყუარენო, ამიერიტგან წმიდისა და სანატრელისა ამის მოწამისა ჰაბოხსთუს, რაჲთა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინაჲ მოიწია აქა.

ესე ნაშობი იყო აბრაჲმეანი ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა, და არათუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოლადვე არაბიელთა თესლი, მამულად და დედულადცა, რომლისაჲ მამაჲ მისი და დედაჲ მისი და ძმანი და დანი მისნიიყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოგნისასა. და ესე იყო ყრმა ჭაპუკ, ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინცს აჩვდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვაჲ თუსი აქა ერისმთავრისა მის ნერსცს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა, რამეთუ იყო იგი ველოვან, კეთილადშემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჲამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვაჲ იგი მისი არათუ თვთ თავით თუსით განიზრახსა, არამედ ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჲამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“. ეგრცთვე ესე კუალად, ნაშობი აბრაჲამისი, არათუ თუსით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისამიერიითა იწვა ესეცა და დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები, ვითარცა-იგი უფალი იტყუეს წმიდასა სახარებასა შინა, და წარმოვიდა აქა

ადამიანების დაბეზღებით საპყრობილეში ჩააგდო მან ნერსე, ქართლის ქვეყნის ერისთავი, და შეპყრობილი იყო იგი იქ სამი წლის განმავლობაში, სანამ, ღვთის ბრძანებით, არ მოკვდა აბდილა ამირა მუმნი და არ დაჯდა მის ნაცვლად მისი ძე მაჰდი, ქველმოქმედმა ღმერთმა კი დააჯერა მაჰდი ამირა მუმნის გულს ნერსეს გაშვება, გამოიყვანა იგი იმ მწარე საპყრობილისგან და კვლავ ერისთავად გამოუშვა აქ, მის ქვეყანაში.

ახლა მსურს, ქრისტესმოყვარენო, რომ ამიერიდან ამ წმინდა და სანატრელი მოწამის აბოს შესახებ გაუწყოთ, როგორ ან რაგვარად მოხდა, ან საიდან მოაღწია მან აქ.

იგი იყო აბრაამის შთამომავალი, ისმაელის ძეთაგან, სარკინოზთა ტომიდან, და არათუ უცხო მოდგმისა, ანდა ხარჭის ნაშობი, არამედ ყოვლითურთ არაბთა მოდგმისა მამით და დედით, რომლის მამა და დედა, ძმები და დები იმავე ბაბილონის ქალაქ ბაღდადში იყვნენ. და იყო იგი ახლგაზრდა ჭაბუკი, თითქმის თვრამეტი წლისა ანდა უფრო მცირედის, ჩვიდმეტი წლისა. მან ისურვა ნერსე ერისთავთან ერთად აქ წამოსვლა და მსახურად გაუხდა მას. იყო იგი ოსტატი, სურნელოვანი საცხებლების კარგად შემზავებელი; ამასთან, განსწავლული იყო აბრაამის ძის ისმაელის ძეთა, აგარის შთამომავალ სარკინოზთა მწიგნობრობაში.

ხოლო აქედან ჩვენი ქვეყნისკენ წამოსვლა არათუ თვითონ გადაწყვიტა თავისი თავით, არამედ ისევე, როგორც ნეტარ აბრაამს უთხრა უფალმა იმავე ქალდეველთა ქვეყანაში: „გამოდი შენი ქვეყნიდან, შენი მოდგმისგან და შენი მამის სახლიდან და მოდი იმ ქვეყანაში, რომელსაც გიჩვენებ მე შენ“ (შესაქ. 12.1), ამგვარადვე ესეც ასევე, შთამომავალი აბრაამისა, არათუ თავისი გონებით, არამედ ღვთისმიერი ნიშანცემით იქნა ხმობილი. ამიტომ დატოვა მან მამა, დედა, ძმები, დები, ნათესავები, საქონელი, ყანები, როგორც უფალი იტყვის წმინდა სახარებაში (მთ. 19.29), და წამოვიდა აქ, ნერს-

ნერსცს თანა მგზავრ ქრისტცს სიყუარულისათუს. და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა. და თუსითა სათნოვებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ვსნილად.

მაშინ იწყო ზედამიწვენად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ-ჰყოფდა მას, და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინააღწარმეტყუელოთა და მოციქულთა. და მრავალთაგან შჯულისმეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ, ხოლო რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას.

და ესრცთ სრულ-იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტცს მიერ.

მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტც ყოვლითა გულითა და გამოირჩია იგი სიტყუთა ამით, ვითარმედ: „მითხრეს მე უშჯულოთა ზრახვაჲ, ხოლო არა ეგრე იყო, ვითარ შჯული შენი“. არამედ ვერ განიცხადებდა თავსა თუსსა სრულად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად ილოცავნ და იმარხავნ ქრისტცს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოილო ნათელი ქრისტცსი, რამეთუ ეშინოდა სოფლისმპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.

და იყო, მათ დღეთა შინა კუალად იყო განრისხებაჲ ველმწიფეთა მათგან სარკინოზთა ნერსე ერისთვისა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდა მას სარკინოზთა ერი; და უფალმან დაიცვა იგი ველთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა იგი, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტცსი ჰაბო. ხოლო ნერსე, ვლტოლვილი ქუეყანით თუსით, შევიდა

ეს დამგზავრებული ქრისტეს სიყვარულისთვის. როდესაც მოვიდა იგი ქართლში, ცხოვრობდა იგი ნერსე ერისთავთან, თავისი სათნოებით საყვარელი გახდა მთელი ხალხისთვის და ამას დაუმატა ისიც, რომ ისწავლა ქართული წერა-კითხვა და თავისუფლად ლაპარაკი.

მაშინ შეუდგა იგი ძველი და ახალი რჯულის წმინდა საღვთო წიგნების წვდომასა და შესწავლას, რადგან უფალი მცოდნედ ხდიდა მას. და მოდიოდა იგი წმინდა ეკლესიაში და მუდამჟამს ისმენდა წმინდა სახარებისას, საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთა საკითხავენს, და მრავალი რჯულისმეცნიერისგან გამოიკითხავდა და სწავლობდა, ხოლო ზოგიერთს თითქოსდა შეპაექრებითად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ სწავლის მიზეზად უხდებოდა მას ეს.

აი, ასე გახდა იგი სრულქმნილი მთელი იმ მოძღვრებით, რაც აქვს წმინდა კათოლიკე ეკლესიას ქრისტეს მიერ.

მაშინ უგულუბელყო მან მუჰამედის რჯული, მიატოვა მამისეული ღოცვის წესი, შეიყვარა ქრისტე მთელი გულით და გამოიჩინა იგი ამ სიტყვით: „მითხრეს მე ურჯულოებმა მოძღვრება¹⁶, მაგრამ არ იყო ისე, როგორც შენი რჯული“ (ფს. 118.85), თუმცა ვერ აცხადებდა თავის თავს სრულ ქრისტიანად, ფარულად კი მარხულობდა და ღოცულობდა ქრისტეს მიმართ და ეძებდა დაცულ ადგილს, სადაც მიიღებდა ქრისტეს ნათელს, რადგან ეშინოდა მას ქვეყნიერების დამპყრობი ჩვენი ზედამხედველი სარკინოზების.

და მოხდა იმ დღეებში სარკინოზ ხელმწიფეთა ხელახალი განრისხება ნერსე ერისთავის მიმართ, და განერიდებოდა იგი, რადგან სასტიკად ებრძოდა მას სარკინოზების ჯარი, უფალმა კი დაიფარა იგი მათგან; და გაიარა მან ოსეთის კარი, რომელსაც დარიალანი ეწოდება, ხოლო გავიდა რა, იყო მასთან ერთად მისი ჯარისგან მარტოოდენ დაახლოებით სამასი მამაკაცი და მათთან ერთად იყო ქრისტეს ეს სანატრელი მონა აბოც. ნერსე კი, დევნილი თავისი ქვეყნიდან, შევიდა

ქუეყანასა მას ჩრდილომასასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკჳ ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან საზარნი - კაც ველურ, საშინელ პირითა, მვეცის ბუნება, სისხლისმჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან.

და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის საზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისა და სივლტოლისათჳს მტერთა მისთაჲსა და ჰსცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ, ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშოგრებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთაჲსა, იწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელ-ილო სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ველითა პატიოსანთა მღდელთაჲთა, რამეთუ მადლითა სულისა წმიდისაჲთა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილომასასა, რომელნი სარწმუნოვებითა ქრისტესითა ცხონდებიან უზრუნველად.

მიერთგან უფრომსლა საესჳ მადლითა ქრისტესითა ნეტარი ჰაბო შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებელად.

მაშინ, შემდგომად რავდენისაჲმე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილომასასა, რაჲთა განუტევოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგებნი და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა. ხოლო ღმერთმან მოამშჳდა პირი მეფისა მის ჩრდილომასაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაჲთა და განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოლადვე არა იციანღმერთი, და უშიშად ვიდოდეს დღჳ და ღამჳ სამისა თთჳსა გზასა ხოლო ნეტარი ჰაბო ეგოდენტა მათ გზათა მგზავრ ილოცვიდა და იმარხვიდა და არა დასცხრებოდა იგი ფსალმუნებითა. და ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისაჲმან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით

ჩრდილოეთის ქვეყანაში, სადაც არის სამკვიდრებელი და სამყოფელი მაგოგის ძეებისა, რომლებიც არიან ხაზარები – ადამიანები ველურები, საშინელი შესახედაობით, მხეცის ბუნებისანი, სისხლიანის მჭამელნი, რომლებსაც რჯული არა აქვთ, არამედ მარტოოდენ შემოქმედი ღმერთი იციან.

და როდესაც მივიდა ნერსე ერისთავი ხაზართა მეფესთან, მიიღო მან იგი უცხოობისა და თავისი მტრებისგან დევნულებისათვის და მისცა მას და მთელ მის ხალხს საჭმელი და სამოსი.

მაშინ, როდესაც ნახა ნეტარმა აბომ, რომ გაშორებულია იგი სარკინოზების საშიშროებასა და ძალადობას, იჩქარა მიახლებოდა ქრისტეს და მოინათლა მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით პატიოსანი მღვდლების ხელით, რადგან სულიწმინდის მადლით მრავლად არის ჩრდილოეთის ქვეყანაში ქალაქები და სოფლები, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოებით ცხოვრობენ უშფოთველად.

ამის შემდეგ ქრისტეს მადლით უფრო მეტად ავსებული ნეტარი აბო მიეცა მარხვასა და ლოცვას დაუბრკოლებლად.

მაშინ, გარკვეული დროის შემდეგ, შეევედრა ნერსე ჩრდილოეთის მეფეს, რომ გაეშვა იგი იქიდან აფხაზეთის ქვეყანაში, რადგან თავიდანვე ჰყავდა მას გაგზავნილი იქ დედა, ცოლი, შვილები, შენაძენნი¹⁷ და მისი სახლისგან ყველანი, ვინაიდან დაცული იყო ეს ქვეყანა სარკინოზთა საშიშროებისგან. ამასთან, ღმერთმა მოაღბო ჩრდილოეთის მეფის პიროვნება და გაუშვა მან ნერსე მრავალი საბოძვართ. და გაემართნენ ისინი სიხარულითა და ღვთისადმი მადლიერებით, გაიარეს ქვეყანა წარმართებისა, რომლებმაც საერთოდ არ იციან ღმერთი, და საშიშროების გარეშე მიდიოდნენ დღე და ღამე სამი თვის გზაზე, ხოლო ნეტარი აბო ამდენი დღის განმავლობაში ლოცულობდა გზაზე, მარხულობდა და არ წყვეტდა ფსალმუნებას. და როდესაც მიაღწიეს მათ აფხაზეთის ქვეყანას, ამ ქვეყნის მთავარმა მიიღი ნერსე მთელი მისი

მისითურთ. და ვითარცა იხილა ნერსჭ დედოფალი, დედაა თვისი, და ცოლი და ძენი თვისნი, სიხარულითა ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მმუდობით შეკრებისა მათისათვის.

მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბომასთვის, რამეთუ ახალნათელღებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისითურთ; და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის-ჰსცემდეს და უთხრობდეს მას სიტყუათა მათ ცხოვრებისათა და ახარებდეს მას ქრისტესთვის და საუკუნოჲსა მის ცხოვრებისათვის. ხოლო იგი თავით თვისით მიუგებდა მათ მადლობით სიტყუათა მათ ჭემმარიტისა სარწმუნოვებისათა, ვიდრემდის უკვრდაცა მათ და აღიდებდეს ღმერთსა.

და ნეტარი ჰაბო უფროჲსა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოვებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვდრად იპოვების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკვდრებელი ყოლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრადმდე ქალღიაჲსა; ტრაპეზუნტიჲჲ მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲსაჲ ნავთსადგური. და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტესმსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა.

ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამატებული ღმრთისმოყუარებაჲ და ლოცვაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოჲ აღიღო, რამეთუ მოივსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათვის მარადის“, იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა თთუესა მას იანვარისასა ათჩუდმეტსა მის თთვსასა, ვსენებასა წმიდისა მამისა ანტონისსა, აღიღო მანცა ფიცხელი იგი შრომაჲ და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა, ეწყებოდა მტერსა მას ეშმაკსა; და დუმილითა და მარხვითა მოაუძღურებდა იგი ვორცთა მათ სიჭაპუკისა თვისისათა, „რამთა შეუძლოს ყოველ-

ხალხით. როდესაც ნახა ნერსემ დედოფალი - თავისი დედა, ცოლი და თავისი ძეები, ყველა სიხარულით აკურთხებდა ღმერთს მათი სიმრთელით და მშვიდობიანად შეხვედრის გამო.

მაშინ, როდესაც ეუწყა აფხაზეთის მთავარს ნეტარი აბოს შესახებ, რომ ახალი ნათელღებულია იგი, დიდად გაიხარა მთელი თავისი ხალხით; და მოუხმეს მას მთავარმა, ეპისკოპოსმა და მღვდლებმა და აკურთხევდნენ, ანუგეშებდნენ, ამცნობდნენ ცხონების სიტყვებს, ახარებდნენ ქრისტეს გამო და საუკუნო ცხოვრებისთვის, ის კი თავის მხრივ მადლიერებით მიუგებდა მათ ჭეშმარიტი სარწმუნოების სიტყვებს, იმგვარად, რომ უკვირდათ კიდევ მათ და აღიდებდნენ ღმერთს.

ნეტარი აბოც უფრო მეტად კმადლობდა ღმერთს, ნახა რა ის ქვეყანა ქრისტეს სარწმუნოებით სავსე, რადგან ურწმუნოთაგანი არავინ არის მათ საზღვრებში, ვინაიდან მათ საზღვრად არის პონტოს ზღვა, ყოვლითურთ ქრისტიანთა სამკვიდრებელი ვიდრე ქალდეის საზღვრამდე, და ტრაპეზუნტი იქ არის, სამყოფელი აფსარიისა, და ნაფსის ნავსადგური, და არის ეს ქალაქები და ადგილები ქრისტესმსახური იონთა მეფის საბრძანებელი, რომელიც საყდრობს დიდ ქალაქ კონსტანტინოპოლში.

ხოლო წმინდა და ნეტარმა აბომ, როდესაც ნახა იმ ადგილის ადამიანთა მეტისმეტი ღვთისმოყვარეობა და შეუწყვეტელი ღოცვა მთელი ხალხისა, საღვთო შური აიღო¹⁸, რადგან გაიხსენა მან წმინდა მოციქულის სიტყვა: „კარგია მარადის კარგის გამო ბაძვა“ (გალ. 4.18). დაიწყო მანაც იანვრის თვის ზამთრის დღეებში, ამ თვის ჩვიდმეტში, წმინდა მამის ანტონის ხსენებისას, და იტვირთა მანაც მკაცრი მოღვაწეობა, ქალაქის შიგნით, როგორც უდაბნოში, შეებმოდა მტერს – ეშმაკს და დუმილითა და მარხვით აუძლურებდა თავისი სიჭაბუკის სხეულს,, „რომ შესძლებოდა ეშმაკის ყველა გახურებული ისრის ჩაქრობა“ (ეფეს. 6.16). გაიხსენა მან

თა მათ ისართა ეშმაკისათა განჯურვებულთა დაშრეტად“. მოიჯენა მან მაცხოვრისა ჩუენისაჲ, ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან, მზაკუევარსა მას განმცდელსა ჰსძლო ეშმაკსა ლოცვითა მით და მარხვითა მით წმიდითა ორმოც დღე. ეგრძეთვე ნეტარი ესე ჰაბო არცალა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, გარნა ღმერთსა ხოლო ჰზრახავნ წმიდასა შინა ლოცვასა თვსსა. ესრძთ განვლო სამ თთუე და დაადგრა მარხვით და დუმილით. ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა, შვდთა მათ შვდეულთა, კვრიაკესა და დღესა შაფათსა ხოლო მი-რამ-ილის წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ, ვორცი და სისხლი ქრისტჳსი, მაშინლა ნაკლულევანად მი-ილის საზრდელი, ვიდრემდის მიიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღესებასა, აღდგომასა ქრისტჳს ღმრთისა ჩუენისასა. მაშინლა დააცადა ფიცხელი იგი მარხვაჲ და განჰვსნა ენაჲცა თვსი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსჳსისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმმან ბრძანებითა ღმრთისაჲთა სტეფანოს, ძჳ გურგენ ერისთვისაჲ, დისწული ნერსჳსი, ნაცვალად დედისა ძმისა თვსისა ნერსჳსა, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ-იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებჲ იგი სახლისა მისისაჲ არა განიშოვრა უფალმან. ესეცა წადიერ იქმნა უფროჲსლა გულსმოდგინედ და წარმოავლინა მოციქულნი და ითხოვა კელმწიფეთაგან ამირათა ამის ქუეყანისათა, რაჲთა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ვსნილად ყოვლით ერითურთ მისით. და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა მას: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით მათ შორის; და მეშინის მე შენთვს, ნუუკუე კუალად გარდაგდრიკონ შენ სარწმუნო[ვ]ებისაგან ქრისტჳსისა ნეფსით, გინა უნებლებით, და ესოდენი

ჩვენი მაცხოვრის შესახებ, თუ როგორ დასძლია მან, წმინდა ნათლისღების შემდეგ უდაბნოში გასულმა, ის მზაკვარი განმცდელი¹⁹, ეშმაკი, ორმოცდღიანი წმინდა ლოცვითა და მარხვით. ამგვარადვე, ეს ნეტარი აბო ერთ სიტყვასაც კი აღარ ამბობდა ადამიანთა შორის, არამედ მხოლოდ ღმერთს ესაუბრებოდა თავის წმინდა ლოცვაში. ასე განვლო მან სამი თვე და იმყოფებოდა მარხვითა და დუმილით, ხოლო დიდი მარხვის წმინდა დღეებში, შვიდ შვიდეულში, მხოლოდ კვირასა და შაბათ დღეს, მას შემდეგ, რაც მიიღებდა იგი წმინდა საიდუმლოს, ქრისტეს და ხორცსა და სისხლს, მაშინდა სინაკლულით იღებდა საჭმელს, სანამ არ დადგა ის წმინდა დღე, დიდი დღესასწაული აღვსება, ჩვენი ღვთის ქრისტეს აღდგომა. მხოლოდ მაშინ შეწყვიტა მან მკაცრი მარხვა, თავისი ენაც გახსნა უსიტყვობისგან და აღიღებდა ღმერთს.

ხოლო ქართლიდან ნერსეს დევნულების შემდეგ გამოგზავნა მაჰდი ამირა მუმნმა, ღვთის ბრძანებით, ნერსეს დისწული, გურგენ ერისთავის ძე სტეფანოზი ქართლის ქვეყნის ერისთავად მისი დედის ძმის ნერსეს ნაცვლად. მაშინ გაიხარა ნერსემ, რომ არ გააშორა უფალმა უფლებამოსილება მისი სახლიდან. ამიტომ, ისიც უფრო გულმოდგინედ მოწადინებული გახდა, გამოგზავნა შუამავლები და ითხოვა ხელისუფალთაგან, ამ ქვეყნის ამირებისგან, რომ უსაფრთხო გაეხადათ იგი ბოროტისგან და მთელი მისი სახლით თავისუფლად შემოსულიყო [ქართლში]. და როდესაც წამოვიდნენ ისინი აფხაზეთის ქვეყნიდან, მაშინ ნეტარ აბოს მოუხმო აფხაზეთის მთავარმა და უთხრა: „ნუ გახვალ შენ ამ ქვეყნიდან, რადგან ქართლის ქვეყანა სარკინოხებს უკავიათ, შენ კი წარმოშობით სარკინოზი ხარ და არ დაგანებებენ შენ, რომ ქრისტიანად იყო მათ შორის. ამიტომ, მეშინია მე შენს გამო, რომ არ გაგაშორონ შენ კვლავ ქრისტეს სარწმუნოებისგან ნებისთ, ანდა უნებლიეთ და არ დაღუპო

შრომადა შენი წარჰსწყმიდო. ხოლო ნეტარმან მან ჰაბო ჰრქუა მას: „სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშოვრა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისადა და ღირს-მყო მე ნათელსა მას მისსა, არასადა უვარ-ვყო მე სახელი მისი; დაღა-ცათუ ბევრეული ოქროსადა და ვეცხლისადა მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშოვრონ მე სიყუარულსა ქრისტესს უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთისმსახურო, რამეთუ რაა მაღლ არს ჩემი აქა ყოფადა, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტესსთვს? აწ გევედრები, განმიტევე მე, რაათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობადა ჩემი ქრისტესმბრძოლთა მათ, რამეთუ მესმა მე წმიდისაგან სახარებისა თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ვჰმირსა, არამედ ზედა სასანთელსა დადგიან, რაათა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევიან ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“. და აწ მე რაამათვს დაფვარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან? არასადა დავემალო მე შიშისათვს სიკუდილისა, რამეთუ ვისწავე წმიდისა მისგან მოციქულისა, ვითარმედ: „არცა ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისადა ვერ დაიძვდრონ“; ამისთვს არა მეშინის მე სიკუდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტესგან“.

და ესრჳთ არწმუნა მთავარსა მას და განუტევა.

და გამოვიდა იგი ნერსესს თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე ჰსდევნიდეს, რომელნიმე მშჰდობისა სიტყვთა შეაჯერებდეს, ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტესს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა, არამედ სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემომს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ, არამედ „ვერვინ მიყვნა კვლნი

შენი ამდენი შრომა“. მაგრამ ნეტარმა აბომ უთხრა: „მას შემდეგ, რაც შემიწყენარა მე ქრისტემ, ჩემი თავდაპირველი უმეცრების სიბნელე გამაშორა მე და თავისი სინათლის ღირსი გამხადა, არასოდეს უარყოფ მის სახელს; თუნდაც რომ ოქროსა და ვერცხლის სიმრავლე მომცენ მე, ანდა ტანჯვითა და გვემით განმსაჯონ მე, ვერ განმაშორებენ ჩემი უფლის სიყვარულს, ახლა კი შენ ნუ შემაჩერებ მე, ღვთისმსახურო, რადგან რა მადლი იქნება ჩემი აქ ყოფნა, სადაც არ არის არც შიში, არც სიკვდილი ქრისტესთვის? ახლა გევედრები, გამიშვი მე, რომ ცხადად ეუწყოთ ქრისტესმოძულეებს ჩემი ქრისტიანობა, ვინაიდან მსმენია მე წმინდა სახარებისგან ჩვენი მაცხოვრის მიერ ნათქვამი: „არავინ აანთებს სანთელს და არ შედგამს მას საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე გადგამს, რომ უნათებდეს ყველას; ასე ბრწყინავდეს თქვენი სინათლე ადამიანთა წინაშე“ (მთ. 5.15-16), და ახლა მე რატომ დავფარო ეს ჭეშმარიტი სინათლე, რითაც გამანათლა მე ქრისტემ? არასოდეს დავიმაღლები მე სიკვდილის შიშით, რადგან ვისწავლე მე წმინდა მოციქულისგან: „ვერც მხდალნი დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს“ (1კორ. 6.9-10). ამიტომ, არ მეშინია მე სიკვდილისა, რადგან მე სასუფეველს ვეძიებ ქრისტესგან“

და ასე დააჯერა მან მთავარი და [მანაც] გაუშვა.

და წამოვიდა იგი ნერსესთან ერთად ქართლის ქვეყანაში, შემოვიდა ქალაქ თბილისში და მიმოდინდა გაცხადებულ ქრისტიანად. ხოლო როდესაც ნახეს იგი ქრისტიანად იქ მყოფმა სარკინოზებმა, რომლებიც თავიდანვე იცნობდნენ მას, მათგან ნაწილი უსაყვედურებდა, ნაწილი აგინებდა, ნაწილი აშინებდა, ნაწილი დევნიდა, ნაწილი მშვიდობიანი სიტყვით არწმუნებდა, მაგრამ იგი გამყარებული იყო ქრისტეს მიმართ და არავისგან ძრწუნდებოდა, არამედ სამი წლის განმავლობაში მიმოდინდა ქალაქში და გარშემო ყველა სოფელში გაცხადებულ ქრისტიანად, თუმცა „ვერაგინ გაიწოდა მისკენ ხელი

მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი, ხოლო კაცთა ქრისტწსმოყუარეთა, რომელთა იცოდეს ღმრთისა მიმართ კეთილი სათნოებება მისი, იღუწიდეს მას საზრდელითა და სამოსლითა.

მესამე თავი

ჩამებაჲ ჩმიდისა ჰაბოჲსი

რომელნი ხართ ქრისტწსმოყუარენი და მარტვრთმოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენაჲ წმიდისა მოწამისაჲ და ქრისტწსმოლუაწისაჲ, რომლითა სიმჴნითა და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა ქრისტწს მიერ!

სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტწსსა, წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ოთხმეოცდამეათესა, მეფობასა კოსტანტინეპოლეს, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტეანეთა ზედა კოსტანტინწსსა, ძისა ლეონისსა, და სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუშნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთვობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ოთხას ოცდამეოთხესა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტვრობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილადმოლუაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისს.

ხოლო იყო ესრე სახედ :

რამეთუ მცირედ უწინარწსრე დღეთა ამათ შვიპყრეს ნეტარი ესე მოწამე ქრისტწსი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფილისს, და ქრისტწს აღსაარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავემან

უკეთურად, რადგან ჯერ არ მოსულიყო მისი დრო“ (ი. 7.10), ქრისტესმოყვარე ადამიანები კი, რომლებმაც იცოდნენ ღვთის მიმართ მისი სათნოება, პატრონობდნენ მას საჭმლითა და სამოსით.

მესამე თავი

წმინდა აბოს წამება

რომლებიც ხართ ქრისტესმოყვარეები და მარტვილთმოყვარეები, მიიღეთ ჩემგან ეს სანატრელი ამბავი წმინდა მოწამისა და ქრისტესმოღვაწისა, თუ როგორი სიმხნითა და დიდებით გახდა იგი გვირგვინოსანი ქრისტეს მიერ.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეუფების ჟამს, ვნებიდან და მეგდრეთით აღდგომიდან რვაასოთხმოცდამეათე წელს, კონსტანტინოპოლში, ამ დიდ ქალაქში, ქრისტიანებზე ლეონის ძის კონსტანტინეს მეფობისას, სარკინოზთა შორის მაჰდის ძის მოსე ამირა მუმნის მეფობისას, ქართლში სამოელის კათალიკოსობისას და გურგენის ძის სტეფანოზის ერისთავობისას დასაბამიდან გასულ ექვსიათასსამასოთხმოცდაცხრა წელს, იანვრის თვის ექვსში, პარასკევ დღეს, განცხადებას, შევიმეცნეთ ამ წმინდა და ნეტარი მოწამის, კეთილადმოღვაწე აბოს მარტვილობა ქალაქ თბილისში.

ხოლო იყო ამგვარად:

რამეთუ ამ დღეებზე ცოტა ხნით ადრე შეიპყრეს ქრისტეს ეს ნეტარი მოწამე, მიიყვანეს მსაჯულთან, რომელიც იყო ქალაქ თბილისში, და დაატყვევეს საპყრობილეში, რამდენიმე დღის შემდეგ კი გამოითხოვა იგი სტეფანოზ ქართლის ერისთავმა, გამოიყვანა საპყრობილიდან

ქართლისამან, და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა. და შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, საესენი შურითა ქრისტეანეთაჲთა; შეიზრახნეს შეთქუმით ურთიერთას წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა, რამეთუ სსუჲა მსაჯული ამირაჲ შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს, და ჰრქუეს მას: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაპუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხოვრებულ შჯულითა მით, რომელი მოგუცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყვს თავსა თვსსა ქრისტეანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანე ყოფად. აწ ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი ტანჯვასა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ; უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, რაჲთა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყვთა მისითა“.

და ამას რაჲ შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა კაცთა და მივიდეს მწრაფლ და უთხრეს ნეტარსა ჰაბოს, ვითარმედ: „აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად და ტანჯვად და გუემად“. და შეაჯერებდეს მას, რაჲთამცა მიჰრიდა და დაეძალა. ხოლო მან ჰრქუა მათ:

„მე არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდიდცა“.

და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად.

მაშინ მსახურნი იგი მის მსაჯულისანი შეემთხვნეს და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა მის.

და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაჲ არს რომელი-ესე მესმის შენთვის, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ? აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა“. ხოლო ნეტარი ჰაბო გან-

და გაუშვა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდგომ კვლავ ამოქმედდნენ ამ წმინდა მოწამის დამბეზღებლები, განრისხებულნი და აღბორცებულნი, შურით სავსენი ქრისტიანთა მიმართ, შეთანხმებულად პირი შეკრეს მათ ერთმანეთში²⁰ წმინდანის წინააღმდეგ, შევიდნენ მსაჯულთან, რადგან სხვა მსაჯული ამირა იყო შემოსული ქალაქ თბილისში, და უთხრეს მას: „არის ამ ქალაქში ერთი ჭაბუკი, რომელიც იყო წარმოშობით სარკინოზი, გაზრდილი და მცხოვრები იმ რჯულით, რომელიც მოგვცა ჩვენ მუჰამედმა, ჩვენმა მოციქულმა, და ახლა მიუტოვებია მას ეს ჩვენი რჯული, თავის თავს ქრისტიანად ამბობს, უშიშრად დადის ქალაქში და ბევრ ჩვენგანს ასწავლის ქრისტიანად გახდომას. ახლა ბრძანე მისი შეპყრობა და ჩააგდე იგი სატანჯველსა და გვემაში, სანამ არ აღიარებს ჩვენი მოციქულის მუჰამედის რჯულს, ხოლო თუ არა, მოკვდეს იგი, რომ მისი ქადაგებით არ გაუხდეს მას მბაძველად ბევრი“.

რაჟამს ისინი ამას აბეზღებდნენ, გაიგონეს ეს ვიდაც ქრისტიანმა ადამიანებმა, სწრაფად მივიდნენ და უთხრეს ნეტარ აბოს: „ახლა უკვე გეძებენ შენ, რომ შეგიპყრონ, გტანჯონ და გგვემონ“. და არწმუნებდნენ მას, რომ გარიდებულყო და დამალულიყო. მაგრამ მან უთხრა მათ:

„მე არა მარტოდენ ტანჯვისთვის ვარ გამზადებული ქრისტეს გამო, არამედ სიკვდილისთვისაც“.

და გამოვიდა იგი სიხარულით და მიმოდოდა ქუჩებში გაცხადებულად.

მაშინ წააწყდნენ ნეტარ აბოს მსაჯულის მსახურები, შეიპყრეს იგი და შეიყვანეს იგი მსაჯულთან.

და უთხრა მსაჯულმა: „რა არის, რაც მესმის შენს შესახებ, რადგან ხარ შენ მოდგმით და ტომით სარკინოზი, მაგრამ მივიტოვებია მამისეული რჯული და ქრისტიანებთან ერთად შემცდარხარ? ახლა გაემზადე და ილოცე იმ რჯულით, რომლითაც გაგზარდეს შენ შენმა მშობლებმა“. მაგრამ ნეტარი

ძლიერდა ქრისტეს მიერ და აღივსო სულითა სარწმუნოვები-სადათა და ჰრქუა მსაჯულსა მას ამირასა: „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე მას შინა მამუ-ლად და დედულად; განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმე-დისითა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ, ხოლო ოდეს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამომი-ჩია მე ძმათა და ნათესავთა შორის ჩემთა და მივსნა მე იესუ ქრისტეს მიერ, ძისა მისისა და ღმრთისა ჩემისა, და გულისხმა-მიყო მე უმჯობესი იგი კეთილი, მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ველოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ, და აწ შეუდეგ მე ჭემ-მარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოვებასა სამე-ბისა წმიდისასა, – მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა, – და მე ამით ნათელ-მიღებიეს და ამასცა თავყუანის-ვსცემ, რამეთუ ესე არს ღმერთი ჭემმარიტი, და აწ ქრისტეანე ვარ თვნიერ ყოვლისა ცილობისა“.

ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „დაუტევე სიცოფისა ეგე გან-ზრახვაჲ შენი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ შენ ქრისტეანეთა, მე უფრომსლა ნიჭი და პა-ტივი აწვე მიგცე შენ“. ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „ოქროჲ და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა; მე პატივისა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტესმიერი, გვრგვნი ცხოვრებისაჲ და უხრწნელებისაჲ და პატივი საუკუნოჲ ცათა შინა“.

მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან ველით და ფერვით შეკრვამ მისი ბორკილითა რკინისადათა და ეგრჭთ შთააგდეს იგი საპყ-რობილესა. ხოლო ნეტარსა მას უხაროდა და ჰმადლობდა ღმ-ერთსა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო და მაცხ-ოვარო ჩემო, იესუ ქრისტე, რამეთუ ღირს-მყავ მე განსაკითხ-ავსა და პყრობილობასა სახელისა შენისათჳს წმიდისა“. და იყო ესე თთუესა დეკენბერსა ოცდამუდსა, დღესა სამშაბათსა, ვსენებასა წმიდისა ქრისტეს მოციქულისა და პირველდიაკონისა

აბო გაძლიერდა ქრისტეს მიერ, აივსო სარწმუნოების სულით და უთხრა მსაჯულ ამირას: „ეგ კარგად თქვი, რომ ვარ მე წარმოშობით სარკინოზი, სარკინოზობაშივე შობილი მამის მხრივაც და დედის მხრივაც. განსწავლული ვიყავი მუჰამედის რჯულში და ვცხოვრობდი მასში, სანამ უმეცრებაში ვიყავი, მაგრამ როდესაც ისათნოვა ღმერთმა, რომელმაც გამომიძრჩია მე ჩემს ნათესავთა და ძმათა შორის, მიხსნა მე თავისი ძისა და ჩემი ღვთის იესო ქრისტეს მიერ და შემაცნობინა მე უფრო კარგი სიკეთე, მაშინ დავტოვე მე კაცთა ოსტატობით შეწმასნილი ის პირველი რჯული და ზღაპრობის სიბრძნით ნახელთნები რწმუნებულობა და ახლა შევუდექი მე წმინდა სამების – მამის, ძისა და სულიწმინდის – ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მომადლებულს ქრისტეს მიერ; ამით მოვნათლულვარ და ამასვე ვცემ თაყვანს, რადგან ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი, და ახლა ყოვლად უცილობლად ქრისტიანი ვარ.

უთხრა მას მსაჯულმა: „მიატოვე სიშლევის ეგ განაზრახი და თუკი შენი სინაკლულის გამო ხარ ქრისტესადმი შედგომილი, მე უფრო მეტად მოგცემ შენ საბოძვარსა და პატივს ახლავე“. უთხრა მას ნეტარმა აბომ: „შენი ოქრო და ვერცხლი შენთანვე იყოს შენი თავის დასადუჰად. მე პატივს ადამიანებისგან არ ვეძიებ, რადგან მაქვს მე საბოძვარი ქრისტესმიერი, ცხოვრებისა და უხრწნელების გვირგვინი და საუკუნო პატივი ცათა შინა“.

მაშინ ბრძანა მსაჯულმა, რომ შეეკრათ იგი რკინის ბორკილით ხელზე და ფეხზე, და ასე ჩააგდეს იგი საპყრობილეში, ამ ნეტარს კი უხაროდა, ჰმადლობდა უფალს და ამბობდა: „გმადლობ შენ, უფალო და მაცხოვარო, ღმერთო ჩვენო იესო ქრისტე, რადგან შენი წმინდა სახელისათვის განსჯისა და პყრობილების ღირსი გამხადე მე“ (და მოხდა ეს დეკემბრის თვის ოცდაშვიდში, სამშაბათ დღეს, ქრისტეს მოციქულის, პირველდიაკონისა და პირველმოწამის, ყველა

და პირველმოწამისა, ერისმთავრისა მის ყოველთა მოწამეთადასა, წმიდისა სტეფანსსა. წესვე და შეუენიერ ესრცთ იყო, რაათა ილუწიდეს მისთვს ერისთავი იგი ყოველთა მარტვ[რ]თაჲ მის-თანათა მათ თანა ყოველთა მოწამეთა, რაათა არა დაბ-რკოლდეს უკუანაჲსკენელიცა ესე მოწამჲ ქრისტესი თანაშერ-აცხად ახოვნებასა მას მათსა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებითა დღჲ და ღამჲ განუსუენე-ბელად და ჰყოფდა იგი ქველისსაქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაჲცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუმოდლუ-არნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყუედ რომელნი-იმე რეცა სიტყუთა ლიქნისაჲთა: „შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაპუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანებად და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განემოვრები, რაათა არა შეამთხვო ძკრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“. და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყუედ: „რაჲ სარგებელ გეყოს შენ ქრისტჲ იგი შენი, ანუ ვინ გივსნეს შენ ველთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგკმზადებიეს შენთვს, არათუ მოიქცე ჩუენდავე“. ხოლო ნე-ტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარდილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვსითა. და შემდგომად-ღა მრავლისა სიტყუსა მათისა ჰრქუა მათ: „ჩემდამო რასა იტყოდეთ, რამეთუ მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან რაჲ არა ალაღის პირი თვსი, ვიყავ მე, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ, რამეთუ მე უფალსა ვესაგ. „განმეშოვრენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“. და ვითარცა ვერ შეძრეს მარ-თალი იგი, გამოვიდეს მიერ სირცხვლეულნი.

და იყო ნეტარი ესე საპყრობილესა შინა ცხრა დღჲ, და დღე ყოველ იმარხავნ და ღამისთევით დაადგრის განთიადმდე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მათ მის თანა

მოწამის მხედართმთავრის წმინდა სტეფანეს ხსენებისას. მართებული და შესაფერისიც ასე იყო, რომ ეღვაწა მისთვის ყველა მარტვილის მხედართმთავარს თავის ყველა მოწამესთან ერთად, რომ არ დაბრკოლებულიყო ეს უკანასკნელი მოწამე ქრისტესი და თანაშერაცხვოდა იგი მათეულ ახოვანებას).

და იმყოფებოდა ნეტარი აბო საპყრობილეში მარხვით, ლოცვითა და ფსალმუნებით დღე და ღამე შეუსვენებლად და ადასრულებდა იგი ქველმოქმედებას, რადგან გაყიდა მან ყველაფერი, რაც ჰქონდა, და ასაზრდოებდა მასთან ერთად პატიმრობაში მყოფ მშვიდრებსა და გაჭირვებულებს, ხოლო ცრუმოდერები და დამბეზღებლები შედიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ მას, ერთნი, თითქოსდა მომფერებლური სიტყვით: „შვილო, ნუ გაიწირავ შენს თავს, ნურც შენს სიჭაბუკეს გაყიდი ქრისტიანობაზე და ნურც შენს ძმებსა და ნათესაებს გაშორდები, რომ არ შეამთხვიო ცუდი რამ შენს თავს და შეგვაწუხო ჩვენ ყველანი“, სხვანი კი აშინებდნენ მას და ეუბნებოდნენ: „რა სარგებელი იქნება შენთვის შენი ქრისტე ანდა ვინ გიხსნის შენ ჩვენი ხელისგან, რადგან ცეცხლი და სატანჯველი უკვე გაგვიზადებია შენთვის, თუკი არ მოიქცევი ჩვენკენვე“. მაგრამ ის ნეტარი არ ისმენდა მათსას, არამედ ლოცულობდა და მოუწყინებლად ფსალმუნებდა თავისი გონებით, და მათი მრავალი სიტყვის შემდეგ უთხრა მათ: „ჩემს მიმართ ნურაფერს იტყვით, რადგან “მე როგორც ყრუს, არ მესმოდა და როგორც მუნჯი არ გახსნის თავის პირს; ვიყავი მე როგორც სმენის არმქონე ადამიანი, რომლის პირშიც არ არის სიტყვა, რადგან მე უფალს ვსასოებ“ (ფს. 37.14-16). “გამშორდით მე, უკეთურნო, და გამოვიძიებ მე ჩემი ღვთის მცნებებს“ (ფს. 118.115). და რადგან ვერ შეარყიეს ეს მართალი, გამოვიდნენ იქიდან შერცხვენილები.

და იყო ეს ნეტარი საპყრობილეში ცხრა დღე. ყოველდღე მარხულობდა იგი და ღამისთევით რჩებოდა განთიადამდე, მეცხრე დღეს კი უთხრა მასთან ერთად საპყრობილეში მყოფ

პერობილთა ქრისტეანეთა და სსუათაცა, ვითარმედ: „ხვალე განსლვამ არს ჩემი ვორცთაგან და მისლვამ უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა“. რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თვსსა მას მოწამესა. და მაშინ განიძარცუა მანსამოსელი თვსი და განსცა იგი სავაჭროდ, რაათა უყიდონ მას სანთელად კერეონები და საკუმეველი, და წარჰსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რაათა აღანთონ; და მიავლინა ყოველთა მღდელთა ვედრებით, რაათა ლოცვა-ყონ მისთვს, რომლითა არა დაბრკოლდეს სარწმუნოვებისაგან ქრისტესისა და ღირს-იქმნეს მოლუაწებასა მას ქრისტესმოწამეთასა. ხოლო მან ღამესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა, ღამისთევასა მოიხუნა ორნი სანთელნი დიდნი კელითა თვსითა და დადგა იგი შორის საპერობილესა მას შინა, და დაადგრა მდგომარს ზედა ფერვთა თვსთა, ვიდრე განთიადმდე, ყოლადვე დაუჯდომელად, ვიდრემდის აღასრულნა ფსალმუნნი და სანთელნი იგი დაიწუნეს კელთა მისთა, რკინითა შეჭედილთა ზედა ქედსა მისსა, რამთუ იტყოდა მდგომარს იგიშეუძრველად, ვითარმედ: „წინამწარ ვხედვედ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რაათა არა შევიძრა“, და შემდგომნი სიტყუანი.

და რაჟამს განთენა მეათს იგი დღს დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლისღებისაჲ, რომელ არს თთუესა იანვარსა ექუსსა, იყო დღს იგი პარასკევი. და თქუა ნეტარმან მან:

„დიდ არს ჩემდა დღს ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთავდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულეზული ნათლისღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაჲთა შემუსრა. ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რაათა განვიძარცო შიში ვორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შთავკდე, ვითარცა სიღრმესა წყალთასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელილო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე, და მერმე კუალად შთავკდე წყ-

ყველა ქრისტიანს და სხვებსაც: „ხვალ არის ჩემი გასვლა ხორცთაგან და მისვლა ჩემს უფალთან და ღმერთთან იესო ქრისტესთან“, რადგან უფალმა გამოუცხადა ეს თავის მოწამეს. მაშინ გაიხადა მან თავისი სამოსი და გასცა იგი გასაყიდად, რომ ეყიდათ მისთვის სანთლად კერეონები²¹ და საკმეველი, და დააგზავნა ისინი ქალაქის ყველა ეკლესიაში, რომ აენტოთ. ამასთან, ვედრებით შეუთვალა ყველა მღვდელს, რომ ელოცათ მისთვის, რათა არ დაბრკოლებულიყო იგი ქრისტეს სარწმუნოებაში და ღირსი გამხდარიყო ქრისტესმოწამეთა მოღვაწეობისა, მან კი იმ დღესასწაულის წმინდა ღამეს, ღამისთევისას, აიღო თავისი ხელებით ორი დიდი სანთელი, დადგა საპყრობილის შუაში და ფეხზე მდგომარე დარჩა ვიდრე განთიადამდე სრულიად დაუჯდომლად, ვიდრე არ დაასრულა ფსალმუნნი და არ დაიწვა სანთლები მის ხელებში, მისსავე კისერზე რკინით შეჭედ-ილებში; და ამბობდა იგი, შეურყეველად ფეხზე მდგომი: „წინასწარ ვხედავდი უფალს, ჩემს წინაშეა მარადის, რადგან ჩემს მარჯვნივაა, რომ არ შევირყიო“ (ფს. 15.8), და შემდგომი სიტყვები.

და როდესაც გათენდა მეათე დღე, [დღე] მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულისა, რაც არის იანვრის თვის ექვსში, იყო ის დღე პარასკევი, და თქვა ამ ნეტარმა:

„დიდია ჩემთვის ეს დღე, რადგან ვხედავ ორივე მხრივ ჩემი უფლის იესო ქრისტეს მძლეობას, ვინაიდან ამ დღესასწაულის ჟამს ჩავიდა იგი მოსანათლად იორდანის მდინარეში გაშიშვლებული და წყალთა სიღრმეში დამალული ვეშაპის თაგები შემუსრა ღმერთების ძალით. მმართვეს მეც ამ დღეს, რომ განვიშორო ჩემი სხეულის შიში, რაც არის სამოსელი ჩემი სულისა, ჩავიდე, როგორც წყალთა სიღრმეში, ამ ქალაქში და მოვინათლო ჩემი სისხლით, ცეცხლითა და სულით, როგორც იქადაგა ეს იოანე წინამორბედმა, შემდეგ კი, კიდევ ჩავიდე წყალშიც და კიდევ

ალთაცა და კუალად განვნათლდე (რამეთუ დღეს გარდამოსლვამ არს სულისა წმიდისაჲ ყოველთა ზედა წყალთა, რომლითა ნათელ-იღებენ ქრისტესმორწმუნენი სახედ იორდანისათა მათ მდინარეთა), და განშიშულებითა ვორცთა ჩემთაჲთა მტერისა მის მზაკუვარისა მანქანებანი, რომელნი იზრახნა ჩემთვის, განვბასრნე და დავტკებნე ფერვითა ჩემითა შორის ქალაქსა ამას. და კუალად დღესა ამას პარასკევსა ვნებითა მით თვსითა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან ჯჯუარსა მას ზედა განპყრობითა ველთა თვსთაჲთა განაქიქა და თითისსაჩუენებელ ყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაჲ. აწ მეცა თანა-მაც, რაჲთა განუვდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტეანეთასა და ქრისტესთვის დათხევითა სისხლთა ჩემთაჲთა საცინელ და საკიცხელ ვყო იგი ყოველთა ქრისტეანეთა, რამეთუ ჰგონებდა იგი, ვითარმცა შიშითა სიკუდილისაჲთა განმაშოვრა მე სიყუარულსა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა, ხოლო მე საყუედრელ-ვყო განზრახვაჲ იგი მისი და ვჰსძლო მას ქრისტესმიერთა შეწევნითა და ორკერძოდვე იგი თანანადები უფლისა ჩემისაჲ გარდავივადო“.

მაშინ მოითხოვა წყალი და განიბანა პირი თვისი და იცხო ზეთი თავსა თვისსა და თქუა: „მაშინ სადამე ვიყავ თვთ მენელსაცხებლე, კეთილადშემზავებელ სულნელთა მათ ნელსაცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს, ამიერთგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა“ ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოვებისა და სიყუარულისა შენისაჲთა. იცი შენ, უფალო ჩემო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროჲს თავისა ჩემისა!“

და ესე რაჲ თქუა, წარავლინა წმიდად ეკლესიად და მოჰგუარეს მას წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვორცი და სისხლი ქრისტესნი. იყო ჟამი იგი მესამეჲ დღისაჲ მის დიდისადღესასწაულისაჲ,

გავნათლდე (რადგან დღეს არის სულიწმინდის გადმოსვლა ყველა წყალზე, რითაც ინათლებიან ქრისტეს მორწმუნეები იორდანის ნაკადულთა მსგავსად), და ჩემი სხეულის გაშიშვლებით მზაკვარი მტრის ვერაგობანი, რაც ჩაიფიქრა ჩემზე, სასაცილო გავხადო და დავწიხლო ჩემი ფეხით ამ ქალაქში, და კიდევ, ამ პარასკევ დღეს ჩემმა უფალმა იესო ქრისტემ თავისი ვნებით და ჯვარზე თავისი ხელების გაშლით შეარცხვინა და ქვეყნიერების ყველა მხარისთვის დასაცინი გახადა მთელი სოფლის მტერი. ახლა მეც მმართვეს, რომ გავიდე ქრისტიანთა მტერთან შესაბრძოლებლად და ქრისტეს გამო ჩემი სისხლის დანთხევით ყველა ქრისტიანისთვის საცინლად ასაგდები და მოსაძაგებელი გავხადო იგი, რადგან ეგონა მას, რომ სიკვდილის შიშით განმამშორებდა მე ჩემი უფლის იესო ქრისტეს სიყვარულს, მაგრამ მე შევარცხვენ მის განაზრახს, დავძლევ მას ქრისტესმიერი შეწევნით და გადავიხდი ჩემი უფლის ორმხრივ ვაღს.

მაშინ მოითხოვა მან წყალი, დაიბანა პირი, იცხო ზეთი თავის თავზე და თქვა: „იმ დროს, ოდესღაც ვიყავი მე მენელსაცხებლე, სურნელოვანი საცხებლების კარგად შემზავებელი, მაგრამ ეს საცხებელი ჩემი დასაფლავების დღედ არის. ამიერიდან აღარ ვიცხებ მე ჩემი მწირობის ამ გაქარწყლებად ზეთს, არამედ როგორც „ქება ქებათაში“ მასწავლა მე ბრძენმა სოლომონმა, „შენი ნელსაცხებლების სურნელებისკენ ვრბოდი“ (ქებ. 13), ქრისტე, რომელმაც ამავე მე შენი სარწმუნოებისა და სიყვარულის განუქარვებელი სურნელებით. იცი შენ, უფალო, რომ შეგიყვარე შენ ჩემს თავზე მეტად“.

და თქვა რა ეს, გაგზავნა [ვიდაც] წმინდა ეკლესიაში და მოჰგვარეს მას წმინდა საიდუმლო, ქრისტეს ხორცი და სისხლი. ეს იყო იმ დიდი დღესასწაულის დღის მესამე საათი, და

და ვითარცა მიიღო მან ჭეშმარიტი იგი და განმაცხოველებელი საიდუმლო, თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო, იესუ ქრისტე, რომელმან მომეც მე საგზლად ჩემდა ცხოვრების-სმომნიჭებელი ვორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებელად ჩემდა პატიოსანი სისხლი შენი! აწ უწყვი, რამეთუ არა დამიტევო მე, არამედ ჩემ თანა დადგრომილ ხარ და მე შენ თანა. ამიერითგან არღარა მოვილო მე სხუაჲ საზრდელი, რომლითა კუალად მშიოდის, და არცა სხუაჲ სასუმელი, რომლითა კუალად მწყუროდის, არამედ კმა არს ესე ჩემდა ცხოვრებად საუკუნოდ. აწ „დალაცათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილსათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი ჩემ თანა ხარ“.

და ესე ვითარცა თქუა, მყის მოიწინეს მსახურნი იგი მსაჯულისანი და იჯმნა მან ყოველთა მათგან პყრობილთა ქრისტეანეთა და ჰრქუამათ: „ლოცვასა მომივსენეთ მე, რამეთუ არღარა მიხილოთ მე საწუთროსა ამას სოფელსა!“ და გამოიყვანეს იგი ეგრჭთვე ბორკილითა ფერჯთა და ჳელთაჲთა; და მიჰყვანდაიგი შორის ქალაქსა, და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთჳს, ხოლო წმიდამან ჰაბო ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ ჩემ ჳედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!“ ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ-ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეთრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“, და საგალობელად მუკლისა მის თქჳს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ: „მომივსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევეითა შენითა“.

და ესრჭთ მიიწია იგი წინაშე კარსა მას მსაჯულისა ამირისასა; და რაჟამს მივიდა, კადნიერად ჳუარი დასწერა კარსა მას და თჳთცა დაიბეჭდა, და წარადგინეს იგი წინაშე ამირისა

როდესაც მიიღო მან ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი საიდუმლო, თქვა: „გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო იესო ქრისტე, რომელმაც მომეცი მე ჩემს საგზლად შენი ცხოვრებისმომნიჭებელი ხორცი და ჩემს სიხარულად და განმამტკიცებლად - შენი პატიოსანი სისხლი. ახლა ვიცი, რომ არ დამტოვებ მე, არამედ ჩემთან ხარ [შენ] დამკვიდრებული და მე - შენთან. ამიერიდან აღარ მივიღებ სხვა საჭმელს, რითაც კვლავ მეშიება, და არც სხვა სასმელს, რითაც კვლავ მეწყურება, არამედ საკმარისია ეს ჩემთვის საუკუნო სიცოცხლედ. ახლა, „თუნდაც რომ მივდიოდე მე სიკვდილის აჩრდილთა შორის, არ შემეშინდება მე ბოროტისგან, რადგან შენ, უფალი, ჩემთან ხარ“ (ფს. 22.4).

და როდესაც თქვა ეს, მყისვე მოვიდნენ მსაჯულის მსახურები, და გაშორდა იგი ყველა პატიმარ ქრისტიანს და უთხრა მათ: „ლოცვაში მომიხსენეთ მე, რადგან ვეღარ მნახავთ მე ამ საწუთრო სოფელში“. და გამოიყვანეს იგი ასევე ხელებზე და ფეხებზე ბორკილით და მიჰყავდათ შუა ქალაქში, ხოლო რომლებიც კი ხედავდნენ მას, ქრისტიანები და მისი ნაცნობები, ცრემლს ღვრიდნენ მისთვის, მაგრამ წმინდა აბომ უთხრა მათ: „ნუ ტირით ჩემთვის, არამედ გიხაროდეთ, რადგან მე ჩემს უფალთან მივდივარ. ლოცვით გამისტუმრეთ და უფლის მშვიდობამ დაგიფაროთ თქვენ,“ ხოლო თვითონ მიდიოდა ისე, როგორც მკვდარს გაჰყვება ვინმე; ამგვარად ხედავდა თავის სხეულს და თავისი სულით გამყოლად ქცეული, თვით ამბობდა ამ ასმეთვრამეტე ფსალმუნს: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ფს. 118.1)²², და შემდეგ, ამ მუხლის საგალობლად, წარმოთქვამდა ნეტარი ავაზაკის სიტყვებს: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფივეითა შენითა“ (ლკ. 23.42).²³

და ასე მიაღწია მან მსაჯული ამირას კარს, და როცა მიაღწია, იმ კარს გაბედულად გადასწერა ჯვარი და თვითონაც ჯვარი აღიბეჭდა. და წარადგინეს იგი მსაჯულის

მის, და ჰრქუა მას მსაჯულმან: „რამ არს ჭაპუკო, რამ განიზრახე თავისა შენისაჲ, კეთლი ანუ ბოროტი?“ ხოლო წმიდაჲ მოწამჲ აღიესო სულითა წმიდითა და ჰრქუა მას: „მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „არღარა დაგიტყვებიესა სიცოფჲ იგი და უგუნურებაჲ შენი?“ ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „უკუეთუმცა უმეტრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ღირს-ვიქმენ შემდგომად ქრისტჲსა!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?“ ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო: „უკუეთუ მოგკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტჲს თანა ვცხონდე, ხოლო შენ რამსა განაგრძობ? რამ გეგულებიხი ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრჲთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, ხოლო გონებაჲ ჩემი ქრისტჲს თანა არს ზეცას!“ ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რამ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტჲს შენისაგან, რომლითა სიკუდილადცა არა გეწყალის თავი შენი?“ ხოლო ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო: „უკუეთუ გნებაგს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ ქრისტჲ და ნათელ-ილე მისა მიმართდა მაშინ-და ღირს-იქმნე სიტკბოებასა მისსა ცნობად“.

მაშინ განრისხნა ამირამ იგი და უბრძანა განყვანებაჲ მისი კართა და თავისა მოკუეთაჲ. ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა. და განჰვსნეს იგი ველითა და ფერჯითა საკრველთა მათგან რკინისათა. ხოლო ნეტარმან მან მწრაფლ თავით თუსით განხეთქასამოსელი იგი, რომელი ემოსა მას, და განშიშულელუმან დაიბეჭდა ჯუართა პირი და გუამი თუსი და თქუა: „გმადლობ და გაკურთხევე შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს-მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ და ესე რამ თქუა, უკუნ-ისხნა ველნი თუსნი ჯუარისსახედ ზედა ზურგსა თუსსა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა ღაღად-ყო ქრისტჲს მიმართ და მოუდრიკა ქედი თუსი მახლსა. და ჰსცეს მას მახლთა

წინაშე. უთხრა მას მსაჯულმა: „რა არის ჭაბუკო, რა გადაწყვიტე შენი თავისთვის?“ ხოლო წმინდა მოწამე აღიხსო სულიწმინდით და უთხრა მას: „მე გადავწყვიტე და ქრისტიანი ვარ“. უთხრა მას მსაჯულმა: „არ დაგიტოვებია შენი ეს სიგიჟე და უგუნურება?“ უთხრა მას ნეტარმა აბომ: „უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავი, არ გავხდებოდი იმის ღირსი, რომ შევდგომოდი ქრისტეს“. უთხრა მას მსაჯულმა: „ვერ ხედები, რომ ეგ შენი სიტყვები სიკვდილის შემძენად გიხდება შენ?“ უთხრა მას წმინდა აბომ: „თუკი მოეკვდები, მწამს მე, რომ ქრისტესთან ერთად ვიცოცხლებ, შენ კი რად აგრძელებ? რაც ჩემზე გაქვს განზრახული, გააკეთე, რადგან მე, ისევე როგორც მაგ კედელს, რომელსაც მიყრდნობილი ხარ, არ მესმის ეგ შენი ფუჭი სიტყვები, ვინაიდან ჩემი გონება ქრისტესთან ერთად არის ზეცაში“. უთხრა მას მსაჯულმა: „ამდენი რა სიტკბოება გაქვს შენი ქრისტესგან, რომ სიკვდილისთვისაც არ გებრალეება შენი თავი?“ უთხრა მას წმინდა აბომ: „თუკი გინდა შეიცნო სიტკბოება მისი, შენც იწამე ქრისტე, მოინათლე მისდამი და მაშინდა გახდები მისი სიტკბოების შეცნობის ღირსი“.

მაშინ გარისხდა ამირა და ბრძანა, რომ გაეყვანათ იგი გარეთ და მოეკვითათ მისი თავი. მსახურებმაც გამოიყვანეს კარის გარეთ, ტაძრის ეზოში, და გახსნეს იგი რკინის ბორკილებისგან ხელზე და ფეხზე. ხოლო ნეტარმა თვითონვე დაუყოვნებლივ გახია ის სამოსი, რაც ემოსა, გაშიშვლებულმა ჯვრით აღიბეჭდა თავისი სახე და სხეული და თქვა: „გმადლობ და გააკურთხე შენ, წმინდაო სამებაო, რადგან ღირსი გამხადე მე, რომ მიმეღწია შენს წმინდა მოწამეთა მორკინალობამდე“. და თქვა რა ეს, უკან, თავის ზურგზე, ჯვრისებრ დაიწყო ხელები, მხიარული სახითა და გაბედული სულით დადადისი ადავლინა ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა თავისი კისერი მახვილს. და მოუქნიეს მას მახ-

სამგზის, რამეთუ ჰგონებდეს, ვითარმედ შიშითა მახვლისადათა განაშოვრონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდა იგი მარტური დუმით მვნედ მიითულვიდა მახვლსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული თვისი უფალსა.

და ვითარცა იხილეს ქრისტეს მბრძოლთა მათ შემასმენელთა წმიდისა მის მოწამისათა, რამეთუ სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისტეს მიმართ და ღუაწლი კეთილი მოიღუაწა და სარწმუნოვებითა და მოთმინებითა [ჰ]სძლო მათსა მას სიბორგილსა, უფრომდის აღივსნეს შურითა და შევიდეს წინაშე ამირისა მის და ჰრქუეს: „ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულებამ არს ქრისტეანეთამ ესრესახედ: თუ ვინმე თავი თვისი მოიკლის ქრისტეს მათისათვის, მოიპარიან გუამი მისი და პატივ-სციან მას დაფლვითა, და ტყუვილით რეცათუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განჰსთქუმიდიან ერსა შორის, და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალთა მისთა განიყოფედ რეცა საცოდ სნეულთათვის და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუებინან. აწ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რამთა განვილოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვვოცოთ საცთური ქრისტეანეთამ, რამთა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტეანეთასა“.

ამას დაღაცათუ შურისათვის ქრისტეანეთაჲსა იტყოდეს, არამედ ჭემმარიტსა და მართალსა წამებდეს, ვითარცა-იგი არიან ქრისტეს მოწამენი მკურნალ და მეოხ ყოველთა, რომელნი მიეახლნენ მათ ქრისტეს მიერიითა სიყუარულითა და სარწმუნოვებითა.

მაშინ ჰრქუა მათ მსაჯულმან მან: „წარიღეთ, ვიდრეცა გნებავს და ყავთ, ვითარცა თვთ იცით!“

ხოლო იგინი მოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი ქრისტეს მოწამისა მის და შთადვეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ, და სისხლი იგი დათხეული მართლისა მის აღმოთხარეს ქუეყანით და რამთურთით არა

ვილი სამგზის, ეგონათ რა, რომ სიკვდილის შიშით გაა-
შორებდნენ მას ქრისტესგან, მაგრამ წმინდა მარტვილი დუ-
მილით მხნედ განიკუთვნებდა მახვილს, სანამ არ შეავედრა
თავისი სული უფალს.

და როდესაც ნახეს იმ ქრისტესმბრძოლებმა, რომლებიც
აბეზღებდნენ წმინდა მოწამეს, რომ აღესრულა ეს ნეტარი
ქრისტეს მიმართ, რომ „იასპარეზა მან კარგი ასპარეზობა“²⁴ და
რომ სარწმუნოებითა და მოთმინებით დასძლია მათი სიშლეგე,
უფრო მეტად აივსნენ შურით, შევიდნენ ამირასთან და
უთხრეს: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულება არის ქრისტიანებისა ამ
სახით: თუ ვინმე თავს მოიკლავს მათი ქრისტესთვის,²⁵
მოიპარავენ მის სხეულს, დასაფლავებით პატივს მიაგებენ
მას, სიცრუით გაავრცელებენ ხალხში მასზე რაღაც
სასწაულსა თუ მაკურნებლობას, ამასთან, სამოსელს, მისი
თავის თმას და მის ძელებს გაიყოფენ თითქოსდა, დასაცავად
სნეულთათვის და ამ სახით მრავალ უმეცარს შეიტყუებენ.
ახლა ბრძანე, რომ ჩვენ მოგვეცეს მისი სხეული, რათა გავი-
ტანოთ იგი, დავწვათ ცეცხლით, გავაქროთ და [ამ გზით]
აღმოვფხვრათ ქრისტიანთა საცთური, რომ ყველამ ნახოს ეს
და შეშინდეს, და ზოგი მათგანი ჩვენკენ მოიქცეს, ჩვენიანებს
კი ეშინოდეთ და აღარ მიჰყვნენ ქრისტიანთა მოძღვრებას“.

ამას ისინი თუმცადა ქრისტიანების შურით ამბობდნენ,
მაგრამ ამოწმებდნენ კი იმას, რაც ჭეშმარიტია და მართალი,
ვინაიდან ქრისტესმოწამეები მკურნალნი და მეოხნი არიან
ყველასი, ვინც კი ქრისტესმიერი სიყვარულითა და სარწმუ-
ნოებით მიეახლება მათ.

უთხრა მათ მსაჯულმა: „წაიდეთ, საითაც გინდათ, და გაა-
კეთეთ, როგორც თქვენ თვითონ იცით“.

მაშინ მოვიდნენ ისინი, აიღეს მიწიდან მისი პატიოსანი
სხეული, ჩადეს იგი ასაკიდებელ კიდობანში მისივე სა-
მოსლითურთ, ამოთხარეს ამ მართლის დანთხეული სისხლი
მიწიდან, (ისე რომ, საერთოდ არაფერი დატოვეს მიწაზე),

დაუტევებს ქუეყანასა და იგიცა შთადევს ჭურჭერსა შიდა. და დადევს წმიდაჲ იგი ურემსა ზედა, მსგავსად მწნეთა მათ წმიდათა ორმეოცთა, რამეთუ სადაცა მოჰკუეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა მათ ორმეოცთა დაფუძნებულ იყო, წესვე ეგრე იყო, რაჲთა ემსგავსოს იგი ახოვანთა მათ წმიდათა ორმეოცთა.

და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი მისი გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა სალოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ, და მუნ გარდამოიღეს ურმისა მისგან და დადევს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნავთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და აღაგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ვორცნი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელი არს აღმოსავალით-კერძო ციხესა მას ქალაქისასა (რომელსა „დილეგი“ ჰრქვან), პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდმდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი. ხოლო ადგილსა მას მათ თანა არავინ აუფლეს მისლვად ქრისტიანეთაგანი, ვიდრემდის აღასრულეს დაწუვამ იგი ვორცთა მათ მოწამისათაჲ, ხოლო ძუალთა მათ წმიდისათა, რომელთა ვერღარაუძლეს დაწუვად, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და შეკრნეს მტკიცედ და მოიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, ვიდთაქუეშე ქალაქისათა, რომელთა ზედა აღმართებულ იყო პატროსანი ჯუარი ვიდისაჲ. და იქმნა წყალი იგი მდინარისაჲ მის წმიდათა მათ ძუალთა სამოსელ გარემხუევითა მით და სიღრმე იგი წყალთაჲ საფლავ წმიდისა მის მარტურისა, რაჲთა არავინ უდებად მიეახლოს მას.

ქრისტესმპრობოლთა მათ ესრცთ ყვეს და ესრცთ ღუაწლი კეთილი მოიღუაწა ნეტარმან მან.

მაშინ იწყო სიმრავლემან მან ქალაქისა ქრისტიანეთამან და განაგდეს შიში მძლავრთაჲ მათ და განვიდეს ყოველნი ადგილსა მას, სადა დაწუნეს ვორცნი წმიდისა მოწამისანი; მოხუცებულნი მორბიოდეს კუერთხებითა თჳსითა, მკელობელნი ვლ-

ჩადეს ისიც ჭურჭელში და დადეს წმინდანი ურემზე, იმ მხნე ორმოცი წმინდანის მსგავსად, რადგან იქ, სადაც თავი მოჰკვეთეს წმინდა მოწამეს, იმ წმინდა ეკლესიის კართან იყო, რომელიც წმინდა ორმოცი მოწამის სახელზე იყო დაფუძნებული. ამიტომ, მართებული იყო, რომ ამ ახოვან ორმოც წმინდანს მიმსგავსებოდა იგი.

და როდესაც ქალაქის გარეთ გამოიტანეს წმინდანის წმინდა სხეული, აიტანეს იმ ადგილას, რომელსაც „საგოდებელი“ ეწოდება, რადგან იქ არის ქალაქის ადამიანთა საფლავები. იქ გადმოიღეს იგი ურმიდან და დადეს მიწაზე. შემდეგ მოიტანეს შეშა, თივა და ნავთი, რაც დაასხეს წმინდა სხეულს, და დაანთეს ცეცხლი, სანამ არ დაწვეს წმინდა მოწამის ხორცი იმ ადგილას, რომელიც არის ქალაქის ციხის აღმოსავლეთით (და რომელსაც ჰქვია „დილეგი“), კლდის პირზე, რაც არის პიტალო კლდე იმ დიდი მდინარისა, აღმოსავლეთით რომ ჩაუდის ქალაქს (მისი სახელია მტკვარი). ხოლო ქრისტიანთაგან არავის მისცეს უფლება იმ ადგილას მისვლისა, სანამ არ დაასრულეს წმინდა მოწამის ხორცთა დაწვა, ხოლო წმინდა მოწამის ძვლები, რომელთა დაწვაც ვეღარ შეძლეს, მოკრიფეს ცხვრის ტყავში, მაგრად შეკრეს და ჩაყარეს იმ დიდ მდინარეში, ქალაქის ხიდის ქვევით, რომელზეც აღმართული იყო ხიდის პატიოსანი ჯვარი. და გახდა წყალი მდინარისა ამ წმინდა ძვლების სამოსელი, გარს შემოეხვია რა მათ, სიღრმე წყლისა კი – წმინდა მარტვილის საფლავი, დაუდევრად რომ არავინ შეხებოდა მას.

ამგვარად იმოქმედეს ქრისტესმბრძოლებმა, და ასე იასპარეზა კარგი ასპარეზობა²⁶ ამ ნეტარმა.

მაშინ დაიძრა ქალაქის ქრისტიანთა სიმრავლე, განიშორეს მათ ტირანთა შიში და ყველანი გადიოდნენ იმ ადგილას, სადაც დაწვეს წმინდა მოწამის ხორცი; მოხუცები მორბოდნენ თავიანთი ჯოხებით, კოჭლები – ხტომით,

დომით, ვითარცა ირემნი, ჭაპუკნი სრბით, ყრმანი ვდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ დედათა მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელი იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა; ნანდვლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ველითა თუსითა. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს და აღილებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს.

ხოლო ყოვლადძლიერმან ღმერთმან უფრომს გამოაჩინა ძალი თუსი და პატივ-ჰსცა თუსსა მას მარტურსა და აჩუენა სასწაული საკვრველი, რამთა უწყოდინ ყოველთა, რამეთუ ქრისტესმოწამს არს.

ვითარცა შემწუხრდა დღს იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარს, ვითარცა ღამპარი ცეცხლისაჲ, რომელი მყოვარჟამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუვეს ნეტარი იგი მოწამს ქრისტესნი. და დგა იგი ზე ჰაერთა ვიდრე სამ ჟამადმდე, გინა უმეტესს, ღამესა მას, რომელი გამოუტევებდა ბრწყინვალეებასა, არათუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ, არამედ ვითარცა საშინელებაჲ ელვისაჲ, რომელსა ჰხედვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაჯულიცა იგი და ყოველიერი და მკვდრნი იგი ქალაქისანი ქრისტეანეთანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვთ მოსრულნი; მყოვარჟამჰხედვიდეს გუგამთა თუალისაჲთა, ვიდრემდის ჰკდემებოდაცა მძლავრთა მათ და მი-ვინმევიდეს ხილვად ადგილსა მას მსახურთაგანნი მსაჯულისა მის ამირისანი, რამეთუ ჰგონებდეს, ნუუკუე ქრისტეანეთა აღანთეს სანთელი ადგილსა მას.

და ვითარცა მიეახლებოდეს ადგილსა მას, იხილეს, რამეთუ აღმალდებოდა ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა, და ვერ მიეახლნეს ადგილსა მას, რამეთუ შიშმან შეიპყრნა იგინი საღმრთომან.

როგორც ირმები, ჭაბუკები – სირბილით, ბავშვები ერთიმეორეზე შეჯახებით, ქალები კი მსგავსი იყვნენ იმ წმინდა მენელსაცხებლებებისა, რომლებსაც სირბილით მიჰქონდათ სურნელებანი²⁷ ჩვენი დვთის ქრისტეს წმინდა საფლავთან. ნამდვილად იყვნენ ესენიც მათი მსგავსნი, რადგან მირობდნენ ცრემლით და თან მიჰქონდათ თავიანთი ხელით სანათები და საკმეველი. ყველანი სიხარულითა და ქრისტესადმი მაღლობით მიდიოდნენ, იღებდნენ იმ ადგილის მიწას, მიჰყავდათ ბევრი სენთაგან შეპყრობილი, რომლებიც იმავე დღეს იკურნებოდნენ.

ხოლო ყოვლადძლიერმა ღმერთმა უფრო მეტად გამოავლინა თავისი ძალა, პატივი მიაგო თავის წმინდანს და აჩვენა საკვირველი ნიშანი, რათა ყველას სცოდნოდა, რომ ქრისტეს მოწამეა იგი.

როდესაც შეღამდა ის დღე და იყო პირველი საათი ღამისა, გადმოავლინა უფალმა იმ ადგილას მოეღვარე ვარსკვლავი, როგორც ცეცხლის ჩირადდანი, რომელიც ხანგრძლივად იდგა იმ ადგილას, სადაც დაწვეს ქრისტეს ნეტარი მოწამე. და იდგა იგი ჰაერთა ზევით, ვიდრე იმ ღამის სამ საათამდე, ანდა უფრო მეტ ხანს, გამოსცემდა რა ბრწყინვალეებას, თუმცა არათუ ამქვეყნიური ცაცხლის მსგავსად, არამედ როგორც საშინელება ელვისა, რასაც ხედავდა ყველა მოქალაქე, მათ შორის ის მსაჯულიც, მთელი ხალხი, ქალაქის მკვიდრი ქრისტიანები, ყველა სარკინოზი და სხვა მხრიდან მოსული მწირები. ხანგრძლივად ხედავდნენ ისინი თვალის გუგებით, სანამ არ შერცხვათ მოძალადეებსაც და მივიდნენ მსაჯულ ამირას მსახურთაგანნი ვინმე იმ ადგილის სანახავად, რადგან იფიქრეს, იქნებ ქრისტიანებმა აანთეს იმ ადგილას სანათიო.

და როდესაც უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, ნახეს, რომ ჰაერთა ზევით მაღლდებოდა ვარსკვლავი და ვერ მიდიოდნენ იმ ადგილთან, რადგან საღვთო შიშმა შეიპყრო ისინი.

კუალად მეორესა ღამესა უმეტესად წყალთა გამოსცეს განსაკრეველები ნათელი; რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქუეყანასა ზედა და ჰაერსა ქუეშე ცეცხლი იგი ზეცისაჲ, უნდა დაფარვად საკრეველებათა მათ, კუალად წყალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ ღელვათა და მფოფინარეთა სიღრმეთა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივპატივცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ვიდთა მათ ქუეშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელნი კუალად მყოვარჷამ დგეს და განათლებულ იყო გარემომას კიდესა მის მდინარისასა კლდჭ იგი და კბოდენი და ვიდნი იგი, ზჭთგან ვიდრე ქუედმდე, რომელსა ეგრჭთვე ყოველი სიმრავლჭ ქალაქისაჲ მის ჰხედვიდა, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტჭს, ძისა ღმრთისა, მარტვრ არს და გულისხმა-ყონ ყოველთა ქრისტჭსმორწმუნეთა და ურწმუნოთა, რამეთუ ჭეშმარიტ არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ „მე თუ ვინმე მმსახურებდეს, პატივჰსცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა“.

უკუეთუ ვორცთა მათ განვრწნადთა ესოდენი პატივი აწვე აჩუენა, რავდენ უფროჲს უვრწნელად აღდგომასა მას მართალთასა დიდებითა და პატივითა გვრგვონოსანი იხილონ შორის ანგელოზთა და ჰრცხუენოდის უგუნურად სიბორგილისა მათისათჷს, რომელთა ქრისტჭ უვარ-ყვეს და წმიდათა მისთა ჰგუემდეს და სდევნიდეს და მოსრვიდეს, ხოლო უფალი შეიწყნარებდა ცათა შინა!

ხოლო აწ, საყუარელნო, ჯერ-არს ჩუენდაცა ამიერითგან უმეტესად-ღა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა, რაჲთა ხილულისა ამისგან ახლისა მოწამისა პირველთაჲცა მათი გურწმენეს და ვთქუათ სიტყუაჲ იგი ნეტარისა დავითისი:

„პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ“, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჭნ!

და კიდევ, მეორე ღამეს უფრო მეტადაც გამოსცა წყალმა გასაკვირველი სინათლე და მოჩვენება ეგონათ რა მათ მიწაზე და ჰაერის ქვეშ [გამომკრთალი] ზეციური ცეცხლი, უნდოდათ ამ საკვირველებათა დაფარვა, თუმცა წყლებმა ვერ შეაკავეს იგი და ვერ ჩააქრეს ვერც მღვლვარე ტალღებმა, და იმ სიღრმეებში, სადაც ჩაყარეს სანატრელი მოწამის ღვთივპატივცემული ძვლები, ხიდის ქვეშ, ამობრწყინდა სინათლეები სვეტების მსგავსად, როგორც ელვანი, რომლებიც ასევე ხანგრძლივად იდგნენ და განათებულ იყო მდინარის კიდეების ირგვლივ კლდე, კბოდე და ხიდი, ზემოდან ვიდრე ქვემოდე, რასაც კვლავაც ქალაქის მთელი სიმრავლე ხედავდა, რათა ყველას ერწმუნა, რომ ჭეშმარიტად იესო ქრისტეს, ღვთის ძის მარტვილი იყო იგი, და შეეცნო ყველას, ქრისტეს მორწმუნესაც და ურწმუნოსაც, რომ ჭეშმარიტია უფლის სიტყვა, რაც თქვა მან: „მე თუ ვინმე მსახურებას გამიწევს, პატივს მიაგებს მას ჩემი მამა, რომელიც არის ცათა შინა“ (ი. 12.26),

თუ ხრწნად ხორცზე ამდენი პატივი უკვე აჩვენა მან, რამდენად უფრო მეტად იხილავენ მას, მართალთა უხრწნელად აღდგომისას, დიდებითა და პატივით გვირგვინოსანს ანგელოზთა შორის და [რაოდენ] შერცხვებთ თავიანთი უგუნური სიშლეგის გამო იმათ, რომლებმაც ქრისტე უარყვეს და მის წმინდანებს გვემდნენ, დევნიდნენ და სპობდნენ, ხოლო უფალი ცათა შინა შეიწყენარება!

ახლა კი, საყვარელნო, გვმართებს ჩვენც, რომ ამიერიდან კიდევ უფრო მეტად განვიკუთვნებდეთ სანატრელ პირველმოწამეებს, რომ ამ ხილული ახალმოწამის კვალობაზე იმ პირველებისაც ვირწმუნოთ და ვთქვათ ნეტარი დავითის სიტყვა:

„პირფასია უფლის წინაშე მისი წმინდანების სიკვდილი“ (ფს. 115.6), რადგან მას შეჰყერის დიდება აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მეოთხე თავი

ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაზოგისი

აწ მოვედით, ქრისტესმორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ვსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუნსა ქართლისასა მეოხად ჩუნდა ქრისტემან მოგუანიჭა, და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულისა და გონებათა ჩუნთანნი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილადმოღუაწებასა მისსა და ვიტყოდით:

„გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკუანამსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუნისაჲ მეთერთმეტისა ამის ჟამისაჲ მდღევრთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!.

„გიხაროდენ უფლისა მიერ, მოწამეო, რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანამსკნელსა მას მოციქულსა ჰაველეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა, და ქრისტეს, ძისა ღმრთისა, აღსაარებისათჳს მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა.

„აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებაგს ქებად შენდა, ყოვლადქებულო ქრისტესმორწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროას გონებისა ჩემისა აღმალდა ქებაჲ სათნოვებისა შენისაჲ, და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერთა სიყუარულითა შემეყუარე მე, ვიდრე იყავ-ლა სოფელსა ამას შორის ჩუნსა. აწ ნუუკუე დაყენებითა ენისა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთჳსცა მოღუაწებაჲ მეოხებისა შენისაჲ ქრისტეს მიმართ, არამედ შენ მიერვე მოღებითა მადლისა მის ქრისტესისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ, შუენიერებითა შემკულო უფლისა მიერ!

„გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერ სანატრელო! რამეთუ შენ თუალითმხილველთა მათ და კვლითმსახურთა წმიდათა

მეოთხე თავი

ქება წმინდა მოწამე აბოსი

ახლა მოდით, ქრისტესმორწმუნენო, და ვიდღესასწაულ-ლოთ ამ ახალი წმინდა მოწამის ხსენება, რომელიც ჩვენდა მეოხად მოგვანიჭა ქრისტემ მთელ ამ ჩვენს ქართლის ქვეყანას, დიდი სიხარულით გაეხსნათ ჩვენი გულისა და გონებათა საუნჯენი, მხიარული სახითა და წრფელი ენით ვაქოთ მისი კეთილმოღვაწეობა და ვთქვათ:

გიხაროდეს, სანატრელო მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ, ჩვენი მაცხოვრის უკანასკნელი მშრომელი მეთერთმეტე საათისა, დღის მშრომელებთან ერთად ადრე ამდგართ შეესწორე და მათთან ერთად მათ საზღაურს არ დააკლდი.

გიხაროდეს, მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ მიემსგავსე უკანასკნელ მოციქულ პავლეს მამისეულ რჯულთა და მოძღვრებათა უკუგდებით და, მის მსგავსადვე, ქრისტეს, ღვთის ძის აღსარების გამო თავი მოგეკვეთა.

ახლა კი ღირსეულად ვინ შეგაქებს შენ, ჭეშმარიტად საქებს? მსურს, რომ გაქო შენ, ყოვლედქებული ქრისტეს-მოწამეო, მაგრამ ვერ ვბედავ, რადგან ჩემს გონებაზე მეტად ამაღლდა შენი სათნოებების ქება. ამასთან, მეშინია მე დადუმებისა, რადგან სანატრელი ქრისტესმიერი სიყვარულით შემეყვარე მე, სანამ ჯერ კიდევ იყავი ამ ჩვენს სოფელში, ახლა კი, შენს საქებად ჩემი ენის შეჩერებით იქნებ შეჩერდეს შენი ჩემს გამო მეოხებითი მოღვაწეობა ქრისტეს მიმართ. ახლა, შენგანვე ქრისტესმიერი მადლის მიღებით, ჩემი ძალისამებრ შეგაქებ შენ, მშვენიერებით შემკულ ქრისტეს მიერ.

გიხაროდეს, გიხაროდეს, სანატრელო მოწამეო, უფლის მიერ, რადგან შენ ქრისტეს თვითმხილველი და ხელითმსახ-

მოციქულთა ქრისტესთა უხილველად სარწმუნოვებითა და სიმკნითა აღსაარებითა ნეტარებაჲ მოიგე.

„რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდშობილისა ძისა თვისისა მიერ გვრგვნოსან-გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!

„შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა!

„შენ სულმან წმიდამან შეგიწყნარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თვსთა პატივ-გცა და ღუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

„შენ ზედა განუკვრდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უვოროცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტესთვს.

„შენთვს მამათმთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თვსთა ნაშობთაგანი შეიწყნარა წიაღთა თვსთა ქრისტესთვს, რომელი-იგი კარავსა თვსთა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესავთა გამოჩნდა მამად.

„შენ ქრისტესმოწაფეთა მათ ნაყოფ-ექმენ და მოციქულთა მოწაფე!

„შენ მოწამეთა მათ თანა ზეცისა მეუფისა მას მატინასა სახელით დაიწერე და მარტვ[რ]თა თანა გვრგვნოსან-იქმენ!

„შენ აღმსაარებელთა თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარ!

„შენთვს ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლწ ქრისტესთვს აღირჩიე და მახვლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თავყუანის-ეც უფლად და ღმრთად!

„ვინაჲ ანუ ვისგან ისწავე ქრისტესთვს ესთენი ესე ცნობაჲ? რომელმან საკვრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველისასა?

„შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა მიემსგავსე, რამეთუ გაქუნდა შენცა ერთი შენთანა პყრობილთაგანი, ნაშო-

ური წმინდა მოციქულების ნეტარება სარწმუნოებითა და სიმხნისმიერი აღსარებით უნახავად²⁸ მოიპოვე.

ვინაიდან შენ ზეცათა მამამ თავისი მხოლოდშობილი ძის მიერ გვირგვინი დაგადგა და სულიწმინდის მადლით აღგაგუსო.

შენ ძემ მამის მიერ შეგიწენარა და სულიწმინდამ გადიდა.

შენ სულიწმინდამ შეგიყვარა და მამასთან და ძესთან თავისი ერთობით პატივი მოგაგო და ბრძოლაში გამარჯვებულად გამოგაჩინა.

შენთვის გაუკვირდა ანგელოზთა მწყობრს, რადგან როგორც უხორცომ, დაითმინე ქრისტესთვის სიკვდილი.

შენთვის ხარობენ მამათმთავარნი, რადგან ნეტარმა აბრაამმა ქრისტეს გამო თავის წიაღში მიიღო თავისი შთამომავალი²⁹, რომელიც მიიღო მან თავის კარავში და მისგან³⁰ მრავალი ერის მამად გამოჩნდა³¹.

შენ ქრისტეს მოწაფეებს ნაყოფად გაუხდი და მოციქულებს – მოწაფედ.

შენ ზეცის მეუფის წიგნში მოწამეთა შორის სახელით დაიწერე და მარტვილებთან ერთად გვირგვინოსანი გახდი.

შენ აღმსარებლებთან ერთად განწესდი და მართლებთან ერთად იდიდები.

შენთვის დიდად გვიკვირს ჩვენ, წმინდაო მოწამეო, რადგან მეფობის ამ დროში ისმაიტელთა განდიდებისას შენ ნებსით აირჩიე სიმდაბლე ქრისტესთვის, მახვილით შენარჩუნებული რჯული უარყავი, ჭეშმარიტი აღიარე და ჯვარცმულს ეცი თაყვანი უფლად და ღმერთად.

საიდან ან ვისგან ისწავლე ქრისტესთვის ესოდენი შემეცნებლობა? რომელმა საკვირველებამ აგიყვანა შენ სასუფევლის დიდებამდე?

შენ ჭეშმარიტად მიემსგავსე მარჯვენა ავაზაკს, რადგან გაყავდა შენც ერთი ვინმე, შენთან ერთად შეპყრობილთაგანი,

ბი ქრისტეანეთად, რომელი განდრეკილ იყო ქრისტესგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა, ხოლო კუალად ქრისტეს აღსაარებისათჳს შენ თანა განიკითხვოდა, არამედ საწყალობელსა მას კუალადცა უბრკუმად დადაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროდ ესე შეიყუარა და საუკუნოდ იგი წარწყმიდა, მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ქრისტესი ნამგლევი-იქმნა, რამეთუ მწყემსსა მას კეთილსა განემოვრა და არგანი იგი ქრისტეს ძლიერებისაა განაგდო ველთაგან თჳსთა; ამისთჳსცა იძლია და განვარდა სამწყსომაგან პირმეტყუელთა მათ ცხოვართამსა. ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა მით ჯუარისა თჳსისაჲთა დაგიცვა ქრისტემან მსგავსად ძლიერისა მის სარწმუნოვებისა შენისა მისა მიმართ.

„შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოვებითა და სამოთხესა განეწყესე!

„შენ კარი იგი სამოთხისაა განაღე ჯუართა ქრისტესითა და მცველთა მათ ქერაბინთა ცეცხლისმსგავსთა ვერ განგიკითხეს შენ, ვითარმედ: „ვინ ხარ?“

„და რაღაღე უფრომს ვთქუა, რამეთუ „უფალმან ივნო ჩუენთჳს, უბრალომან ბრალეულთათჳს“ დასთხია უბიწოდ სისხლი თჳსი, ხოლო შენ გარდაივაღე თანანადები იგი, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლი სიყუარულისათჳსმისისა. ამისთჳსცა ძლევისა გვრგვნითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკუდრად გამოგაჩინა.

„შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტესი ჩუენდამო და სარწმუნოვებაჲ იგი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულისა განდგომილსა ქრისტესგან, ნათესავსა საწუთრომსა ამის მოყუარესა. თესლსა ურწმუნოსა ძისაღმრთისასა, სარწმუნოვებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბადვეებითა მათითა ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნომსა ცხოვრებისანი, ხოლო აწ შენ მიერ მოგუე-

ქრისტიანთა შვილი, რომელიც გაშორებული იყო ქრისტესგან და მიდევნებული უცხო რჯულს, მაგრამ კვლავ ქრისტეს აღსარების გამო შენთან ერთად განისჯებოდა, თუმცა საბრალლო კვლავ დაბრკოლდა და დაეცა, რადგან სიკვდილის შიშით ეს საწუთრო შეიყვარა და ის საუკუნო დაღუპა; აიტაცა იგი ბოროტმა მტერმა და ქრისტეს ცხვარი ნამგლევი გახდა, ვინაიდან გაშორდა იგი კარგ მწყემსს და ქრისტეს ძლიერების კვერთხი თავის ხელთაგან გააგდო; ამიტომაც დამარცხდა იგი და განიდევნა გონიერი ცხვრების სამწყსოსგან, შენ კი სანატრელო მოწამეო, იმ კვერთხით – თავისი ჯვრით დაგიფარა ქრისტემ შენი მისდამი ძლიერი სარწმუნოების გამო.

შენ იმ ავაზაკს³² შეესწორე სარწმუნოებით და სამოთხეში განწესდი.

შენ ქრისტეს ჯვრით სამოთხის კარი გააღე და მცველმა ქერუბიმებმა, ცეცხლის მსგავსებმა, ვერ გამოგკითხეს, თუ ვინ ხარო.

და რაღა ვთქვა უფრო მეტად, რადგან „უფალმა ივნო ჩვენთვის; უდანაშაულომ დამნაშავეთათვის“ (I პეტრე 3.18) დაღვარა თავისი უბიწო სისხლი, ხოლო შენ გადაიხადე ვალი, რადგან შენც დაღვარე შენი სისხლი მისი სიყვარულისთვის. ამიტომაც გამარჯვების გვირგვინით შეგამკო შენ და თავისი მამის სასუფეველში დამკვიდრებულად გამოგაჩინა.

შენ გამო, წმინდაო მოწამეო, ქრისტეს სიყვარული ჩვენდამი და ჩვენი მისდამი სარწმუნოება კვლავ განახლდა, რადგან შევერიეთ უცხო ხალხს, ქრისტესგან განდგომილს რჯულით, ამ საწუთროს მოყვარე ერს, ღვთის ძისადმი ურწმუნო მოღვმას, ჩვენი სარწმუნოების მაგინებელთ, რომლებსგანაც ვისწავლეთ მათი საქმენი და მათდამი ბაძვით ჩვენს გულთა წადილს ვემონებოდით, როგორც თითქოსდა ქრისტესაგან უიმედონი და საუკუნო ცხოვრების დამვიწყებლები, ხოლო ახლა შენ მიერ კვლავ მოგვეახლა ქრისტე და კვლავ შევიმეც-

ახლა ქრისტე და ჩუენ გულისხმა-ვყავთ კუალად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს-ვიქმენით და და წყალობასა, დღითი-დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამოჩინებითა.

„შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახვლითა და ცეცხლითა, უმეტეს ალისა, განგაბრწყინვეს. ვერ გულისხმა-ყვეს უგულისხმობთა მათ სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, ვითარმედ: „იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“.

ჴ უგუნურებაჲ და უმეტეს უგუნურებაჲ იგი მათი, რამეთუ რომელი-იგი პირველად არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯუღითა ჰსცხონდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტეს აღმსარებელად, და მარტვრად ყოველთა შეგისწავეს.

„შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ-გცეს, რამეთუ ცაჲ მოწამე არს სიმართლესა შენსა უცხოჲსა ცეცხლისა გარდამოვლინებითა ადგილსა მას ზედა, რომელსა, ვითარცა კრავი უმანკოჲ, შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა.

„შენ ქუეყანამან მსხუერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა მას ზედა დაწუვითა პატიოსნისა გუამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაჲსი, რომელნი-იგი მრგული-ადდასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა, და კუალად ადგილი იგი სამსხუერპლოჲსა შენისაჲ ემსგავსა ბერვარსა აჰრონისსა და ზაქარიასსა მღდელთაჲსა, რამეთუ ნაკუერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა ადვიდოდა, ვითარცა სულნელებჲჲ საკუმეველთაჲ ვორცთა მაგათ შენთაჲ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა!

„შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტეს-მარტვრი, ხოლო ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთა მათ სიბნელე ზეცისა ნათლითა განაბრწყინვა.

ნეთ ჩვენ მისი შიში და სიყვარული მისი, და ღირსნი გავხდით მისი მადლისა, მისი [ჩვენდამი] სიყვარულისა და წყალობისა ყოველდღიურად მრავალი ნიშნისა და კურნების ჩვენ შორის გამოვლინებით.

შენ მახვილითა და ცეცხლით შენმა უგუნურმა შემწირველებმა აღზე მეტად გაგაბრწყინეს, რადგან ვერ შეიცნეს უცნობობმა უფლის სიტყვა: „იყოს ისე, რომ ყველას, ვინც დაგხოცავთ თქვენ, ეგონოს, თითქოს მსხვერპლი შესწირა ღმერთს“ (ი. 16,2).

ჰოი, უგუნურება და უმეტესი უგუნურება მათი, რადგან შენ, რომელსაც თავდაპირველად არავინ გიცნობდა, თუ ვინ იყავი ანდა რომელი ერისგან ან რომელი ხალხისგან, ან თუ რომელი რჯულით ცხოვრობდი, ახლა უკვე მათდა უნებურად წარმოგაჩინეს ქრისტეს გაცხადებულ აღმსარებლად³³ და ყველამ მარტვილად შეგიცნო.

შენ პატივი მოგაგო ყველა ქმნილებამ, რადგან მოწამეა ცა შენი სიმაღლისა უცხო ცეცხლის გადმოვლინებით იმ ადგილზე, სადაც შენ, ცეცხლით დამწვარი, შეიწირე, როგორც უბიწო კრავი.

შენ მიწამ წმინდა და სათნო მსხვერპლად მიგძღვნა ღმერთს შენი პატიოსანი სხეულის დაწვით, ვინაიდან გაგიხდა იგი შენ როგორც საკურთხეველი აბელისა, ენუქისა, აბრაამისა და ელიასი, რომლებიც მრგვლივდასაწველ კრავებს სწირავდნენ ღმერთს, და კიდევ, ადგილი შენი სამსხვერპლოსი³⁴ მიემსგავსა აარონ და ზაქარია მღვდლების სასაკმეველეს³⁵, ვინაიდან ცეცხლის ნაკვერცხალზე საკმეველთა სურნელებისებრ აღიოდა უფლის წინაშე წმიდათა წმიდაში, ზეცის საკურთხეველისკენ მაგ შენს ხორცთა [სურნელება].

შენ მიგიღეს მაგ ნაკადულებმა, როგორც ქრისტეს მარტვილი, ხოლო ქრისტე ღმერთმა სიღრმეთა სიბნელე ზეცის სინათლით გააბრწყინა.

„შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგირჩია და მიგიპყრა თვსსა მას ეკლესიასა!

„შენ ველური ეგე ზეთისხილი მოგილო ქრისტემან და მტილსა მას შინა, თვსსა სამკვდრებელსა, ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა, და ნაყოფითა მით სარწმუნოვებისა შენისათა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტესმორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმჴნესა, შენსა მას მარტვრობასა, შენსა მას გვრგვინოსნებასა!

„ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისა-მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტესმორწმუნე, მოძღუარ ჩუენდა იქმენ; სწავლულნი უფრომს გულისხმიერ-ჰყვენ, შერყეულნი უფრომს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ-ჰყვენ ქრისტეს მონებად, სავსენებელი მარტვრობისა შენისაა ჩუენ დაგვტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ-ვიქმნენით!

„აწ ვევედრებით ყოველნი შენსა ქრისტესმოწამებასა, მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთამსა ჩუენ ყოველთათვს, რომელნი აღვასრულებთ სავსენებელსა შენსა და ვადიდებთ მამასა და ძესა და წ“სა სულსა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამჴნ!

შენ შენმა ნათესავეებმა გაგიუცხოვეს და გაგაგდეს, ხოლო ქრისტემ ისმაიტელთა შორის, როგორც ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგძღვნა თავის ეკლესიას.

შენ, ეგ ველური ზეთისხილი, აგიღო ქრისტემ და თავის სამკვიდრებელ ყვავილნარში კურთხევის ნაყოფად დაგრგო და შენი სარწმუნოების ნაყოფით ახარა ეკლესიას, რომელშიც იშვებენ ქრისტეს მორწმუნეები და ნეტარყოფენ შენს ამ დიდებულებას, შენს ამ მოღვაწეობას, შენს ამ სიმხნეს, შენს ამ მარტვილობას, შენს ამ გვირგვინოსნობას.

როგორ გაქებდე შენ, ბრძოლისმძღვეველო წმინდა მოწამეო, რადგან შენ, ეგ ახალი ქრისტესმორწმუნე, ჩვენს მოძღვრად გახდი; სწავლულნი უფრო მეტად ცნობიერჰყავ, შერყეულნი უფრო მეტად განამტკიცე, განმტკიცებულნი განამხიარულე, წარმართნი წადიერჰყავ ქრისტესადმი დასამონებლად, შენი მარტვილობის სახსენებელი ჩვენ დაგვიტოვე, შენი სახელის ყველასათვის საუწყებლად მქადაგებულნი გაეხდით.

ახლა ვევედრებით ყველანი შენს ქრისტესმოწამეობას: მეოხად იყავ წინაშე ყოველთა მაცხოვრისა ყველა ჩვენგანისათვის, რომლებიც აღვასრულებთ შენს სახსენებელს და ვადიდებთ მამას, ძეს და სულიწმინდას აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სქოლიოები

1. „შენზე ღრმას ნუ გამოეძიებ და შენზე ძლიერს ნუ გამოიკვლევ“ – „ზირაქის სიბრძნიდან“ მოტანილი ეს სიტყვები გამოცემებში ასეა წარმოდგენილი: „უდარჯსსა შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერესსა მას შენსა ნუ განიკითხავ“. საქმე ისაა, რომ ტექსტის მეცნიერული გამოცემის დროს კ. კეკელიძეს ხელი არ მიუწვდებოდა Ath. 57-სა (ლიტერი E) და შინ. 11-ზე (ლიტერი C), სხვა ნუსხები კი ზემომოტანილ ტექსტს შეიცავენ, რაც კ. კეკელიძის გამოცემიდან მექანიკურად გადავიდა მომდევნო პუბლიკაციებში. რაც შეეხება ხსენებულ Ath. 57-სა (ლიტერი E) და შინ. 11-ს (ლიტერი C), მათში ნაცვლად სიტყვისა „უდარჯსსა“, რაც კონტექსტითაც აშკარად მცდარია. სახეზეა „უდარმჯსსა“ (C: „უდარმჯისა“). წაკითხვა „უდარესსა“ კონტექსტის მიხედვითაც იმიტომაა მცდარი, რომ იოანე საბანისძე საუბრობს მისდამი დაკისრებული ვალდებულების განსაკუთრებულ სირთულესა და აღმატებულებაზე, რაც გამორიცხავს „უდარესობას“. უაღრესად საგულისხმოა ისიც, რომ ნაცვლად დამაბოლოებელი სიტყვისა „განიკითხავ“, რაც დამოწმებულია C-შიც, E-ში დასტურდება „გამოიკითხავ“, რაც ასევე უეჭველად მართებული წაკითხვაა, რადგან, ერთი მხრივ, ბერძნულისა და სხვაენოვანი ვერსიების კვალობაზე, შესაბამის მუხლში საუბარი ეხება არა „განიკითხვას“ ანუ „განსჯას“, არამედ – „გამოკვლევას“, „გამოძიებას“ ანუ ძველი ქართულით „გამოკითხვას“ (მდრ. ბერძნ. „ექსეტაძო“), მეორე მხრივ კი აღნიშნული მონაცემი ზედმიწევნით თანხვდება „ზირაქის სიბრძნის“ უძველეს ქართულ თარგმანს, დაცულს „ოშკის ბიბლიაში“

(ცხადია, სწორედ ესე უძველესი თარგმანი ექნებოდა ხელთ იოანე საბანისძეს). ასე რომ, E-ში (და ნაწილობრივ C-ში) ასეთი ტექსტია: „**ულრმჭსსა შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერჭსსა შენსა ნუ გამოიკითხავ**“. შევადართ ამ ტექსტს „ოშკის ბიბლიის“ ტექსტი: „**ულრმჭსსა მას შენსა ნუ გამოეძიებ და უძლიერჭსსა მას შენსა ნუ გამოიკითხავ**“. ზემორე შემთხვევა, სხვა მრავალ ანალოგიურ მონაცემთან ერთად, შთამბეჭდავად ადასტურებს, რომ E-ში დაცული ტექსტი ჩვენამდე მოღწეულ ნუსხათა შორის ყველაზე ანგარიშგასაწევია, ა 1109-ის ანუ „**უდაბნოს მრავალთავის**“ ტექსტთან ერთად (რაც, E-სგან განსხვავებით, ხშირად არის ნაკლულევანი). ღირსების ნიშნით, ამ ნუსხათა მომდევნოდ უნდა მიეჩინოს ადგილი C-ს.

2. ე. ი. სიტყვები.
3. გაკვირებაში იყოს იმიტომ, რომ საყოველთაო განდგომილებისა და ცთომილების ეპოქაში, როგორადაც იოანე საბანისძე წარმოგვიდგენს თავის ჟამს, მართლაც გაკვირვების ღირსია აბოს თავდადება.
4. „**იმ დროიდან დღემდე ქრისტიანთა**“ - ე. ი. „**ამ ხნის ქრისტიანთა**“
5. „**ჩვეულებისამებრ მამაპაპეული მსვლელობისა**“ – შდრ. „**ჩვეულებისაებრ მამულისა სლვისა**“; ე. ი. მამაპაპეული ცხოვრების წესის შესაბამისად.
6. ე. ი. ცნობიერად შეეთვისა, გონებით შეესაკუთრა.
7. ე. ი. 6 იანვრის (ახალი სტილით 19 იანვრის) ნათლისღების დღესასწაული.
8. „**გალობისშემსხმელი**“ – ე. ი. „**გალობითმაქებელი**“, „**გალობისმიმძღვნელი**“.
9. „**მიწისაგანი კაცება**“ – ე. ი. მიწისგან შექმნილი ადამიანური ბუნება.
10. ძელმერთის

11. ძველი ქართული „უფსკრული“, „უფსკრულნი“ ძალიან სწირად გადმოსცემდა „ზღვას“. მოვიტანთ ერთ ნიმუშს: „მაშინ უფსკრული იგი კილიკიისაჲ და პამფილიისაჲ განვლეთ და შთავედით მკრა ქალაქად ლუკიისა“.
12. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ (ძქალძ. რედ. ილია აბულაძე) წყაროდ მითითებულია ეზეკ. 29.4, რაც მცდარია. მოტანილ ადგილას, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს იობის წიგნის ციტირებასთან. შდრ.: „მომე-ითრიოსა ვეშაპი სამჭედურითა და განილო სრატუკი ნიღრსსა მისსა?“ (იობ. 40.20, S).
13. შდრ. ფს. 18.7: „არა არს, ვინ დაეფაროს სიცხესა მისსა“.
14. „სწავლისმოღვაწენო“ – ეს შესანიშნავი კომპოზიტი, რასაც უცვლელად ვტოვებთ, ნიშნავს სწავლისთვის, ცოდნის მოპოვებისთვის გულმოდგინე ადამიანს.
15. „ამ შორეულმა მოსახლეებმა“ – შდრ. „შორიელთა ამათ მკვდრთა“. ტერმინ „მკვიდრს“ ძველ ქართულში არსებითად სამი მნიშვნელობა ჰქონდა: (I) მოსახლე, მცხოვრები („დამკვდრებული“); (II) ადგილობრივი მცხოვრები; (III) მემკვიდრე. ზემორე კონტექსტში, ვფიქრობთ, ტერმინი „მკვდრი“ უთუოდ პირველი მნიშვნელობით არის გამოყენებული.
16. „მოძღვრება“ – ძველი ქართული „ზრახვაჲ“, რაც, ჩვეულებრივ, „აზრს“, „ფიქრს“ აღნიშნავს, მოცემულ კონტექსტში „სწავლებას“, „მოძღვრებას“ გულისხმობს.
17. „შენაძენნი“ – შდრ. „მონაგებნი“. აღნიშნული ტერმინი, საზოგადოდ, მონაპოვარს ანუ ქონებას, საქონელს, პირუტყვს აღნიშნავს, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ მოტანილ კონტექსტში იგი ნიშნავდენ ოჯახის შეძენილ წევრებს (მით უმეტეს, რომ იქვე მოსდევს: „ყოველნი სახლისა მისისანი“).
18. „სადვთო შური აიღო“ – შდრ. „შური საღმრთოჲ აიღო“. გამოთქმა „შურის აღება“, გარდა ზემორე ტექსტისა, დამოწმებულია სხვა ძეგლებშიც, თუნდაც „საქმე მოციქულ-

თას“ ძველ ქართულ თარგმანში: „**ხოლო შური აღიღეს, რომელნი-იგი ურწმუნონი ჰურიანი იყვნეს**“ (საქ. მოც. 17.5; საგულისხმოა, რომ სხვა ენებზე ამ ადგილას ორსიტყვედი ფრაზის ნაცვლად ერთი სიტყვა გვაქვს). დადებითი მნიშვნელობით ეს გამოთქმა ნიშნავს „**ღირსეულად ბაძვას**“, „**ღირსეულ მიმბაძველობას**“, ანუ მოცემულ სინტაგმაში „**შური**“ უიგივდება „**ბაძვას**“ (შდრ. მაგ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“, სადაც ერთგან წმ. ნინოს ასე შეაგონებს თავისი მამა: „**ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყუარულისათჳს ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთაჲ**“, ძქალი, I, გვ. 110). ამრიგად, გამოთქმა „**საღვთო შური აღიღ**“ ნიშნავს: „**საღვთო ბაძვის სურვილით აღიძრა**“. მოცემულ კონტექსტში აღნიშნული „**ბაძვა**“ გულისხმობს აფხაზეთის გულმხურვალე ქრისტიანებისადმი აბოს მბაძველობას უწყვეტ მარხვა-ლოცვასა და ღვთისმოყვარეობაში.

19. ე. ი. მაცთური, შემაჯდენელი.

20. „**შეთანხმებულად პირი შეკრეს ერთმანეთში**“ – ხელნაწერებში გვაქვს: „**შეიზრახნეს შეთქუმით**“, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან E ნუსხაში სახეზეა „**შეიზრახეს ურთიერთას**“. ვფიქრობთ, თავდაპირველ ტექსტში იყო როგორც „**შეთქუმით**“, ასევე „**ურთიერთას**“, რადგან აღნიშნული წინადადება ეხმიანება შემდეგ ფსალმუნურ მუხლს: „**რამეთუ ზრახეს შეთქუმით ურთიერთას**“ (ფს. 82.6; შდრ. აგრეთვე ლ. 20.5: „**შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს**“; ი. 11.53: „**მიერ დღითგან შეიზრახნეს ჰურიანი, რაათა მოკლან იგი**“).

21. საყურადღებოა, რომ „**კერეონი**“ ანუ ცვილის დიდი სანთელი ძველ ქართულ ტექსტებში, წინამდებარე „**მარტვილობის**“ მსგავსად, ხშირად იხსენიება „**საკუმეველთან**“ ერთად (მაგალითად: „**წარმგზავნეს ... კერეონებითა და საკუმეველითა**“, A 1105, 410; იხ. ი. აბულაძის „**ლექსიკონი**“, გვ. 196; შდრ. „**წმ. შუშანიკის მარტვილობა**“: „**კეროვნითა აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა ადვიხუენით პატიოსანნი ძუალნი**“, თ.19; იხ. იქვე, გვ. 196).

22. აღნიშნული მუხლი უთარგმნელად მოგვაქვს, რადგან იგი ლიტურგიკული დატვირთვისაა, სახელდობრ, წარმოადგენს „წესის აგების“ განგების ნაწილს.
23. ამ მუხლსაც, წინა კომენტარში აღნიშნული მიზეზის გამო, უთარგმნელად ვტოვებთ.
24. „**იასპარეზა მან კარგი ასპარეზობა**“ – შდრ. „**ღუაწლი კეთილი მოიღუაწა**“ (II ტიმ. 4.7: „**ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს**“).
25. „**თავს მოიკლავს მათი ქრისტესთვის**“ – იგულისხმება, ცხადია, არა მართლა თავის მოკვლა, რაც მძიმე ცოდვაა, არამედ ნებაყოფლობით თავის გაწირვა მაცხოვრის გამო.
26. შდრ. ზემოთ სქოლიო 24.
27. „**სურნელებანი**“ – შდრ. „**სულნელები**“, ე. ი. სურნელოვანი ნივთიერებები, ნელსაცხებლები.
28. იგულისხმება: „**მაცხოვრის უნახავად (ხორციელი თვალით)**“.
29. ე. ი. წმ. აბო.
30. ე. ი. წმ. აბოსგან.
31. იგულისხმება, რომ აბრაამის მიერ **თავისი შვილის ის-მაილის** შთამომავლის, **აბოს** თავისვე წიაღში მიღებით (ამ უკანასკნელის გაქრისტიანებისა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევის შედეგად) იგი (აბრაამი) სხვა ქრისტიან ერებთან ერთად არაბ ქრისტიანთა მამადაც გამოჩნდა (არაბული ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, მეტად შთამბეჭდავი მოვლენაა საეკლესიო ისტორიაში, რამაც მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა ძველ ქართულ მწერლობაშიც, ვინაიდან რიგი საეკლესიო ძეგლებისა, როგორც გარკვეულია, სწორედ არაბულიდან არის ქართულად თარგმნილი, მათ შორის თუნდაც სახელგანთქმული კრებული „**მამათა სწავლანი**“).
32. ე. ი. მაცხოვრის მარჯვნივ ჯვარცმულ კეთილგონიერ ავაზაკს, რომელიც წინა მუხლში იყო ხსენებული.

33. „ქრისტეს გაცხადებულ აღმსარებლად“ – შდრ. „საცნაურად ქრისტეს აღმსარებლად“. მართალია, ტერმინი „საცნაური“ ძველ ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში ბერძნული „ნოეოს-ნოეტოს“-ის ეკვივალენცია და აღნიშნავს „სულიერს“, „არამატერიალურს“, „ნოეტურს“, „გონითს“, ზემორე კონტექსტში აღნიშნული სემანტიკა უთუოდ ეტიმოლოგიური მნიშვნელობის კვალობაზე არის მოხმობილი და გულისხმობს „ცხადს“, „აშკარას“, „გაცხადებულს“, „ცხადლივს“ (შდრ. მაგალითად, ცნობილი გამოთქმა „საცნაურ არს“, რაც შემდეგს ნიშნავს: „ცხადია“, „აშკარაა“, „გასაგებია“).
34. „სამსხვერპლო“ – მსხვერპლშესაწირი ტრაპეზი, საკურთხეველი, ალტარი.
35. ამ ადგილას E ნუსხაში გვაქვს „საცეცხური“, რაც სინონიმია სხვა ნუსხებში ერთსულოვნად დადასტურებული იშვიათი ლექსიკური ერთეულისა „ბერვარი“. სიტყვა „ბერვარი“, რაც არ არის შეტანილი არც ი. აბულაძის, არც ზ. სარჯველაძის „ლექსიკონებში“, დამოწმებულია ბიბლიის მც. ნუსხებში სწორედ აარონის საცეცხლურის აღსანიშნად, რაც მხედველობაში აქვს იოანე საბანისძეს. აი, სათანადო ტექსტი: „და შეწირონ აჰრონ ზუარაკი იგი ცოდვათათჳს თავისა თჳსისა და სახლისა თჳსისა და ღვინეებამ ითხოოს თავისა თჳსისა და სახლისა თჳსისა და დაკლას ზუარაკი იგი ცოდვათა თჳსთათჳს. და აღიღის ბერვარი იგი სავსე ნაკურცხალი იგი ცეცხლისაგან საკურთხეველ[ისა]“ (ლევ. იტ. 16.11-12; შდრ. SBG: „... და მოიღოს სავსე საცეცხური ნაკურცხალი ცეცხლისაგან საკურთხეველისა“). „საცეცხლურის“ დამოწმების ზემორე და სხვა ნიმუშები ცხადყოფს, რომ „საცეცხური“ და „ბერვარი“ ნიშნავს „სასაკმევლეს“. შესაბამისად, საკუთრივ „საცეცხურთან“ დაკავშირებით დასაზუსტებელია ი. აბულაძის განმარტება: „საცეცხური - ცეცხლჩასაყრელი ჭურჭელი, ცეცხლში სადგმელი ჭურჭელი“ (იქვე დამოწმებული უკლებლივ ყველა ნიმუში მხოლოდ „სასაკმევლეს“ გაგებას შეიცავს. საგულისხმოა, რომ

საკუთრივ „სასაკუმეველეს“ განმარტებისას მკვლევარი სავსებით მართებულად შენიშნავს; „სასაკუმეველე - საცეცხური“). რაც შეეხება ჰაგიოგრაფის მიერ ზაქარირას მღვდლობაზე მითითებას, საფიქრებელია აქ იგულისხმებოდეს ლუკა 1.9-11: „მსგავსად ჩუეულებისა მღვდლობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევაჲ და შევიდა ტაძარსა უფლისასა. და ყოველი სიმრავლე ერისაჲ ილოცვიდა გარეშე ჟამსა მას საკუმეველისა კუმევისასა. და ერუენა მას ანგელოზი უფლისაჲ, მდგომარე მარჯუენით საკურთხეველისა მის საკუმეველთაჲსა“ (შდრ. ბერძნ. κατὰ τὸ ἕθνος τῆς ἱερατείας ἔλαχε τὸν θυμαῖσαι εἰσελθὼν εἰς τὸν ναὸν τοῦ κυρίου, καὶ πᾶν τὸ πλῆθος ἦν τὸν λαὸν προσευχόμενον ἔξω τῆ ᾠρᾶ τοῦ θυμαίματος· ᾠφθῆ δ' αὐτῷ ἄγγελος κυρίου ἑστῶς ἐκ δεξιῶν τοῦ θυσιαστηρίου τοῦ θυμαίματος).



ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ ზ მ ე ლ ი

ცხოვრება წმინდა
ს ე რ ა პ ი ო ნ ზ ა რ ზ მ ე ლ ი ს ა

**ცხორება და მოქალაქობა და ღმერთშემოსილისა ნე-
ტარისა მამისა ჩუენისა და სერაპიონისი**

გუაკურთხენ, მამაო!

I. ფრიად უკუე შუენიერისა და მრავალსაწადელისა და საღმრთოსა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი. რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა შინა სახარებისათა, იტყოდეს რამ: „ნეტარ იყვენ გლახაკნი სულითა“ და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი. ხოლო დასასრულსა ვითარცა ნიჭსა რასმე და გვრგვნსა ბრწყინვალესა წინა უყოფს და სასყიდლად შრომათა მიჰმადლებს და ეტყვს: „გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ [არს] ცათა შინა“. და სხუასა ადგილსა იტყვს: „ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“. და კუალად მამა და ვით იტყვს: „ამისთვის განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენა[მ] ჩემი“, და „ვითარ მხიარულთა ყოველთა მკვდრობა შენდამი არს“. ხოლო ესე სიხარული მოიწვევის საღმრთოსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინამსწარმეტყუელი დასაბამსა ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა „რომელი არა ვალს გზასა უღმრთოთასა“ და კუალად: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა მავალნი შჯულსა უფლისასა“. და ყოვლად ბრძნისა მამისა ყოვლად ბრძენი ძე სოლომონ იტყვს: „ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გონიერება და მოკუდავმან, რომელმან პოვა მეცნიერება“. ხოლო ოქრო[მ] აედონი ეკლესიისა[მ]

ჩვენი ღმერთშემოსილი ნეტარი მამის,
სერაპიონის, ცხოვრება და მოქალაქეობა

გვაკურთხე, მამაო!

1. მართლაც მეტად მშვენიერი, მრავალსაწადელი და საღვთო ქებისა და ბრწყინვალედ ხოტბის შესხმის ღირსნი არიან ღვთის მოყვარულნი და მისი საღვთო მცნებების აღმსრულებელნი, რადგან თვით ჩვენი მეუფე და ღმერთი ნეტარყოფს მათ სახარებისეულ ბრძანებულებებში, ამბობს რა: „ნეტარ იყვნენ სულით გლახაკნი“¹ (ასეთივეა შემდეგ და შემდეგ ყველა სხვა ნეტარება), ამასთან [ნეტარებათა] დაბოლოებას, როგორც რამ ბრწყინვალე ძღვენსა და გვირგვინს, წინ დაუდებს მათ და ამას მიჰმადლებს გარჯილობათა საზღაურად, ეტყვის რა: „გიხაროდეთ და მხიარულნი იყავით, რადგან თქვენი საზღაური დიდია ცათა შინა“², და სხვა ადგილას ამბობს: „იმაზე ნუკი იხარებთ, რომ ბოროტი სულები გემორჩილებათ, არამედ ის გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები აღწერილია ცათა შინა“³; და კიდევ, ღვთის მამა დაგვითი ამბობს: „ამისთვის გაიხარა ჩემმა გულმა და გალობდა ჩემი ენა“⁴, და: „როგორც შენდამია ყველა მხიარულის მკვიდრობა“⁵, ხოლო ეს სიხარული მოდის იმ საღვთო ნეტარებიდან, რასაც იგივე წინასწარმეტყველი ფსალმუნთა დასაწყისში ადამიანის ნეტარებად წერს, ადამიანისა, „რომელიც არ მიდის უღმრთოთა გზაზე“⁶; და კიდევ: „ნეტარნი არიან უბიწოები, მავალნი უფლის სჯულის გზაზე“⁷, და ყოვლადბრძენი მამის ყოვლადბრძენი ძე სოლომონი ამბობს: „ნეტარია ის ადამიანი, რომელმაც შეიძინა გონიერება, და ის მოკვდავი, რომელმაც ჰპოვა ცოდნა“⁸, ხოლო ეკლესიის

პავლე ვმობს: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვ: გიხაროდენ“. რამეთუ სარწმუნოებაჲ თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ და ამით სასოებითა განმტკიცებულთა ძუელისა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავეს მოთმინებაჲ და სარწმუნოებით რბიოდეს გვრგვნსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყვ[ს]: „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მისთა ძალ საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი“ ძუელსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინვებულნი. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყარო[ჲ]სა მრავალნი ირწყევებიან მტილნი[ი] და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვთოსახეთა[ჲ] მადლისა მისგან და ნიჭისა საღმთო[ჲ]სა, ეგრეთვე მოეფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა, ვითარცა იგივე პავლე ვმობს: „განფენანი მადლთანი [არიან]“ და თესლად-თესლადი ენათა. და კუალად იტყვს: „პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი დაეწესნეს“, რამეთუ შემდგომითი-შემდგომად არა დააკლებს მადლი სულისა აღმოშობად შვილთა მათ ემბაზისათა ვითარცა-იგი სიტყუაჲ მეტყუელი, ვითარმედ: „მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისა[ჲ]თა და ძისა[ჲ]თა და სულისა წმიდისა[ჲ]თა“; და „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ“ და შემდგომი. და სხვთ „აღორძნდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანაჲ“, და კუალად მოციქული იტყვს: „იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე“, რომელმან აწცა აღმოაბრწყინვა ვითარცა რაჲ ელვა-ცისკროვნება[ჲ] ახალთა ამათ მნათობთა[ჲ] ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიისა[სა], რამთა ვითარცა მთიები ბრწყინვიდენ პირსა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოდ მოქალაქობისა გულსა ყოველთა მოსწრაფეთასა. რამეთუ აჰა ესერა ჯერჩინებითა ღმრთისაჲთა ჟამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომ

ოქროიადონი პავლე ამბობს: „გიხაროდეთ მარადის უფლის მიერ და კვლავ გეუბნებით: გიხაროდეთ“⁹, რადგან თქვენი სარწმუნოება სამარადისო ნეტარებას მოგიპოვებთ თქვენ. აი, ამ იმედით განმტკიცებულმა ძველი და ახალი აღთქმის წმინდანებმა ისწავლეს მოთმინება და ისინი სარწმუნოებით რბოდნენ ზეციური ხმობის გვირგვინისკენ, როგორც ამბობს ამას იგივე პავლე, ქრისტეს პირი: „რადგან სარწმუნოება მისდამი მსასოებელთა საფუძველია, დაუნახავ საქმეთა გამომაშკარაველებია, რადგან ამაში მიიღეს დასტურყოფა უხუცესებმა“¹⁰, რომლებიც საღვთოდ გაბრწყინდნენ ძველსა და ახალ [აღთქმაში], რადგან ისევე როგორც ერთი უხვად ამომჩქეფარე წყაროდან ბევრი ყვავილნარი, ბაღი და ნაირგვარ მცენარეთა სიმრავლე ირწყვება, ასევე საღვთო მადლისა და საბოძვარისგან სათითაოდ მიეფინება ყველას მადლთა განფენა, როგორც ხმობს ამას იგივე პავლე: „მადლთა განფენანი არის“¹¹ და ენათა გვარეობანი. და კვლავ ამბობს იგი: „პირველად მოციქულები, შემდეგ კი მწყემსები, მოძღვრები და მამები დადგინდნენ“¹², რადგან შემდეგ და შემდეგ არ შეამცირებს სულის მადლი ემბაზის შვილთა აღმოშობას, როგორც ამბობს ამას სიტყვა: „მოიმოწაფეთ ყველა წარმართი და მონათლეთ ისინი მამის, ძისა და სულის სახელით“¹³, და: „აჰა, მე თქვენთან ვარ“¹⁴ (და მომდევნო), და სხვაგან: „იხარდეთ, გამრავლდით და აავსეთ მიწა“¹⁵; და კიდევ, მოციქული ამბობს: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს, და თავად იგი არის უკუნისამდე“¹⁶, რომელმაც ახლაც ამოაბრწყინა ამ ახალ მნათობთა ელვაციისკროვნების მსგავსი რამ წმინდა ეკლესიის ახალ სამყაროში¹⁷, რომ მთიებისებრ ბრწყინავდნენ ისინი მთელი ქვეყნის წინაშე და ყველა მოწადინის გულს საღვთო მოქალაქეობის ბაძვისკენ [აღძვრავდნენ], რადგან აჰა, ღვთის განზრახულებით ჩვენს დროშიც გამოჩნდნენ ახალი მნათობები, – მოძღვრები და მასწავლებლები, – როგორც ძველ [აღთქმაში] ელია და იოანე, მათ შემდეგ კი: „პავლე

მად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმი. და რად გვკვს თვთოეულად წარმოთქუმა[ა], ყოველნი მსგავსნი და მობაძაენი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროდ და საჭირველი გზად, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთმოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.

ხოლო იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „უამთა ამათ ჩუენთა არღარავის ველ-ეწიფების მსგავსებად პირველთა მამათა[ა], რამეთუ განგებითა რა[ა]თმე საღმრთოთა მიფარულ არს“. არამედ შენ ისმინე გულსმოდგინედ, საყუარელო, რომლისათვს აწ სიტყუაჲ წარმართებულ არს. რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მამათა ყოვლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოვლად წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ.

გარნა ვიტყოდით ზოგს-რაამე შეკრებულთა ცხორებისა მისისათა აღწერით მოთხრობად და საღმრთოთა სმენისმოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოვსენებად, ჳ პატიოსანო და საღმრთოო კრებულო და მწყობრმდგომობით მიმსგავსებულონო ზეცისა დასთანო, რომელნი მკვდრ ჩინებულ ხართ ტალავართა ნამუშაკევთა მისთა, მღდელნო და მამანო უდაბნო[ა]სა დიდისა ზარზმისანო, რომელთა წილ კეთილ გზუდა დიდი ესე მნათობი მამა[ა], მამათა მოძღუარი და მასწავლელი, რაათა გუესმოდია[ან] სწავლანი და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა ზეცათასა, ვითარცა-იგი უფალი იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი“, და შემდგომნი. ხოლო ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო, რაათა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვა[ა] დიდისა მის მოძღურისა და მწყემსისა[ა]; და აწ გულსმოდგინედ და შრომისმოყუარებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსამიერი გამოხატვად ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისაჲ. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოვლადუღირსი ესე, რაათა

თებელი, დიდი ანტონი, მაკარი, ექვთიმე, საბა და გერასიმე (ან კი რად გვინდა თითოეულად დასახელება?) – ყველანი, მათი მსგავსნი და მბაძველნი, რომლებმაც წადიერად განვლეს ვიწრო და ძნელი გზა, მიმყვანი ზეცის ქალაქამდე, რომლის ხუროთმოძღვარი და შემქმნელი ღმერთია.

ხოლო ამბობენ ზოგიერთები, რომ „ამ ჩვენს დროში ადარავის შეუძლია პირველ მამათა მსგავსება, რადგან საღვთო რამ განგებით მიფარულია ეს“, მაგრამ შენ ისმინე გულმოდგინედ, საყვარელო, იმის შესახებ, ვისთვისაც ახლა სიტყვაა აღძრული, რამეთუ ყოველგვარად მიემსგავსა იგი ამ წმინდა მამებს. ესაა ყოვლადბრწყინვალე და ზეციური ხმობის ღირსი ყოვლადწმინდა მამა და მოძღვარი, ნეტარი სერაპიონი.

მხოლოდ ნაწილობრივ ვისაუბრებთ მისი ცხოვრებისგან შენაკრებთა შესახებ, აღწერთი თხრობის სახით, რომ მოვახსენოთ ეს ყოველივე თქვენს სიწმინდეს, მოყვარულს საღვთოთა შესახებ სმენისა, – ჰოი პატიოსანო და საღვთო კრებულო, მწყობრი განლაგებით ზეციურ დასებს მიმსგავსებულო, – თქვენ, რომლებიც ხმობილნი ხართ მის მიერ ნამუშავევ კარავთა მემკვიდრეებად, დიდი ზარზმის უდაბნოს მღვდელნო და მამანო, რომლებსაც კარგი წილი გხვდათ – ეს დიდი მნათობი, მამა მამათა, მოძღვარი და მასწავლებელი – რათა გვესმოდეს მისი სწავლებანი, მისი საღვთო საქმენი და ღვწანი და ვადიდებდეთ ზეცათა მამას, როგორც ამბობს უფალი: „ასე ბრწყინავდეს თქვენი სინათლე ადამიანთა წინაშე, რომ იხილონ მათ თქვენი კარგი საქმეები“¹⁸ (და მომდევნო). მაგრამ გვმართებს ჩვენ, კმანო, რომ ჩვენც შეძლებისდაგვარი მბაძველობა გამოვიჩინოთ ამ დიდი მოძღვრისა და მწყემსის მიმართ. ახლა კი გულმოდგინედ და შრომისმოყვარედ ვისმინოთ მისი მეტად საწადელი ვრცელი ცხოვრების და ამჟამინდელი აქ შემოკრებილობის ეს მცირედსიტყვისმიერი გამოხატვა; ამასთან, ცრემლით ვევედრები თქვენს სიყვარულს მე, ყოვლა-

თანაღმობილ იქმნეთ უძღურებისა ჩემისა მოცემად სიტყუად ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყუსა მიერ უსიტყუთა სიტყვერმყოფელისა და უძღურთა განმადლიერებელისა, რამეთუ იწყებს სიტყუად დასაბამსა ცხორებისა მისისასა.

II. ესე ნეტარი და ყოვლადქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანისმოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა ველისაპყრობასა, და სიმშვიდით და სიმდაბლით იყოფვოდეს მსგავსად საწინამწარმეტყუელო[ა]სა სიტყუსა: „ვის მივხედნე, გარნა მშვდსა და მდაბალსა“ (და შემდგომი).

ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კვპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახე-ბოროტებისა რამსათვისმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათვის, რამეთუ რომელმან ესევეთარი გამოიღო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწყმედაა, ვითარცა უფალიცა იტყოდა: „ვერ ველ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად“.

ესრეთ დედაა ამისი ნეტარისა[ა] სახელმოუვსენებელად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაა გამოიყვანა წმიდაა ესე ნაშობი ორთა თანა ძმათა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა ვსენებაა მრავალგზის ეგულების სიტყუასა, რამეთუ შვნა რაა სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთსხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: „დედაა შვილთა ზედა სახარულევანი“, ნათლად გამომყვანებელი მათი ნათლად წარუვალად მიიცვალა.

ხოლო უმრწემესი ძე იოვანე დაშთა ყოვლად უსრული და ენაბრგუნილი. იგი უკუე აღზარდა მამამან მისმან კვპრიანე, ვითარცა შეჰგაეს მამასა შვილთმოყუარესა. არამედ შემდგომად არა მრავალთა წელთა აღესრულა მამა[ა]ცა ამათ ნეტართა და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა გან-

დულირსი, რომ თანაუგრძნოთ ჩემს უძლურებას, რათა უსიტყვოთა სიტყვიერმყოფელი და უძლურთა გამაძლიერებელი სიტყვის მიერ მომეცეს ღირსეული სიტყვა ჩემი პირის გახსნისას, რადგან შეუდგება სიტყვა დაწყებას მისი ცხოვრებისას.

2. ეს ნეტარი და ყოვლადქებული სერაპიონი დაიბადა კლარჯეთის ქვეყანაში ღირსეული მშობლებისგან, რომლებიც პატიოსნად და უბრალოდ ცხოვრობდნენ, თავს ირჩენდნენ შრომით და მიწის დამუშავებით. ისინი თავისი ნაშრომისგან უხვად აპურებდნენ გლახაკებს, უძლურებს შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდნენ და სიმშვიდით და სიმდაბლით მყოფობდნენ, მსგავსად საწინასწარმეტყველო სიტყვისა: „ვის მივხედავ, თუ არა მშვიდსა და მდაბალს?“¹⁹ (და მომდევნო).

ნეტარი სერაპიონის მამას ერქვა კვიპრიანე, ხოლო მისი დედის სახელი არ ვიცით, თუმცა არა რაიმე უკეთურსახეობის გამო, არამედ დროჟამისგან დაფარვის მიზეზით, ვინაიდან დაუშვებელია, რომ ამგვარი ნაყოფის გამომღები უსახურად და უგვანად დაღუპულიყო, როგორც ამბობდა უფალიც: „არ ძალუძს კარგ ხეს უკეთური ნაყოფის გამოღება“²⁰.

ასე რომ, ნეტარი სერაპიონის დედა სახელმოუხსენებლად მიეფარა ამ სოფლიდან, მას შემდეგ, რაც სინათლეზე გამოიყვანა მან ეს წმინდა ნაშობი, თავის ორ ძმასთან ერთად, რომელთაგან ერთი უფროსი იყო, ერთი – უმცროსი (რომლის ხსენება მრავალგზის მოუწევს სიტყვას), რადგან შვა რა მან ეს სამი ნაშობი და გაიხარა შვილიერებით (როგორც წერს მეფსალმუნე: „დედა შვილთათვის მოხარული“²¹), თვით იგი, ამათი სინათლეზე გამომყვანი, წარუვალი სინათლისკენ მიიქცა.

ხოლო უმცროსი ძე იოანე დარჩა სრულიად ჩვილი და აუმეტყველებელი. იგი გაზარდა მისმა მამამ კვიპრიანემ, როგორც შეჰფერის ეს შვილთმოყვარე მამას, თუმცა არცთუ ბევრი წლის შემდეგ აღესრულა ამ ნეტართა მამაც და მიიცვალა იგი ღვთის წინაშე, კარგი სიბერით დამშვენებუ-

პოსებული. და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი მსგავსად ბაბი-
ლონისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი.

ხოლო აქა ეგულების სიტყუასა მცირედ წიაღსლვა[ა] სხ-
უად მიმართ, რამათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგ-
თა ნაყოფთმცენარებაჲ, და ამისსა შემდგომად კუალად არა
ოდენ ასწილ, არამედ უმეტესცა რტოგანროთხმით გარდაფე-
ნილებაჲ ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად, რამათა
დასასრულსა თხრობისასა გულისვმა-ჰყოთ, თუ ვითარი ტკ-
ბილი და შუენიერი დამწიფდა ტევანი მათისა მის მოძღურე-
ბისა ნამუშაქევთაჲ.

III. არამედ აწ ჯერ-არს ჩუენდა, რამათა დიდთა მათოქს
უდაბნოთა და მონასტერთა მოვივსენოთ, თუ ვინა[ა] იქმნა
შენება[ა] მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგი, პირველად
– სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და მერმე – მის მიერ
აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ
და დიდი უდაბნო[ა] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა
ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა
შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთო-
თა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ა] ადგ-
ილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწო-
დიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა,
რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა
მოქმედი მალალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა
შიოხსი საკურველთმოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები
განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა.

ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოვლად
ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანაჰყვა ძმა[ა] მცირე ჰასაკითა.
რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და
მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა
მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და
ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარ-
იონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ.

ლი, სამივე ბავშვი კი დარჩა, ბაბილონელი ბავშვებით, სიღარიბის აღში შეცვენელი.

მაგრამ აქ სიტყვას განზრახული აქვს მცირედით სხვა მხარეს გადასვლა, რომ უფრო მეტად წარმოჩნდეს ამ კარგი ნერგების ნაყოფთაღმომაცენებლობა და ამის შემდეგ, კიდევ, არა მხოლოდ ასწილად, არამედ უფრო მეტადაც რტოგადაშლით მათი გადაფენილობა ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად, რომ თხრობის დასასრულს შეიცნოთ, თუ როგორი ტკბილი და მშვენიერი მტევანი დამწიფდა მათი მოძღვრების ნამუშავეთაგან.

3. მაგრამ ახლა დიდ უდაბნოთა და მონასტერთა შესახებ გვმართებს მოხსენიება, კერძოდ, თუ როგორ მოხდა მათი აშენება ანდა ვინ იყვნენ მაშენებლები (პირველად – საღვთო სული და მადლი, შემდეგ კი – მის მიერ აღძრული წმინდა მამები), რადგან როდესაც აშენდა წმინდა და დიდი უდაბნო ოპიზა მონაზონთა მიერ, რომლებსაც ერქვათ: ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამის შემდეგ აქედან მოვიდა ის, ვინც საღვთო უწყებით ააშენა მცირე ეგვიპტური და ცოტა ძმის შესაკრებელი კლდოვან და ადამიანთაგან გაუფლელ ადგილას, რომელსაც პარესს უწოდებენ (ხოლო ეს გადმოცემა მამებიდან არის მოსული ჩვენამდე, რომ მისი ამშენებელი იყო მიქაელი, მადალ და დიდ სასწაულთა და ნიშთა მოქმედი, რომელიც იყო მოწაფე დიდი და საკვირველთმოქმედი შიოსი, ქართლის მხარეში რომ ბრწყინავდა ცისკრის ვარსკვლავისებრ).

ამ ნეტარი მიქაელისკენ გაემართა ყოვლადბრძენი სერაპიონი (რომელსაც თან ახლდა ასაკით პატარა ძმა), რადგან სწორედ მას, დიდ მიქაელს, როგორც სულთა მამას და ობოლთა გამზრდელს, შეავედრა მან თავისი თავი, თუმცა ნეტარ მიქაელს სხვა მოწაფენიც ბევრი ჰყავდა, სათნოებით სრულნი და ბრწყინვალენი. კერძოდ, ისევე როგორც ჰყავდა დიდ ანტონის ილარიონი და მაკარი, ასევე ჰყავდა მიქაელს ბასილი

და მათ თანა შეივედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანაალრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა. ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოთა დამპრყობელ ექმნა მამულსა სამკუდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოლუაწებაჲ უცხოთა და გლახაკთაჲ.

ამისსა შემდგომად, მო-რა[მ]-იწია ჟამი წმიდაჲ მამა[მ] ჩუენი ვითარცა ღირსი ბრძანებითა მიქაელისითა პატივითა მღდელობისა[მ]თა სრულ იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთო[მ]სა საკურთხეველისა. და ამან ყოვლად განთქ[უ]მულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღიყვანნა იგინი, ვინა[მ]ცა ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და ნიშთ[ა] და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა. ამას რაჲ ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ველოვანთა მხატვართა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქროსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა. ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვნეს ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი.

ამით ესევეითარიითა საქმითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაჲ მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნნეს.

IV. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს, რაჲთა ნეშტი თხრობისა[მ] გულსმოდგინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს[ს] სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა. ესერა ვთქუათ.

რამეთუ იყო რაჲ დიდი იგი მამა[მ] და მოძლუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკურვებაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღდელმუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რაჲთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ,

და მარკელაოზი. აი, ამათთან შერთო მან ნეტარი სერაპიონი ძმასთან ერთად და ჩარიცხა ისინი მოწაფეთა დასში (რაც შეეხება სერაპიონის უფროს ძმას, იგი, ამქვეყნიური წესისამებრ, დაეუფლა მამისეულ სამემკვიდრეოს და იგივე მადლი შეიტკბო – უცხოთა და გლახაკთა მოვლა-პატრონობა).

ამის შემდეგ, როდესაც მოვიდა დრო, ჩვენი წმინდა მამა, როგორც ღირსი, მიქაელის ბრძანებით მღვდლობის პატივით სრულიქმნა და გახდა საღვთო საკურთხევლის ღირსეული მსახური, ხოლო ამ ყოვლადსახელგანთქმულმა და დიდ საკვირველებათა მოქმედმა მიქაელმა აღზარდა ისინი და აიყვანა სათნოების სრულქმნილებამდე, რადგან ხედავდნენ მის საღვთო მოღვაწეობას და მის მიერ აღსრულებულ დიდ ნიშებსა და სასწაულებს, რაც მისი სიკვდილის შემდეგ აღწერეს მისმა მოწაფეებმა. და ხედავდნენ რა ამ ყოველივეს ეს წმინდანები, დახელოვნებულ მხატვართა მსგავსად კარგ მაგალითად ჭკრეტდნენ მას და მისეულ მადლთა შეძენით მისვე სწავლებათა საფუძველზე აშენებდნენ არა ლერწამ-ბალახს, არამედ ოქროს, ვერცხლს და ანთრაკის თვლებს. ამასთან, მისგან შეყვარებულნი იყვნენ როგორც მისეულ სწავლებათა კარგად შემთვისებლები.

აი, ამგვარი ღვწით დაჰყვეს მათ დიდი ხანი მის წინაშე და ყოვლითურთ მისი მბაძველნი გახდნენ.

4. მაგრამ გვმართებს ჩვენ, რომ ამბის დარჩენილი ნაწილი გულმოდგინედ მოვისმინოთ და ვთქვათ, თუ როგორ მოადწიეს მათ სამცხის ქვეყნის მხარეებში.

რამეთუ როდესაც იყო დიდი მამა და მოძღვარი მიქაელი ღამის ლოცვაზე დამდგარი, რაღაც გაუცნაურება დაემართა მას, ატაცებულ იქნა ზეცად და იხილა ვიღაც, სამღვდელო ღირსებისამებრ შემოსილი, რომელიც ეუბნებოდა მას, რომ მის მიერ განსწავლული მოწაფეები, სერაპიონი და იოანე, დაუყოვნებლივ გაეგზავნა სამცხის მხარეში, ამასთან უჩვენებდა რაღაც ნიშნებსა და სიმბოლოებს იმისას, თუ

მივიდენ რა[ა], სასწაული იგი და მუნ კელ-ყონ აღშენებად მონასტრისა[ა] და შეკრიბნეს მას შინა სულნი მრავალნი სა-
დიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაჲსა.

და ესე ჩუენებად აქამომდე იყავნ!

ხოლო მო-რა[ა]-ეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნეს ნიშნი საღმრთონი, და მოუწოდა წმიდა-
თა მათ და შეჭმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს:
„საყუარელო შვილო და ქრისტეს მიერ ძმაო სერაპიონ, ფრი-
ად მძიმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს
სულსა თანაზრდილობაჲ და უფრო[ა]სლა, რომელნი საღმრ-
თოთა სიყუარულითა შეკრულ იყვნენ. აწ ვინა[ა]თგან საღმ-
რთოდ არს ბრძანებაჲ ესე, რაჲთა განხვდე ამიერ და აღაშენო
სულთსამზრუნველოჲ, სადა-იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან“.
ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ, დავარდა ფერვთა თანა
მისთა და მყოვარ ჟამ უვმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან
უპყრა კელი, აღადგინა და ეტყოდა: „გულპყრობილ იყავ,
შვილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა
მცირედცა წინაგანწყობაჲ, და ესეცა ბრძანებაჲვე არს, რაჲ-
თა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მარტოდ ტვრთვასა,
იგივე გეტყვს, რაჲთა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისა[ა]
იტვრთო და ეგრეთ განხვდეთ, რაჲთა აღ-რაჲ-აშენოთ წმი-
დაჲ ეკლესია[ა], მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის[ს]აცემელად
და სენთა და უძლურთა განმდევნელად და სულთა მრავალ-
თა გამოსაცხენელად“.

ესევეთარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყვსა წილ
ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ სათნო
არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემოვს, რაჲთა
არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილ-
ვად წმიდასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა:
„რაჲთა არა დააკლდე საღმრთოსა გვრგვინსა მორჩილთასა,
ამიერ დააცადენ სიტყვსაგებანი და მზა-ყავ თავი შენი სლვად

რომელ ადგილას უნდა მისულიყვნენ ისინი, ხოლო როდესაც მივიდოდნენ და იპოვიდნენ აღნიშნულ ნიშანს, იქ დაეწყოთ მონასტრის აშენება და შეეკრიბათ მასში მრავალი სული სადიდებლად ღვთისა და ყოველთა მეუფისა.

ეს ხილვა აქამდე იყოს.

როდესაც მოეგო გონებას წმინდანი, რომელსაც მრავალი საღვთო ნიში ჰქონდა ნანახი, მოუხმო ხსენებულ წმინდანებს და მჭიმუნვარე სახით უთხრა სერაპიონს: „საყვარელო შვილო და ქრისტეს მიერ ძმაო სერაპიონ! ძალიან მძიმედ მეჩვენა ეს ბრძანება, რადგან სულს ძალიან უყვარს თანშეზრდილობა და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც საღვთო სიყვარულით არიან შეკავშირებულები. ახლა, რადგან საღვთო ბრძანებაა ეს, უნდა წახვიდე აქედან და ააშენო სულთა მოსაველე-საპატრონებელი ადგილი, სადაც გიჩვენებს შენ ღმერთი“. გაიგონა რა წმინდანისგან ეს, სერაპიონი მის ფერხთით დაეცა და კარგა ხანს უხმოდ იყო დაწოლილი, მაგრამ წმინდანმა მოჰკიდა ხელი, წამოაყენა და უთხრა: „გამხნევდი, შვილო, რადგან შეუძლებელია საღვთო ბრძანებასთან მცირედითაც დაპირისპირება და ესეც ბრძანებაა, რადგან ის, ვინც გეუბნებოდა, რომ მარტოოდენ ჯვარი გეტვირთა, იგივე გეუბნება, რომ იტვირთო მისი განკაცების ცხოველი ხატი და ასე წახვიდე, რათა წმინდა ეკლესიის აშენების შემდეგ მასში აღმართოთ იგი თაყვანსაცემად, აგრეთვე სწეულებათა და უძლურებათა განმღევენელად და მრავალი სულის გამოსახსნელად“.

როდესაც ამგვარი ბევრი მოისმინა წმინდა სერაპიონმა, პასუხის ნაცვლად ცრემლთა სიმრავლე გადმოადინა და უთხრა: „თუ ეს გესათნოება შენ, მამაო, ევედრე ღმერთს ჩემთვის, რომ არ გამაშოროს შენს წმინდა კრებულს და რომ მარადის ვხედავდე შენს წმინდა სახეს“. მან კი მიუგო და უთხრა: „იმისათვის, რომ არ დააკლდე მორჩილთა საღვთო გვირგვინს, ამის შემდეგ შეაჩერე შეპასუხებანი და მოამზა-

გზათა, და თანამოგზაურ შენდა ყავ ძმა[მ] შენი იოვანე და ოთხნი ძმათა ამათგანნი. ხოლო აუწყუნა ნიშნი რა[მ]მე მის ადგილისანი, რაათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანება[მ] მოელო. და ესეცა ჰრქუა, ვითარმედ: „უწყოდეთ, შვილნო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზ ექმნეთ ცხორებად საუკუნოდ, რაათა ვითარცა იტყვს მოციქული: „ვმასა მას თანა საყვრისასა მრავალთა თანა შენ ძლით ცხოვნებულთა წარმოუდგე მეუფესა“.

ესევეთარნი რაჲ სიტყუანი ესმნეს წმიდისა მისგან, არღარა იკადრა წინაგანწყობაჲ, არამედ შეუვრდა ცრემლით და მოწლედ შეიტკბნეს[ს] ურთიერთას წმიდათა მათ, და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი, და ლოცვაჲ წმიდისა[მ] საგზალ თვისსა ყვეს.

V. ხოლო წარმოემართნეს რაჲ, მათ თანაეტვრთა ცხოველი ხატი ფერისცვალებისა[მ] თანაშემწედ და სასოდ ყოველთა ქრისტიანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა «**ბერას ჯუარ**» ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულეობდა აღშენებაჲ მონასტრისა[მ]. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ვევისასა, რომელ არს «**უტყვსა**», მოვიდეს ადგილსა რასმე «**ძინძედ**» სახელდებულსა, განიმსტურეს რა[მ]მე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ვევთა. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან“. ხოლო ეგრეთცა ველყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რა[მ]მე მონასტირსა[მ], და დაყვნეს მუნ არა მცირედნი დღენი.

ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხო[თ]ა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავეს ადგილსა მას აღშენე-

დე შენი თავი გზებზე სავალად, ხოლო შენს თანამგზავრად გახადე შენი ძმა იოანე და ამ ძმათაგან ოთხნი“. ამასთან, აუწყა იმ ადგილის რამ ნიშნები, რომ ადვილად ეცნოთ ის ადგილები, რომლის აშენების ბრძანება ჰქონდა მიღებული. თან ესეც უთხრა: „იცოდეთ, შვილებო, რომ მრავალ სულს გაუხდებით საუკუნო ცხოვრების მიზეზი, რომ, მოციქულის თქმისებრ, „საყვირის ხმასთან ერთად შენს მიერ ცხონებულიებთან ერთად წარუდგე მეუფეს“²².

წმინდანისგან ამგვარ სიტყვათა მოსმენის შემდეგ სერაპიონმა აღარ შეჰბედა შეწინააღმდეგება. პირიქით, ცრემლით შეუვრდა მას, და წმინდანებმა სიყვარულით შეიტკბეს ერთიმეორე, ისევე როგორც – ყველა ძმამ, და წმინდა მიქაელის ლოცვა საგზლად წაიღეს მათ.

5. ხოლო როდესაც გამოემართნენ, თან იტვირთეს ფერისცვალების ცხოველი ხატი ყველა ქრისტიანის შემწედ და იმედად. ამასთან, სიარულისას ისე გაუჭირვებლად მიდინოდნენ როგორც სამეფო პალატებში. ასე მიაღწიეს მთას თითქოსდა ცის სიმაღლემდე ასულებმა და გაჩერდნენ იმ ადგილას, რომელსაც „ბერასჯვარი“ ეწოდება, ხოლო წმინდანმა, თითქოსდა თითით, უჩვენა მათ ის ადგილი, სადაც განზრახული იყო მონასტრის აშენება; და როდესაც ჩამოვიდნენ ხევის ბოლოში, რომელიც არის „უტყვისა“, მივიდნენ რაღაც ადგილთან, რომელსაც ერქვა „ძინძე“, მიმოიხედეს, დააკვირდნენ და ნახეს, რომ უდაბური იყო იგი და შემორტყმული ტყეებითა და ხევებით. შეუყვარდათ ეს ადგილი ძმებს, მაგრამ წმინდანი ეუბნებოდა მათ: „ამ ადგილას არ არის ის ნიშნები, რაც გვამცნო ჩვენმა გამომგზავნმა მოძღვარმა“. მიუხედავად ამისა, მაინც დაიწყეს და შეუდგნენ ისინი მცირე ტალავრისა და მონასტრის ადგილის შენებას, და დაჰყვეს იქ არცთუ მცირედი დღე.

ხოლო როდესაც ეცნობათ იმ დაბის პატრონებს, რომ ვიღაც უცხო მონაზვნებს ნებავთ იმ ადგილას მონასტრის

ბად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოველითურთ მვეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევა[ა] წმიდათა მათგან. ამისთვის ზედამიეტევენეს მათ.

და ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთვის ნაზარეველთა, ვითარმედ „მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“, ეგრეთვე წმიდანი ესე – პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას.

და წიაღმოვლეს რამ მდინარე იგი და მოვიდეს დასავალით მისსა, ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ, და მიმო-რა[ა]-ვიდოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა, პოვე[ს] ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა. და გულსავსებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამაო არს გზა[ა] იგი საჭიროებით სლვისა მათისა[ა].

და იხილეს რამე ბორცვ მცირე, უმაღლესი სსუათა მათ ადგილთა[ა], და აღმოსავალით ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი, რომელი-იგი გულსავსე-ჰყოფდა წადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგანიმსტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რამთა საშუალ წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღემუნოს მცირე ტალავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რამთა ცხოველ[ი] იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციებოდის მათ მიერ.

VI. ხოლო ჩუენ აქა წარვმართოთ სიტყუა და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის წარმართებად, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე ვითარცა ღმრთისამიერიოთა ბრძანებითა კეთილად წარუმართა მათ.

აშენება, მათ ეს არ ინებეს, რადგან ყოველითურთ მხეცის მსგავსნი იყენენ, „უწირაენი“²³ და ბორცნი, რამეთუ არ ინებეს ამ წმინდანთაგან კურთხევა. ამის გამო თავს დაესხნენ მათ.

და ისევე როგორც ნაზარეველ კაცთა შესახებ არის დაწერილი, რომ „მოიყვანეს ქრისტე იმ მთის წვერამდე, რომელზეც მათი ქალაქი იყო დაშენებული“²⁴, ასევე ეს წმინდანებიც [მოიყვანეს] იმ მდინარის პირამდე, რომელიც არის ხსენებული ადგილის აღმოსავლეთით.

და როდესაც გადალახეს მდინარე, მივიდნენ მის დასავლეთით, დაახლოებით სამ კილომეტრში, ყოვლად ტყიან და ადამიანთაგან გაუგლელ ადგილებამდე, ხოლო მიმოდირდნენ რა გაჭირვებითა და ჯაფით ვიწრო ადგილებში, ნახეს მათ დიდი მოძღვრისგან ნაუწყები ნიშები და სასწაულები, რის გამოც დიდი სიხარულით გაიხარეს და დარწმუნებით შეიცნეს, რომ ფუჭი და ამაო არ ყოფილა გზა მათი ნაჯაფარი მსვლელობისა.

ნახეს მათ მცირე რამ ბორცვი, სხვა ადგილებზე უფრო მაღალი, და ამ ბორცვის აღმოსავლეთით – ამომდინარე წყალი, მჩქეფარე და საამური, რაც სარწმუნოს ხდიდა მათი მგზავრობის წადილს. ამასთან, როდესაც მიმოიხილეს და დააკვირდნენ, და ვერ ჰპოვეს მინდვრიანი ადგილი, რაც თავისუფლად დაიტევდა მათ, ბრძანა წმინდანმა, რომ წყაროსა და ბორცვის შუაში დამუშავებულიყო ადგილი და აშენებულიყო მცირე ტალავარი, რაც გახდებოდა მათი თავშესაფარი უცხოობაში და მის შიგნით მათ მიერ თაყვანცემული იქნებოდა ის ცხოველი ხატი.

6. აქ კი ჩვენ სიტყვას განვაგრძობთ და ცხადად წარმოვუჩინთ თქვენს სიყვარულს, თუ როგორ ხდებოდა იმ ადგილის დამუშავება ან კიდევ ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც, თითქოსდა ღვთისმიერი ბრძანებით, ყველაფერი კარგად მოუგვარა მათ.

რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცე საზღვართვრცელ და მრავალ იყო.

და არა თუ ქუეყანიერთა და ქუემეთრევეთაგან მდიდროოდა, არამედ ღმრთისმსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა. და ვითარცა იობისთვის წერილ არს: „ჭეშმარიტად მართალ და უბრალო“.

ესევეთარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ – ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა «**ჩორჩანისა**» და «**ზანავისასა**», ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ «**ცხროჭა**» წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სსუათა ნადირთა ველურთა[ა], და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას შინა სიბნელისათს ღამისა და უვალობისა და სივმოხსა ტყეთა[ა]სა.

და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოვსენებულსა და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცუსა მის, და აღაგზნეს ცეცხლი, და ვითარცა ავდა კუამლი დიდძალი, ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მდევარ ნადირთა, განკურდა ფრიად და პრქუა წინაშემდგომელთა: „ვინა[ა] არს ადგილსა იმას სივმო[ა] კუამლისა[ა], ანუ თუ ვის რად უვძს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხუნო ქმნილ არს? დაღათუ სსუად საჭირო რაჲ ვის უვძს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“

არამედ ვერაჲინ მისცა პასუხი, ვინა[ა]ცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა: „და წარვედ მსწრაფლ“, პრქუა, „და ზედამიწვევით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რა[ა]-მე არს სახილავი ესე?“

ხოლო წარვიდა მყის ყრმა[ა] იგი და ჭირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია

ვინაიდან ამ მხარეში იყო ერთი ვინმე დიდი და წარჩინებული მთავარი, ყველაზე აღმატებული სიმდიდრით და ხალხისა და მინდორ-ველების სიმრავლით, რომელთა სივრცეც ფართოსაზღვრებიანი და დიდი იყო.

მას არა მხოლოდ ამქვეყნიური და მიწიერი სიმდიდრე ჰქონდა, არამედ აღმატებოდა იმათაც კი ყველას, რომლებიც ღვთისმსახურებით ცხოვრობდნენ, როგორც ეს დაწერილია იობის შესახებ: „ჭეშმარიტად მართალი და უბრალო“²⁵.

აი, ამგვარი ადამიანი იყო იგი, რომელიც ბევრ სასახლე-სა და ტალავარში ცხოვრობდა. სახელად ერქვა მას გიორგი, მეორედ – ჩორჩანელი, რომლის სასახლეები აშენებული იყო „ჩორჩანისა“ და „ზანავის“ მხარეებში, თუმცა ბევრად უფრო ხშირად იგი ნადირობდა „ცხროჭად“ წოდებულ ადგილებში, რადგან იქ იყო თხებისა და სხვა ველური ნადირების სიმრავლე, და იმ არემარეში აშენებული ჰქონდა მას სახლი, რომ თუ როდისმე ღამე წამოეწყოდა, იქ დაესვენათ ღამის სიბნელისა და ტყეების გაუვალობისა და სიხშირის გამო.

როდესაც წმინდანებმა ზემოხსენებულ ადგილას დაიბანაკეს და კარავი გამართეს ბორცვის ახლოს, დაანთეს მათ ცეცხლი და როგორც კი ავარდა დიდძალი კვამლი, დაინახა რა ეს მორწმუნე გიორგიმ, რომელიც ნადირებს იყო დადევნებული, გაუკვირდა ძალიან და უთხრა მსახურებს: „საიდან არის იმ ადგილას ხშირი კვამლი ანდა ვის რად დასჭირდა ცეცხლი? თუ ვინმე ნადირებს ეძებს, რატომ გათავხედებულა და არ ერიდება? ხოლო თუ სხვა რამ აუცილებელი სჭირდება ვინმეს, ჩვენ როგორ არ ვიცით ეს?“

რადგან ვერაფერს უპასუხა მას, ამიტომ მყისვე უბრძანა ერთ-ერთ მონას და უთხრა: „წადი სწრაფად, ზემოწვევით გაიგე საქმის არსი და გვაუწყე ჩვენ, თუ რა არის ეს სასახლეაობა“.

დაუყოვნებლივ წავიდა მონა და გაჭირვებით და ჯაფით მიჰყვა იგი ცეცხლის კვამლს, ხოლო როდესაც მიაღწია იქ,

მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცი შემოსილნი ხალენებითა უცხოთა მეუდაზნოეთათა.

განჰკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა ანუ რაჲ-მე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესევეთართა სიგლახაკითა იხილვე-ბიან და ესევეთარსა ამას ულუაწსა ადგილსა იხილვებიან?

ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „და საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გივმს ზედამიწევნით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისა[ჲ]?“

და კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევეთარსა ამას ადგილსა კუა[მ]ლი ცეცხლისა[ჲ] და ყოვლად ყოფაჲ კაცისა[ჲ]“.

ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმე მისი და ვითარცა ცნა ზედამიწევნით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუ-თხრა პირველითგან ვიდრე მუნ ჟამამდე, თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას, და ვითარმედ ეგულეების აღშენებაჲ მონასტრისა[ჲ]. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანება[ჲ] არს საღმრთოჲ, და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინებულისა მიქაელ პარეხელისანი“.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ-იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა. ხოლო იგინი მთავართურთ შიშმან და განკვრვებამან შეიპყრნა და საოცარ რა[ჲ]მე ჰგონეს საქმე იგი.

ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცი მინახვან ყოვლად ჳორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთა[ჲ]თა და არა საოცრად, არამედ ცხადად“. ხოლო განთენნა რაჲ, კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თჳსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით ცნან ყოველივე.

ნახა ტალავარი და ადამიანები, რომლებსაც ემოსათ უცხო მეუღაბნოეთა ტყავები.

შეცბუნდა ის კაცი. ამათაც გაუკვირდათ. ეკითხებოდა გაგზავნილი [მონა] მათ სადაურობას და იმას, თუ რა იყო მათი საქმე, ჩანდნენ რა ესოდენ სიგლახაკეში და თანაც ესოდენ ველურ ადგილას.

ამათაც მიუგეს და უთხრეს: „და შენ კი, საყვარელო, ვინ ხარ ან რად გესაჭიროება ზედმიწევნით გაიგო ჩვენი მდგომარეობა?“

ის კაცი უპასუხებდა: „მე ვეკუთვნი დიდ მთავარს, რომლის სახელი არის გიორგი, ვისგანაც გამოვიგზავნე მე, რადგან გაუკვირდა მას ასეთ ადგილას ცეცხლის კვამლი და საერთოდ ადამიანის აქ ყოფნა“.

როდესაც შეიტყო წმინდანმა, რომ მთავარი და ამ ადგილთა პატრონი ყოფილა [ახლომახლო], გამოწველილვით გამოიკითხა მთელი მისი საქმიანობა და როგორც კი გაიგო ზედმიწევნით, რომ მართლაც ამ ადგილთა პატრონია იგი და მთელი იმ მხარეების მფლობელი, დაუყოვნებლივ დაიწყო წმინდა სერაპიონმა და მყისვე მოუთხრო მას, თავიდან ვიდრე ამ დრომდე, თუ რა მიზეზით მოვიდნენ ამ ადგილას და რომ განიზრახავენ მონასტრის აშენებას. დასძინა კიდევ შემდეგი: „სადვთო ბრძანებაა ეს და მოწაფეები ვართ ნიშებითა და სასწაულებით გაბრწყინებული მიქაელ პარეხელისა“.

გაიგო რა იმ კაცმა და ნახა რა ეს ყოველივე, ყველაფერი ამცნო დიდ მთავარს და ყველა მსახურს, რომლებიც მთავართან ერთად შიშმა და გაკვირვებამ შეიპყრო და მოჩვენებად ჩათვალეს ეს ამბავი,

მაგრამ ის კაცი ეუბნებოდა მათ: „ადამიანები ვნახე, ყოვლად ხორცში მყოფნი, მონაზონთა ხატითა და სახით, არა მოჩვენებით, არამედ ცხადად“. როდესაც გათენდა, კვლავ უბრძანა მთავარმა ორ თავის ახლობელს, რომლებიც გონებითაც ფრთხილნი იყვნენ, რომ ზედმიწევნით გაეგოთ ყოველივე.

ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი. და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულისჯმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწლედ მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყუანის-ს[ც]ეს რა[მ], და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად.

მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა:

„ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოხედვა-ყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გჴრუენნა კაცნი ზეცისანი. ხოლო აწ გულსავსე გუყვენით ჩუენ, თუ რომლისათჳს ჯერ-იჩინა სიწმიდემან [თქუენ]მან მოსლვა[მ] ულუაწთა ამათ და უვალთა ადგილთა“

მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პატიოსნისა ჯუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრმით სულისა[მ]თ და ესრეთ ჰრქუა მათ: „ჩუენ, ჰ საყუარელნო, დაღაცათუ ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი, და გურწამს ქრისტე ღმერთი ჩუენისა ცხორებისათჳს განკაცებული და მოველით აღდგმასა ყოველთასა და წმიდათათჳს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ არას ვიტყვთ გარეგან ჭეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქ[უ]მულისა მიქაელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოჲთა მის მიერ წარმოვლენილნი, და რაჲთა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთა[მ]“. და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. ხოლო მათ ვითარცა გულისჯმა-ყვეს, რამეთუ ჭეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი, სახელი დიდისა მის მოძღურისა[მ] ესმა, თაყუანის-ს[ც]ეს ხატსა მას ცხოველსა, და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რაჲთა წინაშე გიორგი ღმრთისმსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრას. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქაელისნი არიან, ირწმუნა ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთა[მ] და განიხარა, და წარვიდა სახიდ თჳსსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

წამოვიდნენ ეს კაცები და როდესაც მოვიდნენ ისინი წმინდა მამის წინაშე, წმინდანმა კი შეხედა მათ და შეიტყო, რომ მთავარნი არიან და იმ დიდი მთავრის ახლობლები, მიეგება და სიყვარულით მოიკითხა. შემდეგ ხატის წინ წარადგინა ისინი და მათაც, თაყვანი სცეს რა, კურთხევა მიიღეს და გაიხარეს მეტისმეტად.

მაშინ ამ მთავრებმა უთხრეს წმინდა სერაპიონს და სხვა ძმებს:

„ვმადლობთ ღმერთს, წმინდა მეუფენო, რომელმაც ამჟამად მოიხედა ჩვენზე და მიწაზე გვიჩვენა ზეცის ადამიანები, ახლა კი ის გვითხარით სარწმუნოდ, თუ რის გამო ინება თქვენმა სიწმინდემ ამ ველურ და გაუვალ ადგილებში მოსვლა“.

მაშინ წმინდა მამა სერაპიონმა გამოსახა პატრიოსანი ჯვარის სახე, სულის სიღრმიდან ამოიკენესა და ასე უთხრა მათ: „ჩვენ, ჰოი საყვარელნო, თუმცადა ცოდვილები ვართ, ადამიანები ვართ ქრისტიანები და გვწამს ქრისტე ღმერთი, ჩვენი ცხოვებისთვის განკაცებული, და მოველით ყველას აღდგომას და წმინდანებისთვის გამზადებულ ნეტარებას. ამიტომ, არაფერს ვიტყვით ჭეშმარიტებისგან დაშორებულს, რადგან მოწაფეები ვართ დიდი და სახელგანთქმული მიქაელ პარეხელისა და მის მიერ წარმოგზავნილები საღვთო ბრძანებით, რომ ამ ადგილას ავაშენოთ სიტყვიერ²⁶ ცხვართა შესაკრებელი“. და ასე მოუთხრო, შემდეგ და შემდეგ, ყველაფერი, ხოლო მათ, როგორც კი შეიცნეს, რომ ჭეშმარიტია მისი სიტყვები, და დიდი მოძღვრის სახელიც ესმათ, თაყვანი სცეს ცხოველ ხატს, მოიკითხეს ეს წმინდანები, შემდეგ კი წამოვიდნენ და წარდგნენ ღვთისმსახური გიორგის წინაშე, რომ ეთქვათ მისთვის ყველაფერი, რაც ნახეს და გაიგონეს, მან კი როდესაც შეიტყო, რომ მიქაელის მოწაფეები არიან, ირწმუნა მათი სიტყვების ჭეშმარიტება, გაიხარა და წავიდა თავის სახლში, სურვილი ჰქონდა რა მათი ნახვისა.

VII. ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაათა მზა-
ყვნენ გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვნენ
წმიდანი იგი. და აღეკაზმა და აღილო მცირედი რა[ა]მე ევლო-
გიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ მეუდაბნოეთა, და მის
თანა წარიყვანნა ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა. და
წარავლინნა წინაჲთ მკურცხლ მავალნი[ი], რაათა განჰმზადებდენ
გზათა; და მი-რა[ა]-იწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი
იყვნეს. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს
მთავარსა და სადა-იგი წყარო[ა] [არს], განვიდეს ადგილსა მას,
ვინა[ა]ცა გარდავდა სავედარსა და შეუვრდა ხატსა მას ცხოვე-
ლსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ
მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და მღუღარ-
ითა სულითა ეტყოდა: „და ვ[ჰ]მადლობ ღმერთსა და მეუფესა, ჰ
წმიდანო, რომელმან არა უგულუბელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და
დღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან აწ ღირს-
მყო ყოვლად არაღირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველ-
სა ხატსა მისსა, და მერმე – წმიდათა პირთა თქუენთა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა
და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლმწოთოლვართა
მით ენითა სწავლათა საღმრთოთა. და ვითარცა მდინარე
ედემისა[ა] აღმოუწყაროდა ოქრონაკადულით პირით მისით,
რომლისათვისცა განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე-
მდგომნი, რომლისათვისცა შეუვრდეს ფერვთა მისთა და ეტყ-
ოდეს: „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი ქრისტემან მოგავ-
ლინა, აწ უკუე ჯერისაებრსა ყოფად გვბრძანებდი, მამაო!“

და წმიდათა მათ ძალისაებრ ჰ[რ]ქუეს არა ყოვნებად საღმ-
რთოსა ბრძანებასა, ვითარცა ჯერ-არს ადგილსა ამას აღ-
შენებად მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთისმოყუარე-
თა. ხოლო მთავარი იგი შეუვრდა მათ და ეტყოდა: „გევე-
დრები, ჰ წმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა,
რამეთუ აჰა ესერა ხედავთ, ვითარ ყოვლითურთ უქმ და
ულუაწ არს ადგილი ესე, და ყოვლად უღონოდ გხედავ თქუენ

7. სამი დღის შემდეგ ბრძანა მან, რომ გაემზადებინათ იმ ადგილამდე მისასვლელი გზები, სადაც იყვნენ წმინდანები. შემდეგ შეიკაზმა იგი, აიღო მცირე რამ მოსაკითხი, რაც შეეფერებოდა ამ მეუდაბნოე ადამიანებს, თავისთან წაიყვანა ხუცესებიც საცვეცხლურ-საკმეველებით და წინ გაუშვა მალემსრობლები, რომ მათ გზები მოემზადებინათ. როდესაც მიადწიეს იმ ადგილს, სადაც წმინდანები იყვნენ, და ამ წმინდანებმაც გაიგეს რა, მყისვე წინ მიეგებნენ მთავარს და გავიდნენ იმ ადგილას, სადაც წყაროა. ის კი ჩამოქვეითდა სახედრიდან და შეუვრდა ცხოველ ხატს, ასევე, მოიკითხა წმინდანები და იკურთხა მათგან. მაშინ უთხრა მთავარმა ნეტარ მამებს, ეუბნებოდა რა მღუდარე სულით: „გმადლობ ღმერთსა და მეუფეს, ჰოი წმინდანებო, რომელმაც არ უგულვებლყო ჩვენი უღირსება და ჩემს სიცოცხლეში მოახდინა ჩემთან სასწაული, რომელმაც ახლა ღირსი გამხადა მე, ყოვლად არაღირსი, ჯერ თავისი ცხოველი ხატის თაყვანისცემისა, შემდეგ კი – თქვენი წმინდა სახეებისა“.

სანატრელი სერაპიონი აივსო სულიწმინდით. იგი თაფლადმწვეთი ენით მდინარისებრ ამოადინებდა საღვთო სწავლებებს და როგორც ედემის მდინარე, თავისი ოქრონაკადულიანი პირიდან ამოუწყაროებდა მათ [ამ ყოველივეს], რამაც განაცვიფრა მთავარი და ყველა მსახური. ამის გამო ისინი ფერხით შეუვრდნენ მას და ეუბნებოდნენ: „როგორც ერთ-ერთი მოციქული, ასე მოგავლინა შენ ქრისტემ. ამიტომ ახლა ის გვიბრძანე, მამაო, თუ რის გაკეთება გვმართებს“.

წმინდანებმაც უთხრეს, რომ რამდენადაც შესაძლებელი იყო, ნუ დააყოვნებდნენ საღვთო ბრძანებას, რათა ამ ადგილას, როგორც საჭიროა, აშენებულიყო მონასტერი ღვთისმოყვარე სულების შესაკრებად. მთავარი შეუვრდა მათ და ეუბნებოდა: „გვედრებით, ჰოი წმინდანებო, ნუ დაამძიმებთ ჩემზე თქვენს სათხოვარს, რადგან, აჰა, ვხედავ, თუ როგორ ყოვლითურთ ფუჭია და ველური ეს ადგილი და თქვენც

მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინა[მ]თგან ღმერთსა მოღუ-
აწედ ჩემდა მოუვლინებით, საქმენი ესე, რომელთა იტყვთ,
თვნიერ ჩემსა არა წარემართებიან. აწ უკუე არს ადგილი,
რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინამცა
ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რაათა მუნ აღვაშენოთ მონ-
ასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოვლად რა[მ]საცა
ეგევითარისა საქმედ“.

ხოლო წმიდა იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან
უბრძანა მოსეს კუერთხითა განპებად ზღვსა[მ] და კუალად
უდაბნოს კლდისაგან უღალისა აღმოცენებად წყალი, და მოღე-
ბასა საზრდელისასა უწვმა მანანა[მ] ერსა, ვინა[მ] იგივე არს
აქაცა, რომელმან ძნელოვანნი ადვილ ყვნეს ჯერჩინებითა
შენითა და შეწვენიითა საღმრთოთა. ხოლო შეუძლებელ არს,
რაათამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინაგანვეწყენით და ად-
გილი ესე სხუად ვცვალეთ, რამეთუ ნიშნი და უწყებანი ადგ-
ილსა ამას უწამებენ“. ხოლო მთავარმან ჰრქუა: „ეგებისა ესე,
მამაო, რაათა კაცმან ნეფსით თავი ჭირთა მისცეს და
უკუანა[მ]სკნელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად?“ ხოლო
წმიდა იგი ეტყოდა: „გონიერად ისმინე, შ მთავარო, იგავი ესე,
რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატრიოსანნი მიმოგანზნეულ
რაა იყვნენ თანააღრევით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე
თუალებსა ხილვისმოყუარეთასა, ვითარ-იგი რაჟამს გამოიჯურ-
ვნენ და განწმდენ და ოქროთხზულებით შეიწყვნენ კეთილთა
მიერ მჭედელთა, მაშინლა გამოჩნდეს ბრწყინვალებად მათი
და იქოს მუშაკი და შუენიერებად მათი. ეგრეთვე ადგილი ესე
რაჟამს ველ-ყონ ველოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალ-
მან მხილველთამან შუენიერებად ადგილისა ამის, ვინა[მ]ცა
ნუ გუაიძულებ დატევებად ადგილისა ამის და სხუად ცვალე-
ბად, რამეთუ ესე ვერ ეგების ჩუენ მიერ“.

ესე რაა ესმა მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა.
ამისსა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: „ლოცვა
ყავთ ჩუენთვს, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე,

ყოველად არასმქონედ გხედავთ მსგავსად მოციქულთა, ხოლო რადგან ღმერთს ჩემთან მოუველინებიახართ სამოღვაწეოდ, ეს საქმე, თქვენ რომ ამბობთ, ჩემს გარეშე არ გაკეთდება. ამიტომ, რადგან არის ადგილი, რომელიც ამ საქმისთვის მოსახერხებელია და შესაფერისი, ბრძანოს თქვენმა სიწმინდემ, რომ იქ ავაშენოთ მონასტერი, რადგან აქ ყოველად შეუძლებელია რაიმე ამგვარის გაკეთება“.

წმინდანი კი ამას ეტყოდა: „ღმერთი, რომელმაც უბრძანა მოსეს ზღვის გაპობა კვერთხით და კიდევ, უდაბნოს ფრიალო კლდისგან წყლის გადმოდინება, ხალხს კი საჭმლის მიღებისას მანანა უწვიმა, იგივე არის აქაც, რომელიც შენი ნებით და საღვთო შეწევნით სიძნელეებს გააადვილებს, ხოლო ის, რომ საღვთო ბრძანებას შევეწინააღმდეგოთ და ეს ადგილი სხვით შევცვალოთ, შეუძლებელია, რადგან ნიშები და მონათხრობები ამ ადგილს ემთხვევიან“. მთავარმა უთხრა: „განა ეგების, მამაო, რომ აღამიანმა ნებაყოფლობით მისცეს გაჭირვებას თავი, ბოლოს კი შერცხვინილი და ფუჭად დამაშვრალი აღმოჩნდეს?“ წმინდანი უპასუხებდა: „გონივრულად ისმინე, ჰოი მთავარო, ეს იგავი: თუკი მარგალიტები და პატროსანი თვლები გაიფანტებიან და მიწას შეერევიან, ისე როდი იბრწყინებენ ხილვისმოყვარეთა თვალწინ, როგორც მაშინ, როდესაც კარგ მჭედელთაგან გამოიწვევიან, განიწმინდებიან და ოქროთხზულად შეიწყობიან. სწორედ მაშინ გამოჩნდება მათი ბრწყინვალება და შეიქება ოსტატიც და მათი მშვენიერებაც. ასევე, როდესაც დახელოვნებული ოსტატები დაამუშავებენ ამ ადგილს, მაშინ ნახავს დამნახველი თვალი ამ ადგილის მშვენიერებას. ამიტომ, ნუ გვაიძულებ ამ ადგილის დატოვებას და სხვაგან გადასვლას, რადგან არ ეგების ეს ჩვენგან“.

როდესაც მთავარმა მოისმინა ეს, დახარა თავი და დადუმდა. ამის შემდეგ ადგა იგი, ილოცა და უთხრა მათ: „ილოცეთ ჩვენთვის, წმინდანო, რადგან მე არ მშურს ეს ადგ-

ხოლო სსუად თანაღმობაჲ და შეწევნა[ა] ყოვლად შეუძლებელ არს“. და მოჰგუარეს მას საჯედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა წმიდათა მათ: „არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა“. და წარვიდა მწუხარე. და ვითარცა მივიდა მდინარესა მას წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რა[ა]მე კლდე და გარდავდა მას ზედა და დაჯდა. და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას: „მივედ, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რამთა მოვიდენ ადგილსა ამას“. ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი, ჰ[რ]ქუა თვსთა საკუთართა: „ვინა[ა]თგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მას ზანავისათა, რამთამცა მუნ გუეშენა უდაბნო[ა] დიდი და მაღალი, აწ უკუე რაჲ ჯერ-არს ყოფად?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „რამთა არა დაეაბრკოლოთ გულსმოდგინებაჲ მათი“.

ხოლო მთავარმან ჰრქუა: „საღმრთოჲსა ძალისა განუგებელად არა არს საქმე ესე კაცთაგან. ამისთვისცა ჯერ-არს, რამთა ძალისაებრი ვაჩუენოთ შეწევნა[ა]“. და ვითარცა მოიწინეს წმიდანი იგი ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გევედრები, წმიდანო ღმრთისანო, რამთა ერთი მომმადლო[თ] მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ იგინი, და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საჯმარი უხუებით“.

ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუალადცა ჰრქუა: „მსგავსად მოციქულისა ვიტყოდი: «უკუეთუმცა ანგელოზი მასარებდა, გარეშე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურწამს»“.

მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და სვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინა[ა]თგან ადგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოოს დამასრწეველ მათდა უცხოებისათვს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძა-

ილი, სხვა მხრივ კი თანაღმობა და შეწევნა ყოველად შეუძლებელია“. და მოუყვანეს მას სახედარი და წავიდა, თან ეს მიუგო და უთხრა წმინდანებს: „ნუთუ არ ვიყავი ღირსი თქვენი ლოცვისა?“, და წავიდა დამწუხრებული, ხოლო როდესაც მივიდა იგი მდინარესთან, მათ წინაშე რომ იყო, ნახა მცირე რამ კლდე, გადავიდა მასზე და დაჯდა. შემდეგ მოუხმო ერთ-ერთ მონას და უთხრა მას: „მიდი, ძმაო, და უთხარი იმ წმინდანებს, რომ მოვიდნენ ამ ადგილას“, ხოლო როდესაც გაგზავნა ისინი, უთხრა თავის ახლობლებს: „რადგან არ ინებეს იმ წმინდანებმა ზანავის ადგილები, რომ იქ აგვეშენებინა დიდი და მაღალი უდაბნო, ამჯერად რაღა უნდა ვქნათ?“ მათ მიუგეს: „ის, რომ არ დავაბრკოლოთ მათი გულმოდგინება“.

მთავარმა უთხრა: „სადგოთ ძალის განგებულების გარეშე ადამიანთაგან არ ხდება ეს საქმე. ამიტომაც საჭიროა, რომ შეძლებისდაგვარი შემწეობა გამოვიჩინოთ“; და როდესაც მოვიდნენ წმინდანები იმ ადგილთან, კვლავ უთხრა მათ მთავარმა: „გვედრებით, ღვთის წმინდანებო, რომ ერთი რამ მომმადლოთ მე, რამეთუ არის მრავალი ადგილი, კარგი და ძლიერად მოშენებული. ნახეთ ისინი და თუ ძალიან ესათნოება თქვენს სულს, აჰა ადგილები, შესასვლელები და ყოველგვარი სახსარი უხვად“.

მაგრამ ნეტარმა სერაპიონმა კვლავ მიუგო: „მოციქულის მსგავსად ვიტყვოდი: თუნდაც რომ ანგელოზი მახარებდეს იმის გარდა, რაც გვეხარა, არ გეწამს“²⁷.

მაშინ გიორგიმ მოუხმო ვიდაცას, ასაკით (ესე იგი შემძლებობით) ჭაბუკს და უთხრა: „საყვარელო შვილო, უმეგზურე ამ წმინდანებს და ხვალ განთიადიდან საღამომდე რამდენსაც შემოწერიტად შემოვლიან, მიმიცია მათთვის, ვინაიდან ამ ადგილის მსურველნი არიან, და თუ აღმოჩნდება ვინმე ხელისშემშლელი მათთვის, რადგან უცხოები არიან, ყველას აუწყე, რომ ისინი თავისუფლად და ნებისამებრ

ნებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულპრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს“. ვინა[ა] წმიდათა მათ განიხარეს ფრიად და მადლობაჲ აღუარეს.

და მამათა ღამე იგი კლდესა მას ზედა განათიეს.

და ესეცა სიტყუაჲ ჭემმარიტ არს, მოწვეწული ჩუენდა, ვითარმედ ხილვა[ა] ანგელოზისა[ა] იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულსმოდგინებით შრომად უბრძანებდა, რომლისათვისცა შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან ველითა თვისითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა.

ხოლო უკუანა[ა]სკნელ მცირე ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სნეულთან იქმნებოდეს საღმრთო[ა]საგან მადლის[ა] წმიდათა მათ მთავარანგელოზთა[ა]სა.

VIII. ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა[ა].

რამეთუ გან-რაჲ-ათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმა[ა] მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხუ ექუს იყო, და წარემართნეს ჭაბუკსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევენეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით-კერძო.

და ვითარ ვლეს, მიიწი[ნ]ეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქულ[ი], სახლი რა[ა]მე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა «სადმო» ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რა[ა]მე უკეთურნი, ყოვლად მკვეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცო[ა]სა და უცხო[ა]სანი.

„... და ვითარცა მივიწიენით ადგილსა მას, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი, გუეტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, სა[ა]მე გნებავს სლვა[ა]?“

აშენებენ მონასტერს ჩვენს საბრძანებელში“, წმინდა მამებს კი ეუბნებოდა: „დარწმუნებული იყავით, რომ მთელი ძალით თანაშემწე ვარ თქვენი და მზრუნველი, და არავინ არის ჩვენი მოწინააღმდეგე ამ ადგილებში, რომელთა დაპატრონებაც განიზრახეთ, თუმცა სამი დღის შემდეგ კვლავ გნახავთ, თუ უფალი ინებებს“. ამის გამო ძალიან გაიხარეს წმინდანებმა და სამადლობელი აღმოთქვეს.

შემდეგ ის ღამე კლდეზე გაათიეს მამებმა.

და ეს სიტყვაც, ჩვენამდე მოსული, ჭეშმარიტია, რომ ამ ღამეს ანგელოზის გამოცხადება იხილა სერაპიონმა, რომელიც განაძლიერებდა მას და გულმოდგინე შრომას უბრძანებდა, რისთვისაც ორი დღის შემდეგ წმინდანმა გააკეთა ორი ჯვარი თავისი ხელით და იმ კლდეზე აღმართა მთავარანგელოზთა სახელზე,

მოგვიანებით კი მცირე ეგვიპტეშიც აშენდა, რადგან ნიშები და სწეულთა განკურნებები ხდება წმინდა მთავარანგელოზთა საღვთო მადლით.

8. მაგრამ ჩვენ კვლავ დაგუბრუნდეთ პირველ სიტყვას და შეძლებისდაგვარად ვფლობდეთ თხრობის წესს.

ვინაიდან როდესაც გაათიეს მათ ის ღამე და მზე ამობრწყინდებოდა, ადგა წმინდანი, მისი ძმა იოანე და ერთ-ერთი ძმათაგანი, რომელთა რაოდენობაც იყო ექვსი, და ეს სამი წავიდა იმ ჭაბუკთან ერთად, ხოლო სამი ადგილზე დარჩა; იმათ კი მსვლელობა დაიწყო მდინარეს პირზე დასავლეთისკენ.

იარეს რა, მიაღწიეს ორი წყლის შესაკრებელს, სადაც იყო წისქვილი, – რაღაც სახლი წყალთა შესაკრებლის შუაში, რასაც „სამომ“ ეწოდებოდა. მის შიგნით იყვნენ ვინმე უკეთური ადამიანები, ყოვლად მხეცისმსგავსნი, როგორც უკაცრიელი და უცხო ადგილის [მკვიდრნი].

... და როცა მივალწიეთ იმ ადგილს, მაშინ ჩვენმა წინამძღოლმა ჭაბუკმა გვითხრა: „ღვთის წმინდანებო, საით-კენ გნებაეთ წასვლა?“

ხოლო ჩუენ გუენება, რაათა გარეშეწერიტ შემოვლოტ სიმგრ-
გულე მათ ადგილთა[ა], ვინა[ა] პირი სამხრით ვიქც[ი]ეთ თანააღუ-
ოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გუხილნეს რაა კაცთა
მის დაბა-წისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა
ცოფნი წინა რბიოდეს. ხოლო ჭაბუკი იგი აყენებდა მათ და
რისხვით უთქუმიდა, რომელთაცა მიექცა წმიდაა იგი და
რისხვით ეტყოდა წინამსწარმეტყუელებით: «ვიხილე უღმრ-
თოა აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა და თანაწაგუკვედ,
და არა იპოვა ადგილი მისი».

ხოლო, შენ, იხილე, საყუარელო, თუ ვითარ საღმრთო[ა]თა
სულითა საესე იყო წმიდაა ესე, ანუ თუ რასა-და მოასწავებდა
კაცთა მათოჲს სიტყუთა მით საწინამსწარმეტყუელო[ა]თა, არამედ
შემდგომად მცირედისა მოოჯრებასა და სრულიად უჩინოყო-
ფასა ადგილისაგან მათისა, რომელი-იგი შემდგომად მცირედისა
დრო-მეც, საყუარელო, და სიტყუამან წარმოგიჩინოს.

ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუმად. რამეთუ „აღუკყევით
პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ვეესა რასმე ღრმასა და
ულაღსა, რომელსა «**გოდერძისა**» ეწოდების, და ფრიად ძლით
შევედით მას შინა, ვინა[ა]ცა სიჯშო[ა]სა მისგან მყოვარ ჟამ
ვერღარა ვიხილეთ ცაა ანუ მზისა შარავანდედი, რომლისათუ-
ცა ჭირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სიზრქით
აღმურისა[ა]თ ანუ სიღრმით უყისა[ა]თ აღმოშობილნი, აღვედით
რაა თაესა მის ვევისასა და ვიხილენით მცირენი რა[ა]მე ყანო-
ბირნი და მცირე დაბაა.

და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მცცოვანი, და
მოწლედ მოიკითხვიდა წმიდასა მას და აწუევედა, რაათა მცირ-
ედ განისუენოს შრომისა მისგან, რამეთუ განსმენილ იყო მოსლვა[ა]
ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა. და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ
რად გუკვმს უგ ზოთა და უვალთა ადგილთა სლვა[ა]. ხოლო
ჭაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედამიწ-
ევნით მიუთხრა. და ვითარცა მრავალგ ზის გუევედრებოდა კაცი
იგი, რაათა ღამესა მას საეანე ვყოთ სახლსა მისსა. ხოლო

ჩვენ კი გვსურდა, რომ გარეშეწერითად შემოგვევლო იმ ადგილთა წრე, რის გამოც სამხრეთისკენ ვიბრუნეთ პირი, რომ თან ავყოლოდით ერთ-ერთ მდინარეს, მაგრამ როდესაც დაგვინახეს იმ დაბა-წისქვილის ადამიანებმა, დაიწყეს ჩვენი შეჩერება და როგორც ცოფიანები წინ დარბოდნენ. ჭაბუკი აჩერებდა მათ და მრისხანედ ეშუქებოდა, წმინდანი კი მიუბრუნდა და რისხვით უთხრა წინასწარმეტყველურად: „ვნახე უღმერთო ამადლებული ლიბანის ნაძვებამდე და ჩაუვარე, და არ აღმოჩნდა მისი ადგილი“²⁸.

ხოლო შენ, საყვარელო, ნახე, თუ როგორ სავსე იყო ეს წმინდანი საღვთო სულით, ანდა სხვას რაღას მოასწავებდა იგი საწინასწარმეტყველო სიტყვით იმ ადამიანებისთვის, თუ არა ცოტა ხნის შემდეგ მათი ადგილის დაქცევას და სრულ მოსპობას, რასაც ცოტა ხნის შემდეგ, – მადროვე საყვარელო და, – სიტყვა წარმოგიჩენს.

ახლა კი თავდაპირველ სათქმელს შევეხოთ, რადგან „ავყევით მდინარის პირს და მივალწიეთ რაღაც ღრმა და ფრიალო ხევს, რომელსაც „გოდერძისა“ ეწოდება, და ძალისძაღად შევედით შიგნით, ისე რომ სიხშირის გამო კარგა ხანს ვეღარ დავინახეთ ცა თუ მიწის სხივი. ამის გამო, გაჭირვებით და ჯაფით დაყოვნებულები, როგორც არმურის სისქისგან ანდა ჭაობის სიდრმისგან აღმოშობილები, ავედით ხევის თავზე და ვნახეთ მცირე რამ ყანები და მცირე დაბა.

იქიდან მყისვე შემოგვეგება მხცოვანი ვიდაც კარგი კაცი, რომელიც სიყვარულით მოიკითხავდა წმინდანს და ეხვეწებოდა, რომ ცოტათი დაესვენა ამ ჯაფისგან, რადგან ჩვენი მოსვლა გახმაურებული იყო მთელ იმ მხარეებში. გვეკითხებოდა ის კაცი, თუ რად გვჭირდებოდა უგზო და გაუვალ ადგილებში სიარული. ჭაბუკმა იცნო იგი და მთელი ჩვენი ამბავი ზედმიწევნით აუწყა მას, ხოლო რადგან მრავალგზის გვევედრებოდა ის ადამიანი, რომ იმ ღამეს მის სახლში მოგვეს-

წმიდამან მან მადლობით მიითულა კეთილი იგი გონებად მისი და ჰკითხა სახელი და ჰ[რ]ქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს არამისლვა[მ] ჩუენი ადგილსა მას **«დროსსა»**. და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი **ია**, ხოლო დაყოვნებულ თქუენდა [არს] ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყვთ“.

ვინა[მ] წმიდაჲ იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმაო ია, შრომა[მ] თავს-იდევ ღმრთისათჳს და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ“. ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი. და რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოვლად არარაჲსა გემო[მ] უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანამოგზაურ გუექმნა ჩუენ და წარვემართენით აღმოსავალით-კერძო და ვიდოდეთ ქედთა რა[თ]მე მალალთა, ტყიანთა და ლოდოანთა. და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?“

ხოლო იგი ეტყოდა: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათა[მ] და **«ბაკთა»** ეწოდების“.

ხოლო წმიდამან მან აღიღო ველითა თჳსითა ორთოვი რკინისა[მ] და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილვებიან ვიდრე დღენდე[ლ]ად დღემდე.

კუალად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავალით-კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა, რომელი-იგი სახედ მწვრისა იხილვებოდა. დაგკვრდა ჩუენ ფრიად და ვ[ჰ]კითხეთ კაცსა მას: „რაჲ არს ადგილი ესე უცხო[მ]სა ამის წყლისა[მ]?“ ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ მღრჳე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების **«სათავუე»**. და არს ამას შინა სიმრავლე თავუთა [და] სხუათა ნადირთა[მ] და დედა[მ] შფოთთა და ბრძოლათა[მ], რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მღევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მღევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თჳთოეულისა“.

და ვითარცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, და კაცი იგი ია შეუვრდა წმიდასა და ღმრთისა მადლობასა აღუარებდა ხილ-

ვენა, წმინდანმა მადლიერებით მიიღო მისი ეს კარგი განზრახვა, ჰკითხა სახელი და უთხრა: „შეუძლებელია, რომ არ მივიდეთ ჩვენ «დროსის» ადგილას“. და ის კაცი ეუბნებოდა: „ჩემი სახელია ია, ხოლო თქვენი მისვლა იმ ადგილას, რომელსაც ამბობთ, დაგვიანებულა“.

მაგრამ წმინდანი მიუგებდა: „საყვარელო ძმაო ია, ღვთისთვის გასწიე ჯაფა და ცოტა ხნით ჩვენი თანამგზავრი გახდი“. ხოლო მიიღეს მათ ცოტაოდენი პური, მარილი და ყველი, და რომლებსაც უნდოდათ, ჭამეს, ხოლო წმინდანს საერთოდ არაფრის გემო არ გაუსინჯავს.

ამრიგად, ის კაცი, ია, თანამგზავრად გაგვიხდა ჩვენ და გავემართეთ აღმოსავლეთისკენ. მივიღოთ რაღაც მაღალ, ტყიან და კლდოვან ქედებში და როდესაც ავედით უმაღლეს ადგილებში, ჰკითხა იმ კაცს წმინდანმა: „საყვარელო ია, რა ეწოდება ამ ადგილს?“

მან მიუგო: „რადგან ეს არის ველის ნადირთა შესაკრებელი, ამიტომ «ბაკთა» ეწოდება“.

წმინდანმა აიღო თავისი ხელით რკინის ორთოხი და დიდ-დიდ რამ ლოდებზე გამოაქანდაკა ჯვრები, რომლებიც დღევანდელ დღემდე ჩანან.

კიდევ, გაიხედა წმინდანმა და დაინახა აღმოსავლეთ მხარეს ქედზე ლალით შერეული ტბა, რაც ჭაობისფრად ჩანდა. გაგვიკვირდა ჩვენ ძალიან და ვკითხეთ იმ კაცს: „რა არის ამ უცნაური წყლის ადგილი?“ იამ მოგვიგო ჩვენ: „ესაა მთლიანად მღვრიე ტბა, რომელსაც ეწოდება «სათახვე», და არის მასში თახვებისა და სხვა ნადირთა სიმრავლე, რის გამოც მშფოთვარებათა და ბრძოლათა დედაა იგი, რადგან ამ დროს აქ ჩნდებიან და ყოველი მხრიდან იკრიბებიან ნადირთა მღვერები, ურთიერთმღევარნი უმსგავსი საქმეებისა, რომლებიც თითოეული მათგანის მოსაკლავადაც მზად არიან“.

როდესაც გავემართეთ იმ ტბისკენ, ის კაცი, ია, შეუვრდა წმინდანს და ღმერთს სამადლობელს აღუვეენდა ჩვენი

ვისათვის ჩუენისა. და ესრეთ გუეტყოდა, რაათა ყოვლადვე უბრ-
ძანებდეთ, უკუეთუ რაა გუენებოს მის მიერ. ხოლო წმიდამან
ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჭაბუკი ესე
უმეცარ არს ადგილთა ამათ“.

და ია ეტყოდა: „ქრისტემან მომმადლოს, რაათა მარადის
ვიყოფვოდე სიწმიდისა თქუენისა თანა, მამაო“.

და ვითარცა შთავედით პირსა მის ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა
მას ჟამი დღისა[ა]. ხოლო მან მომიგო: „მწუხრ არს და მი-
ღრეკილ დღე“.

ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რაა არს იმიერით ქედთა ამათ
ტყიანთა, ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა[ა], რომელ არს
ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთა[ა] ესე მაღალი არს, თავი
ყოველთა ამათ ქედთა[ა], რომელსა ჰრქვან «თავი შეშათა[ა]»;
რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართა[ა], ამისთვის «**შე-
შის-თავე**» ეწოდების. და უვალ [არს] კაცთა და პირუტყუთა[გან]
სიმაღლისათვის მისისა. ხოლო წინა[ა]თ ჩუენსა არიან ადგილნი
მცირედ კაცრიელნი, და აწ ვინა[ა]თგან მოსწრაფე ხართ, რა-
თა ადგილსა მას «**დროსსა**» მიხვდეთ, არა ჯერ-არს ყოვნებად,
რაათა არა უჟამოდ გეწიოს ღამე“. ვინა[ა]ცა ენება წმიდასა
მას, რაათა ტბაა იგი მარჯუ[ენ]ით წარვლოთ და წარვიდეთ
ღელეთა მიერ, რომელნი იყვნეს წინაშე ჩუენსა.

და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი
უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაათა დავაცადოთ სლვა[ა]
კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ ჟამი არსო ნა-
დირთაა, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან
მონადირენი ადგილთა ამათ, რაათა არა იქმნას ცთომა[ა] მათი
თქუენ მიერ. და არა გვტევენეს რაათურთით წარსლვად კერძო-
თა მათ. და ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, ძლიერად წინააღუდგე-
ბოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმენა[ა], არამედ გარე-უკუ-
მოგუაქცინეს და პირი იგი ზღვსა[ა] მის დასავალით წიაღ-
ვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა
იყო ყოვლად კუალი მგზავრობისა[ა] და არცა გზა[ა].

ნახვის გამო, თან ასე გვეუბნებოდა, რომ უთუოდ გვებრძანებინა, რაც კი მოგვესურებოდა მისგან. წმინდანმა უთხრა მას: „ნუ წახვალ ჯერ, ძმაო, რადგან ამ ჭაბუკმა არ იცის ეს ადგილები“.

ია უპასუხებდა: „მომმადლოს ქრისტემ, რომ მუდამ თქვენს სიწმინდესთან ვიმყოფებოდე, მამაო“.

და როდესაც ჩავედით ტბის პირას, ვკითხეთ იმ კაცს საათი დღისა, მან კი მოგვიგო: „საღამოა და გადახრილია დღე“.

ხოლო წმინდანმა ჰკითხა: „რა არის იმ ტყიანი ქედების იქით ანდა [როგორია] სიმაღლე ამ დიდი მთისა, რაც ჩვენს ზევითაა?“ მან უპასუხა: „ეს მთა მაღალია, თავია ყველა ამ ქედისა, მას ჰქვია «თავი შეშათა», რადგან ყველა ამ ტყის თავია იგი. ამიტომ «შეშისთავი» ეწოდება მას და თავისი სიმაღლის გამო მიუვალია ადამიანთა და პირუტყვთაგან, ხოლო ჩვენს წინ არის მცირედით დასახლებული ადგილები და რადგან თქვენ იმას ესწრაფვით, რომ «დროსის» ადგილას მიხვიდეთ, არ შეიძლება დაყოვნება, ღამე რომ უდროოდ არ წამოგვეწიოს“. ამიტომ სურდა წმინდანს, რომ ის ტბა მარჯვნიდან გაგვევლო და წავსულიყავით ღელეების გასწვრივ, რომლებიც ჩვენ წინ იყო.

და როდესაც მივდიოდით, აჰა მოვიდნენ ვიღაც უკეთური ადამიანები, რომლებიც გვეუბნებოდნენ, რომ შეგვეჩერებინა სვლა იმ მხარეს, საითკენაც მივემართებოდით, რადგან ნადირთა დროაო, რომლებიც ტბასთან უნდა მოსულიყვნენ, და მონადირეებიც გზად არიანო ამ ადგილებში, თქვენს გამო კი არ მოხდეს მათი შეცდენაო. ამიტომ, არანაირად არ დავანებეს იმ მხარეს წასვლა. ის ჭაბუკი, ჩვენი წინამძღოლი, ძლიერ ეწინააღმდეგებოდა მათ, მაგრამ არავინ უსმინა მას, პირიქით, შემოგვაბრუნეს და იმ ზღვის ნაპირი დასავლეთისკენ გადავიარეთ, რითაც მივედით იმ ქედის ჩასასვლელის თავთან, სადაც არანაირი კვალი არ იყო არც ნავალისა, არც გზისა.

ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწო-
და **გარბანელ** და გუეტყოდა: „მივედით ადგილსა იმას ამის
იწრომსა მიერ გზისა, და კაცმან მან ადვილად მიგიყვანნეს
ადგილსა მას, სადა[ა]თ იქმნა წიაღსლვა[ა] თქუენი განთიად“.

IX. არამედ, საყუარელნო ძმანო და გულსმოდგინედ სმენის-
მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერ-არს ჩუენდა, რაათა ვისმენ-
დეთ საკვრველთა ამათ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა,
რომელმან ესევეითარი მოგუმაღლა ჩუენ მამაჲ და მოძღუარი.

და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა «**ბაბგენ**»
უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას «**ბობხა**»
წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთვის
გარბანელისა. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა მას და მოწლედ
მოიკითხა. ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და ეტყოდა
მას: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისა[ა], ძმაო!
ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ აღრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ
ბოროტთა და შფოთისმოყუარეთა[ა]“.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ
შთამოვედით შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა. და ვითარ
მივედით დაბასა მას, აჰა ესერა ზემო კაცი იგი ვსენებული
მივიდოდა სახედ თუსად ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა
გვხილნა ჩუენ ესევეითარითა რაათმე სახითა, განჰკრთა და მოწლედ
განგვკითხვიდა და განგვხილვიდა ჩუენ. და ვითარ ცნა, ვი-
თარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ
აღმენებად მონასტრისა, და იხილა რაჲ, ვითარ-იგი არღარა იყო
ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთა[ა] და ყოველითურთ დაბძარულ
იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხვა და ამბორს-უყ-
ოფდა ფერვთა მის წმიდისათა. და ესრეთ იხილა რაჲ წმიდამან
მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმაო
გარბანელო, აწ აჰა ესერა მცირედ თანალმოზით შეეწიე მგზა-
ვრობასა ჩუენსა და რაათა წარგვძღუე ვიდრე მდინარემდე,
რომელ არს ჩრდილო[ა]თ ჩუენსა“. ხოლო იგი გულსმოდგინედ

ხოლო ის კაცი, ია, გვიჩვენებდა მცირე რამ დაბას და ასახელებდა სახელოვან და კარგ კაცს, რომელსაც ეწოდებოდა გარბანელი, და გვეუბნებოდა: „მიდით იმ ადგილას ამ ვიწრო გზით და ის კაცი ადვილად მიგიყვანთ იმავე ადგილზე, საიდანაც დაიწყო თქვენი მსვლელობა განთიადისას“.

9. მაგრამ, საყვარელო ძმებო და გულმოდგინედ სმენის-მოყვარე მამებო, უფრო მეტად ის გვმართებს, რომ ვისმინოთ საკვირველი საქმეები და ვადილოთ ღმერთი, რომელმაც ამგვარი მამა და მოძღვარი მოგვმადლა ჩვენ.

როდესაც მოვედით იმ ადგილას, რომელსაც „ბაბგენს“ უწოდებენ, ვნახეთ პატარა ველი „ბობხად“ წოდებულ ადგილას, და გვითხრა ჩვენ იამ ყველაფერი იმ კაცზე, გარბანელზე. მაშინ ია შეუფრდა წმინდანს და სიყვარულით მოიკითხა, წმინდანმა კი ჯვარი გადასწერა და უთხრა მას: „ღმერთმა მოგაგოს შენი თანამგზავრობის სანაცვლო, ძმაო! გეტყვი კი შენ, რომ მალე ნახავ იმ ბოროტი და შფოთისმოყვარე ადამიანების მისაგებელს“.

როდესაც გაგვშორდა და წავიდა იგი, ჩვენ ჩავედით იმ თითქოსდა წყალთა ჩასაქანებელში და როცა მივედით იმ დაბაში, აჰა ზემოხსენებული კაცი მიდიოდა თავის სახლში თავის ორ ძესთან ერთად, და როდესაც დაგვინახა ჩვენ ამგვარი რამ შესახედაობით, განცვიფრდა, სიყვარულით მოგვიკითხა და დაგვათვალიერა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ სწორედ ისინი ვიყავით, რომლებიც მოვედით ამ ადგილებში მონასტრის ასაშენებლად, ამასთან ნახა რა, რომ აღარ იყო ჩვენზე ჩვენს შესამოსელთა ნასახი და რომ მთლიანად დამსკდარი იყო ჩვენი სხეულის ნაწილები, ცრემლით მოეხვია იგი წმინდანს და ეამბორა მის ფეხებს, ხოლო წმინდანმა, ნახა რა ეს კაცი, უთხრა: „საყვარელო და ქრისტეს მიერ ძმაო გარბანელო, მოდი ცოტაოდენი თანალობით შეეწიე ახლა ჩვენს მგზავრობას და გაგვიძეხი მდინარემდე, რომელ-იც ჩვენს ჩრდილოეთითაა“, ის კი გულმოდგინედ და ცრემ-

და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეგების ეგე, ზე ვშიდაო ღმერთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ვხედავ წყლულებასა ფერვთა თქუენტასა და [გევედრები], რაათა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რაათა ზედამიწვევნით ვცნა, უკუეთუ რაა-არს ესოდენი ესე მდუღარებაა სულისა თქუენისა[ა], რომელ ესრეთ გა[ი]ძულა დადებად სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“. ვშიდამან ჰრქუა მას: „შეუძლებელ არს ჩემგან, რაათამცა არა მივედით ადგილსა მას განჩინებულსა“. ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კუალად გამოვიდა თანა მეუღლითურთ; მსგავსად სარეფთელისა და სომანიტელისა შეუვრდეს ფერვთა ვშიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუვრდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: „აჰა ესერა არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არს ჟამი სლვისა[ა]“. ხოლო ვშიდაა იგი ეტყოდა: „რომელმან იგი გაბაონს ისო ნავესსა დაუყენა მზე და კუალად ვშიდასა მას ბერსა ბესარიონს, ამანვე ჩუენცა ღირს მყვნეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანისცემად ვშიდასა ხატსა მისსა“. მაშინ წარმოუძღუა კაცი იგი და წარმო-რა[ა]-ემართნეს, ჭაბუკმან მან ჰრქუა ვშიდათა მათ: „ლოცვა ყავთ ჩემთჳს, ვშიდანო, რამეთუ ხვალე ინებოს თუ ღმერთმან, შევემთხზო ვშიდათა ფერვთა თქუენტა“. ვინაჲცა ესე განგებულებით იქმნა, [რაათა] თანაეწამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომელსა შემდგომად მცირედისა ეგულების სიტყუასა წარმოთქუმა[ა].

და ვითარცა წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზა[ა] რა[ა]მე, იწრო[ა] და ძნიად საჭირველი. ხოლო გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა, რაათა თანა გზა-მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაა, და აღმავალნი კუალად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს.

ხოლო შენ, საყუარელო, განიხილე-ლა საკვრველი ესე, რამეთუ რაჟამს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლ-

ლით მიუგებდა: „არ ეგების ეს, ჰოი ღვთის წმინდანო, რადგან, აჰა, მზის ჩასვლისას მოგიყვანათ ღმერთმა თქვენს ცოდვილ მონასთან და ვხედავ თქვენს ფეხთა წყლულს, რის გამოც გევედრებით, მცირედით დაისვენოთ თქვენი მგზავრობის დაქანცულობისგან, რათა ზედმიწევნით გავიგო, თუ რა არის თქვენი სულის ესოდენი მღულარება, რამაც აგრერიგად გაიძულათ თქვენ, რომ გადაგეწვიცით ამ ფრიალო და გაუვალ გზებზე სვლა“. წმინდანმა უთხრა მას: „შეუძლებელია ჩემთვის, რომ არ მივიდეთ დაწესებულ ადგილას“. მაშინ შეირბინა შინ იმ კაცმა და კვლავ გამოვიდა მეუღლესთან ერთად. ისინი სარეფთელისა და სომანიტელის მსგავსად ფერხთით შეუვრდნენ წმინდანს, მაგრამ რადგან ვერ გადაარწმუნეს, ამჯერად ჩვენი წინამძღოლი ჭაბუკი შეუვრდა მის ძმას იოანეს და უთხრა: „აჰა, აღარ არის დარჩენილი ჩვენთან სული და დავემორჩილოთ ამ კაცს, რადგან აღარაა სიარულის დრო“. მაგრამ წმინდანი მიუგებდა: „რომელმაც გაბაონში ისო ნავეს-ძეს შეუჩერა მზე და კიდევ – წმინდა ბერ ბესარიონს, იგივე გაგვხდის იმის ღირსს, რომ ამ მზესთან ერთად ვნახავთ და თაყვანს ვცემთ მის წმინდა ხატს“. მაშინ გამოუძვია ის კაცი და როდესაც გამოემართნენ, ჭაბუკმა უთხრა წმინდანებს: „ილოცეთ ჩემთვის, წმინდანო, რადგან ხვალ, თუ ღმერთი ინებებს, შევეხები თქვენს წმინდა ფეხებს“. ხოლო ეს მოხდა [ღვთის] განგებით, რომ თანამოწამე ყოფილიყო იგი იმ დიდებული სასწაულისა, რისი წარმოთქმაც ცოტა ხნის შემდეგ აქვს განზრახული სიტყვას.

და როდესაც წამოვედით, გამოჩნდა ჩვენს წინ რაღაც გზა, ვიწრო და ძალიან საძნელო. გარბანელმა უბრძანა თავის ძეს, რომ თანამგზავრობა გაეწია ჩვენთვის ვიდრე მდინარის პირამდე. როდესაც იქ ჩავედით და კვლავ ზევით ავედით, დაგვინახეს ძმებმა და შემოგვეგებნენ.

შენ კი, საყვარელო, დაუკვირდი ამ საკვირველებას! როდესაც იმ კაცისგან წამოვედით, სანამ აქ მოვიდოდით,

ვამდე ჩუენდა, კუალად ეგო [მზე] ადგილსა მას სიტყუსაებრ წმიდისა, რომელი-ესე გკკრდა და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელთა მისთა [მადიდებელსა]. ხოლო გვხილნეს რამ ძმა-თა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოვლად არღარა იყო, და ფერვნი ჩუენნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს. და მცირედ რა[ა]მე ნუგეშინის-ვიეცით საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა, ხოლო განთენა რამ, შევწირენით ლოცვანი. და მოილო წმიდამან მან კელითა თუსითა შემამ, და ვითარცა პირველ ვთქუთ, და შექმნნა ჯუარნი და აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთასა.

და ვითარცა იყო ჟამი სამყამისა[ა], ვილოცევდით რამ ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ ვიხილენით რამ, განვიხარეთ. და იგინი იყვნეს შეპყრობილ შიშითა რამთმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი – ვითარცა მკუდარნი ხედვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხევდით მიზეზსა, თუ რა[ა]სათუს სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უვმო და უსიტყუ არიან?

ხოლო იწყო თხრობად გარბანელმან და ჰრქუა წმიდათა მათ: „რაჟამს-იგი წარმოხუედით თქუენ, და ჭაბუკი ესე ეყო ფრიად მაშურალ, და იყო ღამე, და მივიღეთ საზრდელი და გკკრდა ფრიადი სიმვნე თქუენი და ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ. ხოლო გან-რამ-თენა, წინაშე თქუენ[სა] წარმოსლვად ვემზადებოდით. აჰა ესერა იქმნა ძრვა[ა] და ოხრამ რამმე, ვითარცა ქარისა[ა] და განვკკრდით ფრიად. და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ, და ძლით იწყეს სიტყუად.

და ვითარცა ვჰკითხევდით, თუ: „რა[ა]-მე იყო ვჰამ ესე და ძრვაა?“ ხოლო ამათ მოგვგეს და გურქუეს, რამეთუ „განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღვენ[ი], და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოს

მზე კვლავ იმ ადგილზე იმყოფებოდა წმინდანის სიტყვისებრ, რაც გვიკვირდა და ვადიდებდით ღმერთს, რომელიც [მარადის ადიდებს] თავის მადიდებლებს, ხოლო როდესაც გვნახეს იქ მყოფმა ძმებმა, აცრემლდნენ ჩვენს გამო, რადგან ჩვენი სამოსი საერთოდ აღარ არსებობდა, ჩვენი ფეხები კი დაჩეჩქვილი და დამსკდარი იყო. მცირე რამ ნუგეშისცემად მივიღეთ საჭმელი, რაც აღმოჩნდა მათთან, ხოლო როდესაც გათენდა, შევწირეთ ლოცვები, ხოლო წმინდანმა თავისი ხელით აიღო შეშა და, როგორც ადრე ვთქვით, გააკეთა ჯვრები და აღმართა წმინდა მთავარანგელოზთა სახელზე.

როდესაც იყო დრო მესამე ჟამისა, ვლოცულობდით რა იმ ადგილას, აჰა ის კაცი, გარბანელი, და ჩვენი წინამძღოლი ჭაბუკი, აგრეთვე ორი ადამიანი (უცხო კაცები) აჩქარებით მოვიდნენ ჩვენთან, ჩვენ კი, დაგინახეთ რა, გავიხარეთ, ხოლო ისინი შეპყრობილები იყვნენ რაღაც დიდი შიშით, ხოლო ის უცხო ადამიანები შესახედავად იყვნენ როგორც მკვდრები. ჩვენ ვეკითხებოდით მიზეზს, თუ რატომ მოვიდნენ ისინი კვნესით და ოხვრით, ანთუ ვინ იყვნენ ეს კაცები, მკვლართა მსგავსად უხმონი და უსიტყვონი.

მაშინ დაიწყო თხრობა გარბანელმა და უთხრა წმინდანებს: „როდესაც წამოხვედით თქვენ, ეს ჭაბუკი იყო ძალიან დაქანცული; თან ღამე იყო და მივიღეთ საჭმელი, გვიკვირდა რა თქვენი მეტისმეტი მხნეობა. ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ, ხოლო როდესაც გათენდა, თქვენკენ წამოსასვლელად ვემზადებოდით და აჰა მოხდა რაღაც რყევა და ქარისებრ ხმაური, რაც ძალიან გაგვიკვირდა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ეს კაცები, როგორც თქვენ ხედავთ, და ძლივს დაიწყეს ლაპარაკი.

როდესაც ვეკითხებოდით, თუ რა იყო ეს ხმა და რყევა, ამათ მოგვიგეს და გვითხრეს: „გაიპო კლდე, რომელიც იმ ტბის დასავლეთით იყო, და გადადინდა მღვრიე წყალი, ხოლო ჩვენ, რომლებიც იმ ადგილის გარშემო აღმოვჩნდით, ძლიერი

ადგილისა მის, განვიზიარებთ ძლიერისა მისგან ზარისა და შთამოვედით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩუენდა“.

და ვითარცა იგინი ამას იტყოდეს, მოწამედ სიტყუათა მათა იხილვებოდა მდინარე იგი, რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თვისნი, რამეთუ ყოვლით-კერძო გარდაეცა მრღვე, ვითარცა მწვრე, რომლისათვისცა განკვრევაბამან შეგვპყრნა ყოველნი.

ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჰა ესერა ვხედავ, რამეთუ სიტყუანი შენნი საქმე არიან, ვინა[ე] მაქსოვს გუშინდელი იგი, [რა]ყამს-იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანამოგზაურ გუექმნა ვიდრე ტბამდე «სათავჯსა», ვითარმედ: „ადრე იხილო მისაგებელი კაცთა ამათ შფოთისმოყუარეთა და კუალად კაცთა მათ, რომელნი-იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაკეულნი; რამეთუ ვჰკონებ, რომელ არცაღა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის“.

ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროამ, ვცანთ ჭემპარიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისა იხილვების ველად ლოდოანად, ხოლო ადგილი იგი წისქვლ-სახლთა[ე] კუალად წარღუნულ და უჩინო. ამისსა შემდგომად შეუვრდა წმიდასა ჭაბუკი იგი და მიიღო ლოცვა[ე], და ჰრქუა: „უფალსა თუ ენებოს, ადრე გიხილნე, ხოლო უკუეთუ რამ გნებავს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებავს ხილვა[ე] თქუენი ადრე“. და წმიდამან ჰრქუა: „თვნიერ საღმრთოჲსა კურთხევისა არარაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმჯობესად უწყის ყოველი, სიტყვსაე[ბ]რ სოლომონისა: „ყურნი ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა“.

და წარვიდა ჭაბუკი იგი და ჩუენ დავითით ადგილსავე მას.

ხოლო მი-რა[ე]-იწია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად, და რომელთა ესმა, განკვრევაბა დაეცა, [ზარი] განჰვდა, და აღიღებდეს ღმერთსა, მაშინ ღმრთისმსახური იგი შიშითა და სიხარულითა აღივსო და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა, და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მის თანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი,

შიშისგან გავიფანტენით და ჩამოვედით ამ კაცთან, რადგან გვიცნობდა ჩვენ“.

როდესაც ისინი ამას ამბობდნენ, მათი სიტყვების მოწმედ ჩანდა მდინარე, რადგან ველარ იტევდა მას კალაპოტი, რამეთუ ყოველ მხარეს გადაედინა მღვრიე [წყალი] როგორც ლაფი, რის გამოც გაკვირვებამ შეგვიპყრო ყველა.

ხოლო ის ჭაბუკი ეუბნებოდა წმინდანს: „აჰა ვხედავ, რომ შენი სიტყვები საქმეა, რადგან მახსოვს გუშინდელი, როდესაც უბრძანებდით იმ კაცს, რომელიც თანამგზავრად გაგვიხდა «სათახვის» ტბამდე, მაღე ნახავთო მისაგებელს ამ შფოთისმოყვარე კაცებისთვის და კიდევ იმ კაცებისთვის, ეშმაკებივით წინ რომ დარბოდნენ წყალთა შესაკრებელთან, რადგან ფიქრობ, რომ კვალიც კი არ აღმოჩნდება იმ ადგილისა“.

როდესაც დაცხრა მდინარის წყალდიდობა, გავიგეთ სინამდვილე, რომ ტბის ადგილი ჩანდა კლდოვან ველად, ხოლო წისქვილ-სახლთა ადგილი კი წალეკილიყო და გაუჩინარებულიყო. ამის შემდეგ შეუვრდა წმინდანს ჭაბუკი, მიიღო დალოცვა და უთხრა მას: „უფალი თუ ინებებს, მაღე გნახავთ, ხოლო თუ რაიმე გსურთ მთავრისგან, მიბრძანეთ, რადგან მასაც სურს თქვენი მაღე ნახვა“. წმინდანმა მიუგო: „სადვთო კურთხევის გარეშე არაფერს შევკადრებთ მას, რადგან თვითონ უფრო კარგად იცის ყოველივე, სოლომონის სიტყვისებრ: „ბრძნის ყურნი მუდამ მზადაა სადვთო სიტყვებისთვის“²⁹.

და წავიდა ის ჭაბუკი და ჩუენ დავრჩით იმ ადგილას.

როდესაც მიაღწია ჭაბუკმა მთავართან და თანამიმდევრულად მოუთხრო ყოველივე, ყველამ, ვინც გაიგონა, გაცბუნდა, თავზარი დაეცა და ადიდებდა ღმერთს. მაშინ ღვთისმსახური მთავარი შიშით და სიხარულით აივსო და მთელ თავის საბრძანებელთან ერთად გაემართა სასწაულთა და ნიშთა სანახავად, ისევე როგორც – იმ ადგილების მეზობე-

რომელთაცა ასმ[ი]ოდა დიდი ესე საკრველებამ, და მყის კრებული დიდძალი შეკრბა ადგილსა მას, სადა-იგი იყვნეს წმიდანი იგი. და ვითარცა მოვიდა მთავარი, ამბორს-უყო ხატსა მას ცხოველსა, და შევრდომით მოიკითხნა იგინი, და განკრვებით იკითხვიდა სასწაულთა მათთს. და ყოველივე ზედამიწევნით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარევიდნეს, ვითარ ადგილი ტბისა[ა] მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალთა[ა] დაფარულ იყო ქვშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი ჭირისა მისგან განრომიდნი თვთ წარმოიტყოდნან.

ხოლო მოვიდეს მღდელნი და მონაზონნი თვთოეულთა მათგან ადგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ. და სხუანიცა მონაზონნი მრავალნი შემოკრბეს. და ადგილისა მისგან მის მდინარისკიდისა ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველ ვსენებულსა ბორცუსა აღვედით. და ბრძანებითა მთავრისა[ა]თა მოიქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა.

და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს გარემოთა ადგილთანი და თვთოეულ[ნი] უთხრობდეს წმიდათა მათ სიმარჯუესა სამონასტრეთა ადგილთასა, და კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა «**ძინძედ**» წოდებულისა მისგან ადგილისა, მოწლედ შეუვრდებოდა და აწუევდა, რაჟთა მუნ აშენებდენ, რომელსაცა მიუგო წმიდამან და პრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისაჲ არა დაემკვდრების, არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა, რამეთუ ბრმა[ა]ცა თანაწარჰვდების ოქროსა მის წინაშე მდებარესა, არამედ შენდობილ იყავნ პირველი ცთომა[ა] შენი, ხოლო ჩუენ ნუ ვინ გუაიძულებს სხუად ცვალებად ადგილისა“.

ხოლო ყოველი იგი კრებული დიდად განსთქუმიდეს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპეზასა ზღვსასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა და კუალად კიდობნისა მიერ განპეზასა იორდანისასა და კუალად გრიგოლის მიერ საკრველთმოქმედისა განვმობასა მის ტბისასა, რომე-

ლი მხარეები, რომლებსაც კი გაეგონათ ეს დიდი საკვირველება. მყისვე დიდძალი კრებული შეიკრიბა იმ ადგილას, სადაც წმინდანები იყვნენ, ხოლო როდესაც მოვიდა მთავარი, ეამბორა იგი ცხოველ ხატს და შევერდომით მოიკითხა ისინი, თან გაკვირვებით გამოიკითხა სასწაულთა შესახებ და ყველაფერი ზედმიწევნით გაიგო იმ კაცთაგან, რომლებიც მას გაეგზავნა; კერძოდ, თუ როგორ ქცეულიყო ველად ტბის ადგილი და როგორ დაფარულიყო ქვიშით და ლოდებით წყალთა შესაკრებელი, რასაც იმ უბედურებას გადაჩენილი ადამიანები თვითვე ამბობდნენ.

მოვიდნენ აგრეთვე მღვდლები და მონაზვნები ყოველი ადგილიდან და სიხარულით მოიკითხავდნენ წმინდანებს. სხვა მონაზვნებიც ბევრნი შეიკრიბნენ და მდინარის პირას იმ ადგილიდან ლოცვით და ლიტანიით ადრე ხსენებული ბორცვის ადგილას ავედით. მთავრის ბრძანებით დამუშავდა ის ადგილი და ველობი გახდა.

მეზობელი ადგილებიდან სხვა მთავრებიც მოვიდნენ და ყოველი მათგანი ამცნობდა წმინდანებს მოსახერხებელ სამონასტრო ადგილთა შესახებ. ის კაციც, რომელიც ადრე განდევნა მან „ძინძედ“ წოდებული ადგილისგან, სიყვარულით შეუვერდებოდა და ეხვეწებოდა, რომ იქ ეშენებინათ, რომელსაც წმინდანმა ასე მიუგო და უთხრა: „უკეთურ სულში ღვთის შიში არ მკვიდრდება, არც შეიძლება მარგალიტების დაყრა ღორების წინ³⁰, რადგან ბრმაც გვერდს უვლის მის წინ დადებულ ორმოს, მაგრამ შეგენდოს შენი ადრინდელი შეცდომა, ჩვენ კი ნურავინ გვაიძულებს ადგილის სხვაგან შეცვლას“.

მთელი ის კრებული მეტად განადიდებდა მას: „ეს სასწაულები თანაზიარია მოსესგან ქმნილი ზღვის გაპობისა და კლდისგან წყლის აღმოდინებისა, აგრეთვე კიდობნის მიერ იორდანის გაპობისა და კიდევ გრიგოლ საკვირველთმომქმედის მიერ იმ ტბის გახმობისა, რაც იყო ძმათა ურთიერთ-

ლი იყო მიზეზ მტერობისა მის ძმათა[მ]სა. ეგრეთვე ტბაჲ ესე მიზეზნი შფოთთა და კაცისკლვათა[მ] განვმა წმიდათა ამათ მიერ“.

ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხო[მ] ზუაობისაგან, მიუგო და პრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენითა რაჲთმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ ადიდა ხატი პირისა თვისისა[მ] ქრისტემან ღმერთმან, რაჲთა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამაო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედავთ“. მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა «**ზარზმა**» ერთა მათგან, რომელნი ზარიითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო ლოცვით და გალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახიდ თვსა.

X. ხოლო ღმრთისმსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რაჲთა მოიძიონ ადგილი, სადა პნებაჲს აღშენებად ეკლესიაჲ. და მისცნა სავძარნი უხუებით. და წარვიდოდა რაჲ, უბრძანა კუალადცა მოსლვა[მ].

მიერთგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესია[მ].

ხოლო წმიდასა მას ენება, რაჲთა[მცა] ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშენა ეკლესიაჲ. და ძმაჲ მისი იოვანე და სხუანი ძმანი ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს, და ძმანი ესე შიშუელ და გლახაკ“, რომლისათვისცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა. და ვითარცა-იგი გედეონ საწუმისი დადგა გამოცდად საქმეთა და კუალად დიდმან თევდოსი ნაჯშირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი, ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ აღავსნეს ორნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა. რამეთუ იყო მცირე ღელე სამხრით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელი იოვანესი დადგა მუნ თვთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა – წმიდამან სერაპიონ.

მტრობის მიზეზი. ასევე გახმა ამ წმინდანთა მიერ ეს ტბაც, მიზეზი მშფოთვარებათა და კაცისკვლათა“.

მაგრამ წმინდანი შორს იყო ამპარტავნებისგან და, ამიტომ, მიუგო და უთხრა მათ: „ნუ იფიქრებთ, მთავარნო და ხალხო, რომ თითქოს ჩვენი რამ ძალით მოხდა ეს სასწაულები, არამედ ქრისტე ღმერთმა ადიდა ხატი თავისი პირისახისა, რათა ირწმუნოთ თქვენ, რომ არ არის სიცრუე და ამოება ეს საქმეები, რასაც თქვენ ხედავთ“. ამის შემდეგ ეწოდა ხსენებულ ადგილს საქმეთა შესაფერისი, რადგან „ზარზმა“ დაარქვა მას იმ ხალხმა, რომელიც აუწერელი შიშით და ზაფრით იყო შეპყრობილი. ღოცვით და გალობით გაათიეს მათ ის ღამე, განთიადისას კი მოიკითხეს წმინდანები და სიხარულით წავიდნენ თავიანთ სახლებში.

10. ხოლო ღვთისმსახური გიორგი დარჩა მათთან და უბრძანა, რომ მოეძიათ ადგილი, სადაც ისურვებდნენ ეკლესიის აშენებას. ამასთან, უხვად მისცა მათ, რაც კი საჭირო იყო, და წასვლისას უბრძანა, კვლავ მისულიყვნენ მასთან.

ამის შემდეგ დაიწყეს მათ ადგილის ძებნა, თუ სად აეშენებინათ ღვთისთვის სადიდებლად ეკლესია.

წმინდანს სურდა, რომ უფრო მაღალ ბორცვზე აეშენებინა ეკლესია, მაგრამ მისი ძმა იოანე და სხვები ეუბნებოდნენ: „ამ ადგილას არა, წმინდაო მამაო, რადგან მაღალია იგი და ცივი, ეს კმეები კი შიშვლებია და ღარიბები“. ამის გამო კამათი წარმოიქმნა მათ შორის. ამიტომ, ისევე როგორც გედუონმა საწმისი დადო საქმეთა გამოსაცდელად³¹ და კიდევ ისევე, როგორც დიდმა თევდოსიმ ნახშირით მოიძია ის ადგილი, სადაც უნდა აეშენებინა მონასტერი, ამგვარადვე გააკეთეს ამ ნეტარებმაც, რადგან აავსეს ორი კანდელი თანაბარი ზეთით და დადგეს ისინი საცილობელ ადგილებზე, რამეთუ იყო პატარა ღელე უფრო მაღალი ადგილის სამხრეთით და იქ დაიდგა იოანეს კანდელი თვით იოანესგან, ხოლო ხსენებულ ბორცვზე – წმინდა სერაპიონის მიერ.

და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისი, ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხრამდე. რამეთუ ესე განგებულებაჲ იყო საღმრთოჲ, რამათა არა სწრაფით, არამედ ფრიად შუენიერად ჟამსა თვისსა აღეშენოს საყდარი მაღალსა მას ადგილსა. ესე რაჲ იხილეს ყოველთა, დაამტკიცეს, რამათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა თვისსა თაფლმწოლვართა მით ენითა: „ძმაო იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკვრველი ესე დიდებული, რამეთუ იხილა ნაკლულევანებაჲ გონებისა შენისა[ჲ]. ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრიად შუენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი...

და შეემატებოდა რიცხუსა ძმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელგანთქუმულებაჲ კაცისა მის ღმრთისა[ჲ], და სახედ მდინარისა ირწყვებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი პირველ ვსენებული **გარბანელი** და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] განერნეს, იკურთხნეს მონაზონად ველითა მის წმიდისა[ჲ]თა, ვინა[ჲ]თგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჴლისა წინამძღურობაჲ, ამისთვის უვმდეს თანაშემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ. რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა, რომელსა შჯული და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თვთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მასვე, მოსეს, ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: „მე ვარ, რომელი იგი ვარ“. და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიას თანა ზრახვიდა, თავთა მათ თანა მოწაფეთასა, ესე აქა ვორცითა გამოსახული მვართა ზედა ეტვრთა და თაყუანისსაცემელად მორწმუნეთა აღემართა. რომლისათვისცა იწყეს შენებად ეკლესიისა და დადგეს საფუძველი ადგილსა მას, რომელი იოვანე გამოარჩია. ხოლო საჭირო იქმნა შენებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანნი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ვინა[ჲ]ცა წყლისაგან

შემდეგ ორივე ლოცვად დადგა და როდესაც გათენდა, ნახეს სერაპიონის კანდელი ჩამქრალი, ხოლო იოანეს კანდელი ბრწყინავდა შუა სამხრობამდე, რადგან ღვთის განგება იყო ეს, რომ არა ნაჩქარევად, არამედ თავის დროზე მეტად მშვენივრად აშენებულიყო საყდარი იმ მაღალ ადგილას. ამიტომ, როდესაც მათ ნახეს მომხდარი, გადაწყვიტეს, რომ იქ² დაეწყოთ ეკლესიის შენება.

მაგრამ წმინდანმა თაფლადმწვეთი ენით უთხრა თავის ძმას: „ძმაო იოანე, ღმერთმა გიჩვენა ეს დიდებული საკვირველება, რადგან იხილა შენი გონების სინაკლუდე, თუმცა ეს იცოდე, რომ ცოტა ხნის შემდეგ ამ ადგილას³³ აშენდება მეტად მშვენიერი საყდარი“. მათ კი მოამზადეს ის ადგილი³⁴.

ხოლო ძმათა რიცხვს ემატებოდა, რადგან ამ ღვთისკაცის სახელგანთქმულობა [ბევრს] იზიდავდა, რომლებიც მდინარისებრ ირწყვებოდნენ მისი ტკბილი სიტყვებით. ამასთან, ზემოხსენებული კაცი გარბანელი და მისი ორი ძმა, რომლებიც ტბის დანთქმას გადაურჩნენ, წმინდანის ხელით მონაზვნებად ეკურთხნენ. ვინაიდან ამ ახალ მოსეს ებრძანა ახალი ისრაელის წინამძღვრობა, ამის გამო ესაჭიროებოდა მას კარვის [შენების] საქმეში თანაშემწეებად ახალი ბესელიელი და ელიაბი³⁵, რადგან არათუ ნისლში შევიდა იგი და ქვის ფიცრები მიიღო, რომლებზეც სჯული და მცნებები იყო დაწერილი, არამედ თვით ამათ დამწერს ატარებდა გონებით, ვინც იმავე მოსეს, კლდის ნაპრალში დაფარულს, ეუბნებოდა: „მე ვარ, რომელიც ვარ“³⁶, და ვინც თაბორის მთაზე მოსესთან და ელიასთან ერთად მეტყველებდა მოწაფეთა კორიფებთან ერთად³⁷; სწორედ იგი, აქ ხორციით გამოსახული, მხრებზე იტვირთა მან და აღმართა მორწმუნეთა თაყვანსაცემად, რისთვისაც დაიწყეს ეკლესიის შენება და საძირკველი დადეს იმ ადგილას, რომელიც იოანემ გამოარჩია, თუმცა გაძნელდა მისი შენება, რადგან იმ ადგილებზე ქვები

რასმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოი-
ღებდეს.

ხოლო იყენეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა
მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რაჲ,
ვითარმედ ესევითარნი ესე კაცნი ესრეთ ალაშენებენ ეკლე-
სიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესი-
ისასა. და არა იპოვა რაჲთურთით ქვა[ჲ], და ჭირით და
შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინა[ჲ]ცა კუალადცა
მოვიდა მუნ ღმრთისმსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი
საქმე მათი, და იურვოდა, რაჲთამცა კეთილად აღეშენა ეკლესია[ჲ]
იგი. და მოუვდა გულსა და ჰრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს
მიერ განბრძნობილნი მამანო, უკუეთუ სთნავს სიწმიდესა თქუენსა,
არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია[ჲ] მისი დაცემულ არს ძრვის-
აგან. აწ, უკუეთუ ჰბრძანოთ, ადვილ არს, რაჲთა იგი მოვი-
ლოთ“.

ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უვმ[რ]ად მდებარე
არს ეკლესია[ჲ] იგი, ბრძანეს, რაჲთა სწრაფით ველ-ყონ საქმესა
მას. და იწყეს მოღებად მეყსეულად, რაოდენი ევმარებოდა ეკ-
ლესიისა მისთვის.

და იცნობებიან ქვანი იგი ზოგს-რამე კუთხთა მიერ და
კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის «**უმწაჲ**», რომელი
შორავს ათორმეტ მილიონ.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და
შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეჰგვანდა ჟამსა მას. და
აღმართეს მას შინა ცხოველსმყოფელი ხატი ფერისცვალებისა[ჲ].
და ამისსა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათა. და შემოკრბა
კრებული დიდძალი ძმათა[ჲ], რამეთუ მადლი სულისა[ჲ] და
სახელგანთქ[უ]მულეზაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ მოიზიდვიდა
ყოველთა. რამეთუ იტყვს უფალი, ვითარმედ: „სადაცა იყვნენ
ორნი, გინა სამნი, შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე
მათ შორის“. რაოდენ უფრო[ჲ]ს მრავალთა თანა შეკრებულთა
ღმრთისმსახურებისათვის! ხოლო ღმრთისმსახურმან გიორგი მის-

ტყეებით იყო დაფარული. ამიტომ, წყლისგან თუ ახერხებდნენ რამეს და იქიდან გამოჰქონდათ უშეფერი რამ ქვები.

ხუროთმოძღვარნი და ამ საქმის ზედამხედველნი იყვნენ გარბანელი და ის ორი ძმა, ხოლო როდესაც გავარდა ხმა, რომ ასეთი ადამიანები ამგვარად აშენებენ ეკლესიას, დაიწყეს მდინარისებრ მოსვლა ეკლესიის საშენებლად, მაგრამ რადგან ვერანაირად ვერ მოიპოვეს ქვა, მდინარიდან გამოჰქონდათ იგი გაჭირვებით და ჯაფით. ამიტომ, კვლავ მივიდა იქ ღვთისმსახური გიორგი, რომელიც დააკვირდა მთელ მათ საქმიანობას და წუხდა რა იმაზე, რომ კარგად აშენებულყო ეკლესია, ერთი აზრი გაუჩნდა და უთხრა წმინდანებს: „ქრისტეს მიერ გაბრძნობილ მამებო, თუკი ესათნოება თქვენს სიწმინდეს, არის ადგილი, სადაც დაცემულია იქაური ეკლესია მიწისძვრისგან და ახლა, თუ ბრძანებთ, ადვილია მისი წამოღება“.

გაიგეს რა წმინდანებმა, რომ გამოუყენებლად იყო დადებული ის ეკლესია, ბრძანეს, რომ მალე დაეწყოთ საქმე. მყისვე დაიწყეს იმდენის წამოღება, რამდენიც სჭირდებოდათ ეკლესიისთვის.

რამდენადმე შეიცნობა კიდევ ეს ქვები კუთხეებითა და კამარებით. თვით იმ ადგილის სახელია „უმწა“, რომელიც მოშორებულია დაახლოებით თვრამეტი კილომეტრით.

დასრულდა ეკლესია სამი წლის შემდეგ და შეიმკო იგი ყოველგვარი წესით, რაც კი შეჰფეროდა იმ დროს. აღმართეს მასში ფერისცვალების ცხოველმყოფელი ხატი, ხოლო ამის შემდეგ ძმებმა სენაკებიც აიშენეს. შეიკრიბა ძმათა დიდძალი კრებული, რადგან სულიწმინდის მადლი და ამ ღვთის კაცის სახელგანთქმულობა იზიდავდა ყველას, რადგან ამბობს უფალი: „სადაც იქნება ორი ანდა სამი, შეკრებილი ჩემი სახელისთვის, იქ ვარ მე მათ შორის“⁴³⁸, [და თუ ორთან და სამთან არის იგი], რამდენად უფრო – ბევრთან ერთად, რომლებიც შეიკრიბნენ ღვთისმსახურებისათვის? ღვთისმსახურ-

ცნა ყოველნი საჯმარნი, ჯორები და კარაულები, და რაოდენი რაჲ უვმდა სიმრავლესა ძმათასა.

ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყევებოდეს საღმრთოთა მადლითა, ვინა[ა]ცა სოფლებნიცა (!) მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე იყო, რაჲთა ყოველივე ადგილისა მისთვის წარაგოს. ხოლო მრავალთა იწყეს მიბაძვებად მისა. და ვითარცა პირველ კარავსა მოსესსა თუალთადა მარგალიტთა და სხუათაცა მათ ნივთ[თ]ა აღშენებისათვის კარვისა, ეგრეთვე სახედ ძალისაებრ აჩუენებდეს შესაწირავსა ახლისა ამის კარვისას[ა], რომელ არს ეკლესიაჲ ქრისტესი.

XI. ხოლო აქა სხუა[დ] იცვალეების ლექსი სიტყვსა[ა] უსაკუთრესად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რაჲთა ცხოვრებადცა ღმრთისმსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადნეს.

ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყუთ უკუე გიორგის ებისკოპოსსა მაწყუერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა ვევისაგან «**შუარტყლისა**», მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთუშულსა მას უდაბნოსა **ოპიზას**, რამეთუ იტყოდა ღმერთშემოსილი იგი უტყუელითა მით პირითა, ვითარმედ:

„ვიყავ რაჲ უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმიდისა წინამორბედისა ნათლისმცემელისასა, და მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქაელისა და ვიყავ რაჲ წინაშე მისსა, მაშინ წარავლინნა მიქაელ ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და მიუწერა ებისტოლე სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მსწრაფლ მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა თვისისა[ა], რა[ა]თა იხილვნენ ურთიერთას და რაჲთა ზედამიწევით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით უწყებულისა მის ადგილისა[ა].

„ხოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებასა მოძღურისა[სა] მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმითურთ, რომელსა სხუანიცა

მა გიორგიმ მისცა მათ ყოველივე მოსახმარისი, ჯორები, ვირები და რაც კი რამ სჭირდებოდა ძმათა სიმრავლეს.

წმინდანმა განაჩინა საეკლესიო წესები და კანონები, რაც საღვთო მადლით რწყავდა მათ, ღვთის კაცმა გიორგიმ კი სოფლებიც მიუბოძა, იმ ზომამდე, რომ მოსურნე იყო ამ ადგილისთვის გაეღო ყოველივე. ამასთან, ბევრმა დაიწყო მისი მიბაძვა და როგორც ძველად მოსეს კარვისთვის გასცემდნენ თვლებს, მარგალიტებს და სხვა ნივთებსაც, რომ აშენებულყო ეს კარავი, ამგვარადვე ძალისამებრ აჩენდნენ შესაწირავს ამ ახალი კარვისათვის, რაც არის ქრისტეს ეკლესია.

11. მაგრამ აქ სხვა მხარეს იცვლება სიტყვათშეწყობა, რომ უფრო ზედმიწევნით ითქვას ამ კაცის სასწაულთა შესახებ და ღვთისმსახური გიორგის ცხოვრებაც უფრო მეტად გაცხადდეს.

ხოლო გვეუწყა ეს არათუ ვინმე უმნიშვნელო ადამიანების, არამედ ძალიან გამოჩენილთა და ბრწყინვალეთა მიერ. კერძოდ, ვამბობ გიორგის, მაწყვერელ ეპისკოპოსს, რომელიც დაიბადა „შუარტყლის“ ხევში, წარჩინებული და ღვთისმოსშიში მშობლებისგან, ხოლო აღიზარდა ოპიზის განთქმულ უდაბნოში, რადგან ამბობდა ეს ღმერთშემოსილი თავისი უტყუარი პირით:

„როდესაც ვიმყოფებოდი ოპიზის უდაბნოში, წმინდა წინამორბედისა და ნათლისმცემლის სავანეში, აქედან ავედი დიდ მამასთან, მიქაელთან, და ვიყავი რა მის წინაშე, წარგზავნა მან თავისი ორი მოწაფე და მისწერა ეპისტოლე სერაპიონს და მის ძმას იოანეს, რომ სასწრაფოდ მოსულიყვნენ მასთან (რადგან იცოდა თავისი მიცვალების ჟამი), რომ ენახათ მათ ერთიმეორე და, ამასთან, ისიც ზედმიწევნით შეეცყო, თუ როგორ მოხდა აშენება ზეციდან უწყებული ადგილისა.

„სერაპიონიც, რადგან იყო მორჩილი მოძღვრის ბრძანებისა, სწრაფად მოვიდა თავის ძმასთან ერთად, ახლდა რა

მრავალნი ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდმან მიქაელ და სერაპიონ, განიშუეს, ვითარცა შეჰგაგეს მხიარულებით, ცრემლთა თანაალრევით ჰმადლობდეს ღმერთსა და მიილეს კურთხევამ ყოველთა ძმათა ურთიერთას.

„და ვითარცა გარდავდეს ორნი დღენი და განვისუენეთ, მესამესა დღესა იწყო დიდმან მიქაელ და გამოჰკითხა წარმართებად და ვითარებად ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანაშემწე და მოლუაწე მათდა.

„ხოლო ნეტარმან სერაპიონ იწყო პირველითგან და ყოველი წარმოუთხრა: და ვითარ თანაშემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, და ყოველივე მათ ზედა მოწევნული, და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათა[ა], და სასწაულთა მათთვის დიდთა განვმობისათვის ტბისა და კაცთა მათთვის ურჩთა დაფარვისა, და ყოველივე, რააცა იქმნა, შემდგომითი-შემდგომად.

„ვინა[ა] განიხარა წმიდამან მან და მადლი მისცა ღმერთსა და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი.

„და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა «**ზარზმა**» ერთა მიერ, სასწაულთა საკურველთა ზარგანვდილთა.

„ესე ყოველი რაჲ ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა.

„ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქაელ კელარსა და ჰრქუა, რაჲთა მზა-ყოს სერი.

მერმე წართქუნეს განწესებულნი ფსალმუნნი ჟამსა ცხრა-ჟმისასა და დასხდეს სერობად, და იწდიეს ღვნო, და სულიერი და ვორციელი სიხარული განზავეს.

მაშინ წმიდამან მამამან დიდთა ნიშთა და სასწაულთა მიერ ბრწყინვალემან მიქაელ მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ჰ საყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ, მრწამს ჭეშმარიტად ღმრთისა სასწაულთა მათთვის შენ მიერ აღსრულებულთა, ანუ თუ ვითარ იყოს წარმართებად ადგილისა მის, გულსავსე ვიქმნე, უკუეთუ ესე იქმნეს“.

კიდევ ბევრი სხვა ძმაც, და როდესაც ნახეს ერთიმეორე დიდმა მიქაელმა და სერაპიონმა, როგორც შესაფერისია, გაიხარეს მხიარულებით, ჰმადლობდნენ რა ღმერთს ცრემლთა თანაშერევით. ყველა ძმამ ერთიმეორისგან კურთხევა მიიღო.

„როდესაც გავიდა ორი დღე და მოვისვენეთ, მესამე დღეს შეუდგა დიდი მიქაელი იმის გამოკითხვას, თუ როგორ წარმართებოდა [საქმე] და რა ვითარება იყო იმ ადგილთან დაკავშირებით, ანთუ ვინ იყო მათი თანაშემწე და მეურვე.“

„ნეტარმა სერაპიონმა დაიწყო თავიდან და ყოველივე აუწყა, თუ როგორ გაუხდა მათ თანაშემწედ დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი, თუ რა გადახდათ საერთოდ მათ თავს, თუ როგორ იზრდება ძმათა სიმრავლე; [უამბო] ტბის დაშრობისა და ურჩი ადამიანების დანთქმის დიდ სასწაულთა შესახებ, აგრეთვე ყველაფერ იმაზე, რაც თანდათან მოხდა“

„ამით გაიხარა წმინდანმა, აღუვლინა მადლობა ღმერთს და აკურთხა ის კურთხეული კაცი – გიორგი ჩორჩანელი.“

„[სერაპიონმა ამცნო ისიც], თუ როგორ უწოდა საკვირველი სასწაულებით თავზარდაცემულმა ხალხმა იმ ადგილს შესაფერისი სახელი ზარზმა.“

„ისმინა რა წმინდანმა ეს ყოველივე, იხარებდა სულით.“

„ამის შემდეგ მოუწოდა მამა მიქაელმა მნეს და უთხრა, რომ გაემზადებინა ვახშამი.“

შემდეგ წარმოთქვეს მეცხრე ჟამის დროს დაწესებული ფსალმუნები, დასხდნენ სავახშმოდ, შესვეს ღვინო და სულიერი და ხორციელი სიხარული განაზავეს.

მაშინ წმინდა მამა მიქაელმა, დიდი ნიშებითა და სასწაულებით ბრწყინვალემ, შეხედა ნეტარ სერაპიონს და უთხრა: „ჰყო საყვარელო შეილო და ძმაო სერაპიონ, ჭეშმარიტად მწამს ღვთისა იმ სასწაულთა გამო, შენ რომ ადასრულე; ამასთან, თუ როგორ აშენდება ის ადგილი, ამაში დარწმუნებული მაშინ ვიქნები, ეს თუ მოხდება“.

ხოლო განგებითა საღმრთოთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტომ ბაჰაჰსაჰ მრავალჟამეული. და აღილო ჳელითა თჳსითა მამამან მიქაელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰრქუა: „შვილო, დაჰნერგე ესე მახლობელად ეკლესიისა, და უკუეთუ განედლდეს, უწყოდე ჳეშმარიტად, რამეთუ ნაყოფიერებაჰ არს ადგილისა მის, წარვედ და გულსმოდგინედ აშენებდი“.

ვინა[ჲ]ცა განკვრევებამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაჲ“.

ხოლო ყოვლად უცხო[ჲ] იგი ზუაობისაგან შეუვრდა წმიდასა მას და ეტყოდა: „წმიდაო ღმრთისაო, წინაშე შენსა არარაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ კელმწიფებაჲ მოგიღებოც მათათა ცვალებამდე“.

და გამოულო ჳელთა მისთა და დაჰნერგა ქუეყანასა. ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტოგარდაფენით ქად-აგებდა დიდებულსა მას სასწაულსა.

და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკვრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა განისმა სასწაული ესე გარემოთა მათ უდაბნოთა, ყოველნი განჰკრთეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა და მოქმედსა საკვრველებათასა.

XII. ხოლო შეუდგა სასწაული სასწაულსა, რომელსა ეგულვები[ს] თქუმაჲ და კუალადქცევა[ჲ] საზღვართავე თჳსთა სიტყჳსა[თა].

რამეთუ ვიდრელა იყვნეს ესრეთ ჟამ რაოდენმე მხიარულნი სულითა [და] შუეებითა, და ყოველნი აღივსებოდეს საღმრთოთა მადლითა, ხოლო დღესა ერთსა ილოცვიდეს რაჲ ჟამსა სამჳმისასა და აჰა ესერა დაეცა განკვრევებაჲ წმიდასა მას და მყოვარ ჟამ დგა განცვბრებული.

ამისსა შემდგომად ვითარცა რულისაგან ღრმისა განღჳძებულმან მიხედნა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, ძმაო, და წარვედ ადგილთა ნამუშაქევთა შენთა, რამეთუ შფოთნი რაჲმე შემოთხუევად არიან ჟამ რაოდენმე, ხოლო თუ უნდეს

ხოლო საღვთო განგებით იყო ეკლესიის კედელთან ბაიის ძველი ტოტი, რაც აიღო თავისი ხელით მამა მიქაელმა, მისცა წმინდა სერაპიონს და უთხრა: „შვილო, დარგე ეს ეკლესიის ახლოს და თუ განედღება, ჭეშმარიტად იცოდე, რომ ნაყოფიერება ექნება იმ ადგილს. წადი და გუღმოდგინე და შენე“.

ამის გამო გაკვირვებამ შეიპყრო ყველა იქ მსხდომი, რომლებმაც უთხრეს ერთმანეთს: „განა ორივე მათგანისგან დიდი არ არის ამ სასწაულის სიდიადე?“

მაგრამ იყო რა სერაპიონი ცუდმედრობისგან ყოვლითურთ განშორებული, შეუვრდა წმინდანს და უთხრა: „ღვთის წმინდანო, შენს წინაშე არაფერია შეუძლებელი, რადგან მიღებული გაქვს ძალაუფლება თვით მთების შეცვლამდე“.

და გამოართვა ხელიდან ის ტოტი და ჩარგო მიწაში, რაც ცოტა ხნის შემდეგ განედღდა და როტგადაშლით ქადგებდა ამ დიდებულ სასწაულს.

როდესაც ყველამ ნახა იგი, გაუკვირდათ და აღიდეს ღმერთი, ხოლო როგორც კი ცნობილი გახდა ეს სასწაული ახლომდებარე უდაბნოებისთვის, ყველას თავზარი დაეცა და აღიდეს მათ ღმერთი, საკვირველებათა მოქმედი.

12. ხოლო სასწაულს მიჰყვა სასწაული, რის თქმასაც აპირებს სიტყვა, კვლავ მიუბრუნდება რა იგი თავის საზღვრებს.

ვინაიდან სანამ ისინი გარკვეული დროით იყვნენ ასე მხიარულნი სულით და ღმერთით, და ყველანი აღივსებოდნენ საღვთო მადლით, ერთ დღეს, როდესაც ლოცულობდნენ მესამე ჟამის განგებას³⁹, აჰა, გაუცნაურდა წმინდა მიქაელი და კარგა ხანს იდგა განცვიფრებული.

ამის შემდეგ მან, თითქოსდა ღრმა ძილისგან გაღვიძებული, შეხედა ნეტარ სერაპიონს და უთხრა: „იჩქარე, ძმაო, და წადი შენს ნამუშავევ ადგილებში, რადგან რაღაც მშფოთვარებანი ატყდება გარკვეული ხნით, ხოლო თუ ღმ-

ღმერთსა, ადრე იქმნას განქარვებად მათი, გარნა მე ვერა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ ადრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რამ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული. ხოლო ძმა[ა] შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა, რომელი, ისწაოს რამ, შენებასა მისსა მოსწრაფედ თანამზრუნველ ექმნას კაცთა მათ, რომელნი პონეს ადგილსა მას, რომელსა მონასტერი აშენოს“. და მისცა მას სასწაული და ნიში, რომელსა ეგულეობდა მისლვა[ა] იოვანეს.

ხოლო ესევეთარი რამ ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინა[ა]სწარ მოუსწავა და წარგზავნა ცრემლითა აღსავსენი და უფრო[ა]სლა, რამეთუ არა ესვიდეს კუალად ხილვასა მისსა.

ხოლო მოიწინეს რამ დიდსა მას უდაბნოსა კლარჯეთისასა, **ობიზას**, მოეგ[ებ]ნეს მათ მამანი და სურვილით მოწლედ მოიკითხნეს და შემსგავსებული პატივი წინაუყვეს. და ვითარცა დაყვნეს დღენი რავდენნიმე...

ხოლო ვითარცა იყო წმიდაჲ იგი მდაბალ და აღუზუავებელ, ტკბილითა და დაშნითა ველითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისა[ა]თა.

ვინა[ა] იხილა ვინმე იგი ესევეთართა სახითა ზუავმანდა სილალითა შეპყრობილმან, იწყო გმობად წმიდისა მის და იტყოდა: „აჰა დიდი და განთქუმული სერაპიონ ვითარ-ღა უსიტყუ და უკმო იხილვების და რაფთურთით ესევეთართა პატივთა ყოვლად არა ღირს არს ესე“.

ამას რამ იტყოდა შურითა საეშმაკო[ა]თა აღსავსე იგი, ეჰა საკვრველებათა შენთა ქრისტე! რამეთუ სიტყუაჲ წინამსწარმეტყუელისა[ა] სრულ იქმნა, რომელი იტყჳს: „უფალმან მიაგოს უსჯულოებაჲ მათი“, და კუალად: „[უტყუ] იყავნ ენა[ა] მზა-

ერთს ენდომება, მალე მოხდება მათი დაცხრომა, თუმცა მე ველარასოდეს მნახავ ამ სოფელში, რადგან მალე წავალ აქედან, იმ საყოველთაო შეკრებისას კი ღვთის ნებით გნახავ მხიარულს და გაბრწყინებულს, როგორც კარგ მშრომელს, საზღაურით გამდიდრებულს, ხოლო შენი ძმა იოანე სხვა ადგილას წავიდეს, რომელიც ენიშნება რა, მის შენებაზე გულმოდგინედ იზრუნოს იმ ადამიანებთან ერთად, ხსენებულ ადგილას რომ იპოვის, სადაც მონასტერი უნდა ააშენოს“. და მისცა მას იმ ადგილის სასწაული და ნიში, სადაც უნდა მისულიყო იოანე.

წარმოთქვა რა ეს ტკბილი ანდერძი და ყოველივე სამომავლო წინასწარ მოასწავა რა მათთვის, ამის შემდეგ გაუშვა ისინი, რომლებიც ცრემლით სავსე იყვნენ, და ეს – უფრო იმიტომ, რომ აღარ ეიმედებოდათ კვლავ მისი ნახვა.

როდესაც კლარჯეთის დიდ უდაბნოს, ოპიზას მიადწიეს, მოეგებნენ მამები, რომლებმაც წადიერად და სიყვარულით მოიკითხეს ისინი და შესაფერისი პატივი მიაგეს, ხოლო როდესაც დაჰყვეს იქ რამდენიმე დღე⁴⁰.

მაგრამ რადგან წმინდა სერაპიონი იყო თავმდაბალი და არათავმოთნე, საეკლესიო ხუროვებთან მდგომად ხედავდნენ მას თავისი ტკბილი და საამური ხელით, იყო რა სხვა სათნოებებთან ერთად, საეკლესიო სჯულთა მცოდნეც და ხუცობის წესით მეტად შემკული.

ამიტომ, ასეთი სახით როდესაც ნახა იგი ვიღაც ამპარტავანმა და სიამაყით შეპყრობილმა, დაიწყო წმინდანის გმობა და თქვა: „აჰა დიდი და სახელგანთქმული სერაპიონი როგორ უსიტყვო და უხმო ჩანს და საერთოდ არანაირად არ არის იგი ამგვარ პატივთა ღირსი“.

ამბობდა რა ამას და იყო რა ეშმაკეული შურით აღვსილი, – ჰოი შენს საკვირველებებს, ქრისტე, – აღსრულდა სიტყვა წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს: „უფალი მიაგებს მათ უსჯულოებას მათსას“⁴¹, და კიდევ: „უტყვი გახდეს ენა

კუარი მეტყუელი მართლისათვის უსჯულოებასა“. ხოლო ვითარცა მდგომარე იყვნეს ეკლესიას, მყის წინაშე ყოველთასა დაეცა კაცი იგი უვმოდ მდებარე და გარდამოაგდო ენამ განსივებული, საშინელთა პეროოდა და გორვიდა.

მაშინ განკვრევამან შეიპყრნა ყოველნი იგი დასნი მგალობელთანი, ხოლო რომელთა ასმ[ი]ოდა კაცისა მისგან გმობად იგი წმიდისათვის, ურთიერთას იტყოდეს: „ნუუკუე მის მიერ მოიწია მსწრაფლი ესე მხილება“.

ხოლო კაცი იგი მოიეგო გონებასა და გულისვმა-ყო ცთომილება თვისი და დაღაცათუ ენითა ვერ მეტყუელებდა, არამედ ეგრეთცა შეუვრდა მწყობრსა მას მამათასა და წინაშე მათსა აღიარა ცთომილება თვისი. ხოლო ყოველნი იგი შეუვრდეს წმიდასა მას, რამათა მიუტეოს ცოდვა[მ] იგი.

და იგი ესრეთ ეტყოდა მათ: „კრებულო წმიდაო და მწყობრო რჩეულო, ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რამ შეჰმბთხეოდა ძმასა ამას, არამედ სიტყუსაებრ იაკობ მოციქულისა: „თანაგუაც ძმათმოყუარებით, რამათა ყოველთა ულოცოთ, და უფალმან ყოს ღხინება უძღურისა[მ] ამის“.

ხოლო ყოველნი იგი უმეტეს შეუვრდეს წმიდასა ამას: „მიუტევე, წმიდაო ღმრთისაო, და შეიწყალე საწყალობელი ესე“.

ხოლო წმიდა იგი ეტყოდა: „აჰა და მეცა მზა ვარ თქვენ თანა“.

და მოიდრიკნა მუკლნი და თქუა: „უფალო იესუ, ძეო ღმერთისა მამისაო, რომელი მოხუედ სოფლად მოძიებად შეცთომილთა, ვითარცა-იგი სიტყვთა აღატყუე ყრუ[მ] იგი და უტყვ, ეგრეთვე, მეუფეო უფალო ღმერთო, განკურე ყრმა[მ]ცა ესე, რომელი შესცთა სივერაგითა ეშმაკისა[მ]თა“. და ვითარცა ესე თქუა, მყის დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებად ენისა მისისა[მ] და კუალად-ეგო ადგილსავე თვისსა. და რომელთა იხილეს, განკვრებულნი ადიდებდეს ღმერთსა.

და განითქუა სასწაული ესე ყოველთა შორის და იტყოდეს: „რომელმან-იგი რტო[მ] ბაჰამსაჰ განჯმელი ფურცლისმშობლად

მზაკვარი, რომელიც მართლისთვის უსჯულოებას მეტყველებს⁴², ხოლო რადგან ეკლესიაში იდგნენ, მყისვე ყველას თვალწინ დაეცა ის კაცი, გახდა უხმოდ მდებარე, გადმოაგდო გასიებული ენა, საშინლად წამოუვიდა ღუჭი და გორავდა.

მაშინ გააკვირვებამ შეიპყრო მგალობელთა მთელი დასი, ხოლო რომლებსაც გაეგონათ ამ კაცისგან წმინდანის გმობა, ერთიმეორეში ამბობდნენ: „ნუთუ მის მიერ დაემართა ამას ეს მყისიერი მხილება?“

ის კაცი კი გონს მოეგო, მიხვდა თავის ცთომილებას და თუმცა ენით ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც შეუვრდა მამათა მწყობრს და მათ წინაშე აღიარა თავისი შეცდომა. მაშინ ყველანი შეუვრდნენ წმინდანს, რომ მიეტყვებინა მისთვის ცოდვა.

წმინდანი კი ასე ეუბნებოდა მათ: „წმინდა კრებულს და რჩეულს მწყობრო, ნუ მოხდება ისე, რომ ჩემს გამოს ჰქონდეს რაიმე შემთხვევული ამ ძმას, არამედ იაკობ მოციქულის სიტყვისებრ „გემართებს, რომ ყველას ვულოცოთ ძმათმოყვარეობით, და უფალმა მისცეს შვევა ამ უძღურს“⁴³.

მაგრამ უფრო მეტად შეუვრდა წმინდანს ყველა: „მიუტევე, ღვთის წმინდანო, და შეიწყალე ეს საბრალლო“.

წმინდანი მიუგებდა: „აჰა თქვენთან ერთად მზად ვარ მეც“.

მოიდრიკა მან მუხლები და თქვა: „უფალო იესო, მამაღმერთის ძეო, რომელიც მოხვედი სოფლად შეცდენილთა მოსაძიებლად, ისევე როგორც სიტყვით აამეტყველე ყრუ და უტყვი, ამგვარადვე, მეუფეო უფალო ღმერთო, განკურნე ეს ჭაბუკიც, რომელიც შეცდა ეშმაკის სივერაგის გამო“. როგორც კი თქვა მან ეს, მყისვე დაუცხრა იმ კაცს ენის მძაფრი ტკივილი და კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს, ხოლო ვინც ნახა იგი, გააკვირვებული აღიდებდა ღმერთს.

ეს სასწაული ყველასთვის ცნობილი გახდა. ასე ამბობდნენ: „რომელმაც ბაიის გამხმარი ტოტი ფურცლის გა-

გამოაჩინა მსგავსად განვმელისა მის ველისა, რომელი-იგი გაკუნრ-
ნა უფალმან, და აპრონის მიერ განედღებულისა მის კუერთხისა
და კუალად ხისა მის, რომელი მიყრდნობითა დიდისა მოწამისა
ხარალამპისათა განედღდა, და მყის ნაყოფიერ იქმნა, და კუალ-
ად აკრაკანტელთა ნათელმან გრიგოლი, ამათ სასწაულთა
არარაფთ უდარეს არიან. აწ აღსრულებულნი ესე წმიდისა სერა-
პიონის მიერ. რამეთუ იტყვს უფალი: „რომელსა მე ვპრწმენე,
უმეტესი ჩემსა ქმნეს“, და „საკვრველ არს ღმერთი წმიდათა
შორის მისთა“. ამათ და ამათვითართა ურთიერთას იტყოდეს
ყოველნი იგი და აღიდებდეს ღმერთსა.

XIII. ამიერ კუალად ვიპყრათ ნემტი იგი თხრობისა[ა] და
პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ.

და ვითარცა ესე სასწაულნი იქმნ[ნ]ეს წმიდისა მის მიერ
ადგილთა მათ, რომელთა აღზრდილდა იყო, და წინაშე მოძღუ-
რისა, რომელი იყო თავ და წარმართება ყოველთა საქმეთა
მისთა, და ძმა[ა]ცა იგი მათი უხუცესი, რომელი პირველ ვაჟსენეთ,
იხილეს და სურვილით მოიკითხეს. და თანა-ექცეოდა ყოველსა
მას მუნ ყოფასა შინა მათსა.

ხოლო იჯმნეს წმიდათა მათ უდაბნო[ა]სა მისგან, და მოი-
კითხნეს წმიდანი იგი მამანი და წარვიდეს.

და ვითარცა გარდავლეს მთა[ა] იგი «**არსიან**» წოდებული
და მივიდეს ვევსა «**ყველისასა**», ხოლო იქმნა რა[ა]მე მუნცა
ნაკლულევანებისა სრულყოფად განგებულებით, რამეთუ აჰა ესერა
მოეგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰრქუეს: „კეთილად მოხ-
უედით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჯისანო, რამეთუ
ბრძანებულ არს, რაფთა ადგილთა ამათ თქუენ მიერ აღეშენოს
მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვიჭირვით, და მოგელით თქუენ,
ვითარცა უწყებულნი, რამეთუ აქაცა თქუენვე ხართ წინამძღუ-
არ და მასწავლელ საქმეთა ამათ“.

და უჩუენეს ადგილი, რომელსა ზედა იხილვნეს ნიშნი იგი
ბრძანებისაებრ დიდისა მიქაელისისა, და უბრძანა წმიდამან

მომღებად გამოაჩინა მსგავსად იმ გამხმარი ხელისა, რომელიც განკურნა უფალმა, აგრეთვე მსგავსად იმ კვერთხისა, აპრონის მიერ რომ განედლდა, ან კიდევ მსგავსად იმ ხისა, რომელიც დიდმოწამე ხარალამპის მიყრდნობით განედლდა და მყისვე ნაყოფიერი გახდა, ანდა მსგავსად აგრიგანტელთა ნათლისმცემლის გრიგოლისა, – ამ სასწაულებზე არაფრით უღარესი არ არის ყოველივე ის, რაც წმინდა სერაპიონის მიერ აღსრულდა, რადგან უფალი ამბობს: „ვინც მე მირწმუნებს, ჩემზე უფრო მეტს გააკეთებს“⁴⁴. „ღმერთი ხომ საკვირველია თავის წმინდანთა შორის“⁴⁵. ამას და ამის მსგავსს ეუბნებოდნენ ყველანი ერთიმეორეს და აღიდებდნენ ღმერთს.

13. აქედან კვლავ განვაგრძობთ დარჩენილ ამბავს და პირველ სიტყვას დაუბრუნდებით.

როდესაც ეს სასწაულები მოხდა წმინდანის მიერ იმ ადგილებში, სადაც თვითონვე იყო აღზრდილი, და იმ მოძღვრის წინაშე, რომელიც იყო თავი და წარმმართველობა ყველა მისი საქმისა, სერაპიონმა და იოანემ ნახეს და წადიერად მოიკითხეს თავიანთი უფროსი ძმაც, რომელიც ადრე ვახსენეთ და რომელიც მათი იქ ყოფნისას სულ მათ გვერდით იყო.

მაგრამ წმინდანებმა დატოვეს ის უდაბნო, გამოემშვიდობნენ იქაურ წმინდა მამებს და წავიდნენ.

როდესაც გადაიარეს მათ მთა, რომელსაც ერქვა „არსიანი“ და მივიდნენ „ყველის“ ხევში, იქაც მოხდა რაღაც სინაკლულის სრულყოფა განგებულებითად, რადგან აჰა მოვეგებნენ მათ ვიღაც მონაზონი ადამიანები და უთხრეს: „კარგად მოხვედით, ქრისტეს ვენახის საღვთო მუშაკნო, რადგან ნაბრძანებია, რომ ამ ადგილებში თქვენს მიერ აშენდეს მონასტერი, რომლის გამო დამაშვრალნი ვართ ჩვენც, და მოგვლით თქვენ, რადგან ნაუწყები გვაქვს, რომ აქაც თქვენვე ხართ ამ საქმეთა წინამძღვრები და მასწავლებლები“.

და უჩვენეს მათ ადგილი, რომელზეც ჩანდა დიდი მიქაელის მიერ ნაბრძანები ნიშები. მაშინ უბრძანა წმიდა სერაპ-

სერაპიონ ძმასა თვისსა, რამთა გულსმოდგინედ იწყოს და აღაშენოს მონასტერი ბრძანებისაებრ წმიდისა მის. რომლისათვისცა საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს, გარნა ვერ მკადრე იქმნა წინაგანწყობად ორთავე მათ ბრძანებასა, არამედ ესე ხოლო ჰრქუა სერაპიონს: „უკუეთუ ჯერ-არს, რამთა ჟამითით ვიხილვიდე საღმრთოსა პირსა თქუენსა, მზა ვარ მე აღსრულებად ბრძანებათა შენთა“. ხოლო წმიდამან უბრძანა ყოვლადვე ხილვად ურთიერთას. და აღეშენა მონასტერი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მის მოძღურისა. და შეამკო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰგვანდა, და უწოდა სახელი სენხნა თვისი, რამეთუ **იოვანე-წმიდა** ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდა ჟამითი-ჟამად ძმისა თვისისა თანა და ისწავებნ ყოველსავე განგებასა მონასტრისასა.

არამედ აქა ნეშტი სიტყუსა[ა] წინაუკმო ვცვალებთ, რამეთუ შეეზავა სიტყუამ სიტყუასა და ვერღარა განეყავთ აღშენებამ იგი მონასტრისა[ა], რომელი სახელად იოვანესსა აღეშენა.

და ვითარცა წარვიდა მიერ წმიდამ სერაპიონ და მოვიდა თვისთა მათ თანა კრებულთა, და ყოველნი მიეგებნეს სიხარულით და მოიკითხეს სურვილით, და მოიხილნა იგინი და რაოდენი რამ ეშენა ახალსა მას ხუროთმოძღუარსა და ვითარ სიმრავლე ძმათა სიმრავლედ დიდად აღწევნულად.

ესე ყოველი რამ იხილა, განმხიარულებული ჰმადლობდა ღმერთსა.

XIV. ხოლო აქა ეგულების სიტყუასა კუალადქცევა[ა] სხუად მიმართ:

რამეთუ მიუთ[ხ]რეს ღმერთშემოსილსა მამასა სერაპიონს სიკუდილი დიდისა მის მთავრისა გიორგისი, რომელი იყო აღმაშენებელი ადგილისა მის. ესე რამ ესმა, ვითარცა შეჰგვანდა, დიდად იგლოვა, ცრემლოოდა ვითარცა მკსნელი ლაზარეს ზედა და უმეტეს, რომელ არა თანადახუდა სიკუდილსა მისსა, ვინა[ა]ცა ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რამთა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას

იონმა თავის ძმას, რომ გულმოდგინედ დაეწყო და აეშენებინა მონასტერი წმინდა მიქაელის ბრძანებისამებრ. იოანეს ძალიან დაუმიძიდა ეს საქმე, მაგრამ ვერ იკადრა წინააღმდეგობის გაწევა ორივე ბრძანებისათვის და მხოლოდ ეს უთხრა სერაპიონს: „თუ შესაძლებელია, რომ დრო და დრო ვნახო თქვენი საღვთო სახე, მზად ვარ აღვასრულო შენი ბრძანებები“. წმინდანმაც აღუთქვა, რომ ყოველთვის ნახავდნენ ერთიმეორეს. და აშენდა ის მონასტერი დიდი მოძღვრის ბრძანებისამებრ. შეამკო იგი იოანემ ყველა სამკაულით, როგორც ეს შესაფერისი იყო, და უწოდა მას თავის თანამოსახელედ, რადგან „იოანეწმინდა“ ჰქვია იმ ადგილს. ამასთან, მიდიოდა იგი უამიჯამ თავის ძმასთან და სწავლობდა მისგან მონასტრის ყოველგვარ განგებას.

მაგრამ აქ პირუკუ შეეცვალეთ სიტყვის დარჩენილი ნაწილი, რადგან შეეზავა სიტყვა სიტყვას და ველარ გაგვეთეთ იოანეს სახელზე აგებული მონასტრის აშენების [ამბავი].

როდესაც წავიდა აქედან წმინდა სერაპიონი და მივიდა თავის კრებულთან, ყველანი სიხარულით მიეგებნენ და წადიერად მოიკითხეს. სერაპიონმა მოიხილა ისინი, შემდეგ კი [ნახა], თუ რამდენი რამ აეშენებინა ახალ ხუროთმოძღვარს და როგორ ასულიყო დიდ სიმრავლემდე ძმათა რაოდენობა.

როდესაც იხილა მან ეს ყოველივე, გამხიარულებული ჰმადლობდა ღმერთს.

14. მაგრამ აქ კვლავ სხვა მხარეს მიბრუნებას აპირებს სიტყვა:

ვინაიდან შეატყობინეს ღმერთშემოსილ მამა სერაპიონს იმ ადგილის ამშენებელი დიდი მთავრის გიორგის სიკვდილი, ხოლო მან, გაიგონა რა ეს, დიდად იგლოვა, როგორც შესაფერისი იყო; დაღვარა ცრემლიც, ისევე როგორც მაცხოვარმა ლაზარეს გამო; და უფრო მეტადაც, რადგან ვერ დაესწრო მის სიკვდილს. ამიტომ უთხრა იკონომოსს, ხუცესებს და ყველა ძმას, რომ მეორე დღეს მისულიყვნენ გიორგის საფლა-

ზანაეისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შენ არს, რომ-
ლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი **ამასპო** და **ქურდია**.
ხოლო აწ კუალად – და[ა] გიორგისი, რომელი იყო ცოლი
დიდისა მთავრისა **მირიანისი**, ძისა **ბეშქენ ბაჰლაუნდისა[ა]**
[ძისა] იოვანესი. ხოლო გიორგი შვილთაგან ოჯერ და უქმ
იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩხოებასავე შინა წასრულ იყვნეს
და შემდგომად მათისა დედა[ა]ცა, ნათლად გამომყვანებელი
მათი, მიიცვალა, და სხვსა მეუღლისა შეერთებად არაოდეს
თავს-იდვა.

და ვითარცა ვთქუთ, გარდა-რაა-იცვალა ყოვლადკურთხეუ-
ლი იგი გიორგი, ყოველივე, რააცა აქუნდა, და მამული და
ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[ჰ]კედრა
და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდა
სულა, **ბეშქენ** და **ლაკლაკი**.

ხოლო ვითარცა ვთქუთ, მივიდა წმიდაა იგი საფლავსა ზედა
მისსა, მოწლედ და თანალმობით იტირა. და ვითარცა ჯერ-იყო,
მოიკითხა და ნუგეშის-სცა დასა მისსა **ლატავრის**, რომელსა
უკუანა[ა]სკნელ **თეკლა** ეწოდა, და კურთხევითა საღმრთო[ა]თა
აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამი-
ანთა.

მერმე მოიღო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი
და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა, და ილოცა მისთვის და
აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა
ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი
მრავალფერი და სიმრავლე სავედართა და მროწეულთა[ა].
და სასოებით შეჰვერდა სული წმიდისა მის კაცისა[ა]. და
ამას შინა გარდავდეს წელნი და აღორძნდებოდა და წარე-
მატებოდა ადგილი იგი ფრიად.

ხოლო მოვიწინით რაა სიტყუასა ამას, ჯერ-არს გულისჯმი-
სყოფითრე სმენა[ა], თუ ვითართა მადლთა ღირს ქმნულ იყო
დიდი იგი მამა[ა] მიქაელ, რამეთუ აჰა ადგილი იგი, რომელი
უწინააღწარმეტყუელა ნეტარსა სერაპიონს, ვითარმედ შფოთნი

ვზე, ზანავის ადგილას, სადაც აშენებულია მშვენიერი მონასტერი, რომლის პირველმაშენებლები იყვნენ ამასპო და ქურდია, ახლა კი ხელმეორედ – გიორგის და, რომელიც იყო ბეშქენ ბაჰლაუნდის ძის, დიდი მთავრის მირიანის ცოლი. თვით გიორგი შვილებისგან დაკლებული და მარტოდშთენილი იყო, რადგან ორი შვილი ჩვილობაშივე მოკვდომოდა მას, იმათ შემდეგ კი გარდაცვლილიყო მათი დედაც, რომელმაც სინათლეზე გამოიყვანა ისინი, ხოლო გიორგის სხვა მეუღლის შერთვა აღარ უვალდებულებია.

ასე რომ, როდესაც გარდაიცვალა, როგორც უკვე ვთქვით, ყოვლადკურთხეული გიორგი, ყველაფერი, რაც მას ჰქონდა – მამული, ყველა ეკლესია და თავისი შენაძენი, – თავისსავე დას მიაბარა და საკუთრად განუკუთვნა მის შვილებს, რომლებსაც ერქვათ: სულა, ბეშქენ და ლაკლაკი.

მაშ, როგორც ვთქვით, მის საფლავზე მივიდა წმინდანი, სიყვარულით და თანაღმობით იტირა, შემდეგ, წესისამებრ მოიკითხა და ნუგეში სცა გიორგის დას ლატავრის, რომელსაც მოგვიანებით თეკლა ეწოდა, და საღვთო კურთხევით აკურთხა სამივე ის ყრმა მსგავსად სამი აბრამიანი ყრმისა.

ამის შემდეგ აიღო მან დიდი მთავრის გიორგის ანდერძი, წაიკითხა იგი ცრემლით სავსემ, ილოცა გიორგისთვის და აკურთხა ეს კურთხეული კაცი, რადგან უშურველი სიუხვით ებოძებინა მას [მონასტრისთვის] ყველაფერი: გადასახადისგან თავისუფალი მიწები, მრავალგვარი საქონელი, სიმრავლე სახედრებისა და ნახირისა. [წმინდანმაც] სასოებით შეაგედრა [უფალს] ამ კაცის სული. ასე გავიდა წლები, ის ადგილი კი ძალიან აღორძინდებოდა და წარემატებოდა.

მაგრამ მივედით რა ამ სიტყვამდე, საჭიროა ყურადღებით ვისმინოთ იმის შესახებ, თუ რავგარ მადლთა ღირსი გამხდარიყო დიდი მამა მიქაელი, რადგან აჰა ესაა ის ადგილი, რომლის გამოც უწინასწარმეტყველა მან ნეტარ სერაპიონს

და განსაცთელნი შემთხუევად არიან ადგილსა მას ნამუშაქევსა შენსა, აჰა ესერა წარმოვთქუათ:

და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშუდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარებატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლა[ა]სა და შვილთა მისთადა, ვინაჲ ბირებითა ეშმაკისა[ა]თა იქმნა უწყესო[ა] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თუსი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინა[ა]თგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათვისცა განმრავლდეს სიტყვსგებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თუსი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ.

ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთმოძღუარი გიორგი შუარტყელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა[ა], რამეთუ არა ჯერ იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვა[ა] სანთლისა[ა].

და ველთ-იდვა რაჲ განგებაჲ სამცხისა[ა], დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თუსი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ შემფოთეთანი.

ხოლო ადგილი იგი, «**ზარზმად**» წოდებული, ეგო უძრავად ყოვლადვე შეწევნითა ღმრთისა[ა]თა და მადლითა სასწაულთა მიერ ნიშებშემოსილისა მამისა სერაპიონისითა.

და ვითარცა გარდაჲდა წელიწადი შუდად აღთუალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწყესობანი წმიდისა ამის მღვდელთმოძღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელ[ი] პირი და ენა[ა] დიდსავე თანა გიორგის მაწყუერელსა იყო ნეტარიცა მამა[ა] სერაპიონ. ვინა[ა]ცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანა[ა]სკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს, პირმან მან უტყუეველმან, **გიორგის** ვიტყვ **მაწყუერელსა**, ვითარ-იგი ბაჲა[ა]საჲ რტომ განედლდა და

(რომ „შფოთი და განსაცდელი შეემთხვევაო იმ ადგილს, შენს ნამუშავეს“); ამაზე უნდა წარმოეთქვათ ახლა:

როდესაც დიდ სიწყნარესა და სიმშვიდეში იყო ეს ადგილი დიდი მთავრის გიორგის გარდაცვალების შემდეგ, კარგი წინსვლა ჰქონდა რა მთელ მის საბრძანებელს, მისგანვე დატოვებულს თავისი დის თეკლას და მისი შვილებისთვის, ეშმაკისმიერი გადაბირებით შეიქნა უწესო არეულობა, რადგან მოკლა ლაკლაკმა თავისი დის ქმარი, რომელიც შემტევად ეუბნებოდა: „ამ თქვენს დასაც აქვს წილი თქვენს მამულში, რადგან თქვენც დედისგან გაქვთ იგი“. ამის გამო გახშირდა ურთიერთშეპასუხებანი. შედეგად, მოკლა ლაკლაკმა თავისი დის ქმარი, ხოლო მოხდა რა ასე, გაჭიანურდა ეს საქმე სამი წელი.

ხოლო ამ მოვლენების მეოთხე წელს გამოაბრწყინა ღმერთმა დიდი მღვდელთმოდგვარი გიორგი შუარტყელი, რომელმაც დაიკავა აწყურის საყდარი, რადგან არ იყო მართებული საწოლის ქვეშ დაფარვა სანთლისა⁴⁶.

მან ხელში აიღო სამცხის მმართველობა, წესისამებრ დააწყნარა მთელი თავისი საბრძანებელი და დაიკავა პირველ შფოთისმთავრეთა მთელი მამული და ეკლესიები.

ხოლო ის ადგილი, ზარზმად წოდებული, ყოვლითურთ შეუძრავად ნარჩუნდებოდა ღვთის შეწევნით და ნიშებშემოსილი მამის სერაპიონის სასწაულთა მადლით.

როდესაც გავიდა შვიდად აღრიცხული წელიწადი, დაცხრა და დაწყნარდა ყველა მშფოთვარება და უწესრიგობა ამ წმინდა მღვდელთმოდგვრის გიორგის მიერ, ხოლო ყველა ამ მრავალრიცხოვანი საქმის მაუწყებელი პირი და ენა დიდ გიორგი მაწყვერელთან ერთად იყო ნეტარი მამა სერაპიონიც. ამიტომ, ყველა ეს სასწაული და საქმე, რაც კი ეპისკოპოსობამდე და [ეპისკოპოსობის] შემდეგ ენახა მას, – ვამბობ გიორგი მაწყვერელს, – მანვე, უტყუარმა პირმა, მოგვითხრო ჩვენ. კერძოდ, თუ როგორ განედგა ბაიის ტოტი

ვითარ ეშმაკისა ბირებითა ცთუნებული იგი ზუავი და ამპარ-
ტავანი ენა[ა] განკურნა, რამეთუ ყოველთავე თვთმხილველ
ქმნულ იყო.

XV. ხოლო აწ კუალად აღვედინ სიტყაჲ ჩუენი პირველ
დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი-შემდგომად. და ვითარცა
იქმნა დაწყნარებაჲ შფოთთა[ა] მათ, და დღითი-დღე შეეძინე-
ბოდა წარმატებაჲ მონასტრისა[ა] მის და ძმა[ა]ცა მისი იოვანე
ზედაჲს-ზედა მოვალნ და იკურთხევინ მის მიერ და ისწავლინ
ყოველსა, რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მას მონასტერსა.
ხოლო ესე წესი დაუდევს თავთა თვსთა ნეტართა მათ, რამეთუ
ლოცვასა ღამისასა ველგანპყრობით დგიან დასსა თანა მგალო-
ბელთასა. ხოლო მოეახლის რაჲ ცისკარი, განეშორნიან ვითარ
ქვისსატყორცელ ოდენ, და მყუდროებით და ცრემლით შესწირ-
ვიდიან ვედრებათა, რაჲთა ამითცა ემსგავსნენ თვსსა მეუფესა.
და ესრეთ დღითი-დღე შესძინებდეს ტალანტსა, რაჲთა მძირთუ-
ან აღნადგინებითურთ განმყოფელსა მას მადლთასა. ესრეთ რაჲ
შუა წარვდა სიმრავლე წელთა[ა] და სიბერიითა კეთილითა გან-
პოხნეს და ფუფუნებულ და ჩჩულ იქმნეს საღმრთოთა ცნობი-
თა. და იყო ამისსა შემდგომად გარდაიცვალა და[ა]ცა იგი
გიორგისი თეკლა, და დაშთეს სამნივე იგი ძენი მისნი, და
წარემართა უფლებაჲ მათი, და იკურთხა თესლი მათი, ვი-
თარცა აბრაჰამისი და იაკობისი.

XVI. გარნა აწ ჯერ-არს, ძმანო, რაჲთა გულსმოდგინედ
ვისმინოთ აწ თქუმული ესე, და გესმოდის რაჲ დასაბამი და
აღსასრული ნეტარისა ამის ცხორებისა[ა], გიკვრდეს და აღიდებ-
დეთ ღმერთსა.

რამეთუ მახლობელ რაჲ იქმნა სოფლით წარსლვისა და მწუხარ-
ებისაგან სიხარულად მისლვისა, მოუწოდა კრებულსა მას
ძმათასა და ჰრქუა:

„ძმანო და მამანო! მსურს მე, რაჲთა მოციქულისაებრ ვიტყ-
ოდნი: „სრბაჲ აღსრულებულ არს და სარწმუნოებაჲ დამიმარხ-
ავს“, ხოლო ვიტყვარა თუ ზუაობითა, არამედ ვესავ, რამეთუ

ანდა როგორ განიკურნა ეშმაკისმიერი გადაბირებით ცთუნებული ამაყი და ამპარტავანი ენა, რადგან ამ ყოველივეს თვით-მხილველი იყო იგი.

15. მაგრამ ახლა ჩვენი სიტყვა თანდათანობით კვლავ უნდა დაუბრუნდეს ადრე დაწყებულ სიტყვებს. როდესაც მოხდა მშფოთვარებათა დაწყნარება, დღითი-დღე მატულობდა წარმატება მონასტრისა. სერაპიონის ძმა იოანეც გამუდმებით მოდიოდა და კურთხევას იღებდა მისგან, ამასთან სწავლობდა ყველაფერს, რაც თავისგან აშენებულ მონასტერს აკლდა, ხოლო იმ ნეტარმა მამებმა ასეთი წესი დაუდეს საკუთარ თავს: ღამის ღოცვაზე ხელაღპყრობით უნდა მდგარიყვნენ მგალობელთა დასთან, ცისკრის მოახლებისას კი განშორებოდნენ მათ ქვისსატყორცნ მანძილზე და იქ შეეწირათ ვედრებანი მყუდროებით და ცრემლით, რომ ამითაც მიმსგავსებოდნენ თავიანთ მეუფეს. ამ სახით დღითიდღე „განამრავლებდნენ ისინი ტალანტს“⁴⁷, რომ შენამატიურთ მიერთმიათ იგი მადლთა გამყოფისთვის. ასე გავიდა წელთა სიმრავლე. ისინიც „კარგი სიბერით გამშვენდნენ“ და საღვთო ცოდნით „შეებულნი და დაწვილებულნი გახდნენ“⁴⁸. ამის შემდეგ გარდაიცვალა თეკლაც, გიორგის და; დარჩა მისი სამივე ძე, რომელთა მფლობელობაც წარმატებული გახდა და იკურთხა მათი თესლი, როგორც აბრაამისა და იაკობისა.

16. მაგრამ ახლა საჭიროა, ძმანო, რომ გულმოდგინედ ვისმინოთ, რასაც ახლა ვიტყვით, ამასთან გაიგონებთ რა ნეტარი სერაპიონის ცხოვრების დასაბამსა და აღსასრულს, გიკვირდეთ და აღიდებდეთ ღმერთს.

ვინაიდან როდესაც იგი მიუახლოვდა ამსოფლიდან წასვლას და მწუხარებისგან სიხარულთან მისვლას, მოუხმო ძმათა კრებულს და უთხრა:

„ძმანო და მამანო! მსურს მე, რომ მოციქულისებრ ვთქვა: „სრბოლა აღსრულებულია და სარწმუნოება დაცული მაქვს“⁴⁹. ვამბობ კი არათუ ცუდმედიდობით, არამედ იმედი

„ამიერიტგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი“, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი, რამეთუ ესრეთ მზა არიან გვრგვნი[ნი] მოყუარეთათჳს მისთა, ვითარცა თვთ თავადი იტყჳს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ“, „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ გულითა“, ხოლო თქუენ, შვილნო, ისწავეთ მეტყუელისა: „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა და გონებითა, და მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი“. და კუალად იტყჳს: „უკ[უ]ეთუ გინდეს, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეთ ჰყოფდით თქუენ მათდა მიმართ. და ამათ მცნებათა და ყოველი სჯულ[ი] და წინაასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“, და „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“. ხოლო თქუენ, ძმანო, დაიმარხეთ ყოვლისა პირველად სიყუარული ღმრთისა და მოყუსისა[ჲ], ვითარცა თავი სჯულისა და წინაასწარმეტყუელისა[ჲ], და მარადის ილოცვედით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცთელსა, რამეთუ ლოცვა[ჲ] მიმაახლებელი არს ღმრთისა[ჲ] და ბჭე სასუფეველისა[ჲ], შემაერთებელი ანგელოზთა[ჲ] და დამცემელი ეშმაკთა[ჲ]. რამეთუ წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ლოცვა[ჲ] თქუეს საჭურველად, მარხვა[ჲ] ზღუდედ და წმიდანნი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილებაჲ წამებად, რომელი-ესე ღუაწლით შემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხვეველად სისხლთა გვრგვნოსან ჰყოფს კაცსა“.

ესევეთარი მრავალი წარმოუთხრა წმიდამან მან ოქრონაკადულით პირით მისით მოწაფეთა თჳსთა. და კუალად ჰრქუა: „მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, ხოლო თქუენ იძიეთ მამა[ჲ] და წინამოდღუარი, რომელი შემძლებელ იყოს მწყსად თქუენდა, ვითარცა შვილთა და ძმათა“.

ხოლო ყოველნი იგი, აღესებულ[ნი] ცრემლითა, ტიროდეს ფრიად და არავინ მიუგო ტირილისა მისგან ფრიადისა. და მორაჲ-ეგნეს თავთა თჳსთა, მიუგეს ესრეთ და ჰრქუეს: „ჩუენ,

მაქვს, რომ „ამიერიდან მომელის მე სიმართლის გვირგვინი“⁵⁰, – არა მე, არამედ ყველას, ვინც შეიყვარა მისი გამოჩინება, ვინაიდან ასეა გამზადებული გვირგვინები მისი მოყვარულებისთვის, როგორც ამას თვითვე ამბობს თავად: „მოდით ჩემთან ყველა დამაშვრალი და ტვირთმძიმე და მე მოგისვენებთ თქვენ. ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი“⁵¹. თქვენ კი, შვილნო, ისწავლეთ მისგან, ვინც ამბობს: „შეიყვარე შენი უფალი ღმერთი მთელი შენი გულით, მთელი სულით და გონებით, და – მოყვასი, როგორც საკუთარი თავი“⁵². და კიდევ ამბობს: „რაც გინდათ, რომ გაგიკეთონ ადამიანებმა, ასევე გააკეთეთ თქვენც მათ მიმართ, და ამ მცნებებზე ჰკიდია მთელი სჯული და წინასწარმეტყველები“⁵³, და „ამით გაიგოს ყველამ, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გეყვარებათ ერთიმეორე“⁵⁴. ხოლო თქვენ, ძმანო, დაიცავით პირველყოფლისა ღვთის და მოყვასის სიყვარული, როგორც თავი სჯულისა და წინასწარმეტყველებისა, და მუდმივად ღოცულობდეთ, რომ არ შეხვიდეთ განსაცდელში, ვინაიდან ღოცვა მიმანახლოებელია ღმერთთან და კარიბჭეა სასუფეველისა, ანგელოზებთან შემაერთებელია და დამცემია ეშმაკებისა, რამეთუ წმინდა და ღმერთშემოსილმა მამებმა ღოცვა საჭურველად თქვეს, მარხვა – გალაუნად, წმინდა ცრემლები – განსაბანელად, ხოლო მორჩილება – მოწამეობად, რაც ღვაწლშემოსილ მოწამეებთან ერთად გვირგვინოსანს ხდის ადამიანს სისხლის დაღვრის გარეშე“.

ამგვარი რამ ბევრი ამცნო წმინდანმა ოქრონაკადულიანი პირით თავის მოწაფეებს და კიდევ უთხრა: „მე, ძმანო, აჰა მივდივარ რამდენიმე დღის შემდეგ, ხოლო თქვენ მოძებნეთ მამა და წინამძღვარი, ვინც შეძლებს, რომ დაგმწყსოთ თქვენ როგორც შვილები და ძმები“.

ისინი კი ყველანი, ცრემლით ავსებულნი, მეტისმეტად ტიროდნენ და ამ მეტისმეტი ტირილის გამო ვერავინ უპასუხა [მოდვარს], მაგრამ როდესაც გონს მოეგნენ, ასე მიუგეს და

მამაო, ვინაათგან ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოვლადმოწყალისა მამისაგან, არა უწყით რაჲ მიგიგოთ“.

და წმიდამან ჰრქუა: „ვინა[ა]თგან, შვილნო, არას მითხრობთ, მე, გლახაკა, თანამაც, რაათა მევე ვიტყოდი ჯერისაებრ“.

და იყო ვინმე მღვდელთაგანი კაცი კეთილთა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა, სახელით გიორგი. ამას მოუწოდა წმიდამან და ჰრქუა: „შ საყუარელო შვილო გიორგი, რამეთუ წილ კეთილ ხუედრებულ არს შენდა, რაათა შემდგომად ჩემსა სამწყსო[ა] ესე ქრისტესი ვითარცა მამამან სულთმოყუარემან კეთილად დამწყსო, და ვითარცა შეჰგავს შვილთა მამისმოყუარეთა, შეუდგენ ვმასა შესა“.

ესე სიტყუანი რაჲ ესმნეს გიორგის, აღვსებული ცრემლითა ეტყოდა: „მძიმე არს, შ წმიდაო, დადებად ბეჭთა ჩემთა ტვრთი ძნიად სატვრთავი, და გევედრები, რაათა შენდობაჲ ჰყო და არღარა მიბ[რ]ძანო კუალადცა“.

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა: „არა მე, არამედ ქრისტე გვბრძანებს ჩემ მიერ“.

და სიტყვთა ამით დაარწმუნა წინამძღ[უ]რობაჲ ძმათა მათ, რომლისათვისცა ყოველთა მათ განიხარეს, რამეთუ მსგავსადვე მისა ხედვიდა ყოველი იგი კრებული.

და შეჰვედრა სამწყსო[ა] იგი თუსი გიორგის, და განუჩინ[ნ]ა ყოველნი, რაოდენ[ნ]ი უვმდეს მნენი ეკლესიისანი. და განაწყო კრებული იგი განგებითა საღმრთო[ა]თა და ფრიად შუენიერთა.

ვინა[ა]ცა დღესა მეშუდესა ყოველთა ამათ საქმეთასა მცირედ რაჲმე დასნეულდა და მიწვა ცხედრად. ხოლო დღესა მესუთესა აღდგა, ვითარცა ახალ განჭაბუკებული, და მიიწია წმიდად საკურთხეველად და შეემთხვა წმიდასა ტრაპეზსა და განმაცხოველებელსა ხატსა ქრისტეს კაცებისასა. და უბ[რ]ძანა, რაათა აზიარონ ვორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და დაიბეჭდა საუფლოჲ ჯუარი და მოიკითხა თითოეულად სიმრავლე იგი ძმათა[ა] და ჰრქუა: „ილოცეთ ჩემთვს, ძმაო, და ცხონდით,

უთხრეს: „ჩვენ, მამაო, ვინაიდან ტკბილი და ყოვლადმოწყალე მამისგან ობოლნი ვხდებით, არ ვიცით რა მოგიგოთ“.

წმინდანმა კი უთხრა: „რადგან, შვილნო, არაფერს მეუბნებით მე, გლახაკს, მმართვეს, მევე ვთქვა საჭიროებისამებრ“.

იყო ვიღაც მღვდელთაგანი, ადამიანი, მბრწყინავი კარგი სათნოებით, ტკბილი სიტყვითა და საქმით, სახელად გიორგი. მას უხმო წმინდანმა და უთხრა: „ჰოი საყვარელო შვილო გიორგი, კარგი წილი გხვდა შენ, რომ ჩემს შემდეგ ჯეროვნად დამწყსო ეს ქრისტეს სამწყსო როგორც სულთმოყვარე მამამ, ისინი კი გამოჰყვნენ შენს ხმას, როგორც შეჰფერთ მამის-მოყვარე შვილებს“.

როდესაც ეს სიტყვები გაიგონა გიორგიმ, ცრემლით ავსებულმა უთხრა: „მძიმეა, ჰოი წმინდაო, ჩემს ბეჭებზე დასადებად ეს ძნელად საზიდი ტვირთი. ამიტომ გევედრები, რომ ღმობიერება გამოიჩინო და მეტად აღარ მიბრძანო“.

წმინდანი კი უპასუხებდა: „არა მე, არამედ ქრისტე გიბრძანებს ჩემს მიერ“.

ამ სიტყვით დაარწმუნა მან იგი, რომ ეწინააღმდეგრა ძმათათვის. ამის გამო ყველამ გაიხარა, ვინაიდან მთელი ის კრებული ხედავდა მას, როგორც სერაპიონის მსგავსს.

და მას შეავედრა სერაპიონმა თავისი სამწყსო, ამასთან დაუდგინა იმდენი მნე ეკლესიისა, რამდენიც დასჭირდებოდა, და [ძმათა] კრებულს განუწესა საღვთო და მეტად მშვენიერი განგება.

ხოლო ყველა ამგვარ ღვწათა მეშვიდე დღეს მცირედით დასნეულდა იგი და მიწვა ლოგინზე, თუმცა მესუთე დღეს აღბა როგორც ახლად გაჭაბუკებული, მივიდა წმინდა საკურთხეველთან, მიეახლა წმინდა ტრაპეზს და ქრისტეს განკაცების ცხოველმყოფელ ხატს, ამასთან უბრძანა, რომ ეზიარებინათ იგი ქრისტეს ხორცთან და სისხლთან, გადაიბეჭდა საუფლო ჯვარი, თითოეულად გამოემშვიდობა ძმათა სიმრავლეს და უთხრა: „ილოცეთ ჩემთვის, ძმანო, და

რამეთუ ამიერიტგან არღარა მიხილოთ სოფელსა ამას“. და წარვიდა და მიიწია ცხედრად ჟამსა მეექუსესა. და მეცხრესა ჟამსა შეჰვედრა სული თვისი ველთა ღმრთისათა, რომლისა[მ] სურვიელ იყო მარადის.

ხოლო არა მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა ძმა[მ] მისი იოვანე, რამეთუ უწყებული იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული. და შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთაჲ. ხოლო მოვიდა ღმერთშემოსილი გიორგი მაწყუერელიცა ჯუართა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა.

და ესეცა ვთქუათ, რამეთუ მწყობრნი ანგელოზთანი კრებულსა თანა ყოველთა წმიდათასა შეერთებულნი მოიწინეს, ვითარცა თანამოკარვისა და თანამოსაგრისა მათისა. და ყოველთა აღიტყუელნეს ველნი[ი] სიხარულითა და ზეცას აღიყვანეს ყოველად სანატრელი იგი სული მისი.

და ზეცისანი განმხიარულებულნი ადიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანის[ან]ი გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და საღმობათაგან ჯსნილნი მადლობასა და თაყუანისცემასა შესწირვიდეს. და ჯეროვნითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკუმეველთა სულნელებითა შემურეს და დადვეს საფლავსა, რომელი-იგი თვთ შეემზადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა, რამთა დღითი-დღე ხილვითა მისითა ივსენებდეს სიკუდილსა, რომელი-იგი სამარადისოდ წინაშე თუალთა აქუნდა.

და ესრეთ სრულ-ყვეს წესი იგი სამკუდროჲ. და მრავალნი ჟამსა მას დაფლვისა მისისასა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს, რამთა ყოველთა უწყოდი[ან], ვითარმედ სიკუდილისა-ცა [შემდგომად] ცხოველ არს და ილუწის სარწმუნოებით შევედრებულთა. ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთა[მ] ვერცა თუ გონებათაგან მისაწ[უ]თომელ არს, გარნა კერძო-რამდე და მცირედი მოვივსენოთ და მერმე დუმილი მივსცეთ სიტყუასა.

იცოცხლეთ, ვინაიდან ამიერიდან ვეღარ მნახავთ ამ სოფელში“. და წავიდა იგი და მივიდა ლოგინთან მეექვსე ჟამს⁵⁵, მეცხრე ჟამს კი მიაბარა თავისი სული ღვთის ხელებს, რომელიც სურდა მას ყოველთვის.

ლავრის მამებმა არამცირედ იგლოვეს წესისამებრ და ცრემლით.

მაშინ მოვიდა მისი ძმა იოანე, ვინაიდან სულიწმინდისგან ჰქონდა მას ნაუწყები და [მისგანვე იყო], როგორც ღრუბლით, ზეატაცებული. შეიკრიბა მახლობელი მონასტრების და სოფლების სიმრავლე, მოვიდა ღმერთშემოსილი გიორგი მაწყვერელიც ჯვრით ეკლესიის ყველა დასთან ერთად,

და ესეც უნდა ვთქვათ, რომ ანგელოზთა დასებიც ყველა წმინდანის გუნდთან ერთად მოვიდნენ მასთან როგორც მათსავე თანამკვიდრთან და თანამოსაგრესთან. ყველა [ანგელოზმა] სიხარულით „შემოჰკრა ტაში“⁵⁶ და მათ ზეცად აიყვანეს მისი ყოვლადსანატრელი სული.

ზეცისანი გამხიარულებულები აღიდებდნენ ღმერთს, ხოლო მიწაზე მყოფნი მის წმინდა სხეულთან შეხებით სნეულებებისა და ტკივილებისგან თავისუფლდებოდნენ და მადლობასა და თაყვანისცემას აღავლენდნენ. წესისამებრი გალობით, სანთლების სიმრავლითა და საკმეველთა სურნელებით შემურეს იგი და ჩაასვენეს საფლავში, რაც თვით მას ჰქონდა გამზადებული საკურთხეველის აღმოსაველეთით (რომ ამ საფლავის ყოველდღიური ხილვით გაეხსენებინა სიკვდილი, რაც მუდამჟამს თვალთა წინაშე ჰქონდა).

ასე შეასრულეს დამარხვის წესი და ბევრი ვინმე მისი დასაფლავების დროს განიკურნა სხვადასხვა სენისგან, რათა ყველას სცოდნოდა, რომ სიკვდილის შემდეგაც ცოცხალია იგი და მეურვეობს მისდამი სარწმუნოებით შევედრებულებს. ხოლო მისი სასწაულების სიმრავლე გონებისგან მიუწვდომელია, თუმცა ზოგიერთსა და მცირეოდენს ვახსენებთ და შემდეგ დუმილს განვუკუთვნებთ სიტყვას:

ჯერეთ ცხედარსავე აქუნდა მრავალმოლუაწე იგი გუამი წმიდისა მის და აჰა ესერა მოიწია კაცი ვინმე ყოვლად განჯმელი, რომელი ფრიად რამე სასტიკებით განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, რამეთუ სისხლი წარსდიოდა სარცხვნელსა მისსა და ვმოზდა ვმითა უშუერიითა. და ვითარცა მყის მოიწია, მოეხვა მოწლედ ცხედარსა მისსა, და აჰა ესერა კაცი იგი იქმნა ვითარცა მკუდარი. და მეყსეულად სახილველად ყოველთა ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვეს ორნი ქვანი განსაკ[რ]თომელნი სიდიდითა. და იქმნა კაცი იგი ყოვლად მრთელ, ვითარმცა არარაა შემთხუეოდა ვნებად იგი. და ყოველთა, რომელთა იხილეს, ადიდეს ღმერთი, მადიდებელი წმიდათა მისთაჲ.

ვინა[ა]ცა ჟამსა მას მოიწია სიმრავლე თითოსახეთა სნეულთა[ა] და ყოველნი განიკურნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. ხოლო შემდგომად დაფლვისა მისისა და მიწად მიფარვისა ვიდრე დღენდელად დღემდე მიუწ[უ]დომელ არიან ნიშნი და ძალნი მის მიერ აღსრულებულნი თვთოეულთა ზედა სნეულთა, და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქუმა[ა] და აღწერა[ა] ყოველთა მათ სასწაულთა[ა], რომელნი-იგი სარწმუნოთა კაცთა ფიცით მოგვთხრნეს ჩუენ.

ხოლო ჩუენტა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი ვითარ მიუთხრათ სიყუარულსა თქუენსა, რამეთუ უშურველად ფშვს მადლი ნაწილთა მისთა[ა] სარწმუნოებით მვედრებელთათვს, რომელი-იგი მარადის აღესრულების სადიდებელად ღმრთისა.

XVII. ხოლო ამიერითგან მოვივსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღირს ქმნულ იყო წინამსწარმეტყუელებისა[სა], რამეთუ აჰა ესერა ეგულების სიტყუასა მოვსენებად სიტყუა[ა] იგი, რაჟამს ჰრქუა ძმასა თვსსა იოვანეს, ვითარმედ: „ჟამთა ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესია[ა] ფრიად შუენიერი“.

რამეთუ აჰა ჟამი იგი წინამსწარმეტყუელებისა[ა] მოიწია, რამეთუ ვიდრელა იგი ცოცხალ იყო, წმიდაჲ ესე ყოველთა მიერ საყუარელ და ყოველთა მეგობარ იყო და მოძლუარ, რომლი-

ჯერ კიდევ ლოგინზე იყო წმინდანის მრავალმოღვაწე სხეული, როდესაც მოვიდა ვიღაც კაცი მთლიანად გამხმარი, რომელიც რაღაც მეტისმეტი სისასტიკით განირღვეოდა ტკივილის სიმძაფრისგან, ვინაიდან სისხლი მისდიოდა მის სარცხვენელს, და ისიც გაჰყვიროდა უმსგავსი ხმით. როდესაც კი მოადწია მან, სიყვარულით მოეხვია მის ლოგინს და აჰა ეს კაცი გახდა როგორც მკვდარი. მყისვე ყველას დასანახად მის თესლმდინარე ასოს დასცვივდა შემაშინებელი სიდიდის ორი ქვა და ეს კაცი გახდა მთლიანად ჯანმრთელი, ისე თითქოს არასოდეს შემთხვეოდა ხსენებული ვნებულება. ყველამ, ვინც ეს ნახა, აღიდა ღმერთი, თავის წმინდანთა მადიდებელი.

ამის გამო იყო, რომ იმ დროს მოვიდა სხვადასხვა სახის სნეულთა სიმრავლე. ყველა იკუთრებოდა და აღიდებდა ღმერთს. წმინდანის დასაფლავებისა და მიწაში დაფარვის შემდეგ კი, ვიდრე დღევანდელ დღემდე, მიუწვდომელია ყოველ სნეულზე მის მიერ აღსრულებული ნიშები და სასწაულები, და ადამიანური ენისგან შეუძლებელია წარმოთქმა და აღწერა ყველა იმ სასწაულისა, რაც კი სარწმუნო კაცებმა ფიცით მოგვითხრეს ჩვენ.

ან კი ამ ჩვენს დროში ნანახი და გაგონილი როგორ ვუამბოთ თქვენს სიყვარულს, ვინაიდან უშურველად სურნელობს მის ნაწილთა მადლი სარწმუნოებით მვედრებელთათვის, რაც მარადის აღესრულება ღვთის სადიდებლად.

17. მაგრამ ამის შემდეგ ვახსენოთ, თუ როგორი წინასწარმეტყველური მადლის ღირსი გამხდარიყო იგი, ვინაიდან აჰა აპირებს სიტყვა ვახსენებას იმ სიტყვისას, როდესაც უთხრა მან თავის ძმას იოანეს: „გავა დრო და ამ ბორცვზე აშენდება მეტად მშვენიერი ეკლესია“.

მართლაც, აჰა, დადგა დრო მისი წინასწარმეტყველებისა, ვინაიდან ჯერ კიდევ ცოცხალი იყო წმინდანი, როდესაც მას, როგორც ყველასგან საყვარელს, ყველას მეგობარს და

სათხსცა დაემოწაფა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოვლად უცნაური. და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა «**ძარღუას სოფელ**» ეწოდების.

და დღითი-დღე მოვიდის კაცი იგი და ეტყოდა წმიდასა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა ველითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“, ხოლო იგი აყენებდა ჟამად, რაათა უფრო[ა]ს გამოჩნდეს საკურველი მისითა მით ერისკაცად მიმყოფებითა.

ხოლო იგი ეტყოდა: „მაკურთხე, მამაო, და მიიღე მცირე ევლოგია და წარაგე საშენებელად მონასტრისა“.

ხოლო იგი კუალადცა უბრძანებდა, რაათა დრო-ყოს და თვთ მოვალს ჟამი, რაათა იქმნეს მონაზონ და ევლოგია[ა], რომელ განგიმზადებდეს, ფრიად რამე ეკმაროს.

ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი და მიიცვალა წმიდა იგი, მოიწია მესამე დღე მიცვალებისა მისისა[ა] და დაიდგა წმიდა იგი პირველსენებულსა მას საფლავსა, რომელი თვთ ეშენა აღმოსავალით საკურთხეველსა დამართებით სარკუმელსა.

და მოვიდა კაცი იგი, ვითარცა ვთქუთ, დღესა მესამესა მიცვალებისა მისისა[ა] და იტირა ფრიად და წმიდასა მას ეშჯოდა, ვითარცა ცხოველსა არა ველითა მისითა აღკუეცისათხს მისისა, რომლისათხსცა იტყოდა, ვითარმედ: „არა განეშოროს საფლავსა, ვიდრემდის არა მონაზონ იქმნეს და ევლოგია[ა]ცა იგი დადვას ადგილსა მას სამარხოსა მისისასა“.

და ვითარცა ესრეთ მდულარე იყო კაცი იგი, მაშინ უბრძანა მამასახლისმან მნეთა ეკლესიისათა, რაათა მოიღონ სამჯარი და კუნკული და აღკუეცონ კაცი იგი. ხოლო მათ მსწრაფლ შეუდგინეს საქმე სიტყუასა, და აღკუეცეს კაცი იგი და აღასრულეს მის ზედა ყოველი წესი მონაზონთა[ა].

და ვითარცა წარვიდა კაცი იგი სოფლად თხსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა, და განჰკრთეს, იხილეს რამ უცხო[ა]თა სამოსლითა შემოსილი, და ენება კუალად ერისაგან ყოფამ. და

მოძღვარს, დაემოწაფა ვიღაც სრულიად უცნობი კაცი. ეს კაცი იყო პატარა ადგილიდან, რომელსაც „ძარღუასსოფელი“ ეწოდება.

იგი ყოველ დღე მოდიოდა წმინდანთან და ეუბნებოდა მას: „მაკურთხე მამაო, შენი წმინდა ხელით და შემაერთე შენს წმინდა კრებულს“, ის კი აფერხებდა მას გარკვეული დროით, რომ უფრო მეტად გამოჩენილიყო საკვირველება ამ კაცის ერისკაცობაში დაყოვნების გზით.

ის კი მაინც ეუბნებოდა: „მაკურთხე, მამაო, მიიღე მცირედი შესაწირავი და დახარჯე იგი მონასტრის ასაშენებლად“.

წმინდანიც კვლავ უბრძანებდა, რომ დაეხანებინა და შემდეგ თავისთავად მოვიდოდა დრო იმისა, რომ მონაზონი გამხდარიყო იგი, მაშინ კი ეს შესაწირავი, რაც გამზადებული ჰქონდა, ძალიან დასჭირდებოდა.

და როდესაც დადგა დრო და მიიცვალა წმინდანი, დადგა მესამე დღე მისი მიცვალებისა და ჩასვენდა წმინდანი ზემოხსენებულ საფლავში, რაც თვითვე აეშენებინა საკურთხევლის აღმოსავლეთით, პირდაპირ სარკმლის ქვეშ.

მაშინ მოვიდა ის კაცი, რომელიც ვახსენეთ, მისი მიცვალების მესამე დღეს, იტირა ძალიან და თან ედავებოდა წმინდანს როგორც ცოცხალს, თავისი ხელით რომ არ აღკვეცა იგი. ამის გამო ეუბნებოდა მას, რომ არ განშორდებოდა საფლავს, ვიდრე არ გახდებოდა მონაზონი და რომ იმ შესაწირავს დადებდა მისი სამარხის ადგილას.

იყო რა ეს კაცი აგრერიგად მღუღარე, უბრძანა მამასახლისმა ეკლესიის მნეებს, რომ მოეტანათ სამხრე და კუნკული და აღკვეცათ იგი. მნეებმა მყისვე მოადვენეს სიტყვას საქმე, აღკვეცეს ის კაცი და შეასრულეს მასზე მთელი სამონაზონო წესი.

როდესაც წავიდა ეს კაცი თავის სოფელში, იცნეს იგი [იქაურმა] ადამიანებმა და მეგობრებმა, შეცბუნდნენ, ნახეს რა იგი უცხო სამოსლით შემოსილი, და უნდოდათ, რომ

ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილება მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საჯმარ და მსრბოლ გზათა შორთა.

ხოლო კაცმან მან ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტევე-ბენ ნებისაებრ მისისა, მაშინ აღილო ევლოგია[ა] იგი და რაოდენი რაჲ ეძლო სახლით თუსით და სივლტოლა[ა] ივუმია. ვინა[ა]ცა დევნა-უყვეს უკ[უ]ანა მისსა, და შეწევნითა მის წმიდისა[ა]თა ვერ ეწინეს. და ვითარცა შევიდა კაცი იგი მონასტრად და მდევარნიცა იგი უკ[უ]ანა მისსა, და ვითარცა ენება, რამათა შეიპყრან და წარუღონ, რაჲ იგი აქუნდა, და მიიწია კაცი იგი დამართებით სარკუმელსა ეკლესიისასა და შეაგდო, რაჲ-იგი აქუნდა ველთსავოცელსა შინა გამოკრულ.

და ესრეთ უღონო რაჲ იქმნეს მდევარნი იგი, ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის, რამათა განეხუნენ კარნი ეკლესიისანი და რამათა წმიდასა მას თაყუანის-სცენ და მათცა იხილონ, რაჲ-იგი შეეწირა ევოგიაჲ კაცსა მას.

ეჰა განგებულებაჲ საღმრთო[ა], და რამათა ცნან ყოველთა, ვითარმედ მიცვალებისაცა [შემდგომად] ძალ-უც წმიდასა მას ქმნად, რაჲცა ენებოს.

და ვითარცა განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდად ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად და იძიეს, რაჲ იგი ცხადად შევრდომილ იყო სახილველად ყოველთა და არღარა იპოვა მათ მიერ, და შიშმან და განკურვებამან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა.

XVIII. ხოლო ვითარცა წარვდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალა, რომლისა მონაცვალედ დადგა მიქაელ ვინმე, რომელსა გიორგივე ამცნო, ვითარმედ:

„იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა და ნურარას ზრუნავ წარსაგებელთათჳს, რამეთუ ჩუენებით მეუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგია[ა] იგი, რომელ მოილო კაცმან მან, იგი დამარხულ არს ქუეშე-კერძო ჯუარისა (რომელი იყო თავით-კერძო წმიდისა მის), აღმოიღეთ იგი და მიეცით

კვლავ ერისკაცად ექციათ იგი, მაგრამ ვინაიდან ვერ შეძლეს მისი დამორჩილება, უთხრეს ეს [ამბავი] მის ბატონს, ვინაიდან იყო ეს კაცი საჭირო პირი და შორი გზების შიკრიკი.

მაგრამ როდესაც ამ კაცმა იგრძნო, რომ არ უშეგებენ თავის ნებაზე, აიღო ის შესაწირავი და თავისი სახლიდანაც, რაც შეეძლო, და გაქცევა ირჩია, რის გამოც უკან გამოედევნენ მას, მაგრამ წმინდანის შეწევნით ვერ დაეწივნენ. და როდესაც შევიდა ის კაცი მონასტერში, მღევრებიც უკანვე მიჰყვნენ, რომლებსაც უნდოდათ, რომ შეეპყროთ იგი და წაერთმიათ, რაც ჰქონდა. ის კაცი კი მივიდა პირდაპირ ეკლესიის სარკმელ ქვეშ და შეაგდო შიგ, რაც ჰქონდა მას ხელსახოცში გამოკრული.

როდესაც ასე უძლური გახდნენ მღევრები, შეევედრნენ ისინი წინამძღვარ გიორგის, გაეხსნა ეკლესიის კარი, რომ თაყვანი ეცათ წმინდანისთვის და მათაც ენახათ, თუ რა შესაწირი გაეღო იმ კაცს.

ეჭა საღვთო განგებულებას, [რაც აღსრულდა], რათა ყველას გაეგო, რომ მიცვალების შემდეგაც ძალუძს წმინდანს იმის გაკეთება, რაც ნებაგს.

როდესაც გახსნეს კარი, შევიდნენ წმინდა ეკლესიაში, ავიდნენ საკურთხეველთან და ძებნეს ის, რაც ყველას დასანახად იქნა შეგდებული, თუმცა ვედარ იპოვეს, რის გამოც შიშმა და გაკვირვებამ შეიპყრო ყველა და ადიდებდნენ ღმერთს.

18. როდესაც გავიდა მრავალი წელი და გარდაიცვალა წინამძღვარი გიორგი, მის მონაცვლედ დადგა ვინმე მიქაელი, რომელსაც გიორგიმვე ამცნო::

„დაიწყოთ ეკლესიის შენება მამა სერაპიონის ბრძანებისამებრ, ხოლო ხარჯებისთვის ნუ იწუხებთ, ვინაიდან ხილვაში მაუწყა წმინდანმა, რომ ის შესაწირავი, იმ კაცმა რომ მოიტანა, დამარხულია ჯვრის ქვეშ, რაც იყო წმინდანის თავით. ამოიღეთ იგი და მიეცით ყველა მუშას, ხოლო

ყოველთა მუშაკთა, და კაცი იგი კეთილი ყავთ განმგე ყოვლისა, ვითარცა-იგი ჩემ მიერცა განმგებელ იყო ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისათა“.

და ამის მიქაელის ზე იწყეს ეკლესია[მ] იგი, წინააღმდეგ გამოსახული წმიდისა მიერ თთუესა ენისსა ოთხსა, დღესა ხუთ-შაბათსა, რამეთუ ველოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა მიქაელ ქუეყანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან «**ხუფათ**» წოდებულისა, ბრძანებითა უფალთა[მ]თა, რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზ სახელით **შუარტყელი**. და ესე ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა.

და ვითარცა უწყოდა მამამან მიქაელ უწყებითა მამისა[მ]თა გიორგისითა, ძებნა ევლოგიაჲ იგი, რამეთუ მივიდეს მღდელნი სახარებითა და სანთლებითა საკუმეველთა თანა, და თვთ კაცი იგი მომღებელი ევლოგიისა[მ] მის.

და ვითარცა წარიკითხეს სახარებაჲ იოვანეს თავისა[მ]: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“, და მოიდრიკნეს მუხლნი და ევედრნეს წმიდასა სერაპიონს, და გარდაუსუენეს ჯუარი იგი, ვითარცა უწყებულ იყო მამისა გიორგისდა, ეჲა საკრველებათა შენტა, ქრისტე! რამეთუ იპოვა ყოვლად შეუძრველად ბეჭედი, რომელი იხილა რაჲ კაცმან მან, განკურდა, და ყოველთა მადლობაჲ მისცეს ღმერთსა და წმიდასა სერაპიონს.

ხოლო იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვ ოქრო[მ]საჲ და ვითარებაჲ. ხოლო მან პრქუა: „ოქრო[მ] ეგე არს ოქრო[მ]საგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთაჲთა, ხოლო რიცხვთ იყო ბეჭედსა ამას შინა დრაჰკანი სამასი ხუთითურთ“.

და ვითარცა გნჰვნეს მანდილი, რომელსა შინა გამოკრულ იქ[მ]ნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ეთქუა კაცსა მას. და იწყეს შენებად გულსმოდგინედ.

და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმათა იკონომოსობაჲ ერწმუნა. და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისა[მ].

ის კარგი კაცი გახდეს ყველაფრის გამგე, ისევე როგორც ჩემს მიერაც გამგე იყო მონასტრის ყველა საჭირო სამსახურისა“.

ამ მიქაელის დროს ივნისის თვის ოთხში, ხუთშაბათ დღეს დაიწყო ის ეკლესია, რაც წინასწარ გამოსახა წმინდანმა, ვინაიდან მიქაელმა, პატრონთა ბრძანებით, მოუხმო ოსტატობით სახელგანთქმულ ადამიანს ბერძენთა ქვეყნიდან, იმ ადგილისგან, რომელსაც „ხუფათი“ ჰქვია. მას თანაშემწედ ჰყავდა კალატოზი შუარტყლის ხევიდან. ორივე მათგანი იყო მუშათა სიმრავლის მოძღვარი და მასწავლებელი.

მამა მიქაელმა, მამა გიორგის უწყებისამებრ, ძებნა ის შესაწირავი, ვინაიდან მოვიდნენ მღვდლები სახარებითა და სანთლებით საკმევლითურთ, და თვით ის კაციც, შესაწირავის მომტანი.

როდესაც მათ წაიკითხეს იოანეს თავის სახარება: „პირველად იყო სიტყვა“⁵⁷, მოიდრიკეს მუხლი, ევედრნენ წმინდა სერაპიონს და გადაუსვენეს ჯვარი, როგორც ეს ნაუწყები იყო მამა გიორგისთვის. ეჭა შენს საკვირველებებს, ქრისტე, ვინაიდან აღმოჩნდა ყოვლად შეუძრავად ბეჭედი, და როდესაც ნახა იგი იმ კაცმა, გაუკვირდა. ყველამ მადლობა გადაუხადა ღმერთსა და წმინდა სერაპიონს.

ამასთან გამოიკითხეს იმ კაცისგან რაოდენობა და ხარისხი ოქროსი. მან კი თქვა: „ეგ ოქრო არის თლილი და წმინდა ოქროსგან პირველ მეფეთა გამოსახულებით, ხოლო რაოდენობით ამ ბეჭდის შიგნით იყო სამასი ოქროს ფული და კიდევ ხუთი“.

როდესაც გახსნეს მათ მანდილი, რაშიც გამოკრული იყო [შესაწირავი], აღმოჩნდა ისე, როგორც წინდაწინ ეთქვა ამ კაცს. მაშინ დაიწყო გულმოდგინე მშენებლობა.

და ის კაცი გაამწესეს გამგედ არა მხოლოდ კალატოზებისა, არამედ მასვე მიენდო აგრეთვე ძმათა იკონომოსობაც. ასე წარიმართა ეკლესიის შენება.

ვინა[მ]ცა საფუძველით და ხარის[ხ]თაფთვან ილუწოდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა თუნეერ სანოვაგეთასა.

და ვითარცა აღეშენა შტო[მ]თურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქრო[მ] იგი კაცისა[მ] მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტვრთავს ჯუარი ქრისტესი“.

და იყო ვითარ გასრულდა სარკუმლამდე, გამოხატეს თვთ მიქაელცა ორთა მათ თანა გალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისასა.

ხოლო მადლი წმიდისა[მ] მარადის მოსცემდის წარსაგებელთა, რამეთუ სახედ მდინარისა შემოსდიოდეს სავმარნი. და აღეშენა ვიდრე სამჯურემდე მამობასა მიქაელისსა. და დაუტევა ცხორებაჲ ესე და წარვიდა უფლისა.

ამისსა შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისა პავლე ვინმე ხუცესი, კაცი წამებული ყოვლისა მიერ ერისა. ვინა[მ]ცა ამან პავლე სრულ ყო ეკლესია[მ] და შეამკო ყოვლითა სამკაულითა.

და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა[მ], და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა **პავლესსა**. და კაციცა იგი, მომღებელი ევლოგიისა[მ], სიბერიითა კეთილითა განპოხებული, და წარვიდა უფლისა. და ესე აქამომდე იყავნ.

XIX. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუაჲცა მოვივსენოთ და ეგრეთ დავიბეჭდოთ სიტყვსა, რამეთუ თვთ დასწერს **ბასილი**, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა[მ] აღწერა, და იტყვს, ვითარმედ:

„მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთა[მ], შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათა მოვიწიე ზედა წმიდასა სამარხვოსა მისსა და ვიხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშაკვევი მისი, და განვიშვ და განვიხარე. ხოლო რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მიიღებდეს დღითი-დღესა კურნებასა, ამისთვისცა ბრძანებითა უფალთა[მ]თა ველ-ვყავ და შევკმზადე ლარნაკი ქვისა და აღვადე საფლავსა

ამიტომ, საძირკველიდან და საფეხურებიდანვე ყველა მუშის ხარჯს ის კაცი სწევდა გარდა სანოვაგისა.

როდესაც აშენდა [ეკლესია] სარკმლებამდე, სტოვას ჩათვლით, დაილია იმ კაცის ოქრო, რასაც თვითვე ქადაგებს, იმ ადგილას გამოქანდაკებული: „აქ დაილია ჩემი ქონება, სადაც მდგომარე ვარ და მიტვირთავს ქრისტეს ჯვარი“.

ხოლო როდესაც სარკმლებამდე დასრულდა [შენება], გამოხატეს იქ თვით მიქაელიც იმ ორ კალატოზთან ერთად აღმოსავლეთ სარკმელთან.

ამასთან, წმინდანის მაღლი მუდამუჟამს გამოუჩენდა მათ სახარჯო სახსრებს, ვინაიდან მდინარისებრ შემოსდიოდათ ქონება. და აშენდა [ეკლესია] სამხრემდე მიქაელის მამობაში, რომელმაც დატოვა ეს ცხოვრება და წავიდა უფალთან.

ამის შემდეგ დადგინდა მონაცვლედ ვინმე პავლე ხუცუცი, კაცი დაფასებული მთელი ერისგან, ვინაიდან ამ პავლემ დაასრულა ეკლესია და შეამკო იგი ყველა სამკაულით.

მაშინ აღმართეს მის შიგნით ფერისცვალების ხატი და აკურთხეს ეკლესია სრული კურთხევით პავლეს მამობაში. და ის კაციც, შესაწირავის მომტანი, კარგი სიბერით დამშვენებული წავიდა უფალთან. და ეს აქამდე იყოს.

19. ხოლო ჩვენ ამის შემდეგ სხვა რამეც ვახსენოთ და ასე დავადოთ ბეჭედი სიტყვას, ვინაიდან ბასილი, ვინც წმინდანის ეს ცხოვრება აღწერა, თვით წერს და ამბობს შემდეგს:

„მე, ბასილი, წმინდა სერაპიონის ძმისწული, ყველა მოწესეზე უდარესი, იმ დროთა შემდეგ, როდესაც იგი მიიცვალა, მივედი მის წმინდა სამარხზე და ვნახე ყოვლადბრწყინვალედ და კარგად მთელი მისი ნაშრომი, რითაც შვება მივიღე და გავიხარე, მაგრამ როდესაც ვნახე მისი საფლავი დაფარულ ადგილას, რომლისგანაც ყველა უძლური იღებდა ყოველდღიურ კურნებას, ამის გამო უფლის ბრძანებით შევუდექი და შევამზადე ქვის კუბო. შემდეგ გავხსენი მისი

მისსა, რომლისა მიერ გამოვდა სული სულნელებისაჲ, მიუწდომელისა[ჲ], და ყოველნი აღვივსენით მადლითა და საკურველებათაგან. მაშინ ქმნილთა ვადიდეთ ღმერთი, რამეთუ მრავალნი უძღურნი შე-რა[ჲ]-ეხნეს წმიდათა მათ ძუალთა მისთა, მრავალნი სენნი დაივსნეს და განმხიარულებულნი მიიქცეოდეს და ადიდებდეს ღმერთსა საკურველებათასა. და სანთელთა სიმრავლითა და მადლითა მგალობელთა[ჲ]თა დავსხენით ლარნაკსა შინა ახალსა, და აღვმართეთ მას ზედა ჯჳური სახელსა ზედა წინამორბედისა[სა] საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა[სა] და განვაჩინეთ, რაჲთა ერთი მღდელთაგანი შესწირვიდეს მას შინა მსხუერპლსა საუფლოსა. ხოლო განვაწესეთ სავსენებელი წმიდისა[ჲ] ამის გალობითა და შესხმითა სულიერითა, და ღამისთევეითა, დღესასწაულობითა, **ოკდონბერსა ოც და ცხრასა**, და შემდგომად ჟამსა მის წირვისასა სულიერსა თანა შუებად ვორციელთა სანოვაგეთა მიერ მდიდრად და უხუებით, რაჲთა ორკერძოვე მხიარულთა ვადიდოთ ღმერთი, რომელი ადიდებს წმიდათა მისთა“.

ხოლო ჩუენ კუალად ერთიღა მივსცეთ სასწაულთა მისთაგანი თხრობასა და მერმე შევევედრნეთ ნავთსაყუდელსა მყუდროდუმილისასა.

რამეთუ ვითარცა ოდენ გუედგა ლარნაკი იგი წმიდისა[ჲ] და გალობაჲ იყო პირსა შინა ყოველთასა, აჰა ესერა მოიწია კაცი, რომელსა მრავლით ჟამითგან ელმოდა თუალი მარჯუენე, რამეთუ ნათლისაგან სრულიად დაკლებულ იყო. ხოლო ფრიადი იგი ტკივილი ცხად-ჰყოფდა ერთისა მისცა დაბრმობასა.

და ვითარცა ვიხილეთ ყოველთა, გუელმოდა ყოველთა მის თანა. ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან «**ბობლა**» წოდებულისა. და ვითარცა მოიწია კაცი იგი, შეუვრდა ლარნაკსა წმიდისასა. და ვიხილეთ ყოველთა საკურველებაჲ დიდი, რამეთუ ყოვლად მრთელად იპოვა მყის კაცი იგი. და ყოველთა ვადიდეთ ღმერთი, რომელი ყოვლადვე იქმს დღითი-დღე ლარნაკსა ზედა მისსა წმიდისა[სა] ძალთა და სასწაულთა.

საფლავი, საიდანაც გამოვიდა მიუწვდომელი სურნელების სუნი და ყველა ავივსეთ მადლითა და საკვირველებით. მაშინ ჩვენ, ქმნილებებმა, ვადიდეთ ღმერთი, ვინაიდან ბევრი უძლური, შეეხო რა მის წმინდა ძეგლებს, მრავალი სენისგან გათავისუფლდა, რომლებიც გამხიარულებულები ბრუნდებოდნენ უკან და ადიდებდნენ საკვირველებათა ღმერთს. ამრიგად, სანთლების სიმრავლით და მგალობელთა მადლით დავასვენეთ [წმინდანის ძეგლები] ახალ კუბოში და აღვმართეთ მასზე ჯვარი (იოანე წინამორბედის სახელზე) ახალი ეკლესიის გამოსაჩენ სტოვაში და დავადგინეთ, რომ ერთ-ერთ მღვდელს ეწირა მასში საუფლო მსხვერპლი, რომ წმინდანის მოსახსენებელი [აღნიშნულიყო] ოცდაცხრა ოქტომბერს სულიერი გალობით, ხოტბის შესხმით, ღამისთევითა და დღესასწაულობით, აგრეთვე ჟამისწირვის შემდეგ სულიერთან ერთად ხორციელ სანოვაგეთა მიერ მდიდრული და უხვი შვება-ლხენით, რათა ორივე მხრივ მხიარულებს გვედიდებინა ღმერთი, რომელიც ადიდებს თავის წმინდანებს“.

ჩვენ კი მისი სასწაულებიდან კიდევ ერთი განვუკუთვნოთ თხრობას და შემდეგ შევეფაროთ მყუდროებითი ღუმლის ნავსაყუდელს.

ვინაიდან როდესაც მხოლოდ წმინდანის კუბო გვედგა და ყველას პირზე გალობა იყო, აჰა მოვიდა ადამიანი, რომელსაც დიდი ხნიდან სტიქიოდა მარჯვენა თვალი, ვინაიდან მთლიანად მოკლებული იყო სინათლეს, ხოლო მეტისმეტი ტკივილი მეორის დაბრმავებასაც მოასწავებდა.

როდესაც ყველამ ვნახეთ იგი, ყველას გვტკიოდა მასთან ერთად (ეს კაცი იყო იმ დაბიდან, რომელსაც „ბობდა“ ჰქვია). როდესაც მოვიდა ხსენებული კაცი, შეუვრდა იგი წმინდანის კუბოს და ვნახეთ ყველამ დიდი საკვირველება, ვინაიდან მყისვე მთლიანად ჯანმრთელი გამოჩნდა ეს კაცი. ყველამ ვადიდეთ ღმერთი, რომელიც სულ ადასრულებს ყოველდღე წმინდანის კუბოზე ნიშებსა და სასწაულებს.

ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მიითუალა წინამძღურობაჲ, რომელმან-იგი კეთილად ილუაწა ჟამ რაოდენმე ადგილი იგი ნამუშაჲკევი მამისძმისა თჳსისა[ჲ].

XX. არამედ ჩუენ, გლახაკთა და უსწავლელთა, შენდავე მივაქციოთ სიტყუაჲ ჩუენი, შ მამაო მამათაო, დიდო მოღუაწეო ყოველთაო, ვითარცა-იგი პირველ ჩუენსა, ეგრეთვე შემდგომითი-შემდგომად. აწცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელდებულთა ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე-უკუნ-აქცევ მეოხებად და ღუწად გამზადებულსა პირსა შენსა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთა[ჲ]სა.

ხოლო ჩუენ რაჲ შესხმა[ჲ] მიგიძღუანოთ, რამეთუ უზეშთაჲს კაცთა ბუნებისა არს ბრწყინვალეებით წარმატებაჲ ცხორებისა შენისა[ჲ], ვინა[ჲ]ცა შენისავე მოღუაწებისა სიტყუათა შევწირავთ შენდა, ვედრებითა შეგივრდები რაჲ, მეოხებითა შენითა ჰყო ღხინებაჲ შეცოდებათა ჩუენთაჲ, შ ანგელოზთა თანამზრახვლო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან ას წილად აღაორძინე ტალანტი რწმუნებული შენდა, შ უძღურთა მკურნალო, ჭირვეულთა შემწეო, დელვაგუემულთა ნავთსაყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინისმცემელო, მოღუაწეთა სამკაულო, მონაზონთა რჩეულებო, მამათა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო, და ყოველთა შენდა მოლტოლეილთა ნავთსაყუდელო უღელგოო, ხოლო მორჩილთა საღმრთოჲსა შურისა მასწავლელო, მამათა დიდებო, და რაჲთა მოკლედ ვთქუათ, შ ყოვლისა სახელისა და საქმისა კეთილისა ღირსო, შეიწირენ ჩემმიერნი სათნოებათა შენთა სიტყვთ გა[მო]სახვანი უღირსთაგან ბაგეთა აღმოთქმულნი, და ვითარცა ხარ მონა[ჲ] ღმრთისა სიტყვსა[ჲ], მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა, რომელმანი იგი ქურივისა წულ[ილ]ნი მიითუალნა, და ნუ გარე-მიიქცევ ალაბასტრსა უღირსთა ბაგეთასა, ვითარცა ქრისტემან მეძვისა[ჲ] მის, და საგანე ყავ ჩუენ თანა, შ წმიდაო, ვითარცა უფალ-

ხოლო ამის შემდეგ ბასილიმ მიიღო წინამძღვრობა, რომელმაც რამდენიმე ხანს კარგად უპატრონა თავისი მამის ძმის ნაშრომ ადგილს.

20. მაგრამ ჩვენ, გლახაკები და უსწავლელები, შენსკენვე მოვაბრუნებთ ჩვენს სიტყვას, ჰოი მამათა მამაო, დიდო მოღვაწევ ყველასათვის (როგორც ჩვენს უწინარესთა, ასევე შემდგომთა და შემდგომთა); ამჟამადაც, ჩვენ, უძღურებსა და უღირსებს, რომლებიც შენს შვილად ვართ წოდებულები, ნურასოდეს დაგვივიწყებ და ნურც უკან მიაბრუნებ მეოხებისა და მეურვეობისთვის გამზადებულ შენს სახეს ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო.

ანკი ჩვენ რა ხოტბა უნდა გიძღვნათ, ვინაიდან აღმატებულია ადამიანთა ბუნებაზე შენი ცხოვრების ბრწყინვალედ წარმატებულობა. ამიტომ შენივე მოღვაწეობის [აღმწერ] სიტყვებს შეგწირავთ შენდამი და ვედრებით შეგივრდებით, რომ შენი მეოხებით შენდობილ ჰყო ჩვენი შეცოდებები, ჰოი ანგელოზთა თანამბჭობელო, წმინდა სამების სარწმუნო მონაო, რომელმაც ასმაგად გაზარდე შენდამი რწმუნებული „ტალანტი“⁵⁸. ჰოი, უძღურთა მკურნალო, შეჭირვებულთა შემწეო, ხომალდდანთქმულთა ნავსაყუდელო, გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა მანუგეშებელო, მოღვაწეთა სამკაულელო, მონაზონთა რჩეულობაო, მამათა სიამაყეო, წინამძღვართა დიდო მნათობო, ყველასთვის მშვიდო ნავსაყუდელო, ვინც კი შენდამი მოიღტვის, ხოლო მორჩილთათვის საღვთო შურის მასწავლებელო, მამათა დიდებაო და, მოკლედ რომ ვთქვათ, ჰოი ყოველი კარგი სახელისა და საქმის ღირსო, შეიწირე შენეულ სათნოებათა ჩემმიერი სიტყვითგამოსახვანი, უღირსი ბაგეებით აღმოთქმულნი, და ვინაიდან ხარ ღვთის სიტყვის მონა, მიემსგავსე მეუფე ქრისტეს, რომელმაც ქვრივის წვრილი ფულიც მიიღო, ნუ განიშორებ უღირს ბაგეთა სანელსაცხებლე ჭურჭელს, ისევე როგორც [არ განიშორა] ქრისტემ [სანელსაცხებლე ჭურჭელი] მეძავისა, დაივანე ჩვენთან, ჰოი

მან სახლსა ზაქესსა, და მივსნენ ჩუენ ლოცვითა შენითა ყოველთ-
აგან მტერთა მანქანებათა, და ვითარცა სოფელსა ამას წმი-
დასა მოძღურებისა შენისა მოწაფედ წოდებული ვართ, ეგრეთვე
ზიარ-მყვენ მერმესა მას უკ[უ]ანა[მ]სკნელსა დღესა დიდებით
მოსლვასა მეუფისასა, დგომად მახლობელად შენსა ყოველთა
თანა წმიდათა, მარჯვენით უფლისა და ღმრთისა, უღირსნი
ესე მოწაფენი შენნი, სამგზის სანატრელო მამაო წმიდაო
სერაპიონ, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობ[ე]ლისა[მ]თა და
მადლითა და ლოცვითა შენითა და წმიდათა მოციქულთა და
წინამსწარმეტყუელთა და მოწამეთა[მ]თა და ყოვლადქებულ-
თა მღდელთმოძღუართა[მ]თა და მამათა[მ]თა, რაჟთა ღირს
ვიქმნეთ უღირსნი ესე სმენად ვმასა მას ზატიკობისასა წმიდათა
ანგელოზთა თანა, რომელნი სამწმიდაარსობით ადიდებენ სამე-
ბასა ერთარსებასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებამ, პატი-
ვი და თაყუანისცემა[მ] აწ და მარადის და უკუნითი-უკუ-
ნისამდე. ამინ.

წმინდაო, როგორც უფალმა – ზაქეს სახლში, გვიხსენ ჩვენ თქვენი ღოცვით მტრის ყოველგვარი მზაკერობისაგან და როგორც ვართ ჩვენ ამ სოფელში წოდებულნი შენს მოწაფეებად, ამგვარადვე მეუფის დიდებით მოსვლის იმ სამერმისო უკანასკნელ დღეს ჩვენ, შენი უღირსი მოწაფეები, მოზიარენი გაგვხადე შენს ახლოს დგომისა ყველა წმინდანთან ერთად, უფლისა და ღვთის მარჯვნივ, სამგზის სანატრელო მამაო, წმინდაო სერაპიონ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, აგრეთვე შენი, წმინდა მოციქულების, წინასწარმეტყველების, მოწაფეების და ყოვლადქებული მღვდელთმოდგერებისა და მამების მადლითა და ღოცვით, რომ ღირსი გავხდეთ ჩვენ, უღირსები, სადღესასწაულო ხმის სმენისა წმინდა ანგელოზებთან ერთად, რომლებიც სამწმინდაარსობით⁵⁹ აღიდებენ ერთარსება სამებას, რომელსაც შებფერის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ.

სქოლიოები

1. მ. 5.3.
- 2 მ. 5.12.
- 3 ლ. 10.20.
- 4 ფს. 15.9.
- 5 ფს. 86.7.
- 6 ფს. 1.1.
- 7 ფს. 118.1.
- 8 იგაგ. 3.13.
- 9 ფილ. 4.4.
- 10 ებრ. 11.1-2.
- 11 1 კორ. 12.4.
- 12 1 კორ. 12.28.
- 13 მ. 28.19.
- 14 მ. 28.20.
- 15 შესაქ. 1.28.

16 ებრ. 13.8.

17 აქ „სამყარო“ ბიბლიურ-საეკლესიო შინაარსისაა (ბერძნ. **σφερότωμα**) და ნიშნავს „ცას“.

18 მ. 5.16.

19 ეს. 66.2.

20 მ. 7.18.

21 ფს. 112.9.

22 1 კორ. 15.52.

23 „უწირავნი“ – შდრ. პავლე მოციქულის სიტყვები: „უგულისვმო, უწესო, უყუარულ, უწირავ, უწყალო“ (რომ. I.31; ტერმინ „უწირავს“ ბერძნულში შეესატყვისება **ἄσπονδος**, სომხურში კი **անսուქრք**. იგი, ბერძნულ-სომხურისებრ, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „არ შემწირავს“, გადატანით კი „შეურიგებელს“, „მტრულს“, „ულმობელს“, „სასტიკს“. მოვიტანთ მეორე ნიმუშსაც: „უყუარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ, დაუმშვდებელ, კეთილისმოძულე“ (II ტიმ. 3.3; შდრ. ბერძნ. **ἄσπονδοι**. სომხ. **անսուქრք**; ლათ. **sine pace**; სლავ. **непримирительни**; რუს. **непримирительны**. კინგ ჯეიმსის ბიბლია: **trucebreakers**; ლუი სეგონის ბიბლია: **déloyaux**)

24 ლ. 4.29.

25 იობ. 1.1.

26 ე. ი. გონიერ, მოაზროვნე

27 გალატ. 1.8.

28 ფს. 36.35-36.

29 შდრ. იგავ. 18.15.

30 მ. 7.6.

31 შდრ. მსჯ. 6.37-38.

- 32 ლელესთან, სადაც იოანემ აანთო სანთელი.
- 33 მაღალ ბორცვზე.
- 34 ე. ი. მოამზადეს („შეჭკაზმეს“) იოანეს ადგილი.
- 35 შდრ. გამოსლ. 36.1.
- 36 გამოსლ. 3.14
- 37 მ. 18.20.
- 38 მ. 18.20.
- 39 აქ „ჟამი“ („ჟამსა სამყემისასა“) ნიშნავს „დაწესებულ ლოცვებს“ აღნიშნული ჟამისას ანუ საათისას.
- 40 აქ ტექსტს აკლია.
- 41 ფს. 93.23.
- 42 ფს. 30.19.
- 43 შდრ. იაკ. 5.14-15.
- 44 შდრ. ი. 14.12.
- 45 ფს. 67.36.
- 46 შდრ. მრ. 4.21, ლ. 8.16.
- 47 შდრ. მ. 25. 20-23.
- 48 შდრ. ფს. 91.15 (გიორგიმდელი რედაქციები).
- 49 II ტიმ. 4.7.
- 50 II ტიმ. 4.8.
- 51 მ. 11. 28-29.
- 52 ლ. 10. 27.
- 53 მ. 7.12; 22.40.
- 54 ი. 13.35.

- 55 იგულისხმება ლიტურგიკული ჟამი ანუ საათი.
- 56 შდრ. ამ გამოთქმისთვის ფს. 46.2.
- 57 ი. 1.1.
- 58 ვერცხლის ან ოქროს ფული. შდრ. მ. 15.25 და შემდ.
- 59 იგულისხმება ლოცვა: **„წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“**.

